# ~~კვირის~~ წლის პალიტრა

## ყოველკვირეული დაიჯესტი

№ 1 (90) ◆ 6–12 იანვარი ◆ ფასი 1 ლარი ◆ დაარსებულია 1995 წ.

ყველა გაზეთი ერთ გაზეთში

40 გვ.




## გილოცავთ შობა-ახალ წელს

# 1997

ადამიანები ჩქარობენ, შეაჯამონ მეორე ათასწლეული

**გაზეთმა „ვაშინგტონ თაიმსმა“ გამოაქვეყნა საკუთარი კვლევის შედეგები და ჩამოარიგა ტიტულები:**

„ათასწლეულის გამოგონება“
— საბეჭდი დაზგა

„ათასწლეულის ქანდაკება“
— მიქელანჯელოს „მოსე“




„ათასწლეულის ადამიანი“:
ჟანა დ'არკი
ლეონარდო და ვინჩი
მარტინ ლუთერი
დედოფალი ვიქტორია
ჩინგიზ-ხანი
შექსპირი
აინშტაინი

„ათასწლეულის წიგნი“:
ინგლისური ენის ლექსიკონი, შედგენილი სემუელ ჯონსონის მიერ, მე-18 საუკუნეში

„ათასწლეულის შედევრი“
— მოცარტის ოპერა „ფიგაროს ქორწინება“

„ათასწლეულის შეცდომა“:
დაუშვა ყველამ, ვინც წამოიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ: კარლოს XII-მ, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა და სხვ.

სატრფიალო ლირიკა (მარადიული)
— იხ. „წლის პალიტრა“ გვ. 37

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წლიდან — წლამდე

**სრულიად საქართველოს** (პოზიციაც და ოპოზიციაც) მოუთმენლად ელოდა 1996 წლის მიწურულს დაგეგმილ პარლამენტის საგანგებო სხდომას აფხაზეთის საკითხის შესახებ, მაგრამ იგი საგაზაფხულო სესიისთვის გადაიდო. ასე რომ, ჩვენი ქვეყანა და განსაკუთრებით ასიათასობით ლტოლვილი კვლავ შეშფოთებული ხვდება ახალ წელს და კვლავ და კვლავ სვამს კითხვას: — როდის დაუბრუნდება აფხაზეთი საქართველოს?!

**საქართველოს ხელისუფლებასთან დაახლოებული**, კარგად ინფორმირებული წყაროების საშუალებით „კვირის პალიტრისთვის" ცნობილი გახდა, რომ 1997 წლის იანვარში დაიწყება აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართული მოსახლეობის მასობრივი დაბრუნება გალის რაიონში — მხოლოდ და მხოლოდ, გალის რაიონში. შესაბამისად, სადემარკაციო ხაზი ენგურიდან გადაინაცვლებს მდინარე ღალიძგაზე, სადაც რუსეთის სამშვიდობო ძალები ჩადგებიან, თუ, რა თქმა უნდა, პარლამენტი გაუგრძელებს მას მანდატს.

ზემოთქმული აზრთა და პოზიციათა მძაფრ დაპირისპირებებს იწვევს, რადგან ჩნდება აშკარა საშიშროება იმისა, რომ ღალიძგას მიღმა დარჩენილი აფხაზი — სამუდამოდ მოწყდეს საქართველოს (გალის რაიონზე აფხაზები არასდროს აცხადებდნენ პრეტენზიას. იგი სეპარატისტებს ქართველთა გაუგონარი ლაჩრობისა და მუხანათობის წყალობით ჩაუვარდათ ხელში, რითაც შემდეგ შესანიშნავად ივაჭრეს მრავალრიცხოვან ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებაზე).

**გასული წლის მანძილზე** კვლავ ერთ-ერთი სასიცოცხლო მნიშვნელობის აქტუალურ საკითხად რჩებოდა საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის და აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების განხორციელება. ამ მხრივ საგულისხმო გამოდგა წლის დასაწყისში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის ვიზიტი საქართველოში, რომელმაც პრეზიდენტ შევარდნაძესთან ერთად ხელი მოაწერა შეთანხმებათა პაკეტს საქართველოს ტერიტორიის გავლით კასპიის ადრეული ნავთობის ტრანსპორტირებაზე.

ექსპერტთა აზრით, ამ შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დასავლეთში კასპიის ნავთობის ტრანზიტის შესახებ უცხოეთის ნავთობის კომპანიათა კონსორციუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისთვის.

1996 წლის 12-13 მაისს სარახსში ხელმოწერილმა შეთანხმებამ საქართველოს, აზერბაიჯანს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის, აგრეთვე, მეშხედ-სარახსის სარკინიგზო მაგისტრალის გახსნამ, რომლის საშუალებით მთელი ცენტრალური აზია დაუკავშირდა სპარსეთის ყურეს — პრაქტიკულად შეასხა ხორცი ევრაზიის გრანდიოზული პროექტის იდეის განხორციელებას. ამით შესაძლებელი გახდა აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოება, რომელშიც საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, საკვანძო ადგილი უკავია და, აქედან გამომდინარე, აღდგენილია მისი ისტორიული ფუნქცია.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების უსიტყვოდ შემსრულებელი საქართველო** კვლავ ახორციელებდა ეკონომიკურ რეფორმებს, რომლის შედეგადაც კვლავ მყარი იყო ლარის კურსი, ხოლო ინფლაცია უკიდურესად დაბალი. მაგრამ ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონე კვლავ ერთ-ერთი დაბალი იყო და არის დსთ-ის ქვეყნებს შორის.

**ივნისში საქართველომ,** როგორც იქნა, პრეტენზია განაცხადა შავი ზღვის ფლოტიდან თავისი კუთვნილი წილის მიღებაზე და წლის ბოლოს რუსეთმა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებს გამოუყო ერთი საბრძოლო ხომალდი.

**თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ** დაადანაშაულა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფილი სარდალი ალექსანდრე ჯავახიშვილი კორუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში და განაცხადა, რომ ყველა საფუძველი არსებობს ჯავახიშვილის საქმის სამხედრო პროკურატურისთვის გადასაცემად.

**წლის ბოლოს** პოსტიდან მოისროლეს ვასილ იაკუშევი, რომელმაც „თავი ვერ გაართვა დაკისრებულ მოვალეობას". ახალი სარდალი რას იზამს, ეს, ალბათ, მხოლოდ „ეშმაკმა უწყის".

**გასულ წელს გრძელდებოდა** 1992-1995 წლებში მოქმედი მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ დოკუმენტთა შესწავლა-გამოძიება. პრეზიდენტ შევარდნაძის თქმით, ის ციფრები, რომლებიც მას ხელთ აქვს — შემაძრწუნებელია. საქმე ეხება ამ წლებში მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ უამრავ უკანონო გადაწყვეტილებას, რამაც ქვეყნის ეკონომიკა კატასტროფამდე მიიყვანა.

**წლის მიწურულს საქართველოში** მოქმედ პრეზიდენტთა რიცხვი ერთით გაიზარდა — ცხინვალის რეგიონში არჩეული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის" სახით.

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება კი „ახალი ლეგიტიმური საკანონმდებლო ორგანოთი განმტკიცდა" — ავტონომიური რესპუბლიკის უმცირესობის მიერ „პარლამენტით", რასაც საქართველოს ხელისუფლებამ ლტოლვილთა შორის მოწყობილი პლებისციტი დაუპირისპირა და ლეგიტიმურობის ვადა გაუგრძელდა ლტოლვილობაში მყოფ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

**გასული წელი** ნიშანდობლივი იყო იმითაც, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოჩნდნენ ქართული პარტიზანული რაზმები, რომლებმაც არა ერთი და ორი ქართველთა სისხლისმსმელი აფხაზი და გააფხაზებული ქართველი ბოევიკი გაისტუმრა საიქიოს!

**1996 წლის აპრილში** საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროპულ სტრუქტურებში მისი შემდგომი ინტეგრაციის თვალსაზრისით, კერძოდ, ევროკავშირთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას „თანამშრომლობისა და პარტნიორობის" შესახებ. ამას მოჰყვა ევროპის საბჭოში საქართველოსთვის „საპატიო სტუმრის სტატუსის" მინიჭების აქტი და გამოიკვეთა რეალური გზები „მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში" საქართველოს ნამდვილ წევრად მიღებისთვის.

ამის პარალელურად ფართოვდებოდა საქართველო-ნატოს თანამშრომლობაც. ქართველმა სამხედროებმა ნატოს მიერ დაგეგმილ რამდენიმე სამხედრო მანევრში მიიღეს მონაწილეობა.

**გასულ ზაფხულს განხეთქილება მოხდა ედპ-ში,** რის შედეგადაც საპარლამენტო ფრაქციის „ეროვნულ-დემოკრატის" წევრები გაირიცხნენ პარტიიდან, რომლის თავმჯდომარედ ირინა სარიშვილი-ჭანტურია დარჩა.

**პარლამენტის მიღმა დარჩენილმა სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა** კი წლის განმავლობაში რამდენიმე ანტისამთავრობო აქცია მოაწყვეს, რომლებიც ხელისუფლების მიერ იქნა დარბეულ-გარეკილი, შესაბამისად, ამ აქციების შედეგი იყო — 0!

**„კვირის პალიტრისთვის" მიცემულ ინტერვიუში** შ. ს. მინისტრმა კახა თარგამაძემ დაიმოწმა მის მიერ გაცემული ბრძანება, რომ „ყველა დამნაშავე, რომელიც შეეცდება იარაღის გამოყენებას პოლიციის წინააღმდეგ, ადგილზე იქნება განადგურებული".

**მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა** საერთაშორისო ტერორისტად გამოცხადებული იგორ გიორგაძის ძებნა, მათ შორის, „ინტერპოლის" მიერ, მაგრამ... უშედეგოდ. გიორგაძე აორთქლდა!

**1996 წლის მანძილზე საქართველოში** აღირიცხა 4000-მდე ტუბერკულოზით დაავადების შემთხვევა. საშიში ხასიათი მიიღო ტიფით, ცოფისა და ციმბირის წყლულით დაავადებულთა რიცხვის ზრდამ. გაჩნდა საშიშროება, რომ საქართველოში შეიძლება იფეთქოს — შავმა ჭირმაც.

**მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა საქართველოში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ მიმართული კამპანია,** რამაც წლის მიწურულისთვის ის შედეგი გამოიღო, რომ პრეზიდენტმა მორატორიუმი დააწესა უმაღლესი სასჯელის აღსრულებაზე. ასე რომ, 49 სიკვდილმისჯილს შეუძლია „არხეინად" შეხვდეს ახალ წელს, მით უმეტეს, რომ მომავალ წელს პარლამენტი საგანგებო დადგენილებით, ალბათ, სამუდამოდ გააუქმებს ამ სასჯელს.

**1996 წლის საქართველო-რუსეთის** ურთიერთობათა შედეგებს თავისებური წერტილი დაუსვა გენადი სელეზნიოვმა, რომელმაც არაორაზროვნად აგრძნობინა მთელ ქვეყანას, რომ საქართველოს რუსეთის იქით — გზა არა აქვს!

**წლის მიწურულისთვის** შრომისუნარიან მამაკაცთა საარსებო მინიმუმმა ქვეყანაში შეადგინა 107 ლარი, თბილისში კი — 110,7 ლარი, შესაბამისად, საშუალო ოჯახისათვის 187,8 და 194,2.

**საქართველოს პარლამენტის ბევრ წევრს** შორის ერთმა არაორდინალურმა თვისებამ იჩინა თავი. თუ წინა პარლამენტში, დღის მეორე ნახევარში, ანუ 16 საათიდან განახლებულ სხდომაზე ხშირად მობრძანდებოდა ხოლმე ირაკლი წერეთელი ნასვამ მდგომარეობაში, ბევრი ახლანდელი დეპუტატისთვის, შეიძლება ითქვას, ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ეტყობა, შესვენების საათებს ისინი უაღრესად შინაარსიანად ატარებენ... თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ პარლამენტის სალამოს სხდომების დაწყებამდე აღნიშნული კატეგორიის პარლამენტარები უაღრესად ენაწყლიანნი და ერთმანეთისადმი სიყვარულით გამსჭვალულნი ხდებიან, რაც მათ შორის გამართული გაცხოველებული საუბრებითა და... ხვევნა-კოცნითაც გამოიხატება.

**ლარის კურსის** სიმტკიცე ეროვნულმა ბანკმა იმითაც გამოხატა, რომ გამოუშვა „თეთრის" სასაჩუქრო კომპლექტები და ოქროს მონეტები...

**მთელი წლის მანძილზე მძვინვარე ბატალიები** ე. წ. თურქული უნივერსიტეტის გახსნა-არგახსნასთან დაკავშირებით შემოდგომაზე ჯერ შენელდა, შემდეგ საერთოდ გაქრა პრესის ფურცლებიდან. ვარაუდობენ, რომ 1997 წელს ეს პრობლემა კვლავ წამოყოფს თავს.

**საქართველოში დაფუძნდა** კიდევ ერთი, ამჯერად, შავი ზღვის საერთაშორისო კომერციული ბანკი, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რეგიონის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური და საბანკო თანამშრომლობის განვითარებაში.

**1996 წელს რუსმა მესაზღვრეებმა** განსაკუთრებული „ყურადღება" გამოიჩინეს საქართველოში სტუმრად, თუ საქმიანი ვიზიტებით მომავალი უკრაინელი მოქალაქეებისადმი. ჯერ იყო და დარიალის ხეობაში ერთი კვირის მანძილზე ავტობუსში ჰყავდათ გამომწყვდეული უკრაინელ ბავშვთა (!) ანსამბლი, ხოლო დეკემბერში ბათუმის მისადგომებთან ასევე ერთი კვირით დააპატიმრეს უკრაინის გემი ეკიპაჟითურთ.

**მაისის თვეში** ასლან აბაშიძის რიტორიკულ შეკითხვას — ვინ ვართ ჩვენ, ყიზილბაშები თუ თათრები?! (მეოთხე №11) — წლის მიწურულსაც ვერავინ გასცა პასუხი. აჭარის ირგვლივ მიმდინარე მითქმა-მოთქმამ და შეხლა-შემოხლამ კი ის მოიტანა, რომ დეკემბრის თვეში აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმებმა საბრძოლო მანევრები (!) გამართეს...

**გასულ წელს** მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა საქართველო-ჩეჩნეთის ურთიერთობაში. ჩეჩნები აღარ მალავენ, რომ საქართველო მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ქვეყანას წარმოადგენს გარესამყაროსთან კავშირურთიერთობისთვის. ექსპერტთა აზრით, ამ ფაქტმა საქართველოს მისცა საშუალება დაიწყოს „ვაჭრობა" რუსეთთან — აფხაზეთ-ჩეჩნეთის საკითხის გასარკვევად. სხვა საქმეა, როგორ გამოიყენებს იგი ამ „კოზირს".

**„მანა-96" ფესტივალმა გვიჩვენა** ის, თუ რა დონეზე დგას საქართველოს „ტელეინდუსტრია". პრიზთა მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოელებმა, განსაკუთრებით, რუსებმა წაიღეს, რომელთა შორის რამდენიმე პირწავარდნილი ანტიქართული გადაცემების ავტორი გახლდათ. პრიზებთან ერთად, კვლავ მიჰყვეს ხელი ანტიქართული გადაცემების კეთებას!

**ქართველი ბავშვებით ვაჭრობამ** იმდენად საშიში ხასიათი მიიღო, რომ საქმეში ჩაერია თვით ქვეყნის პირველი ლედი, ქალბატონი ნანული შევარდნაძეც, რომელმაც სახელმწიფოს რიგ უწყებათა წინაშე მთელი კატეგორიულობით დააყენა საკითხი, რათა შეწყდეს უცხოეთში „გაშვილების" საშიში ტენდენცია.

**3 ივნისს კისლოვოდსკში გამართული შეხვედრისას,** რომელშიც მონაწილეობდნენ რუსეთის, ამიერკავკასიის სახელმწიფოებისა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკათა ლიდერები და რომელიც კავკასიაში მტკიცე მშვიდობისა და კეთილმეზობლობის დამკვიდრების აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა, სადღესასწაულო ბანკეტზე 19-ჯერ (!) პერსონალურად შეისვა ბორის ელცინის სადღეგრძელო, რაც, ექსპერტთა აზრით, შესანიშნავი წინასაარჩევნო შოუ გამოდგა რუსეთის პრეზიდენტისთვის!

**დსთ-ის წევრი ქვეყნების მოსკოვში** აკრედიტებულ არც ერთ ელჩს არ ღირსებია ისეთი პატივი, როგორიც რუსეთში საქართველოს ელჩს — ვაჟა ლორთქიფანიძეს. საპრეზიდენტო არჩევნებისას ელცინის გუნდმა მხოლოდ საქართველოს ელჩი მიიწვია თავის ბანაკში. სწორედ ნაინა ელცინასა და პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვასთან ერთად შეხვდა ბატონი ვაჟა არჩევნების შედეგებს და ელცინის სადღეგრძელო მათთან ერთად შესვა.

საინტერესოა, 1997 წლის 1 იანვარს ვის მიიპატიჟებს ელცინის გუნდი?

**მხოლოდ სამურზაყანოში შესვლა,** თუნდაც ქართული ადმინისტრაციით, აფხაზეთის საბოლოო დაკარგვას ნიშნავს, რომ ჩვენი მოდგმა, ისევე როგორც ადრე, სრულიად არარეალისტური და მაქსიმალურია, რითაც მინიმალურ შედეგს თუ მივაღწევთ. არადა, რაიმე ახალი წინადადება საერთოდ არ გამოჩენილა. ყველაზე მეტი, რასაც რუსებისათვის დათმობის გზით შეიძლება მივაღწიოთ, ეს დე-ფაქტო საქართველო-აფხაზეთის საზღვრის მდინარე ღალიძგაზე გადატანაა. — რ. კლიმიაშვილი

**1996 წლიდან ნავთობის მოპოვება საქართველოში** 1995 წელთან შედარებით 24%-ით გაიზარდა. ექსპერტთა მონაცემებით, 21-ე საუკუნის დასაწყისისთვის საქართველო ყოველწლიურად მილიონნახევრამდე ტონა ნავთობის მოპოვებას შეძლებს.




## ყველას სმენია, მაგრამ...



სანტა-კლაუსსა და მის საჩუქრებზე ყველას სმენია, მაგრამ საიდან იღებს სათავეს ეს რწმენა, იქნებ, ყველამ არც იცოდეს...

...შობის წინაღამეს სანტა-კლაუსის ჩუმი სტუმრობის და მოულოდნელი სიხარულის (საჩუქრებით მინიჭებული) დღესასწაული საკვირველმოქმედ წმ. ნიკოლოზს (სანტა-კლაუსი), ამ დღის მფარველს უკავშირდება.

ცნობილია, რომ წმინდანი კეთილ საქმეს სხვებისგან მალულად აკეთებდა, ისე, რომ მარჯვენამ არ იცოდა, რას სჩადიოდა მარცხენა... ერთხელ მას ესმა პატარა ინგლისურ ქალაქში მცხოვრები სამი ულატაკესი, კეთილშობილი დის შესახებ. ერთ ღამეს, — და ეს სწორედ შობის წინაღამე იყო, — წმ. ნიკოლოზმა გოგონებს ბუხარში გასაშრობად ჩამოკიდებულ წინდებში საკვამლე ძილიდან ოქროს სამი ზოდი ჩაუგდო...

აქედან მოდის ეს ჩვეულება: საშობაოდ ბუხარში ან ღუმელთან წინდის დაკიდება და... დაელოდეთ უჩინარ სიხარულს.

## წმინდა ბასილი მობრძანდა...

ქართულ ყოფაში (ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში) ქრისტიანული დღესასწაულები, ხშირ შემთხვევაში, წარმართულ, წინარე სალვთო რიტუალებს შეერწყა, რაც შრეებად, ფურცელ-ფურცელ ჩანს კიდეც ხალხურ წეს-ჩვეულებებში.

წელს აღმოსავლური კალენდრით ხარის წელია, წითელი ხარის წელი. ძველ საქართველოში შობა-ახალწელიწადს უპირველესად ხარს — ოჯახის მარჩენალს მიულოცავდნენ ხოლმე.

შობას ჩიჩილაკს დგამდნენ, — იგი ძველი კერპის თაყვანისცემის ნარჩენია, რომელიც შემდეგ წმ. ბასილთან გაიგივდა. ჩიჩილაკი თხილის ჯოხისგან კეთდებოდა, წვერზე ჰორიზონტულად ტოლგვერდა ჯვარი ედგმებოდა, რომლის ბოლოებზე ვერცხლის ფულებჩარჭობილი ვაშლები მაგრდებოდა, ცენტრში — წმ. სანთელი ენთო.

ეს სიმბოლურად ნიშნავდა: ასე თეთრად დამიბერდით და გამრავლდით, განათლდით და განმდიდრდით სულიერად და ხორციელადო.

ჩიჩილაკს უსათუოდ ბასილა-პური ედგა წინ, — ეს ნაყოფიერების სიმბოლო იყო.

შობა-ღამეს ხის გობზე მოხარშულ საკულტო ღორის თავს დადებდნენ, გარს შემოუწყობდნენ სუროს მარცვლიან ტოტებს, ჯამით ხორბალს, შაქრის ნატეხებს, კაკალს, ვაშლს, საგანგებოდ საამდროოდ გამომცხვარ ღორის მუცლის ქონის, ნიგვზის და ხახვისგულიან ქადას, რომელსაც „საბასილე" ერქვა. ლანგარს ჯერ კერაზე შემოატარებდნენ სიმღერით, —

„წმინდა ბასილ მობრძანდა,
ჩვენს კერაზე დაბრძანდა.
ღმერთო, მოგვეც დოვლათი"...

მერე ბოსელში გავიდოდნენ, ხარძროხას დაამწყალობლებდნენ, ხორბალს ფრინველს დაუყრიდნენ, „საბასილე" ქადას დაჭრიდნენ და ოჯახის ყველა წევრს მიართმევდნენ, ხოლო ბასილა-პური მხოლოდ მამაკაცებს ერგებოდა.

...საახალწლოდ (ძველად ჩვენში სექტემბერში ზეიმობდნენ, ამიტომაც ერქვა ამ თვეს ახალწლისაი) სახლი და ეზო-კარი დაწკრიალებული უნდა ყოფილიყო.



დიასახლისი წინა ღამეს ლანგარზე დაალაგებდა ჯამით ხორბლისა და ვერცხლის ფულის ნარევს, თხილკაკალს, ჩურჩხელას, ტკბილ კვერს, გოზინაყს, ვაშლს, შებრაწულ ინდაურს, სარიტუალო პურს, ღვინოს.

ოჯახის უფროსი იმ ღამეს სხვა ოთახში, ცალკე გაათენებდა, ალიონზე ადგებოდა, აიღებდა ლანგარს, დაკეტილ კარს მიადგებოდა, სამჯერ დააკაკუნებდა ლანგრით და იტყოდა:

— ახალი წელი მოვედი, კარი გამიღეთ!..

ოთახიდან უპასუხებდნენ:

— ახალო წელო, რა მოგაქვს?

— მშვიდობა ცასა და დედამიწაზე, ოჯახში ხვავი და ბარაქა, ქორწილი და გვირგვინი, აკვანთმრავლობა. გამიღეთ კარი!

გაუღებდნენ. აციმციმებული სანთლით და ხვავ-ბარაქით შესული ოჯახს დალოცავდა, კერაზე მუგუზალს სამგზის დაჰკრავდა, ჩინჩხლებს დააყრევინებდა და იტყოდა:

— ამდენი ოქრო, ამდენი ვერცხლი, ამდენი ფრთოსანი და რქოსანი, ამდენი ძე და ასული, ამდენი სიხარული ჩემს ოჯახსა და ქვეყანას!..

ამინ... ამინ... ამინ!

## სად დაიბადა ახალი წელი?

ახალი წელი — ყველაზე უხნესი დღესასწაულია. პირველად იგი ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ძველი ბაბილონის წარწერებშია მოხსენებული.

ახალი წლის ნაძვის ხის ზეიმის სამშობლო გერმანიაა. ძველი გერმანელები მიიჩნევდნენ, რომ ბუნების მცველი, ტყეების სული სწორედ ნაძვზე ცხოვრობდა. ისინი ახალი წლის ღამეს დადიოდნენ ტყეებში და ევედრებოდნენ სულს, მიეძლვნა მათთვის ბედნიერი წელიწადი.

საახალწლო ნაძვის ხე პირველად 1852 წელს, პეტერბურგში, ეკატერინბურგის სადგურის შენობაში აინთო.

ახალ წელს პირველი ფიჯის კუნძულის მოსახლეობა ეგებება.

*თუ ჩვევებს მივყვებით:*

*ახალი წლის წინ გაისტუმრეთ ვალები, მიუტევეთ ახლობლებს, დაივიწყეთ წყენა, თხოვეთ პატიება სხვებს.*

*თავიდან მოიშორეთ ყველა დამტვრეულ-გაბზარული ჭურჭელი, შეელიეთ ნივთს, რომელიც შარშანდელ უსიამოვნებას უკავშირდება;*

*დააწკრიალეთ ყველა კუთხე-კუნჭული, ძველებური ბრწყინვალება დაუბრუნეთ მინებსა და სარკეს.*

*კოპწიაობა და ახალი ტანსაცმელი ყოველთვის კარგია, მაგრამ ახალწლის დამდეგს — აუცილებელიც კი.*

*დაიხსომეთ ახალი წლის ღამის სიზმარი.*

*თუ გსურთ შეიტყოთ სიცოცხლის ხანგრძლივობა, ახალი წლისთვის გაყინეთ კოვზით წყალი, თუ ბუშტები გაიკეთა, დიდი ხნის სიცოცხლე გიდევთ წინ. გილოცავთ!*

საშობაოდ ნუ გაასესხებთ ფულს.

დაიხსომეთ: ნუ იჩხუბებთ მზის ჩასვლის შემდეგ, მომდევნო დღესაც ჩხუბ-დავიდარაბაში გაატარებთ. ეს მთელ წელიწადზე ვრცელდება.

## ისტორია სასაფლაოა თუ საგანძური?

ამ ბოლო დროს საეკლესიო კალენდრის რეფორმის საკითხი მწვავე დებატების საგანი ხდება. დავაში კალენდრის გარშემო იმ ბრძოლის ცეცხლი აირეკლება, რომელშიც სულიერი, კულტურული და ზნეობრივი პრობლემა უნდა გადაწყდეს, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა: რას წარმოადგენს ჩვენთვის წარსული — ისტორიის სასაფლაოს, გადაყრილი ნიდის გორას თუ საგანძურს, რომლის გასაღებიც ჩვენ შეიძლება სამუდამოდ დავკარგოთ.

„ვინ იცის, რა საიდუმლოებებს ინახავს საჰარის ქვიშა, მექსიკის ჯუნგლები, კავკასიონის გამოქვაბულები... ღვთის განგებამ იულიუსის კალენდარი ეკლესიის კალენდრად აქცია. მის რიტმებში წარსულის გენიამ ჩვენთვის შეუცნობელი მისტიკური ცოდნა გაჰხვია და ჩვენი გაუხეშებული სმენისათვის დაფარული ციური სფეროს მუსიკა შეიგრძნო.

*არქიმანდრიტი რაფაელი*

კალენდრის შეცვლის იდეა არ ისმის და არც არასოდეს დასმულა მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში: საეკლესიო კალენდარი მთლიანად აკმაყოფილებს ეკლესიის ქრონოლოგიურ მოთხოვნებს, ეყრდნობა ბიბლიის სამივე დროის ორიენტირს: მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს. საეკლესიო ღვთისმსახურების რიტმი კოსმოსური პროცესების რიტმს ეხამება. ეკლესიამ თავის ადგილობრივ კრებებზე გამორჩეული იერარქებისა და მეცნიერების პირით უარყო და დაგმო „გრიგორისეული კალენდრის" (ე. წ. ახალი სტილი) მიღების იდეა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი მელეტიოსი, ვინც ითავა 1923 წელს საეკლესიო კალენდრის რეფორმის ინიციატივა საბერძნეთში, თავისივე წამოწყების შედეგად გამოწვეული არეულობის გამო, იძულებული გახდა, დაეტოვებინა კათედრა. დარწმუნებული ვართ, რომ კალენდრის შეცვლა აღიქმება, როგორც დაცილება მართლმადიდებლობიდან, სრული ჭეშმარიტებიდან და ეკლესიას არეულობისა და ნამდვილი განხეთქილების მეტს ვერაფერს შესძენს.

ვევედრებით ყოვლად მოწყალე, კაცთმოყვარე ღმერთს, აშოროს საქართველოს ეკლესიას ეს განსაცდელი.

*მღვდელი ანდრია (ბოროდა)*

## ბეთლემის სასწაული



მუსულმანი გოგონებიც განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ მე-12 საუკუნის ქრისტეს ხატს, რომელიც ყველა რელიგიის წარმომადგენელს ბეთლემში უყრის თავს, სადაც იესო დაიბადა. ამ შობის წინ უძველესი ხატი, თითქოსდა, სისხლის ცრემლებს ღვრის.

ბერძენი მართლმადიდებელი პეტრე ანასტაზიო ამბობს: „სასწაული ყოველთვის გამთენიისას ხდება ხოლმე". მას ეთანხმებიან სხვა ღვთისმსახურნიც და თაყვანისმცემელნი.

ურწმუნონი კი აბა, რისი ურწმუნონი არიან? ეჭვს გამოსთქვამენ, — საშობაო სასწაულის ინსცენირებააო.

მორწმუნეებს კი დიდი მღელვარება მოსდებიათ.

## რუსეთი მართლაც დიდი ძმაა აფხაზეთისთვის

როგორც BS-პრესის კორესპონდენტთან შეხვედრისას საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ფრაქცია „აღორძინებიდან“, ნელი კახიძემ განაცხადა, — რუსეთში იბეჭდება აფხაზური პასპორტებიო. დეპუტატის სიტყვით, მან სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, რომ საბუთების ნიმუშები უკვე მზად არის და ალბათ, მალე დაურიგდება აფხაზეთის მოსახლეობას.

## თანამშრომლობის პერსპექტივა

12 მარტს, ვაშინგტონში, აშშ-ის პრეზიდენტის მეუღლე ჰილარი ქლინთონი შეხვდა ნანული შევარდნაძეს.

ქალბატონი ჰილარი ქლინთონი დიდად დაინტერესდა საქართველოში არსებული მდგომარეობით, იმ პრობლემებით, რომელთა გადასაჭრელად ილვწის ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხებით, საქართველოს პრეზიდენტის ახალი ინიციატივით, რომლის პრინციპები ჩამოყალიბებულია თბილისის დეკლარაციაში „მშვიდობიანი კავკასია“ და რომელსაც უკვე შეუერთდნენ კავკასიის რიგი ქვეყნების ხელმძღვანელები.

ქალბატონმა ნანული შევარდნაძემ, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, უდგას სათავეში, ქალბატონ ჰილარი ქლინთონს გააცნო საქართველოს ქალთა საზოგადოების საქმიანობა.

გაიმართა საინტერესო საუბარი ქალთა ორგანიზაციების როლსა და მნიშვნელობაზე თანამედროვე მსოფლიოში, დაისახა ორი ქვეყნის ქალთა ორგანიზაციების თანამშრომლობის პერსპექტივა.

საუბარმა ერთ საათზე მეტ ხანს გასტანა.

## თურქეთს აღელვებს „თურქი მესხების“ ბედი

21-24 მარტს, საქართველოს დელეგაციის თურქეთში ვიზიტის დროს, თურქეთის მხარე დაინტერესდა 1944 წელს მათ ქვეყანაში დეპორტირებული მესხების ბედით. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა აღნიშნა, თურქეთის მხარე უფრო ფრთხილად უდგება ტერმინს „მესხი“. ჩვენს მეტყველებაში დამკვიდრებული „თურქი მესხების“ ნაცვლად, ისინი მათ მესხეთის მუსულმანურ მოსახლეობას უწოდებენ. ქართულმა მხარემ აღუთქვა თურქეთის მთავრობას, რომ პრობლემა გადაწყდება, მაგრამ ამისათვის დროა საჭირო.

## ჭორმოკრული თუ სინამდვილე?

შეგვატყობინეს, — სამხრეთ საქართველოში, ქალაქ ახალციხეში, ქართული სკოლა დაიხურა, სანაცვლოდ სომხური გაიხსნაო. დავუკავშირდით განათლების სამინისტროს, სადაც კიდევ ერთხელ შეამოწმეს ეს ფაქტი და გვითხრეს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. მხოლოდ 5 წლის წინათ, სოფელ ვალეში, რუსულ-ქართული სკოლის შენობაში, ბინა დაიდო სომხურმა სკოლამ დამოუკიდებელი ადმინისტრაციით. ამჟამად, ამ სკოლაში 110 მოსწავლეა, რის საფუძველზეც დირექცია მოითხოვს დამოუკიდებელ შენობას. რაიონულ განყოფილებას აქვს წინადადება, ქართულ სკოლაში შეიქმნას სომხური სექტორი.

განათლების სამინისტრო განიხილავს ამ მოსაზრებას და სამხარეო და რაიონულ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, მიიღებს გადაწყვეტილებას.

## საქართველოს პოლიციის ქვედანაყოფი... მოსკოვში

ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, განსაკუთრებით კი ნარკობიზნესთან, სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის გარეშე შეუძლებელია, — განაცხადა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ. მისი თქმით, თბილისისა და მოსკოვის მერიათა შეთანხმებით, რუსეთის დედაქალაქში მოქმედება დაიწყო საქართველოს პოლიციის ქვედანაყოფმა. მისი ძირითადი საქმიანობა დანაშაულში ეჭვმიტანილ საქართველოს მოქალაქეთა ძებნა და დაპატიმრება იქნება.

## დუდაევის მომხრენი აფხაზეთში უნდა გადაასახლონ

აი, ასეთი აზრი გამოთქვა რუსეთის სათათბიროს დეპუტატმა, რლდპ-ის ერთ-ერთმა ლიდერმა, ალექსანდრ მიტროფანოვმა. მისი თქმით, აფხაზეთში ჩეჩნების გადასახლებით გაიწმინდება ეს ტერიტორია და შეიძლება ნავთობსადენის გაყვანის დაწყება. ამასთან, ჩეჩნებიც კმაყოფილნი დარჩებიან: მიიღებენ სანუკვარ გასასვლელს შავ ზღვაზე.

თამაზ ნადარეიშვილმა ეს განცხადება შეაფასა, როგორც საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა.

## 430 ათასი დოლარი ძეგლების აღსადგენად

სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო პროგრამების ბიუროსა (ს. ურუშაძე) და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლების მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების შედეგად, გამოიყო 430 ათასი დოლარი ქართული ძეგლების ალსადგენად, მათ შორის, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი ყინწვისის უნიკალური ფრესკების სარესტავრაციოდ. სახელმწოფო მინისტრის მოადგილეს, ზაზა შენგელიას და კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა ეს სახსრები წელსვე გამოიყოს და უშუალოდ ძეგლების აღდგენას მოხმარდეს.

## ქართველები კიდევ ერთი სიგლახის პიონერები ვხდებით

თურქეთში აფიორით ცნობილი ფირმები ბაზალეთზე თურქულ უნივერსიტეტს გვიშენებენ(?)

გაირკვა, რომ ჯერ კიდევ 1993 წელს სამთავრობათშორისო და საპარლამენტთაშორისო მოლაპარაკებებით უნდა გახსნილიყო შავიზღვისპირეთის ქვეყნების უნივერსიტეტი, რომლის ორგანიზება ითავა ქართულმა მხარემ. თურქებმა კი, ამ საქმისთვის 50 მლნ დოლარის კრედიტის გამოყოფა იკისრეს.

შავი ზღვის ქვეყნების უნივერსიტეტი 1994 წელს მართლაც გაიხსნა, მაგრამ ბულგარეთში...

მაშ, რა უნივერსიტეტი იხსნება ბაზალეთზე?

სინამდვილეში თურქული გახლავთ.

ამიერიდან, თურქეთში მოფუსფუსე ჩვენს ფეხმსუბუქ ქალბატონებს სტამბულში ცუნცული აღარ მოუწევთ. მათ დოლარის გაკეთება თბილისიდან სულ რამდენიმე კმ-ში, ბაზალეთის ტბასთან შეეძლებათ. თურქული უნივერსიტეტი არანაირ მოგებას არ იძლევა სახელმწიფოსათვის, მის სათავეში კი ისლამის ფუნდამენტალისტები დგანან. თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რისთვის სჭირდებათ ასეთი უნივერსიტეტის მშენებლობა საქართველოში. ამასთან, ქართველ პარტნიორთა შორის არც მთლად უანგარობა ჩანს საკუთარი ჯიბის შევსების თვალსაზრისით. როგორც ერთ-ერთმა მეცნიერმა კერძო საუბარში განაცხადა, თურქულ მხარეს მრავალმნიშვნელოვნად უთქვამს: „ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდისო“... მსოფლიოში არ არსებობს ცივილიზებული ქვეყანა, სადაც ერთ სახელმწიფოს მეორეში თავისი უნივერსიტეტი ჰქონდეს გახსნილი; ერთადერთნი ჩვენ, ქართველები ვართ პიონერები ამ სიგლახეშიც.

## როგორ ვცხოვრობთ საქართველოში?!

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ მკვეთრად გააუარესა ცხოვრების დონე.

საქართველოს ეკონომიკაში სამუშაო ძალის და დასაქმებულთა რიცხოვნობის შემცირების პროცესი ჯერ კიდევ 1990 წელს დაიწყო: 1995 წელს სამუშაო ძალა 1990 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა 1,4-ჯერ.

თუ 1990 წელს დასაქმებული იყო 2764 ათასი კაცი, 1995 წელს მათი რიცხვი 1730 ათას კაცამდე შემცირდა. უმუშევრობა კი, რომელმაც 1991 წელს 2000 კაცი შეადგინა, ამ წლის სექტემბრის მდგომარეობით 50821 კაცს უდრის (ეს არის რეგისტრირებული უმუშევრების რაოდენობა, რეალურად მათი რიცხვი კი გაცილებით მეტი არის).

შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 1996 წელს სექტემბრის მდგომარეობით 107,2 ლარი შეადგინა (ეს ღირებულება ქალაქ თბილისში დაახლოებით 2,5 პროცენტით მაღალია).

ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 96,4 ლარია, 2 სულიანი ოჯახისათვის — 154,2; 3 სულიანი ოჯახისათვის — 173,5; ხოლო 4 სულიანი ოჯახისათვის — 192,8 ლარი.

გამოკითხული სხვადასხვა ტიპის ოჯახებს შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდა ერთსულიანი ოჯახების 64,7%, ორსულიანი ოჯახების 72,1%, სამსულიანი ოჯახების 65,8%, ოთხსულიანი ოჯახების 60 %, ხუთსულიანი ოჯახების 58,7%.

ეს მონაცემები აღებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის კრებულიდან.

---

***30 ოქტომბერს,*** ბონში, საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებმა გერმანიის მხარეს გადასცეს 100000 ე. წ. ნადავლი წიგნი, რომელიც 1945 წელს გამოიტანეს გერმანიიდან და დღემდე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საცავებში ინახებოდა. ცნობისათვის: მიუხედავად გერმანიის არაერთგზის თხოვნისა, რუსეთი კატეგორიულ უარს ამბობს მისთვის ასევე ნადავლი წიგნებისა და ხელოვნების ნიმუშების დაბრუნებაზე.

საქართველოს ამ კეთილი ნების აქციამ რუსული მასმედიის რისხვა დაიმსახურა. ОРТ-ეს კორესპონდენტმა გერმანიაში უტიფრად განაცხადა, რომ ეს აქცია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესებას გამოიწვევსო. ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრესმდივანმა ვახტანგ აბაშიძემ რუსეთის ამგვარ რეაქციას გაუგებარი უწოდა, ხოლო საქართველოს ტელევიზიისთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში გერმანიაში საქართველოს ელჩმა კოტე გაბაშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს ნაბიჯი მისაბაძი უნდა გახდეს რუსეთისთვისაც.

## „სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლება 500 დოლარი ღირს“

საქართველოს სამხედრო კომისარიატის მონაცემებით, 1996 წლის 20 მარტისთვის რესპუბლიკაში 145000 წვევამდელი იყო აღრიცხული. აქედან, გაწვევას არ ექვემდებარება 101144, რომელთაგან ნაწილი უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები არიან და გაწვევა გადაუვადდათ, ნაწილი სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა და ამიტომ სამხედრო სამსახურიდან თავისუფლდება, ნაწილს კი ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს.

საქართველო შეუერთდა საერთაშორისო ხელშეკრულებას ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომლის თანახმად, ქართული სამხედრო ძალების შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ათას კაცს. აქედან გამომდინარე, გასაწვევთა რესურსები საჭიროზე მეტია, რაც თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის რეზო ადამიას თქმით, კორუფციას უწყობს ხელს. მისი ინფორმაციით, დღეს სამხედრო სამსახურიდან თავის დაღწევა 500 დოლარი ღირს.

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური აღრიცხვის დეპარტამენტის მონაცემებით, საქართველოში წვევამდელთა რაოდენობაა 332338, წვევამდელთა ნახევარზე მეტი კომისარიატში აღრიცხვაზე არ არის აყვანილი, ბუნებრივია, გარკვეული თანხის საფასურად. წვევამდელებს არ უნდათ ჯარში წასვლა, რადგან სახელმწიფო მათ ვერ უზრუნველყოფს ვერც კვებით და ვერც ცხოვრების სხვა ელემენტარული პირობებით.

## სად არის მხედრიონის ფული?

სამართალდამცავ ორგანოთა “რესპუბლიკურ თათბირზე” გამოსვლისას გენერალური პროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი უაღრესად მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს შეეხო. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ მიუხედავად „მხედრიონის“ ლიდერთა და რიგით წევრთა დიდი ნაწილის დაპატიმრებისა, ჯერ კიდევ მაინც არსებობს საშიშროება ამ ორგანიზაციის აღორძინებისთვის, რადგან არ არის გამოკვლეული, თუ სად გაქრა ის მილიონობით დოლარი, რომელიც მან მოიპოვა უკანონო მაქინაციებისა და ძარცვა-გლეჯვის მეშვეობით.

ეს ფული, როგორც ჩანს, „მხედრიონელებს“ „საქმეში“ აქვთ ჩადებული, „მაშველთა კორპუსისა“ და „მხედრიონის“ ეგიდით 1992-95 წ.წ. საქართველოში უამრავი კერძო ფირმა, კომპანია, კორპორაცია, ბანკი თუ კონცერნი შეიქმნა. მათი ფარული დამფუძნებლები, „საკონტროლო პაკეტის“ მფლობელნი სწორედ „მხედრიონელები“ იყვნენ. ჯაბა იოსელიანის დაპატიმრებისა და ორგანიზაციის დაშლის შემდეგ, მათ მიერ “დაბანდებული” თანხები კვლავინდებურად “ტრიალებს” საქართველოს ეკონომიკაში, ფორმალურად თუ ოფიციალურად, ამ თანხებს სხვა “ქუდი”, სხვა მფლობელი ჰყავს, მაგრამ ისინი უბრალოდ შირმები არიან და “შავი სამყაროს” კანონებიდან გამომდინარე, მძვინვარე შურისძიების შიშით ვერასოდეს გაბედავენ, ეს ფული მის ნამდვილ მფლობელს “მოუტეხონ” “პოლნი ნილის” პატრონები ორთაჭალის ციხიდანაც ადევნებენ თვალყურს ფულის მიმოქცევას და აკონტროლებენ საკუთარ კაპიტალს. სანამ ეს ფული საქართველოში ტრიალებს, არსებობს შესაძლებლობა „მხედრიონი“ (თუნდაც სხვა სახელწოდებით) კვლავ აღდგეს როგორც პოლიტიკურ სახელმწიფოებრივი შეფერილობის ორგანიზაცია.

თუმცა ეს არც ისე ადვილი საქმე იქნება, „მხედრიონის ფული“ ოფიციალურად მასზე არ არის გაფორმებული — ისინი კი, ვინც „მხედრიონელების“ დავალებით ამ ფულს მართავენ, ყველა ღონეს იხმარენ “ობშიაკის” დასაცავად. ქურდული სამყაროს კანონებიდან გამომდინარე, — შურისძიება არ ასცდებათ არა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ფულს მიითვისებენ, არამედ მაშინაც თუ მას ვერ დაიცავენ. „მხედრიონის“ კაპიტალი თავის დასაცავად ადრე თუ გვიან უეჭველად შეეცდება დაუკავშირდეს საქართველოში მოქმედ რომელიმე ორგანიზაციას და შექმნას ფინანსურ-პოლიტიკური ალიანსი.

სრული დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ფული შევარდნაძის ოპოზიციურ ხელისუფლებაში ჩადებული ბომბია, რომელიც აფეთქების შემთხვევაში მთლიანად დაარღვევს არსებულ მყიფე წონასწორობას საქართველოში.

## ირაკლი სურგულაძეს კლავენ

პროფესორი ირაკლი სურგულაძე, რომელიც დაპატიმრებულია, მძიმედ არის დაავადებული, მაგრამ ხელისუფალთ ეს სულაც არ აღელვებთ. არ გადაჰყავთ საავადმყოფოში. ბი-ჯი-აის მონაცემებით, სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ირაკლი სურგულაძემ ორი ინფარქტი გადაიტანა და სერიოზულ სტაციონარულ მკურნალობას საჭიროებს. დამკვირვებლებს ისეთი შთაბეჭდილება რჩებათ, რომ ვილაცას სჭირდება ირაკლი სურგულაძის სიკვდილი..

P.S. ამჟამად ბ-ნი ირაკლი სურგულაძე პატიმრობიდან გათავისუფლებულია.

# მე ვიცი, ვინ მშველოდა აქამდე — ღმერთი

## მე კიდევ ხუთი წელი უნდა ვიმუშაო



— მახსოვს, 93 წლის შემოდგომაზე, სოხუმში, სულ ჩიოდით, რომ საქართველო აფხაზეთს კი არა, რუსეთს ეომებაო. მაგრამ, ამავე დროს, ზვიადისტების აჯანყება დასავლეთ საქართველოში რუსეთის ჯარის აქტიური მონაწილეობით ჩაახშეთ.

— დარწმუნებული ვარ, აფხაზეთში რუსეთის არმია იბრძოდა... სოხუმის დაცემის შემდეგ, როდესაც ექს-პრეზიდენტმა სამოქალაქო ომი დაიწყო, რუსეთი, ჩემი აზრით, სწორად მოიქცა, როდესაც კანონიერი ხელისუფლება დაიცვა... მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილები ომში არ მონაწილეობდა.

— მაპატიეთ, და, მიჭირს დაჯერება. მაშინ სამტრედიაში ვიყავი და პირადად ვნახე ქალაქიდან ზვიადისტებზე მონადირე ჯარისკაცები, ყველა რუსულად ლაპარაკობდა და არც იერით ჩამოჰგავდნენ კავკასიელებს.

— არა, მე ვიყავი სამტრედიაში, სადაც რუსი ჯარისკაცები არ მინახავს. რფ-ის ჯარებმა მხოლოდ ტანკები გამოიყენეს ქუჩებში, ფოთის საზღვაო ფლოტის ბლოკირება მოაწყვეს, რამაც ძალზე იმოქმედა ზვიადისტებზე.

— სხვათა შორის, ადრე ამბობდით, რომ გამსახურდიას აჯანყება რუსეთის ინსპირირებულიაო.

— მსგავსი არაფერი ყოფილა.

— შეგიძლიათ საკუთარ თავს შენიღბული ბრძოლის ოსტატი უწოდოთ?.. სამი წლის მანძილზე, ფაქტობრივად, სათითაოდ ჩამოიშორეთ გამსახურდიას ჩამომგდები ხუნტის სამივე წევრი (არადა, მათ მოგიწვიეს საქართველოში), — კიტოვანი და იოსელიანი ციხეშია, სიგუა ალარავის ახსოვს.

— მე არავითარი ოპერაცია არ ჩამიფიქრებია, უბრალოდ, ისტორია აკეთებს თავის საქმეს — ალბათ, ეს კანონზომიერია.

— ალბათ, ასეც არის, მაგრამ ისინი სცენიდან თავისით არ გასულან, ამაში სწორედ თქვენ დაეხმარეთ.

— ხალხმა მოითხოვა მათი იზოლირება. პოლიტიკაში ყველაფერს აწონდაწონა უნდა, ხან გამოვა, ხან — არა, პოლიტიკა ხომ მეცნიერებაა.

— სიტყვამ მოიტანა და, მოსკოვში ხმები დადის, რომ თქვენზე თავდასხმა თქვენს მიერ შესანიშნავად დადგმული სპექტაკლია, ამით გინდოდათ ერთი დარტყმით გაწორებოდით მოწინააღმდეგეებს — იოსელიანსა და გიორგაძეს.

— ჰა-ჰა-ჰა-ჰა!.. მე თუ ასეთი სპექტაკლის მოწყობის უნარი მაქვს და თანაც ცოცხალიც გადავრჩი, მაშინ ძეგლი უნდა დამიდგან!

— ექს-პრეზიდენტის გამსახურდიას დაღუპვა, ქართული სპეცსამსახურების ბრწყინვალე ოპერაციაა, თუ თქვენ გულწრფელად გჯერათ, რომ ზვიადი ძალდაუტანებლად, თავისი სიკვდილით მოკვდა?

— ძალიან ბუნდოვანია — ვერაფერს გეტყვით. მაგრამ მეეჭვება, რომ გამსახურდია თავისი სიკვდილით აღესრულა — კარგად არ ვიცნობდი, მაგრამ ბევრს უთქვამს, ბუნებით მშიშარა იყო და თვითმკვლელობისთვის ძალა არ ეყოფოდა. შეიძლება ამაში მისი დაცვა ან რომელიმე სპეცსამსახური იყო ჩარეული, მაგრამ არა ჩვენი, ისინი ასეთ ოპერაციაზე არ წავიდოდნენ.

— ემმაკობისთვის საქართველოში „თეთრი მელა" შეგარქვეს, მოგწონთ ეს?

— რატომ უნდა მომწონდეს... საქართველოში არა, ასე რუსეთში მეძახის ზოგიერთი.

— იყო დრო, გულწრფელად გჯეროდათ კომუნიზმის, შემდეგ გული გაგიტყდათ. შეიძლება მრწამსი კვლავ შეიცვალოთ?

— ისევ კომუნისტი გავხდე?

— დავუშვათ, „მწვანე".

— 68 წლის ვარ, რაიმეს შეცვლა გვიანლაა, "მწვანეებში" ჩაწერა შეიძლება, ვის არ უყვარს გარემო, შეცვლაც არ მჭირდება, ყოველთვის „მწვანე" ვიყავი.

— ზვიადისტებს, მათივე თქმით, ყველაფრის პატიება შეუძლიათ, გარდა იმისა (მათივე რწმენით), რომ თქვენ საბოლოოდ გააფუჭეთ ქართული ღვინო, რადგან წარსულში, ცკ-ის მდივნობის დროს, მას შაქარს უმატებდით...

— ნურას უკაცრავად, მე თავად ვაყენებ ღვინოს და არც თუ ურიგოდ, ჩემი საყვარელი ჯიშია „იზაბელა". არც წყალს და არც შაქარს არასოდეს ვუმატებ. ღვინო ხომ სიწმინდეა! მე მიყვარს ღვინო, რა თქმა უნდა, ზომიერად. მეღვინეობა დიდი მეცნიერებაა. ვისაც ღვინო უყვარს, იგი ფალსიფიკაციას არასოდეს მიმართავს.

მე კიდევ ხუთი წელი უნდა ვიმუშაო, ძალ-ღონე შევინარჩუნო. უნდა გითხრათ, რომ ცხოვრებისეული ორომტრიალი აკაჟებს კაცს!..

*გ. ზოტოვი*
*სობესედნიკი №9*

> **„მე არაერთხელ მითქვამს, რომ სამშობლოში დავბრუნდი მთელი ჩემი განვლილი გზით, დამსახურებითა და შეცდომებით, მთელი ჩემი ტვირთით და პოლიტიკური კაპიტალით. ყველაფერი, რაც გამაჩნია, რასაც შევქმნი და რასაც დავწერ, საქართველოს ეკუთვნის, დავბრუნდი იმისათვის, რომ აღარასოდეს დავტოვო ჩემი ქვეყანა.**
>
> *„ჩემი არჩევანი"*

## რუსი მესაზღვრეები თურქეთის საზღვარზე რუსეთს იცავენ

...მოსკოვში, სადაც მაშინ მშვიდად და შესანიშნავად ვცხოვრობდი, ჩემთან ჩამოდიოდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები და თვით გადატრიალების ორგანიზატორები, მათ შორის ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, მერე აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელიც, ასლან აბაშიძე. ყველა მათგანი კი არ მთხოვდა, არამედ მოითხოვდა, რათა საქართველოში დავბრუნებულიყავი, მიაჩნდათ, რომ ეს იყო ჩემი ადამიანური და მამულიშვილური ვალი.

— შეიძლება ერთი დელიკატური კითხვა მოგცეთ? რა უქენით პარტბილეთს, დაწვით, როგორც ეს სხვა ზოგიერთმა ცნობილმა პოლიტიკოსმა გააკეთა?

— შევინახე. და არა მარტო ის, ყველა ჯილდო, მე ხომ ხუთი ლენინისა და სამი შრომის წითელი დროშის ორდენი მაქვს, შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავიც. ყველაფერი ეს პატიოსანი შრომით მოვიპოვე და არაფრისა მრცხვენია.

...ჩვენს საზღვარს ვიცავდით და დავიცავთ საიმედოდ. ჩეჩნეთში საბრძოლო მოქმედებების დროს რუსეთის ჯარს პრობლემა არ შექმნია, — იარაღი თუ დაქირავებული მებრძოლები საქართველოს მხრიდან იქ არ შედიოდა. რაც შეეხება საზღვრის უსაფრთხოებას რუსეთის მხრიდან, ამაზე რუსმა მესაზღვრეებმა უნდა იზრუნონ.

...სჭირდება და ექნება კიდეც თავისი სამხედრო-საზღვაო ფლოტი საქართველოს. მაგრამ არა ახლა, ამჟამად ამის საშუალება არა გვაქვს. ჯერ დუმილს ვამჯობინებთ, მაგრამ თუ არ მივიღებთ იმას, რაც გვეკუთვნის, თავს არ დავიჩაგრავთ, — გამოიძებნებიან ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც გაიგებენ ჩვენს პრობლემებს. საქართველომ უნდა მიიღოს მონაწილეობა შავი ზღვის ფლოტის გაყოფაში.

...როგორ ფიქრობთ, გიორგაძისა და ჩემზე თავდასხმის ისტორიას კავშირი არ აქვს საქართველოს საზღვრებს გარეთ? აქვს და ეს დამტკიცებულია.

...რაც შეეხება ზვიადისტებს, ისინი არიან საქართველოში, მაგრამ ისე ცოტანი, რომ არავითარი რეალური ძალა არ გააჩნიათ. მართალია, არც დიალოგზე მოდიან, რადგან თვლიან, რომ უკანონო ხელისუფლება ვართ.

...ღრმად მწამს, რომ არა აფხაზეთის კონფლიქტი, არ იქნებოდა ჩეჩნეთისაც...

...ვფიქრობ, რუსმა პოლიტიკოსებმა დროა შეიგნონ, რომ ჩვენი ქვეყნები სტრატეგიული პარტნიორები არიან... რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები სჭირდება — ჩვენ ვაძლევთ მათ. ჩვენი პირობები ასეთია, — რუსეთი დაეხმარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მოგვარებაში;

...რუსი მესაზღვრეები თურქეთის საზღვარზე საქართველოს კი არ იცავენ. არა, ისინი რუსეთს იცავენ...

რაც შეეხება ეკონომიკას, ჩვენთვის რუსეთის ბაზარი დაკეტილია. პარტნიორები ასე არ იქცევიან. გესმით, ალბათ, ყოველივე ეს სერიოზულად გვაფიქრებს ერთ საკითხზე — მაშ, რაღად გვინდა რუსეთის სამხედრო ბაზები? რას მოგვიტანს ეს?

რუსეთის ამგვარმა უცნაურმა საქციელმა გვაიძულა სხვა პარტნიორები მოგვეძია. გამორიცხული არაა, რომ ჩვენი ეკონომიკა თურქულ ან სხვა ბაზარზე გააკეთებს ორიენტაციას. ქართული ჩაი, ბოსტნეული, ხილი, ღვინო გრამი, ერთი ბოთლიც კი არ გადის რუსეთში, რატომ? რა მოხდა?

...ვფიქრობ, სანამ გვიან არაა, ერთი კარგი ქართული სუფრა უნდა გავშალოთ და შევხვდეთ ერთმანეთს რუსი და ქართველი პოლიტიკოსები, ბიზნესმენები და საქმიანი ხალხი, გავიხსენოთ, რამდენი რამ გვაკავშირებს და გვაერთიანებს და ავწიოთ ჭიქა ჩვენი მშვენიერი ქვეყნების აყვავების სადღეგრძელოდ.

*სოვერშენნო სეკრეტნო №12*

## გერმანიის დაბრუნება კავკასიაში

— ყოველთვის სასიხარულოა მეგობრებთან შეხვედრა.

გერმანიამ და საქართველომ მეგობრობის ხანგრძლივი გზა განვლეს.

ფასდაუდებელია გერმანიის როლი საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაში. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის, თუ რა როლს ასრულებენ ამ საქმეში "დოიჩე ბანკი" და "სიმენსი", ტურისტული თუ ავიაკომპანიები, თუ რა დახმარებას უწევენ გერმანიის მთავრობის კრედიტები ჩვენს ენერგეტიკას და სოფლის მეურნეობას.

...ჩვენ მივესალმებით "გერმანიის დაბრუნებას კავკასიაში". და ეს არის არა უბრალოდ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს, არამედ ძლიერი და ერთგული მეგობრის დაბრუნება.

*საქართველოს რესპუბლიკა №15*

## ჩვენი ქორწინება შეუფერებელი იყო

...ხანგრძლივი ერთად ცხოვრების შემდეგ, (ლაპარაკია რუსეთ-საქართველოს თანაცხოვრებაზე) ძნელია მშვიდობიანი გაყრის იმედი გქონდეს. მით უფრო, თუ ქორწინება შეუფერებელი, უთანასწორო იყო.

ავიღოთ, თუნდაც, ორი ყველაზე რთული პრობლემათაგანი, რომელიც კი შეიძლება წამოიჭრას მეზობელ სახელმწიფოებს შორის — საზღვრების დაცვა და სამხედრო ბაზები. საქართველოს ხელმძღვანელობამ ეს პრობლემები რუსეთის ინტერესების სრული გათვალისწინებით გადაჭრა. ამაზე ორ ქვეყანას შორის ნდობის მისაღწევად წავედით.

...მშვენივრად ვიცი ათწლეულობის მანძილზე მკვეთრად გამოხატული ძალები როგორ უფხვირებდნენ ნიადაგს სეპარატიზმს. ამიტომ იქცეოდნენ და იქცევიან აფხაზური სეპარატიზმის მეთაურები ასე თავხედურად.

...1992 წლის აგვისტოში ქართული ჯარი აფხაზეთში კომუნიკაციების დასაცავად შევიდა. მე მოვითხოვდი, რომ სამხედროები არ შესულიყვნენ დასახლებულ პუნქტში, მაგრამ მაშინ რეალური ძალა იმათ ხელში იყო, ვინც სხვაგვარად აზროვნებდა...

*ოგონიოკი №2*



## სამი წელი ალესილი სამართებლის პირზე

...ჩემი ცხოვრება, ეს სამი წელიწადი, როგორც იტყვიან, ალესილი სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს, მაგრამ მაინც ვერ შემაშინებენ.

...დიახ, მე რისკის გაწევა მიხდებოდა, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რისთვისაც მივდიოდი რისკზე.

...განა ის არის რისკი, რომ შენი სიცოცხლე სასწორზე შეაგდო? რისკი მაშინ არის, როცა რისკს არ ეწევი, როცა საკუთარი თავის ლაჩრული დანდობით სასწორზე აგდებ ყველაფერს: ნდობას, პატივისცემას, ადამიანთა მხარდაჭერას, ლიდერობის უფლებას. როგორც ერთმა ჩემმა ძველმა მეგობარმა თქვა, ხალხს მარტო ბრძენი კი არა, მამაცი ადამიანები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

...მე არ ვიცი, ვინ დგას ამის უკან. (იგულისხმება 29 აგვისტოს ტერაქტი), მაგრამ ვიცი, მხოლოდ ვინ მშველოდა აქამდე — ღმერთი!

...ყოველთვის ვგმობდი სისხლისღვრას ჩეჩნეთში, მაგრამ მე პატივს ვცემ რუსეთის მცდელობას, შეინარჩუნოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა. არც ერთი სხვა სახელმწიფო სხვაგვარად არ მოიქცეოდა.

*სრულიად არასაიდუმლოდ №1*

## მე სოხუმში ვიყავი იმ კრიტიკულ მომენტში...

...აფხაზეთის ნახევარმილიონიანი მოსახლეობიდან აფხაზები 17% შეადგენენ. როგორ მოახერხებდა 17% დანარჩენი 80%-ის გენოციდს. იქ, ფაქტობრივად, ეთნიკური წმენდა მოხდა...

...3 000 კაცი ლტოლვილი გახდა, არა მარტო ქართველები, სომხებიც და ბერძნებიც. ათასობით ადამიანი დახვრიტეს. ეს ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველაზე საშინელი, აღმაშფოთებული ფაქტია, რომელიც ამ საუკუნის ბოლოს მოხდა. ეს აღიარა ევროკავშირის სახელმწიფოთა მეთაურების თათბირმა ბუდაპეშტში...

...მე სოხუმში ვიყავი კრიტიკულ მომენტში. ვიცი, რას ნიშნავს „გრადი" და ავიაბომბარდირება. საიდან ჰქონდათ ეს ტექნიკა აფხაზებს? აფხაზეთი ომისთვის ემზადებოდა, დაიქირავეს საუკეთესო სამხედრო სპეციალისტები, მოსახლეობას იდეოლოგიურად წვრთნიდნენ.

...ერთადერთი, რისი გაკეთებაც შევძელი — გუდაუთაზე შეტევა შევაჩერე. იქ რომ შევსულიყავით, ათასობით ადამიანი და თითქმის მთელი აფხაზეთის მოსახლეობა განადგურდებოდა.

*მოსკოვსკი კომსომოლეცი №27*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენ ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირში გავიღვიძებთ

დსთ-ის გზა პრაქტიკულად კონფედერაციის შექმნისაკენ მიდის. ერთი მხრივ, არიან ორთოდოქსალები, რომელთაც ნებაყოფლობით საწყისებზე კვლავ ძველი სახელმწიფოს აღდგენა უნდათ და მეორეს მხრივ, არიან ე. წ. დემოკრატიული გზის მომხრენი, რომელთაც სურთ, შექმნან კონფედერაციული ტიპის სახელმწიფო. ესენი პროგრამისტები არიან და აქცენტს გააკეთებენ დამოუკიდებლობის ელემენტების გარეგნულ ფაქტორებზე.

ჩვენ საპარლამენტო გამოსვლებში აღვნიშნეთ, რომ არ არის გამორიცხული დსთ-ის საპარლამენტო ასამბლეის ბაზაზე მოხდეს უფრო დემოკრატიული ორგანოს — საბოლოო ჯამში კი კონფედერაციის შექმნა, რომელიც პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდება იმ საბჭოთა კავშირისაგან, სადაც ჩვენ უკვე ვცხოვრობდით. ოღონდ, ჩვენ გვერქმევა დამოუკიდებელი სახელმწიფო, გვექნება ჩვენი ჰიმნი და დროშა.

ჩვენ შევალთ ერთიან სახელმწიფოში და ავტომატურად მოგვეხსნება აფხაზეთის პრობლემის სიმწვავე, რადგან ყველანი ერთად ვიქნებით.

აფხაზეთის პრობლემის შექმნაც იმისათვის დასჭირდათ, რომ მივეყვანეთ საბჭოთა კავშირის მსგავს ერთიანი სახელმწიფოს შექმნამდე. ალბათ გამოვლენ ჩვენი სასიქადულო მოღვაწეები და იტყვიან, აი, დროშა ხომ გვაქვს, ჰიმნი ხომ გვაქვს... დაიწყებენ ევროკავშირის მაგალითის მოყვანას და ყველაფერი იმით დამთავრდება, რომ ერთ მშვენიერ დღეს საბჭოთა კავშირში გავიღვიძებთ.

## საქართველოში 650-მდე სომხური ეკლესია ყოფილა?!

*ბონდო არველაძე — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მწერალი, ჟურნალისტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, არმენოლოგი.*

— მიყვარდა და მიყვარს სომეხი ხალხი, მისი დიდი კულტურა და უმაღლესი დონის ინტელიგენცია. საერთოდ, ადამიანს, რომელიც ფლობს სხვა ერის ენას, არ შეიძლება არ უყვარდეს და პატივს არ სცემდეს მას.

ამ ბოლო ხანებში ერევნის პრესაში ერთი ასეთი ტენდენცია გამოიკვეთა. სომხეთის მთავრობამ ფითქოს განაცხადა, საქართველოს მიმართ არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არ გვაქვსო, მაგრამ სომხურ პრესაში მაინც ხშირად იბეჭდება წერილები, რომლებშიც არაორაზროვნად, რაც მთავარია, უსაფუძვლოდ არის ლაპარაკი რაღაც ისტორიულ სომხეთზე და ა.შ. ამ მხრივ, არა მარტო სომხური პრესა სცოდავს, არამედ გამოდის ცალკეული გამოცემები, სადაც ძირძველ ქართულ მიწებს ეპოტინებიან და სომხურ ტოპონიმებს ეძებენ იქ, სადაც მათი ნიშან-წყალიც არ არის. გამოვიდა სომხეთის და მისი მიმდებარე ოლქების (ტერიტორიების) ტერიტორიული ტოპონიმთა ლექსიკონი, ერევნის უნივერსიტეტის გამოცემა. ჯერჯერობით, გამოვიდა ორი ტომი, ჯერ მარტო სახელწოდება ნახეთ?! ძალიან ეშმაკურადაა მოფიქრებული სათაური. სომხეთის მიმდებარე ტერიტორია, ე.ი. ჩრდილოეთის მხრიდან მოსაზღვრე მიწები არის ქართული — სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, რომლებსაც სომეხი ისტორიკოსები ისტორიულ სომხეთად ნათლავენ და ამ ძირძველ ქართულ მხარეებში ეძებენ სომხურ ტოპონიმებს. სულ ახლახანს, ერევანში სომხურ ენაზე გამოვიდა რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. თუ ავტორს ბ-ნ ს. კარაპეტიანს დავუჯერებთ — საქართველოში 650-მდე სომხური ეკლესია ყოფილა. ამ რუკაზე აღნიშნულ სომხურ ეკლესიებს თუ დახედავთ, იფიქრებთ, სომხები კი არ შეუფარებიათ ქართველებს, პირიქით, ქართველები — სომხებს.

## კრემლის საიდუმლო არქივიდან



ახლახან კრემლის საიდუმლო არქივებში მიაკვლიეს იოსებ სტალინის ერთი გამოსვლის ტექსტს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის ისტორიის დაწყების მიზეზების ახალი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ეს გახლავთ სტალინის გამოსვლა პოლიტბიუროს სხდომაზე 1939 წლის 19 აგვისტოს, რომლის მოპოვება შესძლო და გამოაქვეყნა გერმანულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „დი ველტმა“.

სიტყვასიტყვით სტალინი თავის მოსაზრებებს ასე აყალიბებს:

— „ჩვენთვის ომისა და მშვიდობის საკითხი კრიტიკულ ფაზაში შევიდა. თუ დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ურთიერთდახმარების ხელშეკრულებას დავდებთ, გერმანია პოლონეთს თავს დაანებებს და დასავლეთის სახელმწიფოებთან საერთო ენის მოძებნას შეეცდება. ეს ომს თავიდან კი აგვაცილებდა, მაგრამ მოვლენების შემდგომი განვითარება საბჭოთა კავშირისთვის საშიშ ხასიათს მიიღებდა. ამიტომ, *საჭიროა გერმანია თავს დაესხას პოლონეთს, რაც ომში დიდ ბრიტანეთს და საფრანგეთს ჩაითრევს. ეს კი ევროპაში არეულობის დასაწყისი იქნება. შექმნილ ვითარებაში საბჭოთა კავშირი განზე გადგება და მისთვის სახარბიელო პირობებს დაელოდება ომში ჩასაბმელად.* საბჭოთა კავშირს ბოლო წლებმა ნათლად დაანახა, რომ მშვიდობის პირობებში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში კომუნისტები ხელისუფლებას ვერ ჩაიგდებენ ხელში. კომუნისტური პარტიის დიქტატურა მხოლოდ ომის შემთხვევაში არის შესაძლებელი.

ჩვენ უნდა მივიღოთ გერმანიის წინადადება პაქტის დადებისა და ინგლისურ-ფრანგული მისია გავაბრუნოთ. გერმანია ბალტიისპირეთის ქვეყნებში მოქმედების სრულ თავისუფლებას გვაძლევს. გერმანიას არაფერი აქვს საწინააღმდეგო დავიბრუნოთ ბესარაბია, ბულგარეთსა და უნგრეთში ავადგინოთ ჩვენი გავლენა. ჯერჯერობით, ღიად მხოლოდ იუგოსლავიის საკითხი რჩება.

— *ამხანაგებო! საბჭოთა კავშირი დაინტერესებულია, რომ დაიწყოს ომი გერმანიასა და ინგლისურ-ფრანგულ ბლოკებს შორის.* ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ამ ომმა დიდხანს გასტანოს, რათა ორივე მხარე დასუსტდეს. ამით ბოლშევიკურ რევოლუციას მსოფლიოში ახალი ასპარეზი მიეცემა. აქედან გამომდინარე, მოსკოვი უნდა დათანხმდეს გერმანიასთან პაქტის დადებაზე“.

ოთხი დღის შემდეგ, 1939 წლის 23 აგვისტოს, მოსკოვში, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა და მოლოტოვმა ხელი მოაწერეს გერმანია-საბჭოთა კავშირის პაქტს.

## როგორ გამოიხსნა შევარდნაძემ სტალინი ემიგრაციიდან

გორში რომ იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმი არსებობს, ყველამ იცის. ეს ქალაქის სავიზიტო ბარათია. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ექსპოზიციას დაემატა სტალინის „მემკვიდრეობა“ — ავსტრიიდან. რამდენიმე წლის წინ თბილისის ფირმა „ქიმერიონის“ თაოსნობით ავსტრიაში 84 ექსპონატი გაიგზავნა სტალინის ცნობილი ჩიბუხიდან დაწყებული, მისი სამუშაო კაბინეტით დამთავრებული. ეს ყველაფერი ტრეტიაკოვის მუზეუმის შედევრებთან ერთად ერთ ჭერქვეშ იყო გამოფენილი. მაგრამ, მოულოდნელად, გარდაიცვალა ფირმა „ქიმერიონის“ პრეზიდენტი, საიდუმლო ვითარებაში დაიღუპა მისი კიდევ ორი ხელმძღვანელი.

ასე იყო, თუ ისე, 84 ექსპონატი ავსტრიის საბაჟოს საწყობებში წლინახევრით ჩაწვა. მუზეუმის დირექცია დიდხანს იმტვრევდა თავს იმაზე, თუ როგორ დაებრუნებინათ ისინი უკან, მაგრამ საამისო ფინანსები არ გააჩნდათ.

განსაკუთრებულ აღშფოთებას გამოთქვამდნენ ვეტერანები — „წმიდათა წმიდაზე“ ფულის გაკეთება როგორ იქნებაო. გორში ჩასულ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს შესჩივლეს. შევარდნაძემ მაშინვე ბრძანება გასცა, აღედგინათ ისტორიული უსამართლობა.

სპონსორები მოიძებნა. მთავრობამაც ხელი გამოიღო. საბაჟოს დიდი თანხა გადაუხადეს და პრობლემა მოიხსნა. ავსტრიის ტყვეობიდან გორის რარიტეტების გამოხსნას ოცი ათასზე მეტი ქართული ლარი დასჭირდა (18 ათასი დოლარი), მაგრამ როცა საქმე კავკასიელების ეროვნულ სიამაყეს ეხება, აქ ვაჭრობა რა მოსატანია.

## აი, პასუხიც ამას ჰქვია

განუკითხავი სისხლისღვრის ფონზე, რომელიც საქართველოში 1991 წლის დეკემბრიდან არ ჩერდება, ათასში ერთხელ გამოერევა გულის სისხლით დაწერილი წერილი პრესაში. ერთი ასეთი შექმნილი წერილია „ქართველ მაჰმადიანთა სამდურავი დედასამშობლოსადმი“, (გაზ. „საქართველო“, 15-22 თებერვალი, 1996), რომელშიც ინგილო ქართველების დიდი ჯგუფი უჩივის უხეირო მმართველთა ხელში ჩავარდნილი დედა-საქართველოსაგან საინგილოს განწირვას არა ერთი და ორი წლის მანძილზე. დიახ, ორჯონიკიძის ანტიქართველიზმი და მის იდეურ და სულიერ მემკვიდრეთა კომკავშირული ინტერნაციონალიზმი ამ ტრაგედიის ცალკეული ეპიზოდებია. პასუხი? რა ილონა შიმშილითა და უსინათლობით ილაჯმიხდილმა ქართველმა საზოგადოებამ, რომ ჩვენი ქვეყნის შვილთა ეს განწირული წამოძახილი შეესმინა და ამ კუთხის ტკივილი ერთი ტკბილი სიტყვით მაინც შეემსუბუქებინა? აი, რა. აღნიშნულ წერილში მოხსენიებული ერთ-ერთი პატრიოტი ინგილო და სრულიად საქართველოსათვის თავდადებული კაცი, ილია დათუნაშვილი დაითხოვა სამსახურიდან — საქართველოს სამხედრო აკადემიიდან, სადაც ბატონი დათუნაშვილი, სპეციალობით ორიენტალისტი, თურქულ ენას ასწავლიდა მომავალ ოფიცრებს. ჭეშმარიტად, კარგი წახალისებაა პატრიოტი მოღვაწისათვის და კარგი გაფრთხილებაა სხვებისათვის, ვინც თავისი თავისა და ოჯახის გარდა დღესდღეობით დამდაბლებულ და ჩაწიხლულ სამშობლოზე ფიქრობს.

## რუსული განათლების სისტემა ქართული განათლების სისტემით უნდა შეიცვალოს

აკაკი ბაქრაძე: მე მარტო თურქული უნივერსიტეტის აშენების წინააღმდეგი კი არა ვარ, არამედ საერთოდ ყოველგვარი უცხოური სასწავლებლების, იქნება იგი რუსული, ფრანგული, ინგლისური თუ სხვა (გაიხსენეთ, რა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ივ. ჯავახიშვილმა თბილისში რუსული უნივერსიტეტის გახსნას). *საქართველოში უნდა იყოს ქართული სასწავლებლები, უმაღლესი იქნება იგი თუ უმდაბლესი. ამ ქართულ სასწავლებლებში უნდა სწავლობდეს ყველა, ვინც საქართველოს მოქალაქეა, სულ ერთია, ვინ არის იგი ეროვნებით, ქართველი თუ არაქართველი.* თუ ვინმეს მაინცდამაინც უცხოური განათლების მიღება სურს, შეუძლია საზღვარგარეთ ისწავლოს.

მომავალ თავისუფალ ქართულ სახელმწიფოს საკუთარი, ქართული განათლების სისტემა უნდა ჰქონდეს. თუ ქვეყანას საკუთარი, ეროვნული განათლების სისტემა არა აქვს, იგი არც თავისუფალია და არც დამოუკიდებელი.

ქართული განათლების სისტემა არ არსებობს. იყო და დღესაც არის რუსული განათლების სისტემა. რუსული განათლების სისტემა ქართული განათლების სისტემით უნდა შეიცვალოს და არა რომელიმე უცხოურით.

---

**თურქეთის რესპუბლიკის** საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში თევფიქ ოქაიუზმა კითხვაზე, — რას იტყოდით თურქეთში მცხოვრებ ქართველებზე, არიან თუ არა თურქეთის მთავრობაში ქართველები?

— უპასუხა:

თურქეთში არ ჩატარებულა კვლევა ეთნიკური ჯგუფების რიცხვის დასადგენად. ამ მიზეზით ქართველების ზუსტი რაოდენობის დასახელება შეუძლებელია. ბოლო მთავრობაში ქართულად მოლაპარაკე ორი მინისტრი და პარლამენტში 11 დეპუტატი იყო. ათასწლიანი ნათესაური კავშირების შედეგებზე საუბრისას, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა გველაპარაკა არა ქართული ეთნიკური ფესვების მქონე, არამედ საქართველოს მონათესავე ხალხებზე.

## ედვარდ რაძინსკი: მე ვამტკიცებ, დიდი ბელადი სტალინი ა-რა-სო-დეს ყოფილა პარანოიკი...

„ძალაუფლებისთვის შეშლილი“ — ეს მოხერხებული აზრია! იგი რადიკალურმა კომუნისტურმა მოძრაობამ მოიფიქრა: ვოლკოგონოვიც ამას იზიარებდა, მისთვის იოსებ ბესარიონის ძე პარანოიკი, დიდი ლენინის იდეების დამსახიჩრებელი იყო; მაშინ ლენინი ვოლკოგონოვისთვის ჯერ კიდევ „დიდი“ იყო, ეს შემდეგ გახდა „ურჩხული“.

სტალინზე წიგნის წერა რომ დავიწყე, მივხვდი, რა იყო ჩემი დიდი უპირატესობა — მე არ ვარ სტალინური რეჟიმის მსხვერპლი, ამიტომ, სამუშაოს რომ შევუდექი, ჩემთვის ვთქვი: „მე, ედვარდ რაძინსკიმ, არაფერი ვიცი კაცზე, რომელსაც იოსებ ჯუღაშვილი ერქვა. საჭიროა, მასთან ერთად გავიარო მისი ცხოვრება დაბადებიდან სიკვდილამდე და ჩემი ამოცანაა, არა სტალინის გასამართლება, არამედ მის ლოგიკაში ჩაწვდომა“. რატომ ანადგურებდა პარტიას, რატომ აჩოქებდა ხალხს, რითი ხელმძღვანელობდა ამ დროს? ჰქონდა ამისთვის რაიმე საფუძველი?

მე ვამტკიცებ, რომ დიდი ბელადი და მასწავლებელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი ა-რა-სო-დეს ყოფილა პარანოიკი! იგი ფსიქიკურად სრულიად (უფრო მეტიც, — გამორჩეულად) ჯანმრთელი იყო.

მისი შიში, ავადმყოფური ეჭვიანობა უდიდესი თამაში იყო. ჟუკოვი წერს, რომ სტალინის სახეზე ვერასოდეს ამოიკითხავდით, რას ფიქრობდა, რა მოსწონდა, მაგრამ ვაი, თუ თვალები გაუყვითლდებოდა — მაშინ იგი მძვინვარებდა და იწყებოდა ისტერიკა... მე კი ვამტკიცებ, რომ ისტერიკაც კი გათამაშებული იყო, *სტალინი უდიდესი მსახიობი იყო! რა თქმა უნდა, როგორც ყველა დიქტატორი, თვითონვე თხზავდა მითებს საკუთარ თავზე და შემდეგ ამ მითებს ერგებოდა.*

მხოლოდ ერთის გაგებას ვცდილობდი, როგორმე გამერკვია, სად იწყებდა და სად ამთავრებდა პარტიას? სტალინი, — ეს მუდმივი, განუწყვეტელი საჭადრაკო პარტიაა, რომელსაც ყოველთვის აქვს ცხადი, აბსოლუტურად განსაზღვრული, წინასწარგამიზნული ამოცანა... ეს ადამიანი ნაბიჯსაც არ გადადგამდა გაუთვლელად. მას შეეძლო მიზნისათვის ოცი წელი ეცადა, მაგრამ აუცილებლად მიაღწევდა.

## სტალინი წინააღმდეგი იყო

დიდი სამამულო ომის დროს შექმნილ ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდების ორდენს, რომელიც 1943 წლის 8 ნოემბერს დაამტკიცეს.

ძალზე საინტერესოა ამ ორდენის ისტორია. წითელი არმიის ზურგის მთავარი სამმართველოს უფროსმა ა. ხრულიოვმა ამ ორდენის შესაქმნელად მოიწვია მოსკალიოვი, არქიტექტორები: ტელიატნიკოვი, ბარხილი და რამდენიმე მხატვარი. გადაწყვიტეს ორდენი ბაგრატიონის სახელობისა ყოფილიყო.

ერთი თვის შემდეგ მხატვრებმა წარმოადგინეს ესკიზები.

როცა ხრულიოვმა სტალინს ახალი ორდენის შესახებ მოახსენა, სტალინმა თქვა: — ჯარისკაცის ორდენი... კარგი იდეაა.

სტალინმა მოსკალიოვის ესკიზზე შეაჩერა ყურადღება — ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ცენტრში მედალიონით. მედალიონზე 1812 წლის სამამულო ომის გმირის, ბაგრატიონის ამობურცული პროფილია.

ხრულიოვი სტალინს უხსნის: — ორდენი ოთხი ხარისხისა იქნება: პირველი და მეორე ოქროთი დამზადდება, მესამე და მეოთხე — ვერცხლით.

სტალინი დაფიქრდა და თქვა: — ამას წინათ ლაპარაკი გვქონდა გამარჯვების ორდენზე, რომლითაც მხედართმთავრებს დავაჯილდოვებთ დიდი მასშტაბის ოპერაციებისათვის. გამარჯვება კი დიდების გარეშე არ შეიძლება. ასევე დავარქმევთ ორდენსაც... და მერე, რატომ ოთხი ხარისხი? ბარემ ათხარისხიანი გაგვეკეთებინათ.

რამდენიმე დღის შემდეგ, ხრულიოვმა კვლავ წარუდგინა სტალინს ორდენის ახალი ესკიზი. მედალიონზე ბაგრატიონის ბარელიეფის ნაცვლად, სტალინისა იყო.

— ეს უკვე აღარაფერს არა ჰგავს, — შენიშნა სტალინმა, — რატომ ცდილობთ ყველგან ამხანაგი სტალინის გამოსახვას? სხვა ფანტაზია არ გაქვთ?... ხომ გვაქვს მაცხოვრის კოშკი — მოსკოვისა და მთელი ქვეყნის სიმბოლო. სწორედ იგი მოვათავსოთ ორდენზე.

პაატა თარგამაძე

— ესროლეთ გაუფრთხილებლად.
— ციხეებში დამთავრდა ქურდების „სეირნობა".
— ახალ წელს სროლით ნუ შეხვდებით.
— ბანდიტთა ერთი ჯგუფის ნაწილი უკვე ლიკვიდირებულია.
— თუ ბოროტმოქმედთა მხრიდან იარაღის გამოყენების საშიშროება იქნება და პოლიციელი არ მოახდენს ბოროტმოქმედის ლიკვიდაციას, ასეთს დავითხოვთ ორგანოდან.
— პროსტიტუციასთან ბრძოლა რჩება ლოზუნგის დონეზე.

## ნეტავ, მაშინ, მეც მენაგვე ვყოფილიყავი...

— ჩვენ, ტრადიციების ერთგულნი და მისი დამცველი ვართ და ვიქნებით! — ეს ერთი თბილისელი ჯიბგირის სიტყვებია, რომელთანაც „აუდიენციაც" დიდი „შრომისა" და სირბილის ფასად დამიჯდა.

თბილისში რომ ავტომატიანი მასტები გამოჩნდნენ, ბევრ ჩვენებურს ნერვებმა უმტყუნა და იარაღს წამოავლო ხელი. ჩვენ ისინი გავრიყეთ და შენ რომ იცოდე, ცხოვრებამ და ღმერთმაც გარიყა. თითქმის ყველა მიწაშია, ბევრიც წასულია აქედან...

*— წელან ცხოვრება და ღმერთი ახსენე... ამას წინათ ნავთლუღის ბაზარში შავებში ჩაცმული, გაძარცვული და აკივლებული ქალი ვნახე. შეიძლება ღმერთმა გაპატიოს დღევანდელ ცხოვრებაში გაუბედურებული ადამიანის ძარცვა?*

— ჩვენც გაუბედურებული ვართ! ყველას თავისი გზა აქვს და ამ გზით ჭამს პურს... ისე კი, ღმერთი ყველას შეგვინდობს ცოდვებს!

*— ნათქვამია, „ქურდმა რომ მილიონი იშოვოს, აღარ მოიპარავსო"... დღეს კი, რა ხდება? თვე, ზოგჯერ კვირაც არ გავა, რომ არ გავიგო, მოსკოვში, რუსეთის სხვა ქალაქებში და საზღვარგარეთაც „კანონიერი ქურდი" მოკლესო, მათ შორის, ქართველები ყველას ჭარბობენ. რატომ?*

— „ავტორიტეტები" ქურდული საძმოდან აფრენილი განგსტერები არიან. დაახლოებით ისეა, ყარაჩოხელები რომ ძველმა ბიჭებმა შეცვალეს და მთელი მათი ტრადიციები დაამახინჯეს და გაათახსირეს.

*— „ავტორიტეტებს" თუ ელით შემდგომი ევოლუცია?*

— კი! ევოლუცია მიწის ქვეშ, ან როგორც ფირმაში ხდება ხოლმე, როცა მაგარი მაყუთის პატრონი მინისტრად, ან პრემიერ-მინისტრადაც ჯდება. ასეა: ან მიწა, ან მთავრობა და მთავრობის წრეში „სვეტურ" საზოგადოებაში შესვლა, საბოლოოდ კი, „ვირის აბანო", ან ტყვია. სხვა გზა მაგათ არა აქვთ, ანდრეოტის ისტორია ხომ გახსოვს?

— მე „გეპეიში" ვსწავლობდი... მაგრამ ხომ იცი, თბილისური ცხოვრება, ადათ-წესები? ეს დიდი გამოცდაა, ძმაო! დღეს რომ უმღერიან ძველ ბიჭობას, ვისაც ერთხელ მაინც უძველბიჭია და ბირჟებზე უთენ-ულამებია, ხომ იცი, რა ნაგავიც იყო და არის ცხოვრების ეს პერიოდი? ჰო, და მოხდა ისე, რომ „კარმანშჩიკების" საზოგადოებაში აღმოვჩნდი. 60-იან წლებში ეს საქმე აყურში იყო... ერთი ძველი პროფესიონალი გვწვრთნიდა. ზარები ხომ გაგიგია? შარვლის ჯიბეებზე, ხელჩანთებზე ამაგრებდნენ და ისე უნდა ამოგველო ფული ან საფულე — ზარს არ უნდა დაერეკა. მაგრად ვსწავლობდი პადელნიკებთან ერთად: ფარდა, რევერანსი, ხელუკულმა, აკვრა, ჩასრიალება. ეს ის ილეთებია, რომლითაც კლიენტებთან ტანგოს მანძილზე ვმუშაობდით... მაგრად დავამხეცეთ და კაი პურსაც ვჭამდით. ერთი-ორჯერ ბინაც დავბომბეთ და... დროც გავიდა. ისე, სხვაგანაც ვმუშაობ, საბიუჯეტო დაწესებულებაში. ამბობენ, ხელფასები მოიმატებსო. ჰოდა, გავალ პენსიაზე.

*— გამოცდილებას თუ უზიარებ ვინმეს?*

— არის ახალი თაობა, მაგრამ უპერსპექტივო... „მომავლები" არ არიან, გესმის? თანაც ყილკა არა აქვთ და მეც ვურჩევ, სხვა ბიზნესი მოძებნონ. ისე, ცოტაც და ეს საქმეც ისტორიას ჩაბარდება!

*— გასაგებია. რას ისურვებდი ამ წუთში და საერთოდ?*

— გახსოვს, თბილისში ნორმალური ლუდის დალევა გვენატრებოდა! მხოლოდ „შიშკები" სვამდნენ ჩეხურ ლუდს. მაშინ რომ კარგი ლუდი ყოფილიყო და ბევრი სხვაც კარგი, ცხოვრებაც სხვანაირი იქნებოდა, სიტყვაზე ვამბობ! რაც თბილისში მაიმუნობა ხდებოდა და მერე კატასტროფაც დატრიალდა, ამაში ბრალი იმ ცხოვრების გადაგვარებულ და გათახსირებულ ყოფას მიუძღვის... აი, ახლა რომ ამ კახპებს ვუყურებ, მეცოდებიან — ესეც ცხოვრებამ მოიტანა... დღეს ქართველი ბიჭები ხომ მუშაობენ უკვე მენაგვეებად?! .... ნეტავ მაშინ მეც მენაგვე ვყოფილიყავ...

## და...მე...ხმა...რე...ე...ე...თ



რამდენი დაწერილა და თქმულა ამ უსაშინლესი სოციალური მოვლენის შესახებ, თითქოს რაღაც ნაბიჯებიც კი გადადგმულა, მაგრამ თბილისის ქუჩები, ბაზრები, საზოგადოების თავშეყრის სხვა ადგილები და მათი მიმდებარე ტერიტორიები სავსეა ცხოვრებისაგან გარიყული და ბედისაგან დაჩაგრული ადამიანებით. მათი შემყურე უკვე იმ დონემდეა ჩვენი ფსიქიკა მისული, რომ ყველა ხელგაშვერილი თუ გაჭირვებული ადამიანიც, ლამის, მაწანწალათა კატეგორიას მივაკუთვნოთ, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მართლაც ჭირს მათ შორის ზღვარის გავლება.

— დამეხმარეთ!

აი, ის ერთადერთი და შემზარავი სიტყვა, რომელიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე გვესმის: მეტროში, ტრანსპორტში, ქუჩებსა და მიწისქვეშა გასასვლელებში. ამასთან, უკანასკნელ წლებში ქალაქს ეპიდემიასავით მოედო კარდაკარ მოარული ურიცხვ მათხოვართა, მაწანწალათა და გაჭირვებულ ადამიანთა მოთქმა და მუდარა — დამეხმარეთ!

## დგანან და ელიან...

*დიდუბეში, სანაპიროზე მდებარე ე. წ. არაოფიციალურ „შრომის ბირჟასთან" მისვლისთანავე, თუ, რა თქმა უნდა, მანქანით ხართ, მაშინვე იგრძნობთ მრავალი ათეული წყვილი თვალის დაჟინებულ მზერას. საკმარისია, შეაჩერო მანქანა და პირდაპირ ტროტუარზე მდგარი თუ მჯდარი ხელოსანთა და დღიურ მუშათა მრავალრიცხოვანი არმია მსწრაფლ ამოძრავდება, თითქოს ჭიანჭველების ბუდე აიშალაო, შემოგეხვევიან და ყველა ერთხმად გთავაზობთ თავის სამსახურს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მათი უმრავლესობა რაიონიდან ჩამოსული დღიური მუშები არიან, უმთავრესად ახალგაზრდები. მათ თვალებში ერთად იკითხებოდა ხელგაშვერილი უმუშევარი ადამიანის სასოწარკვეთა და ვედრებაც.*

*— როგორ ინაწილებს ესოდენ მრავალრიცხოვანი ამქარი სამუშაოს? რამდენადაც ვიცი, კლიენტები არცთუ ბევრი გყავთ, რომ ყველა დაკმაყოფილდეს სამუშაოთი.*

— ჩვენ აქ ერთმანეთს ვიცნობთ და ვცდილობთ, ყველას ერგოს სამუშაო, ამით ვამაყობთ კიდეც. დღიური მუშები თვითონ ზრუნავენ საკუთარ თავზე და, რომ იტყვიან, დასწრებაზე არიან. ამის გამო ბევრჯერ გაწევგამოწევაც ყოფილა. ყველაზე ნაგლები გავყარეთ აქედან.

*— კი, მაგრამ, ნუთუ არ შეგიძლიათ, სხვა საქმეს მოჰკიდოთ ხელი?*

— აი, ერთი მილიონი კაცისათვის რომ შეიქმნება სამუშაო ადგილი, მერე, რა თქმა უნდა, წავალთ აქედან. ახალგაზრდები ვართ, ცხოვრება და სიცოცხლე გვინდა. ბირჟებზე დგომით და ლოდინში ხომ არ დავბერდებით? — სევდიანი ხმით წამოიძახა ერთმა სრულიად ახალგაზრდა მუშამ და თვალები აუწყლიანდა.

## თბილისი ელის „ტროპიკანკებს"



ნარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ღამით მხოლოდ „მუხამბაზი" მუშაობდა, ხოლო ღამის 12 საათამდე ერთადერთი მორიგე გასტრონომილა ემსახურებოდა ქალაქს, ზემელზე... დღეს კი სადღეღამისო სუპერმარკეტები, მაღაზიები, ბარები, კაფეები, რესტორნები, კაზინოები, ნაირ-ნაირი საჭმელ-სასმელი, მუსიკა და... ლეგალურად, თუ ნახევრადლეგალურად მოქმედი ლამაზმანები — სულ სხვა ეპოქის, ახლის, რა თქმა უნდა, იერსახეს აძლევს თბილისს... ... რუსთაველი, მეიდანი, რიყე, მეტეხის შემოგარენი, ორთაჭალა — ყველგან გამოცოცხლება იგრძნობა, მუსიკა და ხორხოცი ისმის. კაფე-ბარებიან პატარ-პატარა სასტუმროებთან მეტწილად უცხოური მარკის ავტომანქანები ჩამწკრივებულან, შორიახლოს ერთი-ორი „მინი-იუბკიანიც" ჩამოსკუპებულა რაღაც სასმელითა და სიგარეტით ხელში, ზოგი კაფეშია, უკვე „დაკავებული", ზოგიც „სამუშაოს" მოლოდინში.

*— რა კატეგორიის მანდილოსნები „მუშაობენ" აქ და როგორია პრეისკურანტი?* — ვეკითხები ერთ-ერთ მეპატრონეს, რომელმაც, პატიოსანი სიტყვა ჩამომართვა, რომ მის სახელს და „ოფისს" არ გავამხელდი. სასაცილოდ მეჩვენა ეს მოთხოვნა, რადგან მთელმა თუ არა, ნახევარმა თბილისმა მაინც იცის მათი არსებობა და ადგილმდებარეობაც...

— ყველა „მუშაობს", ვინც მოწოდებით არის მოსული ამ საქმეში... არ ვხუმრობ, ნუ გეცინება! აბა, მაწანწალებს და ვაგზლის „შლიუხებს" აქ რომ არ შემოვუშვებ, შენც კარგად ხედავ... ფასი შეთანხმებითაა, გააჩნია კლიენტს. მე ჩემი უნდა ავილო, თვითონ, თუ უნდათ, უფასოდ მისცენ...

*— ინციდენტები თუ ყოფილა პერსონალსა და კლიენტურას შორის?*



— ქმარმა საკუთარი ცოლი ნახა აქ და გახსენებაც არ მინდა, ისეთი ამბები დატრიალდა. ცოტაც და, დაგვლეწავდნენ, მაგრამ ხალხი ჩაერიეთ და მოგვარდა საქმე.

*— როგორ?*

— ქმარმა ცოლს სცემა... ქმარს აგრძნობინეს და უთხრეს კიდეც, რომ კრინტი არ დაეძრა „ოფისის" შესახებ, თორემ, მისი ოჯახის საქმეს გავახმაურებდით... დანარჩენი არ ვიცი!

*— როგორ ფიქრობ, ამ საქმეში კარგი პერსპექტივა აქვს ბიზნესს?*

— არის შანსი ჩემს „ოფისში" მულატმა და ზანგმა მაგარმა ქალებმა დაიწყონ მუშაობა... ვიყავი კიდეც მივლინებით (ეს სავსებით სერიოზულად მითხრა) რამდენიმე ქვეყანაში, საქმის დაწყებასაც ალარაფერი აფერხებს, 20-35 წლის თორმეტი „ტროპკელი" მზადაა ჩამოსასვლელად, მაგრამ...

• • •

...ზაფხულის მეორე ნახევარში ცოტა გულმა შემაწუხა და დილაობით კუს ტბაზე დავიწყე სიარული. ერთ მშვენიერ სისხამ დილას, ფიჭვნარ-ბუჩქნარში ტრადიციული მარშრუტით მიმავალმა კინაღამ ფეხი დავადგი... პირდაპირ ჩამოყრილი წიწვებისა და ბალახის სარეცელზე მოკოტრიალე და თავდავიწყებაში გადავარდნილ წყვილს. ყველაზე ამაზრზენი ის გახლდათ, რომ ზურგის შექცევაც კი ვერ მოვასწარი. ორივემ დამინახა. რეაქციაც არც თუ არაორდინარულად გამოხატეს: ქვეშ მყოფმა ისტერიულად გადაიკისკისა, ზემოთ მყოფმა კი — „როგორ გატეხე, ჩემი!" — ამოიზმუვლა. ის დილა კუს ტბაზე ნანახის „შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა" გავატარე „ძუნძულში".

**ეშმაკმა დალახვროს ზოგიერთი ქართველის ამღვრეული და მოწამლული ტვინი, ყველა ჩვენი უბედურების და თავლაფდასხმის უპირველესი მიზეზი...**

## ტუსაღი ქალები

...ქალები „გალიაში", ქალები გისოსებს მიღმა, ქალები მავთულხლართებში, ქალები ტყვეობაში — ტუსაღი ქალები. რამდენი განცდა, ტრაგედია, ცრემლი და უბედურებაა ამ მშრალი სიტყვების მიღმა. დედები, მეუღლეები, დები — სულ 187 მანდილოსანი იხდის სასჯელს, თბილისის ქალთა კოლონიაში, რომელიც ერთადერთია საქართველოში. ყველაზე უმცროსი — 19 წლისაა, ქურდობისთვის ნასამართლევი, ყველაზე უფროსი კი, უფრო სწორად, ხანდაზმული, 75 წლის... საკუთარი შვილის (!) მკვლელობისთვის მსჯავრდადებული!

როგორც წესი, პატიმართა უმრავლესობა, ისევე როგორც სხვა ამგვარ დაწესებულებებში, აქაც განიცდის და ინანიებს დანაშაულს. მაგრამ არის ერთი სიმპათიური ინტელიგენტი, თავის დროზე სხვადასხვა პრესტიჟული სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც, მისივე თქმით, თავისმა უცოდინრობამ და უყურადღებობამ მოიყვანა აქ. მთელი საუბრის მანძილზე მას ცრემლი არ შეშრობია თვალზე.

— მე სვანი ვარ. კანაფი ეზოში მოგვყავდა, რადგან იგი აუცილებელი პროდუქტია სვანი ადამიანისათვის, როგორც ვთქვათ, პური ან კარტოფილი. ქელეხი სვანეთში წარმოუდგენელია კანაფის ფხლის გარეშე. არავის სჯერა, რომ მე, მართლაც, არაფერი ვიცოდი მისი სხვა მიზნით გამოყენების შესახებ. კანაფი საკვებად ჩამოვიტანე თბილისში და როცა ვარჩევდი, მეზობელმა მთხოვა, საკვებად უვარგისი ნაწილი მომეციო და წაიღო კიდეც... ერთი კვირის შემდეგ დამაპატიმრეს და როცა მკითხეს, ვისია ეს კანაფიო, არც კი დავფიქრებულვარ, ჩემია-მეთქი. ჩემს საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ მისგან მარიხუანა მზადდება. 6 წელიწადი მომისაჯეს. ე. წ. „პადდელნიკები", ანუ ჩემს მიერ ჩამოტანილი კანაფის დამამზადებლები და რეალიზატორები მხოლოდ სასამართლო პროცესზე ვნახე პირველად... 47 წლის ვარ. 6 წელიწადი აქ უნდა გავატარო? რისთვის?

*— სად მუშაობდით?*

— პროფესიით ფილოლოგი, ბიბლიოგრაფი ვარ. ვმუშაობდი თბილისის მერიაში. ბოლოს კულტურის სამინისტროში, ახლა კი „ბარიგა" ვარ — და სამუდამოდ დაღუპული...

...გავოცდი, როცა შევიტყე, რომ პატიმართა შორის ერთი „მაჭანკალი", ანუ ე. წ. „მამაშაც" იხდის სასჯელს, რადგან ეს, რაღაც ვერ შევუთავსე ჩვენი ცხოვრების დღევანდელ რეალობებს, მხედველობაში მაქვს მეძაობის, პორნოგრაფიის, ჰომოსექსუალიზმისა და სხვა ბევრი სისაძაგლის ეპიდემია, რომელსაც წალეკილი აქვს თბილისი...

„მაჭანკალმა", რომელმაც მართლაც აღიარა და მოინანია დანაშაული, ბევრი „საინტერესო" რამ მიამბო. მაგალითად, ის, რომ 20-30 წლის გოგონათა უმრავლესობა, რომლებსაც ის აქირავებდა, მხოლოდ და მხოლოდ გაჭირვებამ მიიყვანა ამ საქმეში (ერთი გოგონა შიმშილით დაავადმყოფებულა და გარდაცვლილა).

— მე რომ ის თანამდებობების პირები დავასახელო, რომლებსაც ჩემგან მიჰყავდათ გოგონები, აქედან გასვლას არ მაღირსებენ... რა თანხასაც ეს ვაჟბატონები ხარჯავენ საამისოდ, ის რომ ბიუჯეტში გადარიცხონ, დამიჯერეთ, სახელმწიფოს გარკვეულ შეღავათს მისცემს.

*— მაინც რამდენს იხდიან ერთ გოგონაში?*

— ორ საათში 50 დოლარს.

დიახ, მსჯავრდებულთა უმრავლესობამ ჩაიდინა ის, რისთვისაც ბრალი დასდეს და გაასამართლეს, მაგრამ ქალი თვითონ ბუნებას არ შეუქმნია დანაშაულებრივი ცხოვრებისთვის... და თუ ეს ასეა, მაშინ ტუსაღ ქალებთან ერთად ციხეში უნდა ჩაჯდეს „კრიზისი", რომელშიც გამუდმებით იმყოფება ჩვენი საზოგადოება და რომელიც სპობს ყველაფერს, რაც ადამიანს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას მისცემდა, უნდა ჩასვა იმ „მამაშასთან" ერთად ის „პაპაშებიც", რომლებიც მის „საქონელს" ყიდულობდნენ, საჯაროდ უნდა გადაწვან და გადახნან იმათ, ვისაც ეს ევალება, სვანეთს მოდებული კანაფის პლანტაციები და უნდა ჩაუჭედონ დიდსა და პატარას ტვინში, რომ კანაფი ხაშლამა არ არის...

# ჩვენ არ გვიწერია საქართველოსთან ყოფნა



გაზეთ „პრავდა-5“-ის კორესპონდენტი მიიღო აფხაზეთის პრეზიდენტმა ვ. არძინბამ

*— ვლადისლავ გრიგორიევიჩ, რა მოხდა ამას წინათ სამშვიდობო ძალების წვრთნის დროს?*

— სამშვიდობო ძალებმა არც შეგვატყობინეს, საწვრთნელი სწავლების დროს ისე გადაინაცვლეს გალის რაიონის სიღრმეში და მიატოვეს ენგურის ხიდის სამი ბლიკპოსტი. კიდევ კარგი, დროულად მოიჭრნენ ჩვენი მერაზმეები, თორემ ამას რაც მოჰყვებოდა, ცხადია! კიდევ ერთხელ რომ მიატოვონ პოზიცია, უკან აღარ შემოვუშვებ.

1997 წლის 31 იანვრამდე მანდატის გაგრძელება შედეგია აფხაზური მხრიდან გარკვეული კომპრომისისა და მეტად სერიოზული დათმობისა. ოღონდ, საქართველოს იმედი, მსგავსი ზეწოლით სასურველ შედეგს მიაღწიოს, უსაფუძვლოა. სამწუხაროდ, ივლისში, უკანასკნელ მოლაპარაკებებზე, ქართული მხარე და რუსი შუაკაცები შეეცადნენ, საქართველოსა და აფხაზეთს შორის თანაბარუფლებიანი ურთიერთობის იდეაც კი მოესპოთ, ცდილობდნენ ისევ თავიდან მოეხვიათ ჩვენთვის მეტროპოლიისა და კოლონიის ურთიერთობანი. ამაზე ჩვენ არასოდეს დავთანხმდებით. ჩვენი ხალხი არასოდეს შეურიგდება ეროვნულ უღელს, რომელშიც ათწლეულობით გვქონდა თავი გაყოფილი.

უფლის ნებით, ჩვენ არ გვიწერია საქართველოსთან ერთად ყოფნა. რადგანაც რუსეთი ინტერესს არ იჩენს და საქართველო ცდილობს, აღადგინოს აფხაზეთზე თავისი კოლონიური ბატონობა, ჩვენ, ალბათ, სხვა გზა არა გვაქვს, უნდა გამოვაცხადოთ სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

*— და მაინც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია აფხაზთა სასარგებლოდ თითს არ ანძრევს.*

— აბა, ნახეთ, ვინ წარმოადგინა ეს რეზოლუცია! საქართველოს მეგობრების კლუბმა. ეს ორგანიზაცია 1921 წელს შეიქმნა აშშ-ში, ინგლისში, გერმანიასა და სხვა ქვეყნებში, რათა საქართველოს დახმარებოდნენ... ბოლშევიკურ რუსეთთან ბრძოლაში. ახლა ძალიან სასიამოვნო სანახავია რუსეთი ამ კლუბის წევრად. ზოგი რუსული წრე მხარს იმიტომ უჭერს საქართველოს, რომ როგორმე მისი თვალი დასავლეთს აარიდოს. ეს თანადგომა ადიდგულებს საქართველოს და ჰგონია, ყველაფერი შეუძლია, აგრესორს მადა თანდათან ეხსნება.

თავიდან საქართველო სახელმწიფოთა მოკავშირეობის წინააღმდეგი იყო, მერე ფედერაციულ კავშირზე თქვა უარი, ახლა სულ აიღო ხელი მხარეთა ფედერაციულ ურთიერთობასა და თანაბარუფლებიანობაზე. სად გინახავთ არათანაბარ სუბიექტთა ფედერაცია? ხვალ რომ საქართველომ თქვას, აფხაზეთს აფხაზეთი არა ჰქვიაო?

ჩვენ არა ვართ ვალდებული ამგვარ სურვილებს გავუწიოთ ანგარიში. ჩვენს საკეთებელს მტკიცედ გავაკეთებთ და თუ საჭირო გახდა, ომითაც დავიცავთ! ბატონმა შევარდნაძემ უნდა იცოდეს: ძალით არ შეიძლება აღდგეს კეთილი ურთიერთობა, ძალით ჩვენ ვერავინ გვაიძულებს საქართველოსთან ერთად ვიცხოვროთ, სამაგიეროდ, შესაძლებელია ყოველგვარი მოლაპარაკების სურვილი დაგვეკარგოს.

*— ცოტა ხნის წინ, თურმე, საქართველოს უშიშროების სამინისტროს მოადგილე, ავთანდილ იოსელიანი და თქვენ გაგრაში საიდუმლოდ შეხვედრიხართ ერთმანეთს. იოსელიანის პირით ნათქვამი თქვენი ზოგი მოსაზრება, რუსმა საზოგადოებამ ორაზროვნად აღიქვა.*

— უცნაური სულაც არ არის საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლისა და აფხაზეთის ხელმძღვანელის შეხვედრა. საქმის მოსაგვარებლად შეხვედრაა საჭირო. ჩვენც გვაქვს განზრახული საქართველოში ჩვენი წარმომადგენლის გაგზავნა. მაგრამ მთავარი შედეგია და არა — ზღარობა! იოსელიანის ნათქვამში მაინცდამაინც ვერაფერი დავინახე. სხვა რამეა აღსანიშნავი, კაცს გაეხარდა აფხაზეთის სახელმწიფოს მეთაურთან შეხვედრა და ბედნიერებით თვალაბმულმა, რაც ერთმანეთში ვილაპარაკეთ, მართლაც და, სამწუხაროდ, საკუთარი მოსაზრებანიც, ქვეყანას მოსდო. ცხადია, ვეძებთ შეხვედრის გზას საქართველოს პრეზიდენტთან, იმ ქვეყნისა, რომელიც ენგურის სანაპიროზეა გაშლილი და მოგწონს თუ არა, ვალდებულნი ვართ, შევარდნაძეს პატივისცემით მოვეპყრათ.

*— რას ფიქრობთ თბილისში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტზე?*

— არანაირი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა არ არსებობს. არის აფხაზეთის რესპუბლიკა თავისი კონსტიტუციით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებით. შესაბამისად, აფხაზეთის საზღვრებს მიღმა არ არსებობს აფხაზეთის პარლამენტი!

*იგორ ლენსკი*
*პრავდა-5 №47*

# სომხური გაზეთი ომის პროპაგანდისთვის დაისაჯა

სამი თვით დაიხურა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სომხური გაზეთი „ლარაგირი“. ამის მიზეზი გახდა გაზეთის ორი პუბლიკაცია, რომელიც შეფასებულია, როგორც ომისა და ეროვნული შუღლის პროპაგანდა მოძმე სახელმწიფოების, კერძოდ, საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ.

7 თებერვალს გაზეთ „ლარაგირში“ გამოქვეყნდა ვრცელი სტატია: „დიდი სომხეთი პატარა საზღვრებში, როგორც ეროვნული პროგრამა, 2000 წლამდე“. მისი ავტორი ერევანში უცნობი ჟურნალისტი არგო კივირიანია. პუბლიკაციაში ნათქვამია: „ვინ იპარავს ჩვენს გაზსა და ელექტროენერგიას? — საქართველო. ვინ ავიწროებს თავის ტერიტორიაზე ჩვენს თანამემამულეებს და ატარებს მათ მიმართ ასიმილაციის პოლიტიკას? — საქართველო. ვინ გვტოვებდა ხოლმე მარტო ყველაზე გადამწყვეტ წუთებში? ისინი მეზობლების ტყავში გახვეული ორპირი ხალხია. საქართველოს მარტო ჩვენი თანამემამულეების შევიწროების შეწყვეტა კი არ უნდა მოვთხოვოთ, არამედ ტერიტორიული დამოუკიდებლობა ჯავახებისათვის (ახალციხისა და ახალქალაქის რაიონების სომხებით დასახლებულთა სომხური (?!) სახელწოდება). თუ საქართველო ამის თანახმა არ იქნება, იარაღით უნდა გავათავისუფლოთ ჩვენი მიწები, მით უმეტეს, რომ ამის ძალა შეგვწევს“.

ამ პუბლიკაციის შემდეგ იუსტიციის სამინისტროდან გაზეთის რედაქციაში მოვიდა ოფიციალური გაფრთხილება ამგვარი სტატიების გამოქვეყნების მიუღებლობის შესახებ. რედაქციასაც აცნობეს, რომ მსგავსი პუბლიკაციის გამეორების შემთხვევაში განიხილება საკითხი გაზეთის მიმართ შესაბამისი სანქციების მიღების თაობაზე.

ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს გაფრთხილებამ შედეგი გამოიღო. მაგრამ 22 თებერვალს გამოქვეყნდა იმავე ავტორის — კივირიანის სტატია, — „სიმართლეს თვალებში შევხედოთ“. მასში ნათქვამია: „ქართველი ერი, როგორც ერთიანი მოვლენა, არ არსებობს. ამ სახელწოდებაში გაერთიანებულნი არიან მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“. იუსტიციის სამინისტრომ დაპირება შეასრულა და წარმოადგინა განჩინება, რომელშიც ნათქვამია, რომ გაზეთის პუბლიკაციებში ბევრი გამოთქმა და მოწოდებაა ნახმარი, რომელიც მეზობელი სახელმწიფოების, კერძოდ, საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ ეროვნულ შუღლს იწვევს. სასამართლომ დაადგინა 3 თვით შეჩერებულ იქნას გაზეთის გამოშვება. გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ერვანდ ფრანგულიანმა სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორგანოს ზეწოლის შედეგად მიიჩნია, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა მარატ ალექსანიანმა განაცხადა, რომ „ლარაგირმა“, უპირველეს ყოვლისა, დაარღვია პრესის კანონის მე-6 და სომხეთის კონსტიტუციის 48-ე მუხლი.

*მოსკოვსკიე ნოვოსტი №11*

# თბილისი: ბლოკადა — ერთადერთი იმედია

აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მიერ არჩევნების ჩატარება არა მარტო ართულებს ქართულ-აფხაზურ პრობლემას, არამედ უშუალოდ უკავშირდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივებს. საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების განლაგებისათვის სამართლებრივი საფუძველი ჯერ არ არსებობს. ანალოგიური სიტუაციაა საქართველო-რუსეთის საერთო საზღვარზე. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტი იუწყება, რომ სამხედრო ხასიათის მოლაპარაკებებს ხელი მოეწერება მას შემდეგ, როდესაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღდგება საქართველოს იურისდიქცია. ასე რომ, საკითხი უშუალოდ უკავშირდება აფხაზეთის კონფლიქტს.

ქართველი პარლამენტარები აღშფოთებულნი არიან იმის გამო, რომ რუსეთის სახელმწიფო დუმამ არ მოახდინა რატიფიცირება საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და ურთიერთთანამშრომლობის მოლაპარაკების შესახებ, რაც საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 17 იანვარს გააკეთა. ეტყობა, საქართველოს პარლამენტს თავმოყვარეობა შეელახა. დადგენილების ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით, რესპუბლიკის ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა დაიცვან სტაბილურობა, კონფლიქტური ზონიდან სამშვიდობო ძალების გამოყვანის შემდეგ, უნდა შემუშავდეს სამშვიდობო ცვლის მექანიზმი — საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რევაზ ადამია დაჟინებით მოითხოვდა გაერკვიათ ტერმინი „დროებითი განლაგება“, რადგანაც, თითქოს რუსეთი თავის ჯარს საქართველოს ტერიტორიაზე უვადოდ დატოვებს, ამიტომ სასურველია ამ ვადების გარკვევაო. ყველაფერი ეს უნდა შეფასდეს, როგორც რუსეთის თანდათანობითი შევიწროება და განდევნა მისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონიდან.

*ვლ. სტატსკი*
*პრავდა-5 №83*

# ურთიერთობა თბილისსა და ბათუმს შორის უარესდება

საქართველოს პარლამენტმა თავის პრაქტიკაში პირველად ჩაატარა გასვლითი სესია აჭარაში. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება ცნობილი გამოთქმა: „თუ მთა არ მიდის მუჰამედთან, მუჰამედი მიდის მთასთან“. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ერთხელ არ ჩასულა თბილისში პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე თავად ჩადიოდა აჭარაში, თუ ამის საჭიროება წარმოიქმნებოდა ხოლმე.

ბატონი აბაშიძე თბილისში თავის ჩაუსვლელობას სხვადასხვა მიზეზს უძებნიდა, ხან დედაქალაქში ბევრი მტერი მყავსო (ორი მათგანი უკვე გაუვნებელყოფილია, თენგიზ კიტოვანი ციხეშია, იგორ გიორგაძე კი გაქცეულია) ხან, ვაითუ აჭარაში ჩემს არყოფნაში რაიმე მოხდესო, ხანაც ძალიან დაკავებული ვარო.

რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების წინ არსებობდა საქართველოს მოქალაქეთა კავშირისა და სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირის (მისი ხელმძღვანელი ბატონი აბაშიძეა) გაერთიანების იდეა. იგი ახლაც არსებობს, აჭარაში სექტემბრის არჩევნების წინ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ არც ახლა შედგება ეს ალიანსი. ამასთან, აჭარაში მოქალაქეთა კავშირს ორი რეგიონული ორგანიზაცია აქვს, ერთს აბაშიძის გუნდის წარმომადგენელი ხელმძღვანელობს, მეორეს კი, აბაშიძის ადმინისტრაციის ერთ-ერთი სერიოზული ოპონენტი.

აბაშიძისეული ფრთის წარმომადგენლები არ მალავენ, რომ ეს პარალელიზმი „ყელში ამოუვიდათ“. აღსანიშნავია, რომ ამ დაპირისპირებამ სერიოზულად იჩინა თავი გამსვლელი საპარლამენტო სესიის დროს. სხდომებს ბატონი აბაშიძე ესწრებოდა და აქტიურადაც მონაწილეობდა, განსაკუთრებით, როცა ლაპარაკი იყო საქართველოს ტერიტორიულ მოწყობაზე. როგორც ცნობილია, შარშან მიღებულ კონსტიტუციაში ეს პარაგრაფი ღიად დარჩა და მისი შევსება ამ პარლამენტს მოუწევს.

რეგიონების მართვის საპრეზიდენტო სამსახურის მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით, რესპუბლიკის მოწყობის ძირითადი კონცეფციაა ასიმეტრიული რეგიონალიზმი, რომელიც აჭარისათვის



განსაკუთრებულ სტატუსს ითვალისწინებს. მაგრამ ადგილობრივი ლიდერებისთვის გაუგებარია, რატომ დამუშავდა კანონპროექტი აჭარის შესახებ ამ რეგიონის ექსპერტთა მონაწილეობის გარეშე.

განხილვის დროს პარლამენტის დელეგაციას, ფაქტობრივად, თავის მართლება უწევდა — კრედიტის სახით მიღებული 1,5 მლრდ დოლარიდან აჭარისთვის მხოლოდ 2 მილიონი დოლარის გამოყოფის, აჭარაში ჰიდროელექტროსადგურების, რეგიონისათვის თავისუფალი ეკონომიკური ზონის სტატუსის არმინიჭების გამო და სხვა. ეს ყველაფერი ასლან აბაშიძეს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ საქართველოს უნიტარული პრინციპით მოწყობის შემთხვევაში, ცენტრს რესპუბლიკისათვის ახალი ლიდერის მოძებნა მოუწევს.

ბოლოს და ბოლოს, განხილვის ყველა მონაწილე საკუთარ აზრზე დარჩა. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ თუ აჭარის ლიდერის აზრს ანგარიშს არ გაუწევენ, მას სავსებით ძალუძს ავტონომიის მოსახლეობის უკმაყოფილება გამოხატოს.

*სეგოდნია №130*

# ამერიკელი ჯაშუში შემთხვევით არ დაღუპულა

საქართველოს უშიშროების მინისტრის შოთა კვირაიას ცნობით, „კავკას-პრესის“ საინფორმაციო სააგენტომ სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა.

ორი წლის წინათ, საქართველოში მოკლეს ამერიკის საელჩოს თანამშრომელი ფრედ ვუდროფი, რომელსაც ცსს-თან ჰქონდა კავშირი. საქართველოში გამეფებული განუკითხაობის დროს, ეს ფაქტი შემთხვევითობად გაასაღეს. ამტკიცებდნენ, ამერიკელი გვარდიელმა მოკლაო. თბილისის მახლობლად გვარდიელი მანქანას აჩერებდა, გზად მიმავალმა ბ-ნმა ვუდროფმა მანქანა არ გაუჩერა, გაბრაზებულმა გვარდიელმა ესროლა მანქანას. ტყვია ბ-ნ ვუდროფს თავში მოხვდა.

ამჟამად „კავკას-პრესის“ ცნობით, საქართველოს უშიშროების მინისტრმა განაცხადა, რომ დაკავებული ბიზნესმენი, — თეიმურაზ მასხულია (ყოფილი „მხედრიონელი“) რუსეთის სპეცსამსახურების აგენტია, რომელმაც შარშან ედუარდ შევარდნაძეზე თავდასხმის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა და, აგრეთვე, უფრო ადრე ამერიკელის მკვლელობაც მოაწყო, მას ეხმარებოდა ამჟამად პატიმარი, — ბ-ნი შევარდნაძის ყოფილი დაცვის უფროსი, შემდეგ საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომელი — ელდარ გოგოლაძე. ორივე ტერორისტული აქტის მთავარი ორგანიზატორი საქართველოს უშიშროების ყოფილი შეფი იგორ გიორგაძე იყო, რომელიც, ამჟამად, მოსკოვში იმალება. მოსკოვის სპეცსამსახურების აგენტმა იგორ გიორგაძემ ცსს-ს აგენტის ვუდროფის ლიკვიდაციის დავალება თავისი მოსკოველი ხელმძღვანელებისაგან მიიღო, — ამტკიცებს საქართველოს უშიშროების მინისტრი.

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურში „სეგოდნიას“ კორესპონდენტს აუწყეს, რომ გვარდიელი, რომელიც გიორგაძემ აიძულა, თავის თავზე აეღო დანაშაული, იმ დღიდან დაკავებულია.

*სეგოდნია №133*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკლესიას ძალუძს ხალხთა შერიგება

**მოსკოვში ვიზიტად იმყოფებოდა უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე.**

**გთავაზობთ ამონარიდს „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებული ინტერვიუდან.**

*— სამხრეთ ოსეთის მკვიდრთა და აფხაზთა შორის ბევრი მართლმადიდებელია, მათ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წევრებად მიიჩნევთ?*



— უეჭველად. აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ხალხები ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სრულუფლებიანი წევრები არიან. ჩვენ მათთან, მიუხედავად პრობლემებისა, მჭიდრო კონტაქტები გვაქვს. მე ჩრდილო ოსეთში დავიბადე, საშუალო სკოლაც ვლადიკავკაზში დავამთავრე, ყოველთვის ახლობლობა გვქონდა ოსებთან, ჩვენი ოჯახის სულიერი მოძღვარი ოსი მამა მიხეილ ძაცოევი იყო. რაც საქართველოში მოხდა, ნეგატიური ძალების მიერ ხელოვნურად შექმნილ კონფლიქტად შეიძლება მივიჩნიოთ. რაც შეეხება აფხაზ ხალხს, ასევე ძალზე ახლობელია ჩემი და ჩვენი ხალხისა. მე 11 წელიწადი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი გახლდით, შემდგომ — მიტროპოლიტი. აფხაზები, ძალზე გულღია, უბრალო და წრფელი ხალხი, სეპარატისტულმა ძალებმა ჩაითრიეს ომში. დღეს აფხაზეთში დარჩენილთ უჭირთ; იქნებ, უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენ საქართველოს. ვფიქრობ, ძალიან მალე დადგება ჟამი ერთიანობისა და ქართველთა, ოსთა და აფხაზთა ძმური დამოკიდებულება აღდგება. ეკლესიამ ამ საქმეში უმთავრესი როლი უნდა ითამაშოს.

*— ხომ არ განგვიმარტავდით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მოსკოვის საპატრიარქოს გამგებლობაში გადაცემის იდეას?*

— მსმენია ამ იდეის თაობაზე. რუსეთში არიან მსგავსი გეგმების განხორციელების მოსურნე გონებაფიცხი ადამიანები. ამგვარ ტენდენციას აფხაზი მოსახლეობის უმცირესი ნაწილი უჭერს მხარს. მე და სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა უწმინდესმა ალექსი II-მ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე. გადაცემაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ვისაუბრეთ იმაზე, რომ რუსული მართლმადიდებელი ეკლესიიდან აფხაზეთში გაგზავნილიყო მღვდლები მორწმუნეთა დასამოძღვრად. უწმინდეს პატრიარქს განვუცხადე, რომ არასგზით არ შეიძლება ამის დაშვება, რადგანაც ეს გამოიწვევს აფხაზეთში არა მხოლოდ სიტუაციის დაძაბვას, არამედ ქართველთა და რუსთა ურთიერთობის გამწვავებას. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის ეპარქიაში დასაბრუნებლად, დევნილთა დასაბრუნებლად, საქართველოს ერთიანობის აღსადგენად. ის ისტორიული კეთილი ურთიერთობანი, რომელიც ჩვენს ეკლესიებს შორის იყო, არ უნდა დაიკარგოს: ჩვენ საკმარისად გვყავს მოძღვრები — რუსებიც ქართველებიც, ბერძნებიც.

*— უწმინდესმა ალექსიმ გაიზიარა თქვენი არგუმენტები?*

— დიახ, ჩვენი შეხედულებანი ამ საკითხის გამო, დაემთხვა.

*— ამ ზამთარს გამწვავდა ურთიერთობა მოსკოვისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს შორის ესტონეთის თაობაზე. რა პოზიციას ადგას საქართველოს ეკლესია ამ საკითხის გამო?*

— ესტონეთის საკითხი არ არის იოლად განსასჯელი. ჩვენ არც მოსკოვისთვის დაგვიჭერია მხარი და არც კონსტანტინოპოლისათვის. შევთავაზეთ სინოდის კომისიის შექმნა და მოლაპარაკების დაწყება. და, ღვთის შეწევნით, ყველაფერი კეთილად გასრულდა.

*— უწმინდესო, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში ინახება მრავალი საერთო მართლმადიდებლური და საერთოქრისტიანული სიწმინდე. ხომ არ განიზრახავთ ამ სიწმინდეთა მოსკოვს ჩამობრძანებას?*

— ჩვენთან დაცულია მაცხოვრის ერთ-ერთი სამსჭვალი, რომლითაც ქრისტე ჯვარს მიამსჭვალეს (მეორე — საქართველოდან მოსკოვის საჭურვლის პალატაშია გადატანილი) და იესო ქრისტეს კვართი, — იგი დაკრძალულია სვეტიცხოველში, წმინდა თომას თავი, სხვა მრავალი დიდი სიწმინდე. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ზოგი მათგანის მოსკოვს ჩამობრძანება შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. როდესაც ვლაპარაკობთ ჩვენს ხალხებს შორის კავშირის განმტკიცებაზე, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს, რომ საქართველოსა და რუსეთის დაახლოება მოხდა, უპირველეს ყოვლისა, ერთი, მართლმადიდებლური რწმენის საფუძველზე.

*მაქსიმ შევჩენკო*

# საქართველოს მინისტრები — ეკრანის ვარსკვლავები

საქართველოს ხელისუფლებაში ახალი წესი შემოიღეს. ამიერიდან მინისტრები და სხვა სახელმწიფო უწყებათა ხელმძღვანელები მრავალსაათიან მოხსენებებს არ წაიკითხავენ. თითოეულ საკითხზე გადაიღებენ პატარა ფილმს და კაბინეტი შემდეგ შეუდგება პრობლემის განხილვას. პირველმა კინოსხდომამ გვიჩვენა, რომ ეს კარგი იდეაა. გამოსვლები კონკრეტულია და დროც შედარებით ნაკლები იკარგება, მაგრამ მაშინვე წარმოიქმნა მეორე პრობლემა. საქმე ის არის, რომ საქართველოში მინისტრთა კაბინეტში 20 მინისტრი და დაახლოებით ამდენივე კომიტეტისა და დეპარტამენტის ხელმძღვანელია; გარდა ამისა, მთავრობის სხდომებს ყოველთვის ესწრებიან ქალაქების მერები და გუბერნატორები, რომელთა ტელემოღვაწეობისათვის საჭიროა დიდი თანხა, ტექნიკა, მომსახურე პერსონალი: ოპერატორები, რეჟისორები, სტილისტები. ერთი მხრივ, ეს კარგი საქმეა, რადგანაც უმუშევარ პროფესიონალებს საქმე გაუჩნდებათ. ამრიგად, მმართველი პარტია შეასრულებს თავის დაპირებას, — მილიონი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

*სეგოდნია №190*

# საქართველოში მშვიდობიანი მიტინგები იმართება

საქართველოში კვლავ მღელვარებაა, კვლავ გრძელდება დისკუსიები აფხაზეთში არჩევნების გამო. თბილისში, რუსეთის საელჩოს შენობის წინ და რუსთაველის პროსპექტზე მიტინგები მოაწყვეს ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა და მოითხოვეს რუსეთის ჯარის გაყვანა საქართველოს ტერიტორიიდან.

საქართველოს პარლამენტი რუსეთის ქვედანაყოფების განლაგებას საქართველოში აფხაზური პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებს. პარლამენტის აზრით, რუსეთმა ამ წლის ბოლომდე საბოლოოდ უნდა განსაზღვროს თავისი არჩევანი და დაეხმაროს საქართველოს, რათა თავისი გავლენა გაავრცელოს მთელ რესპუბლიკაში; წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთის ჯარებს უარით გაისტუმრებენ; მით უმეტეს, რომ არავითარი სამართლებრივი საბუთები მათ არ გააჩნიათ. საქმემ წინ თუ არ წაიწია, რუსეთის სამშვიდობო ჯარების მანდატის შემდგომი 6 თვით გაგრძელებაზე უარს იტყვიან და რუსეთის ჯარი იძულებული იქნება, დატოვოს აქაურობა. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა, რუსეთის ჯარისკაცები ქართველი მოსახლეობის უკმაყოფილო არ არიან. აღსანიშნავია, რომ მანიფესტაციებმა გვერდი აუარეს რუსეთის სამხედრო შტაბს თბილისში. ქართველმა მოსახლეობამ გაიგო, რომ სამხედროფორმიანი ადამიანი არ არის თავისუფალი, რომ მასზე ყვირილითაც ვერ იმოქმედებ. ჯერჯერობით, რუსეთის სამხედრო ქვეგანყოფილებაში სიტუაცია სტაბილურია. წლის ბოლოს მოსალოდნელია მომსახურე პერსონალის 40%-ით შემცირება. ამ აქციამ შეიძლება შტაბის 90 ოფიცერი შეიწიროს.

*ნეზავისიმაია გაზეტა №198*

# მოკვდე პრეზიდენტად ესეც ხელოვნებაა

თბილისი აღარ ჰგავდა ხუთი წლის წინანდელ შეშლილ ქალაქს. რუსთაველის პროსპექტს გავუყევი. აი, აქ, მაშინ, მთავრობის სახლში ცხარედ ვეკამათებოდი ზვიადს.

ეჰ, ზვიად! უცნაური საუბარი გვქონდა, უაზრო. კიტოვანი კი ჰაუბიცით ტყვიებს გვახლიდა. ზვიად, სადა ხარ... არავინ იცის, სად არის შენი საფლავი...

რამდენიმე წლით ადრე გარდაცვლილი მერაბ კოსტავას სახლისკენ მიმავალი გზა შეიარაღებულ ბანდიტებს ჰქონდათ გადაკეტილი: „არ შეიძლება, იქ ახლა ზვიადია", — გვითხრა მილიციელმა. როგორც იქნა, ეზოში შევედით. ჩვენსკენ ზვიადი მოდიოდა. ფეხდაფეხ მშვენიერი მანანა მოჰყვებოდა. უკან მოსდევდა ამალა: თენგიზ კიტოვანი, ვაჟა ადამია, გიორგი ხოშტარია, თენგიზ სიგუა. გვინდოდა მივსალმებოდით, მაგრამ ველარ შევბედეთ.

სუფრასთან მიგვიწვიეს. ზვიადი თამადობდა... მის გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა. ყოველთვის მაოცებდა კავკასიური ენების საოცარი კაზმულსიტყვაობა. მონანავე მახვილი, რთული ფონეტიკური პარტიტურა გაგრძნობინებს, რომ



მეტყველება თავად ბუნების ღვთაებრივი ნობათია.

...როდესაც ზვიადი 12 წლისა იყო, მამამისმა კონსტანტინე გამსახურდიამ, თავის კოლხურ კოშკში მიიპატიჟა მაშინდელი ცკ-ის ხელმძღვანელობა. საღამო ხანს, სხვათაშორის უკითხავს, ხომ არ შეიძლება ხელი შევუწყოთ, რომ ზვიადი თავის დროზე საქართველოს პატრიარქად ვაკურთხოთო. პარტიული მუშაკები გაოცებულან, — მოზარდის პატრიარქობაზე ლაპარაკი ნაადრევიაო. მეექვსეკლასელ ზვიადს უთქვამს, — ქრისტე როდესაც დაიბადა, იგი უკვე ჩვენი მაცხოვარი იყოო.

*ევგენი კრუტიკოვი*

# ოსების მორიგი „საკენკი"

ე. წ. სამხრეთ ოსეთში პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების განზრახვასთან დაკავშირებით, რუსეთის, საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის პოლიტიკურ წრეებში გამოწვეული ნეგატიური რეაქციის გამო, თვითმარქვია რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ მმართველობის ახალ პოლიტიკურ ფორმაზე გადასვლა გამოწვეულია ერთადერთი მოსაზრებით — დაიხვეწოს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების სტრუქტურა და იგი შესაბამისობაში მოვიდეს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიმართულებებთან, რაც, არამც და არამც არ უკავშირდება სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობის საქმიანობის საგარეო-პოლიტიკურ ასპექტებს. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭო სრული პასუხისმგებლობით ადასტურებს თავის მისწრაფებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ და არ გადაუხვევს ვლადიკავკაზის შეხვედრაზე მიღებულ მემორანდუმის პრინციპებიდან. სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ მმართველობის სისტემის სრულყოფის მიზნით გადადგმული ნაბიჯები (ე. ი. პრეზიდენტის პოსტის შემოღება — რედ.) მხარდაჭერას ჰპოვებს რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლებაში, — ნათქვამია განცხადებაში.

ამ განცხადების კომენტირებისას, რომელიც სრულიად გადასცა რადიო „დოიჩე ველემ", მიმომხილველმა მას საქართველოს ხელისუფლებისთვის დაყრილი მორიგი „საკენკი" უწოდა და *იმედი გამოთქვა, რომ მსგავს „პოლიტიკურ ულუფას" საქართველო აღარ მიირთმევსო.*

# საგვარეულო ბიზნესი — წერეთელი დიდებულია

## (აღარც შემოქმედი უნდა „კავკასიური ნაციონალიზმისა" მოსკოვს...)



რკინის ჭიშკრის სათვალთვალო გაიჩხაკუნა... დაბარებულები ვართ, — ვუთხარით მცველს და შეგვიშვეს. რამდენიმე კაცის თანხლებით გავიარეთ ეზო, აქ მზის ქვეშ დგანან ქანდაკებები, ათასობით, ასობით ვარიანტებში, ფრაგმენტები, სეგმენტები, ნაწილები და მთლიანები, სიუხვეა და ნაზღვლევი...

სახლსუკან ქანდაკებების მუზეუმია ღია ცის ქვეშ, თვალს გვჭრის მოკიაფე მოზაიკა, პატივისცემას იწვევს მშვენიერი მასტიფი და ვოლიერში კიდევ სხვა შვიდი დიდი ძაღლი. ამათ ღამღამობით უშვებენ და აქაურობას დარაჯობენ.

ზურაბ წერეთელი სახელოსნოში მუშაობდა. იდგა მოლბერტთან ფუნჯით ხელში და დამთვალიერებლებს ესაუბრებოდა, მოგვესალმა და თანაშემწე გამოგვაყოლა მამულის დასათვალიერებლად. მეტრმა გრძელვადიანი იჯარით მიიღო ბოლშაია გრუზინსკაიაზე გფრ-ის საელჩოს ყოფილი შენობა. სანაცვლოდ, რუსეთის წარმომადგენლობას თავისი სახლი დაუთმო თბილისში. ოდესღაც ამ კერძო ბინის ადგილას ქართველი მეფის რეზიდენცია იყო...

სიტყვამ მოიტანა და .. წერეთელს თბილისში ერთი ძალზე ცნობილი სახლი აქვს, ბაგებში. ვინ არ ახსოვს აქაურობას, მარგარეთ თეთჩერი და ადრიანო ჩელენტანო, დედა ტერეზა და ედუარდ შევარდნაძე.

ვისაც მარინა· ვლადის „ვლადიმერი ანუ შეწყვეტილი გაფრენა" წაუკითხავს, ალბათ, ახსოვს ვლადისა და ვისოცკის საუცხოო ქორწილი, ერთი ქართველი არქიტექტორის სახლში.

ვლადის შემთხვევით სირჩა გაუტყდა და .. დიდბუნებოვანმა მასპინძელმა, უხერხულობა არ იგრძნოსო — სუფრიდან მთელი ჭურჭელი ძირს გადმოანარცხა. ის „ერთი ქართველი არქიტექტორი" ზურაბ წერეთელი გახლდათ. ჭურჭელი — საგვარეულო სერვიზი.

საზეიმო ოთახებს კაშკაშ-ლაპლაპი გააქვთ. ფართო სასადილო ოთახში სუფრა ყოველთვის საპარადო ჭურჭლით არის გაწყობილი, ბუხართან მყუდროდ განლაგებულან სავარძლები, სტუმრების მიღება ყოველ წუთში შეიძლება. როგორც გავიგეთ, სწორედ აქ მიიღო ჩერნომირდინმა ბუტროს ღალი... ქლინთონი და ლაიზა მინელი, გორბაჩოვი და ჯეიმს ბეიკერი, პერეს დე კუელიარი — ყველა ნამყოფია აქ გამოფენილი ფოტოები კი თავად აქაურობის ბატონ-პატრონის გადაღებულია პიკასოსთან, შაგალთან, ბუშთან, სიკეიროსთან ერთად.

წერეთელი შესაშური ორგანიზატორია. მისი მიზანია, ყველას აამოს. მაგრამ საიდან ამდენი ფული, ყველას რომ აამო? ამაზე ზურაბ წერეთელი ამბობს, რომ მისი ნამუშევრები გაიყიდა ამერიკაში 20 ათას დოლარად და ეს თანხა მან უყოყმანოდ გადასცა მაცხოვრის ტაძრის მშენებლობის ფონდს, იქვე დასძენს, — პოკლონაიას მთაზე დადგმულ მონოლითებისთვის სახელმწიფოს ჯერ მასთან ანგარიში არც გაუსწორებია.

ბევრ თავის ნალვაწს წერეთელი უბრალოდ, საჩუქრად გადასცემს, მაგალითად, იმავე ნიუ-იორკს. და თუ მისი ქანდაკებები დგას ნიუ-იორკში, პარიზსა და ლონდონში, რატომ არ უნდა დაიდგას იგი მოსკოვში? ჰოდა, იდგმება!

ექსპერტთა აზრით, წერეთელი არ არის ევროპელი მხატვარი, თუმცა კი სულ აქეთკენ ილტვის. იგი ფოლკლორული მხატვარია, მუშაობის ხალხური, სოფლური კულტურის ლოგიკით: ასე სოფლის დურგალი გამოაშალაშინებს ცხენის ერთნაირ ფიგურებს მეზობლების სახლებზე, თანაც იამაყებს თავისი ოსტატობით.

ზურაბ წერეთლისათვის მონუმენტური ხელოვნება — ეს ქართულ სტუმართმოყვრულ სუფრასთან მიახლოებული მასშტაბის დიდი ხელოვნებაა. მასალაც ბევრი იხარჯება, ფულიც და სულ ერთია: საშაქრე იქნება თუ საწერი მოწყობილობა, გამოდის უზარმაზარი და მასშტაბური.

თუმცა, სახელმწიფომ მხატვარს არავინ და არასოდეს რაცხდა გენიოსად. ხელოვნების ისტორიაში ასეთი ურთიერთდამთხვევა ძალზე იშვიათია.

*ოგონიოკი*



## ახალი ვერსია

კარგა ხანია იკვლევენ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ მეორისა და მისი ახლობლების დახვრეტის მიზეზებს. მილუოკელმა პროფესორმა მილოშ ვნუკიმ და ჩიკაგოელმა მხატვარმა მიხაილ სმორჩევსკიმ სენსაციური დასკვნა გააკეთეს. მათი აზრით, მეფის ოჯახის დახვრეტის შესახებ ბრძანება ეკატერინბურგში ინგლისის დაზვერვის — „ინთელიჯენს სერვისის" მიერ იყო ინსპირირებული; არსებობს დოკუმენტი, რომელსაც ხელს არ აწერენ არც ლენინი, არც სვერდლოვი. ყოველივე ეს ერთი საქმისთვის იყო გამიზნული: ბრიტანეთის სეიფიდან როგორმე არ გასულიყო 600 ტ ოქრო, რომელიც რუსეთის უკანასკნელ იმპერატორს ეკუთვნოდა.

## ესტონეთი ყოველთვის მხარს უჭერდა ჩეჩნეთს

**ესტონეთი ერთადერთი ქვეყანაა,** რომელმაც პარლამენტის დონეზე მხარი დაუჭირა ტერორიზმს. ესტონეთის პარლამენტარებმა მიუსამძიმრეს ჩეჩნეთს ჯოჰარ დუდაევის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამ განცხადებას ხელი მოაწერა ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა, გარდა რუსებისა. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რეაქცია: ტალინმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი რუსოფობია, როცა ტერორისტების მხარდაჭერის გზა ამოირჩიაო.

## ყოველდღე უმღერიან ბელადს

თურქმენეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ დაამტკიცა ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის ჰიმნი. ტექსტისა და მუსიკის შექმნაზე კარის პოეტთა და კომპოზიტორთა დიდი ჯგუფი მუშაობდა, მაგრამ როგორც ტექსტის, ასევე მუსიკის ჭეშმარიტ ავტორად თურქმენბაშ საფარმურატ ნიაზოვს ასახელებენ. საინფორმაციო საშუალებები ახალ ჰიმნს გენიალურს უწოდებენ. ახალ ტექსტში შევიდა ადგილები „წმინდა ფიციდან". ამ ფიცს სამშობლოსა და პრეზიდენტის წინაშე ყოველდღე იმეორებენ მოსწავლეები და სტუდენტები, ამ ფიცით იწყება ყველა ოფიციალური ღონისძიება, რადიო-ტელეგადაცემები. ჰიმნში ნათქვამია, — ვინც თურქმენეთს და მის პრეზიდენტს უღალატოს, თვალები დაევსოსო.



## პრიმაკოვი დსთ-დან იწყებს

*საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი პრიმაკოვის გამოსვლიდან:*

— ჩემს დანიშვნას განვიხილავ, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიურობის გაძლიერების აუცილებლობას რუსეთის ნაციონალური სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად.

რუსეთი, შინაგან სიძნელეთა მიუხედავად, იყო და იქნება უდიდესი სახელმწიფო და მისი პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს ამ სტატუსს. ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოფილ პარტნიორებს „ცივ ომში", მაგრამ გამოვდივართ რა თანაბარუფლებიანობის აუცილებლობიდან, — ეს განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, უნდა დავამყაროთ ურთიერთხელსაყრელი, ერთმანეთის ინტერესების დამცველი ურთიერთობა.

## ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის განცხადება

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტმა ა. გალაზოვმა იტარ-ტასის კორესპონდენტს განუცხადა: არ შეიძლება ამიერკავკასიის დაყოფა ჩრდილოკავკასიად და ამიერკავკასიად. იგი ყოველთვის აღიქმებოდა, როგორც ერთიანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცე. აუცილებელია აღდგეს ის, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა, ეს სასიკეთო გავლენას მოახდენს მრავალეროვანი რეგიონის ყველა ხალხზე.

ყველაზე „ცხელ წერტილად" კავკასიაში ახლა ჩეჩნეთი ითვლება. ამ რესპუბლიკის ხალხი ამჟამად საშინელ ტრაგედიას განიცდის, მაგრამ მე ვთვლი, რომ ჩეჩნეთის პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია კავკასიის სხვა პრობლემებისაგან განცალკევებით. ჩეჩნეთი — ეს, შესაძლოა, უდიდესი, მაგრამ მხოლოდ რგოლია საბჭოთა კავშირის დაშლის საერთო ჯაჭვში. დაშლამ ყველაზე მტკივნეულად კავკასიაზე იმოქმედა. სწორედ აქ მომხდარმა ტრაგედიებმა უამრავი უბედურება მოუტანეს ჩვენს ხალხს. ჩეჩნეთამდე ხომ ყარაბალი, სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი იყო. ვფიქრობ, ის პრობლემები, რომლებიც ამჟამად ჩეჩნეთის რესპუბლიკაშია, მთელ კავკასიას შეეხება. ესაა, კერძოდ, ლტოლვილთა პრობლემები, უკანონო ფორმირებათა განიარაღება, განწყვეტილი ეკონომიკური და კულტურული კავშირების აღდგენა რეგიონში.

რუსეთის სახემწიფოს მეთაურმა მხარი დაუჭირა ჩემს ინიციატივას, ვლადიკავკაზში საერთო კავკასიური შეხვედრის შესახებ და სათანადო ზომებიც მიიღო. დარწმუნებული 'ვარ, სახელმწიფოთა მეთაურებისა და პოლიტიკური ლიდერების მონდომებითა და დაინტერესებით, შეხვედრა, შესაძლოა, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა და რუსეთის სამხრეთის ყველა რეგიონის უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის დასაწყისი გახდეს.

ა. გალაზოვი მოსკოვს გაემგზავრა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა ლიდერების, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონების ხელმძღვანელთა შეხვედრის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე. შეხვედრის ჩა-ტარება დაგეგმილია 1996 წლის მაისში და მასში პრეზიდენტი ბორის ელცინიც მიიღებს მონაწილეობას.

## ბელორუსის რესპუბლიკა თანდათანობით ბელორუსის სსრ ხდება



ბელორუსის უმაღლესმა საბჭომ აღადგინა ბელორუსის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისდროინდელი სიმბოლიკა — თეთრორნამენტიანი წითელ-მწვანე დროშა, რესპუბლიკის კონტურების მქონე ხორბლის თავთავით გარშემორტყმული გერბით.

## სხვა გზა არა აქვთ

ეს აზრი გამოიკვეთა პოლიტიკურ ექსპერტთა და დამკვირვებელთა მხრიდან ბრიუსელში სომხეთისა და აზერბაიჯანის შეხვედრის დროს, როდესაც მათ ამ ეტაპზე, შერიგების მიზნით, ხელი მოაწერეს ურთიერთთანამშრომლობის დეკლარაციას. ეს არის ერთ-ერთი გზა, მათ შორის, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მშვიდობიანად მოწესრიგებისათვის.

## კაზაკები წინააღმდეგნი არიან

თერგის კაზაკთა დაჯგუფების ატამანებმა რუსეთის ხელმძღვანელობას მოსთხოვეს, სასწრაფოდ შეწყვიტონ ჩეჩნეთიდან ჯარის გამოყვანა, განაიარაღონ ბანდები და მოსახლეობა.

კაზაკების განცხადებაში განსაკუთრებითაა აღნიშნული, რომ ჩეჩნეთში ომის ამ სახით შეწყვეტამ კარი გაუღო ფართომასშტაბიან ომს ჩრდილოეთ კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. ატამანები ტრაგიკულად აფასებენ ხასავიურტში (დაღესტანი) ხელმოწერილ საბუთს რუსეთსა და ჩეჩნეთს შორის ურთიერთობის შესახებ. მათი აზრით, ეს ხელშეკრულება რუსი ხალხისა და კაზაკების სრულ განადგურებას ნიშნავს. კაზაკები, აგრეთვე, ითხოვენ, შეუწყვიტონ ჩეჩნეთს ყოველგვარი დახმარება.

## პრეზიდენტმა უკმაყოფილება არ შეიმჩნია

ახალი წლის დღეები ხელშეუხებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს მეთაურისთვის. სწორედ, ამით ხსნიან მისი მოხელეები იმას, რომ მუქარის მიუხედავად, ახალი წლის დამდეგს, ელცინს არავინ მოუხსნია და არც არავინ გადაუყენებია. თუმცა, საამისო მიზეზები აქვს. რუსეთის სამინისტროებისა და უწყებების უმეტესობის საქმიანობა, რბილად რომ ვთქვათ, 1996 წელს არადამაკმაყოფილებელი იყო. ერთიც არის, რომ ყველაზე მოულოდნელი მოხსნა თუ დანიშვნა, ალბათ, დიდ გავლენას ვერ მოახდენს მინისტრთა კაბინეტის მუშაობის შედეგებზე. ცხადია, ასეთ სიტუაციაში რეფორმების ჩასატარებლად პრემიერს დასჭირდება არა მარტო მისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური მოქნილობა, არამედ ჭეშმარიტი სურვილი, რაიმეს მართლა შეცვლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი იმედის მიუხედავად, 1997-იც ისევე ულიმღამოდ დამთავრდება, როგორც შარშანდელი.

## პრეზიდენტი რომ გავხდე, რა საჭიროა 2000 წელს დაველოდო? ბოლოს იცინის ის, ვინც ისვრის პირველი — ლებედი.



ვაპირებ აღვძრა საქმე ჩეჩნეთში შეიარაღებული კონფლიქტის ფაქტის გამო. ობიექტურად უნდა გაირკვეს, ვინ არის დამნაშავე.

არმიაში გენერლები უნდა დარჩნენ. გენერალ-პოლკოვნიკებმა კი ითევზაონ, მარწყვი მოიყვანონ, მაშინ არც ასეთი ომები გვექნება და არც ასეთი არმია გვეყოლება.

ბელორუსში ფაშიზმი არ არის. ლუკაშენკო საქმიანი, სერიოზული, ენერგიული კაცია, მომწონს ასეთი ადამიანები.

ასტროლოგიაში მაინცდამაინც ვერ ვერკვევი, ამბობენ, რომ ვეფხვის წელს დაბადებული ვერძი ვარ. არ ვიცი, ეს ვეფხვისკუდიანი ცხვარია, თუ რქიანი ვეფხვი.

**P.S. და ამის შემდეგ ჩვენ იმის მომსწრენი გავხდით, ტელევიზორის ეკრანიდან როგორ მოხსნეს ლებედი**



## ინგუშეთის პრეზიდენტი მეზობლებს ადანაშაულებს

ინგუშ ლტოლვილთა პრობლემის გადაუწყვეტლობამ შეიძლება ნაზრანსა და ვლადიკავკაზს შორის კონფლიქტი გამოიწვიოს, — ამის შესახებ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა. მან ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფალნი დაადანაშაულა პრობლემის მოწესრიგების სურვილის უქონლობაში. აუშევის თქმით, ინგუშეთში დღეს 37 ათასი ადამიანი იმყოფება, რომელთაც არ შეუძლიათ ჩრდილოეთ ოსეთში დაბრუნება, ის ოჯახები კი, ვინც შესძლო ამის გაკეთება, ნამდვილ რეზერვაციებშია. ჩვენ მათ სისტემატურად ვეხმარებით, ფულით დაწყებული, მედიკამენტებით დამთავრებული, თუმცა, ამ პრობლემებს ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლება უნდა აწესრიგებდეს, — განაცხადა პრეზიდენტმა. ინგუშეთის ლიდერს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, რომ მეზობელი რესპუბლიკის გარკვეულ ძალებს სურთ, ნაზრანსა და ვლადიკავკაზს შორის ურთიერთობების დაძაბვა, რასაც, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს. აუშევის თქმით, ჩრდილოეთ ოსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს ხმა გაუვრცელებია, რომ ინგუშები იარაღდებიან და ჩეჩენ ბოევიკებთან ერთად სურთ, ჩრდილოეთ ოსეთს თავს დაესხანო. „ჩვენ ორმხრივი სპეციალური შემმოწმებელი კომისია შევქმენით, რათა ჩვენი მეზობლები დარწმუნდნენ მსგავსი განცხადებების აბსურდულობაში", — განაცხადა აუშევმა.

## ყარაბაღში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები

თვითმარქვია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. ეს ინსტიტუტი აქ შემოიღეს ორი წლის წინ, როცა პარლამენტმა ამ პოსტზე რობერტ ქოჩარიანი აირჩია. მანამდე იგი მთიანი ყარაბაღის თავდაცვის კომიტეტს ედგა სათავეში. მაშინ იმავდროულად განისაზღვრა არჩევნების წესები და ვადები. პრეზიდენტობის პოსტზე სამი პრეზიდენტი იყო: რობერტ ქოჩარიანი, დამოუკიდებელი კანდიდატი, პარლამენტის ყოფილი ვიცე-სპიკერი ბორის არუშანიანი და ადგილობრივი კომუნისტური პარტიის ლიდერი ჰრანტ მელქუმიანი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 77,6%-მა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობით, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა 42 წლის რობერტ ქოჩარიანმა, რომელსაც ხმა მისცა 86,1%-მა. სხვადასხვა ქვეყნის დამოუკიდებელი დამკვირვებლების — (რუსეთის, აშშ-ის, კანადის) აზრით, მთიანი ყარაბაღის საპრეზიდენტო არჩევნებმა აზერბაიჯანში მწვავე რეაქცია გამოიწვია. მიტინგებში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა მოქალაქემ. აზერბაიჯანის საზოგადოება ამ არჩევნებს აფასებს, როგორც საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგო უკანონო აქტს. ყარაბაღის სომეხი ლიდერების პოზიციას კი მიიჩნევენ ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების წინააღმდეგ მიმართულ აქტად.

როგორც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან ჰასანოვმა განაცხადა, ევროპის კავშირის 15-მა და მინსკის ეუთოს მონაწილე 9 ქვეყანამ მთიანი ყარაბაღის არჩევნები აღიარა არალეგიტიმურად და მისი შედეგები უკანონოდ მიიჩნია.

## ლ. კრავჩუკმა უკრაინიდან ჩემოდნით 30 მილიონი დოლარი გაიტანა



ივნისის ერთი დილა. ბავარიისა და უკრაინის გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა ერთად გაჩხრიკეს მიუნხენის ფირმა „ევროკონსულტი". გერმანიაში ისინი ეძებენ სამხილს უკრაინაში მომხდარ გიგანტურ კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით, რომელშიც ჩარეული აღმოჩნდა უკრაინის გემთმშენებელი კომპანია „ბლასკო" და უკრაინის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

ეჭვი, რომ ძველმა კომუნისტმა ლ. კრავჩუკმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, გაქურდა მძიმე მდგომარეობაში მყოფი საკუთარი ქვეყანა, დადასტურდა, როცა 62 წლის კრავჩუკი 1995 წელს ისრაელში ფულით სავსე ჩემოდნით ჩავიდა, — წერს ჟურნალი „ფოკუსი". ისრაელის აეროპორტის „ბენ გურიონის" მებაჟეებმა ყოფილი პრეზიდენტის ჩემოდანში 30 მილიონი ამერიკული დოლარი დაი-თვალეს. მებაჟეების შეკითხვაზე: ვისია ეს ფულიო, კრავჩუკმა კადნიერად უპასუხა: „ჩემი ფულია".

გერმანია-უკრაინის სამართალდამცავი ორგანოები ვარაუდობენ, რომ კრავჩუკმა ფულის ნაწილი გერმანიის გზით საიმედო ადგილას დააბინავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბორის ელცინი კვლავ პრეზიდენტია

რუსეთმა თავისი არჩევანი გააკეთა. ბორის ელცინი კვლავ პრეზიდენტია. მან ბოლო ომიც მოიგო. ეს მოვლენა, მთელი თავისი პარამეტრებით, საუკუნის უმნიშვნელოვანეს მოვლენას შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგრამ, უკვე დღეს, სიხარულთან ერთად ბევრს გარკვეული წუხილიც შემოსწოლია. მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ყოფილ მთავარ რესპუბლიკაში კომუნიზმს უძლიერესი, შეიძლება ითქვას, სასიკვდილო დარტყმა მიაყენეს, განსჯისა და ფიქრის საგანი ხდება, როგორ წარიმართება დემოკრატიისაკენ ქვეყნის სვლა.

## ყაზახეთი იცვლის... დედაქალაქს?

ყაზახეთის დედაქალაქი ახალ ადგილას გადასასვლელად ემზადება, პატარა ქალაქ აქმოლაში. ბრძანებულებას უკვე ხელი მოაწერა პრეზიდენტმა ნაზარბაევმა. ეს რთული ოპერაცია უახლოეს ოთხ წელიწადში უნდა განხორციელდეს. აკმოლინსკი-აქმოლის წინამორბედი ვარიანტი — 1830 წელს დააარსეს ციმბირელმა კაზაკებმა, როგორც ციხესიმაგრე. ხრუშჩოვის დროს ქალაქს ცელინოგრადი დაერქვა. იგი ჩრდილოეთ ყაზახეთში მდებარეობს და რუსებითაა დასახლებული. ბევრი, მათ შორის ალექსანდრე სოლჟენიცინი, დღემდე ამ რეგიონს რუსეთის ისტორიულ ნაწილად მიიჩნევს, რომელიც გაუმართლებლად აჩუქა სტალინმა ყაზახებს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც ნაზარბაევს უპერსპექტივო დავის შეწყვეტისათვის დედაქალაქი ჩრდილოეთ ყაზახეთში გადააქვს.

## ყირიმი მალე თურქების იქნება?

თურქეთში გამოსცეს გეოგრაფიული რუკა, რომელზეც ნახევარკუნძული თურქეთის ტერიტორიადაა მონიშნული.

ყირიმელები პანიკამ მოიცვა. დაწესებულებებში, ბაზრებში, სადღესასწაულო სუფრასთანაც კი ყველას ერთი საკითხი აღელვებს: შესძლებს რუსეთის შავი ზღვის ფლოტი (უკრაინის სუსტი ფლოტის იმედი არც არავის აქვს), წინ აღუდგეს იანიჩარებს? და თუ არა, მისცემენ ადგილობრივ მცხოვრებლებს თურქეთის მოქალაქეობას, თუ სჯობს, ყველაფერი მიჰყიდ-მოჰყიდონ და იქიდან აბარგდნენ.

— თურქეთი თავის უფლებებს 1794 წლის შეთანხმების გახსენებით აცხადებს, რომლის თანახმად, ყირიმი ან რუსეთს უნდა ეკუთვნოდეს, ან თურქეთს, — განუცხადა კორესპონდენტს შავი ზღვის ფლოტის ოფიცერმა, მე-3 რანგის კაპიტანმა ა. კრილოვმა, — თუ რუსეთი ნახევარკუნძულს დატოვებს, თურქეთს თეორიულად ექნება ყირიმზე პრეტენზიის უფლება.



## რა გითხრათ. რით გაგახაროთ?!

დიდი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისთვის სამხედრო საქმის დიდი პროფესიონალი, 9 აპრილის „რაინდი", იგორ როდიონოვი რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრია... მას „დიდი საგმირო საქმეები" ელის.

**რუსეთის დღევანდელმა მთავრობამ გადაწყვიტა მოხსნას იმპერატორ ელისაბედის რეკორდი... მაშინ რუსულმა არმიამ 10 წელი უხელფასოდ იმსახურა.**

## პრეზიდენტები შემთხვევით არ იღუპებიან

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის" კორესპონდენტი ესაუბრა რ. ფ. საბჭოს უშიშროების კომიტეტის წევრს ვ. ფატეევს



*— იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკური არენიდან დუდაევის წასვლის შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, კვლავ დგას საკითხი — მისი სიკვდილი მისტიფიკაციაა თუ რეალობა?*

— ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა ჯოჰარ დუდაევისთვის მისი არსებობის მთავარი დედააზრი იყო, ამ იდეაში ყველაფერი იყო თავმოყრილი — მოპარული ბავშვობა, ცხოვრება სხვის მიწაზე, ბრძოლა არსებობისათვის და მისი პირადი ამბიციები. ისე რომ, სიკვდილის მისტიფიკაციას მისი მონაწილეობით გამოვრიცხავ.

*— შეიძლება მისი სიკვდილი შემთხვევითი ყოფილიყო?*

— შეიძლება, — ომი ომია, მაგრამ ხელმძღვანელები და პრეზიდენტები შემთხვევით არ იღუპებიან.

*— თუ დუდაევის სიკვდილი შემთხვევითი არ არის, ვის სჭირდებოდა ეს?*

— მისი სიკვდილი ხელისუფლების იმ სტრუქტურების მიზანდასახული მუშაობის შედეგი იყო, ვინც ფიქრობდა, რომ დუდაევი მხოლოდ ჩეჩნეთის სუვერენიტეტის იდეის მატარებელი იყო, სინამდვილეში, იგი წინააღმდეგობის გაწევის ფაქტობრივი ორგანიზატორი იყო. სამხედრო თვალსაზრისით წინააღმდეგობის გამწევ ძალთა მთავარსარდლის სიკვდილი სერიოზული წარმატება და გამარჯვებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ჩეჩნეთში სამხედრო გამარჯვება — აბსურდია. ამრიგად, ის, ვინც დუდაევის ფიზიკურ განადგურებას ჩეჩნეთში მშვიდობის დამყარებას უკავშირებდა, ძლიერ შეცდა. ამავე დროს მათ, ვისაც ხელს არ აძლევს ჩეჩნეთის ომის შეწყვეტა, ისიც გათვალეს, რომ ელცინისათვის არჩევნებში გამარჯვების აუცილებელი პირობა ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედების შეწყვეტაა და წინ აღუდგნენ მას. დუდაევსაც სურდა ოფიციალური ხელშეკრულებით განემტკიცებინა თავისი ხუთწლიანი ბრძოლის შედეგები 16 ივნისამდე, რადგან მომავალ არჩევნებამდე ელცინთან მოლაპარაკება გაცილებით ადვილი იქნებოდა, ვიდრე საარჩევნო ბრძოლამოგებულ ელცინთან.

**გავწყდებით, მაგრამ რუსებს ნესვში ჩავაყოფინებთ ცხვირს — მასხადოვი.**

## ელცინმა უთხრა კორჟაკოვს — პოლიტიკაში ნუ ერევიო

რუსეთის პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის შეფის ა. კორჟაკოვის განცხადებამ 16 ივნისს არჩევნების ჩატარება მიზანშეწონილი არ არისო, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პოლიტიკურ მოღვაწეთა რეაქცია ფორმალურად, ერთსულოვნად ნეგატიური იყო. ოპოზიციის წარმომადგენლები აღშფოთებულნი არიან იმით, რომ მათი აზრით, მოქმედ ხელისუფლებას სურს ხელიდან გამოგლიჯოს ნანატრი გამარჯვება. ზ-მა ჟირინოვსკიმ სააგენტო „ინტერფაქსს" განუცხადა, — ა. კორჟაკოვის ნათქვამი ცხადყოფს, რომ ქვეყნის ხელისუფალთ ესმით, — ისინი აგებენ. გ. ზიუგანოვმა განაცხადა, — არჩევნების გადადება კონსტიტუციის უხეში დარღვევა იქნება და მოითხოვა გარანტია, რომ არჩევნები 16 ივნისს ჩატარდება. „ტრუდოვაია როსიას" ლიდერის ვ. ანპილოვის აზრით, არჩევნების გადადება სამოქალაქო ომს გამოიწვევს. ელცინის საზოგადოებრივი მოძრაობის თავმჯდომარემ, ს. ფილატოვმა გაკვირვება გამოთქვა კორჟაკოვის განცხადების გამო, — ასეთი განცხადება უადგილოა, როცა ბორის ელცინის რეიტინგი იზრდებაო, — თქვა მან.

პრეზიდენტმა ელცინმა კი განაცხადა, — კორჟაკოვს ვუთხარი, პოლიტიკაში ნუ მიძვრები და ასეთ განცხადებებს თავი დაანებე-მეთქი.

## გავლილმა წელმა ოპოზიცია ვერაფრით გაახარა



*წარსულს ჩაბარდა 1996 წელი, რომელმაც ბევრ ჩვენგანს იმედი არ გაუმართლა.* ეს სიტყვები ამოღებულია მისალოცი ბარათიდან, რომელიც თავის მომხრეებს გაუგზავნეს რუსეთის სახალხო-პატრიოტული კავშირის ლიდერებმა გენადი ზიუგანოვმა და ნიკოლაი რიჟკოვმა. იგი ნათლად ადასტურებს შეურიგებელი ოპოზიციის ბელადებისა და მათი მომხრეების არც თუ იმედიან საახალწლო განწყობას.

1996 წელი გენადი ზიუგანოვისა და მისი მომხრეებისათვის კარგად დაიწყო. პარტიამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო, ზიუგანოვს რუსეთის პრეზიდენტად გახდომის შანსიც საკმაოდ მაღალი ჰქონდა, იმდენად მაღალი, რომ მისი მოწინააღმდეგენი მიჩუმდნენ და რუკის წვრილად შესწავლას შეუდგნენ.

თუმცა, ზიუგანოვისთვის არც წლის დამლევი იყო მაინცდამაინც ცუდი. რფკპ-ს ლიდერი იმ მსხვილ საპარლამენტო ფრაქციას თავკაცობს, რომელიც სახელმწიფო დუმას აკონტროლებს. მაგრამ გასულ მშვენიერ იანვარსა და გასაძლის დეკემბერს შორის იყო კიდევ 10 თვე, რომელმაც გენადი ზიუგანოვს დიდი სიხარული ვერ მოუტანა — საპრეზიდენტო არჩევნები წააგო. თუმცა, კი, სჯეროდა, რომ აუცილებლად პრეზიდენტი გახდებოდა და საამისო საბუთიც ჰქონდა. რატომ ვერ გახდა პრეზიდენტი, დღემდე ამოუცნობია. რა თქმა უნდა, მრავალი ვერსია არსებობს და ყველა მათგანს თავისი გამართლება აქვს, ისიც ცნობილია, რომ ბორის ელცინის გუნდი არჩევნების შესახებ კანონის მუხლებს თავის სასარგებლო ახსნა-განმარტებას აძლევდა და საარჩევნო სალაროში ზიუგანოვის ერთ რუბლზე ელცინის რამდენიმე დოლარი მოდიოდა. მაგრამ მუშებმა, რომლებსაც თვეების განმავლობაში არ მიუღიათ ხელფასი, ისევე, როგორც მათხოვრულ ხელფასზე მცხოვრებმა ექიმებმა, მასწავლებლებმა, საზოგადოების სხვა ფენების წარმომადგენლებმა ბორის ელცინს მისცეს ხმა.

## მალე შიმშილით ამოწყდებით, ქართველები ფორთხვით მოხვალთ



„დროება XX საუკუნის" ინტერვიუ რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიის თავმჯდომარესთან, ვლადიმერ ჟირინოვსკისთან.

„თქვენი შევარდნაძე რუსეთს ბრალს სდებს ქართველების წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის წარმოებაში. სრული ინფორმაცია გვაქვს იმის თაობაზე, თუ რას წერს. საიდუმლო წერილებში დასავლელ პოლიტიკოსებს, ელცინს ძმობას ეფიცება და ამ დროს კი ქლინთონთან და კოლთან ჩივის მის ზურგს უკან, — მიშველეთ, რუსეთმა დამახრჩოო. ქართველმა დეპუტატებმაც ისტერიკა ატეხეს ევროსაბჭოს სხდომაზე. თქვენმა პოლიტიკოსებმა გაითვალისწინონ, რომ თუ ჭკვიანად არ იქნებიან, ის რაც დაგემართათ, მხოლოდ „ფოთლებია" — იაგოდკი ბუდუტ დალშე!

აფხაზები სეპარატისტები არ არიან, — მათ რუსეთის შემადგენლობაში უნდათ ყოფნა, სეპარატისტები თქვენ ხართ, რადგან ჩვენგან გაქცევა გინდოდათ. მთავრობა კი სავსეა იდიოტებით. გაუგებარია, რა პრეტენზიები გაქვთ ქართველებს? თუ თქვენ გამოეყავით რუსეთს, რატომ არ შეიძლება აფხაზეთი გამოგეყოთ თქვენ?

... საქართველო ისეთივე რუსეთია, როგორც აფხაზეთი, ყაზახეთი, ბელორუსები, ტაჯიკეთი, სეპარატისტები უნდა დაისაჯონ, თუმცა, თქვენ თავად დასაჯეთ საკუთარი თავი, გამოგვეყავით და ახლა ტირიხართ, ეს რა დაგვემართაო.

... რუსეთი ერთიანია და განუყოფელი, ოღონდ არ გეგონოთ, თქვენს დაპყრობას ვაპირებდეთ, თვითონ მოფორთხდებით ჩვენთან მუხლებზე, ბღავილით: უკან მიგვიღეთო...

## „ოთხთა კავშირი" გაიბზარა?

ყაზახეთის პრეზიდენტმა, ნურსულთან ნაზარბაევმა, უზბეკეთის პრეზიდენტს, ისლამ ქარიმოვს, კონფიდენციალური წერილი გაუგზავნა. მასში ნ. ნაზარბაევი უზბეკეთის პრეზიდენტს სთავაზობს, ხელახლა კრიტიკულად გადაისინჯოს „ოთხთა კავშირის" როლი და სტატუსი. როგორც ცნობილია, „ოთხთა კავშირი" წლეულს, გაზაფხულზე რუსეთის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მეთაურებმა შექმნეს. ამ ალიანსის მიზანშეწონილობის გამო, ეჭვს ნ. ნაზარბაევი ისეთი ფაქტორებით ამაგრებს, როგორიცაა ბ. ელცინის ავადმყოფობა, რუსეთში პოლიტიკური სიტუაციის ბუნდოვანება, ჯერჯერობით, გაურკვეველი ხასიათი იმ მოლაპარაკებებისა, რომელსაც რუსეთის წარმომადგენლები ბელორუსიაში აწარმოებენ. წერილში ნ. ნაზარბაევი, უზბეკეთის პრეზიდენტს სთავაზობს მეტი ყურადღება დაეთმოს ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის კავშირის განმტკიცებას.

## ვინ-ვის და, რისთვის იბრძვის ტაჯიკეთი

### მოსკოვი თუ ტაშკენტი

ცხადია, რომ ტაჯიკეთში პირველი სიტყვა რუსეთს ეკუთვნის, რომელიც თავის მოკავშირეს კრედიტებითა და სამხედრო დახმარებით ამარაგებს. ახლანდელი მთავრობა და პრეზიდენტი რახმანოვი ხელისუფლებაში მოსკოვისა და ტაშკენტის დახმარებით მოვიდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში ძალთა განლაგება მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეს შეიძლება ლაპარაკი ორ გეოპოლიტიკურ ღერძზე: დუშანბე-მოსკოვი-აშხაბადი-თეირანი და ტაშკენტის ოპოზიცია.

მოსკოვი ცდილობს, ტაჯიკეთის პრორუსული ხელმძღვანელობის შენარჩუნებას. ტაშკენტი დუშანბესა და ოპოზიციის მომხრეა, ამასთან, ტაშკენტს სურს, დუშანბეში უზბეკეთის მიმართ ლოიალური ხელისუფლება იყოს, რომელიც მის ინტერესებს გაითვალისწინებს. ყველაზე უარესი ვარიანტია — ტაჯიკეთის ავღანეთად ქცევა.

**კორჟაკოვმა გადაწყვიტა, არსებითი სახელი ვარ და არა ზედსართავიო და... მოხსნეს კიდეც.**

## ტერ-პეტროსიანი კონგრესის წინააღმდეგ

სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვა სრულიად სომხეთის კონგრესის — „მთიანი ყარაბაღის დასაცავად" მიმართ. კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის მეთაურმა, არამ სარქისიანმა განაცხადა, რომ ლ. ტერ-პეტროსიანი კონგრესის ჩატარებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს, მაშინ, როდესაც ყოველთა სომეხთა კათალიკოსისა და მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის პრეზიდენტის აზრით, ამ კონგრესის მოწვევა აუცილებელია. ვარაუდობენ, რომ ლ. ტერ-პეტროსიანს აშინებს, კონგრესისადმი აზერბაიჯანის, თურქეთისა და აშშ-ის უარყოფითი დამოკიდებულება, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო გაართულებს ყარაბაღის პრობლემის გადაჭრას.



# ბილ კლინთონმა არჩევნებში გაიმარჯვა — იგი კვლავ ამერიკის პრეზიდენტია.

## ტაივანელი ლიდერი — ბონაპარტობას აპირებს



ოპოზიციის ლიდერები მას დიქტატორობასა და მონარქიზმისაკენ გადახრაში ადანაშაულებენ. ერთმა ჟურნალისტმა მახვილგონივრულად შენიშნა: ინაუგურაცია უფრო კორონაციას ჰგავდაო.

ტაივანელები ათწლეულების განმავლობაში ჩან კაიშისა და მისი შვილის მმართველობის სტილს შეეჩვივნენ. ეს უკანასკნელნი უპირატესობას მუდამ კონტინენტიდან ჩამოსულებს ანიჭებდნენ და აი, ამჯერად თავისიანი ლი დენჰუეი რომ აირჩიეს, ფიქრობდნენ, პრეზიდენტი წინ წამოსწევს ახალგაზრდებსა და ნიჭიერებს, კორუფციას აღმოფხვრის და ბოლოს და ბოლოს, კეთილგონივრული პოლიტიკის ერა დადგებაო. ჯერჯერობით კი, პრეზიდენტი მათ მოლოდინს ვერ ამართლებს.

როგორ აპირებს პრეზიდენტი სამთა კავშირის, — გომინდანის, დიდი ბიზნესისა და განგსტერების — პრობლემის გადაწყვეტას? თავად პრეზიდენტი ჯერ რაიმე დარღვევაში არ შეუნიშნავთ, მაგრამ როცა განგსტერული ბანდის სულიერ მამას ასაფლავებდნენ, პრეზიდენტის ერთ-ერთმა თანაშემწემ გვირგვინი გააგზავნა, გომინდანის პარტიის რამდენიმე პარლამენტარმა კი სამძიმარიც მოიხადა.

რაც უფრო აყვავდება დემოკრატია, მით მეტი ფულია საჭირო, — ასე განსჯის ზოგი აქაური პოლიტიკოსი. ამ აზრს ყველა როდი იზიარებს. ლიბერალები ალმაცერად უცქერიან გომინდანის სიმდიდრეს: პარტია 4,5 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციას აკონტროლებს, მისი უძრავი ქონება 40 მილიარდ დოლარადაა შეფასებული.

ლი დენჰუეი თავს ხშირად ადარებს ბიბლიურ მოსეს, რომელმაც 21 მილიონი ტაივანელი აღთქმულ მიწამდე უნდა მიიყვანოს. აღთქმულ მიწაში ახალი ჩინური დემოკრატიული კულტურა იგულისხმება. მას ფრიად ამბიციური გეგმები აქვს, — კონფუციურ ეთიკას, რომელმაც არაერთხელ გამოავლინა საზოგადოების ეკონომიკური პოტენციალის ამაღლების უნარი, უნდა დაუკავშიროს დასავლური ლიბერალიზმი.

პეკინი შეშფოთებულია დემოკრატიის განვითარებითა და გომინდანის პრესტიჟის დაცემით ტაივანში. გომინდანი, ასე თუ ისე, კომუნისტების, ასე ვთქვათ, ძველი ნაცნობია, მით უმეტეს, რომ ორივე პარტია ლენინური სქემითაა შექმნილი, მათი ლიდერები მეგობრებიც კი იყვნენ.

## განქორწინების ფასია 20 მილიონი რენდი

იოჰანესბურგში დაიწყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ნელსონ მანდელას და მისი მეუღლის, ვინის განქორწინების პროცესი. ისინი 1958 წელს შეუღლდნენ. ერთად დიდხანს არ უცხოვრიათ. თავდაპირველად, ნელსონი რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლით იყო დაკავებული. მას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა აფრიკის ნაციონალურ კონგრესში. ციხეში 27 წელი დაჰყო. 1991 წელს მანდელა გაათავისუფლეს, მაგრამ ოჯახური ცხოვრება მაინც ვერ აეწყო. ვინი დიდი სკანდალების მონაწილე აღმოჩნდა. ბოლოს, მანდელამ გადაწყვიტა განქორწინება. სამი წელიწადი ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ, ასეთი დამოკიდებულება, ეტყობა, მობეზრდათ მეუღლეებს და სასამართლოს მიმართეს. 78 წლის პრეზიდენტისათვის განქორწინების პროცესი, არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა: ვინი ნელსონისაგან კომპენსაციის სახით 20 მილიონ რენდს (დაახლოებით 6 მილიონი დოლარი) და მანდელას წიგნისა და წერილების პუბლიკაციისათვის ჰონორარის პროცენტებს მოითხოვს. „მას შემდეგ, რაც ციხიდან გამოვედი, — ამბობს პრეზიდენტი მანდელა, — ჩემი მეუღლე ერთხელაც არ შემოსულა ჩვენს საწოლ ოთახში, მან შემარცხვინა სამხრეთ აფრიკელებთან და მთელ მსოფლიოში ყველაზე ეულ ადამიანად მაქცია". სხვათა შორის, მანდელა ცოლს უკვე გაშორდა. ამბობენ, ხელმეორედ დაქორწინებას აპირებსო.

## არაფატმა კლინთონს შესჩივლა...



იერუსალიმმა მორიგ ხრიკად ჩათვალა პალესტინის ლიდერის ამერიკის პრეზიდენტისადმი გაგზავნილი წერილი. იასირ არაფატმა ვაშინგტონს მოუწოდა, აიძულოს ისრაელი, ანგარიში გაუწიოს ორმხრივ შეთანხმებას. არაფატს მხოლოდ აშშ-ის იმედი აქვს. ისრაელის პრეს-მდივანმა რადიოინტერვიუში თავი შეიკავა, არაფატისთვის მაბეზღარა ეწოდებინა. როგორც ცნობილია, კონფლიქტის მიზეზია ის, რომ ისრაელს არ სურს ქებრონიდან თავისი ჯარების გაყვანა, სადაც 130 ათასი პალესტინელის გვერდით 400 ებრაული ოჯახი ცხოვრობს. როგორც ჩანს, ისრაელის მთავრობაში მემარჯვენეთა მოსვლამ დაასამარა ყველა შეთანხმება-მოლაპარაკება. თუმცა, ბიბი ნათანიაჰუმ არაერთხელ დაამტკიცა, რომ არც ისე წვიმს, როგორც ქუხს. სირიის, ეგვიპტისა და იორდანიის ლიდერებთან საიდუმლო თუ ოფიციალური მოლაპარაკებებიდან ჩანს, რომ ისრაელის პრემიერი მზად არის არაბებთან დიალოგისთვის, მხოლოდ ისრაელისთვის დასაშვებ პირობებში. 14 აგვისტოს, 6 თვის შესვენების შემდეგ, იერუსალიმში განახლდა ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკება სამოქალაქო საკითხებზე. როიტერის ცნობით, პალესტინის დელეგაცია უკმაყოფილო დარჩა, რადგან ისრაელის მხარემ უარი განაცხადა დასახლების მშენებლობის საკითხის განხილვაზე. როგორც წესი, ისრაელი ყოველთვის ანგარიშს უწევს უფროსი ძმის აზრს, რომელიც ყოველწლიურად იერუსალიმს 3 მილიარდ დოლარს ურიცხავს.

## ამაში ლოგიკა არის, მაგრამ ქალური

ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის გრუ ჰარლემ ბრუნდტლანდის მოულოდნელმა გადადგომამ მსოფლიო აალაპარაკა. თავისი გადაწყვეტილება პრემიერმა ქვეყნის პარლამენტის სხდომაზე გამოაცხადა და ისეთი რამ სთქვა, რამაც კიდევ უფრო გააოცა ნორვეგიელები. მან, რომელსაც უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ხელთ ეპყრა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სადავეები, განაცხადა, — ლიდერის შეცვლა იმის გარანტი იქნება, რომ ხალხი გაიაზრებს რეალურობას, რომელსაც ქვეყანა ეჯახებაო. უკანასკნელ ხანს ისე ჩანდა, თითქოს მთავრობის მეთაურს შესაშფოთებელი არაფერი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით ერთ ეპიზოდს, როცა ბრუნდტლანდმა თანამემამულეები გააფრთხილა, ინტიმურ კავშირს ნუ იქონიებთ იმიგრანტ-აფრიკელებთან, რომლებიც იმ ქვეყნებიდან არიან, სადაც შიდსი მძვინვარებსო. ამ განცხადებამ ფერადკანიანთა დიდი მღელვარება გამოიწვია, ისინი კი ქვეყანაში მრავლად არიან და საკმაოდ გავლენიანი ორგანიზაციები აქვთ. ქალბატონმა ბრუნდტლანდმა მეფეს, ქვეყნის მთავრობის მეთაურად, ნორვეგიის მუშათა პარტიის ლიდერი, ტურბიორნ იანგლანდის კანდიდატურა შესთავაზა.

## დედა ტერეზა: მშვიდად სიკვდილის საშუალება მომეცით



როგორი ცნობილიც უნდა იყოს, 86 წლის დედა ტერეზა მაინც ჩვეულებრივ ქალად რჩება. „მომეცით იმის საშუალება, რომ ისე მოვკვდე, როგორც ისინი კვდებიან, ვისაც ვემსახურები," — კიდევ და კიდევ უმეორებს ის თავის მკურნალ ექიმებს კალკუტის კლინიკაში „ვუდელენდზ". მისი სიცოცხლე სხვების სამსახურს მოხმარდა. დარჩა მხოლოდ რწმენა. მაგრამ განა კათოლიკური რწმენა სიკვდილის სურვილს გულისხმობს?

1979 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი დედა ტერეზა რამდენიმე ხნის წინ ისევ ჰოსპიტალში დააწვინეს — გულის შეტევების გამო. მისი 5 ექიმიდან ერთ-ერთი გამუდმებით დედა ტერეზას საწოლთანაა. ავადმყოფს უკვე ორჯერ გაუკეთეს ანგიოგრაფიული ანალიზი, რათა დაედგინათ როგორ გაეუმჯობესებინათ გულისთვის სისხლის მიწოდება. დედა ტერეზამ ილოცა და მერე მისცა ნება ექიმებს საჭირო პროცედურის ჩასატარებლად: სულ უკვირს რატომ მადგანან გამუდმებით თავზე ექიმები, განა იმათ, ვისაც მე ვეხმარებოდი, ჰქონდათ ამის საშუალებაო? დედა ტერეზას სიღარიბეში სურდა ცხოვრება, სიკვდილიც სიღარიბეში სურს. „მშვიდად ცხოვრების საშუალება მომეცით," — ითხოვს ის და სურს, შინ დაბრუნდეს, რომ ღმერთთან გაეშუროს. მისი საქციელი არ ეწინააღმდეგება ეკლესიის დოგმებს.

ყოველი სიცოცხლე ფასდაუდებელია, მაგრამ ცოდვად ითვლება იმის გახანგრძლივება, რასაც გარდაუვლად დასასრული უწერია. ქრისტიანისათვის ფიზიკური სიკვდილი საშინელება არ არის.

86 წლის დედა ტერეზას არასოდეს დაუჩივლია, რომ დაიღალა სხვების მოვლით. ახლა მას მთელ მსოფლიოში 3 ათასი მონაზონი ჰყავს, რომლებიც აგრძელებენ მის საქმეს, ის კი უკვე იმ ქვეყნისაკენ მიილტვის.

## ჩვენთან ასეთი ციხეებისთვის რიგში ჩადგებიან...

შვეიცარიაში, სიკვდილით დასჯა აკრძალულია, იქნებ იმიტომაც ეტანებიან ამ ქვეყანას ათასი ჯურის ბოროტმოქმედები. მათ კარგად იციან, რომ იქ ლიბერალური კანონებია. ადგილობრივი სტატისტიკის მიხედვით, შვეიცარიაში პატიმრების 80%-ი უცხოელია. ალპების რესპუბლიკაში „ჰუმანური" ციხეებიც ფუნქციონირებს საშიშ ბოროტმოქმედთათვის, მაგალითად, ვაულმილერმოოსში, აქ ყველაფერი იმგვარადაა მოწყობილი, ვერც წარმოიდგენთ, რომ ეს ციხეა. პირდაპირ საბავშვო ბაღი გეგონებათ, არავითარი სამეთვალყურეო კოშკები, უგისოსო ფანჯრები, ვერც ძაღლებს მოჰკრავთ თვალს. ისეთი სიჩუმეა, ეკლესია გეგონებათ. ციხის უფროსი კაპიტანი შტუდერი — პროფესიით აგრონომია, გარეგნობით კი მღვდელს ჰგავს. იგი ერთი იტალიელის საკანში შეგვიძღვა, საკანი სასტუმროს ნომერს ჰგავს: ტელევიზორით, რადიოთი, საწოლით, მაგიდითა და სკამებით. დერეფანში საერთო ტუალეტია. იქაურობა გაპრიალებულია. თითოეული პატიმარი ცალკე საკანში ზის. გაქცევას არავინ აპირებს. სულ 70-მდე პატიმარია. კონტინგენტის 30%-ი უცხოელია, 11 კაცი შემთხვევითი მკვლელობისათვის, 15 ძარცვისა და ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის, დანარჩენნი ქურდობისა და ხულიგნობისათვის იხდიან სასჯელს. სისტემატურად ღებულობენ გაზეთებსა და ჟურნალებს, მღვდელი ქადაგებას ატარებს. აქ დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომას: ჰყავთ დურგალი, წიგნის ამკინძველი, რგავენ ყვავილებს, მოჰყავთ ბოსტნეული, ამრავლებენ საქონელს. ციხე საკუთარი მეურნეობითა და შემოსავლით ირჩენს თავს. პატიმრები ხელფასსაც ღებულობენ. ისინი კვირაში 42 საათს მუშაობენ. შაბათ-კვირას ისვენებენ. დღეში პატიმარი 26 ფრანკს (დაახლოებით 17 დოლარი) იღებს, რომლის ნახევარი დახურულ ანგარიშზე გადაირიცხება. მეორე ნახევარს კი ყოველდღიური ხარჯისთვის იყენებს.

შტუდერის აზრით, აქ ადამიანს ეძლევა შანსი დარწმუნდეს, რომ ციხეში ყოფნისას იგი სულიერად განიწმინდება და შინ ნორმალურ მოქალაქედ დაბრუნდება. შვეიცარიელები გამომგონებელი ხალხია; ამას წინათ შეიქმნა ციხეების მშენებლობის პროექტი სხვა ქვეყნებისთვის, რომელსაც შვეიცარია დააფინანსებს. შვეიცარიაში დაპატიმრებულ დამნაშავეებს თავისი ქვეყნის ციხეში სვამენ. ციხე სწორედ შვეიცარული მოდელისა იქნება. ექსპერტების აზრით, სამშობლოში სასჯელის მოხდის შემდეგ, ყოფილი პატიმარი უფრო ადვილად დაამყარებს კონტაქტს საზოგადოებასთან, თან შვეიცარიის ციხეში უცხოელ პატიმართა რაოდენობა გაცილებით შემცირდება.

## კორსიკული სეპარატიზმი

პაულინ სალიმბიეუ-ვიტორის თავი ფრანგად არ მიაჩნია, — „მე კორსიკის მოქალაქე ვარ, ჩვენ განვსხვავდებით ფრანგებისგან ცხოვრების წესით და ღირებულებებითო", — ამბობს პროფესორი სალიმბიეუ-ვიტორი.

თავდაპირველად ის, როგორც სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, არწმუნებდა საფრანგეთის ხელისუფალთ, კორსიკისათვის ავტონომიის სტატუსი მიეცათ. დღეს კი, მეთაურობს მის მიერ დაარსებულ ქალთა მშვიდობისმოყვარე ჯგუფს. მათი მიზანია, ახალგაზრდებს შეაგნებინონ, რომ ჭეშმარიტ ნაციონალიზმს არაფერი აქვს საერთო ტერორიზმთან. კორსიკული ტერორიზმი კი, ყოველდღიურად ახსენებს თავს საფრანგეთს. გასულ კვირასაც, ბორდოში აფეთქდა პრემიერ ალან ჟუპეს ოფისი (პრემიერობამდე ჟუპე ბორდოს მერი იყო). „კორსიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა" აფეთქება თავის თავზე აიღო. მიზეზად კი ჟუპეს მიერ კორსიკელ პატრიოტთა მიმართ სიმკაცრე დაასახელა.

პრემიერ-მინისტრი ალან ჟუპე პრობლემის გადასაწყვეტად უპირველესად ტერორისტებთან დაუნდობელ ბრძოლას ვარაუდობს. მეორეა — ეკონომიკის გამოცოცხლება, კორსიკელი ბიზნესმენებისა და მეწარმეთათვის ხელსაყრელი, დაბალი გადასახადების შემოღება. კორსიკა საფრანგეთის ყველაზე სუბსიდირებული რეგიონია, ყოველწლიურად ბიუჯეტიდან 1,4 მილიარდი დოლარი ხმარდება. ოფიციალური პარიზის ბევრი მოწინააღმდეგის აზრით, ფულით კორსიკის პრობლემა არ მოგვარდება. ერთ-ერთი ექსპერტის, სიმეონის თქმით — „კორსიკელი ხალხი დაშინებულია ძალადობით, ამასთან, მათ გულში ღრმად ზის ნაციონალიზმი". ასე რომ, ძნელია პაულინ სალიმბიეუ-ვიტორის მსგავსთა რევოლუციონერად ქცევა, მაგრამ უფრო გაჭირდება მისი და მისთანების ფრანგებად გარდასახვა.

## ბენაზირ ბჰუტო — გადააყენეს



პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ბენაზირ ბჰუტოს აზრით, მის ოჯახს განადგურების საფრთხე ემუქრება, სწორედ იმ ძალთაგან, რომლებმაც გასულ თვეში, ყარაჩში, მოკლეს მისი უმცროსი ძმა მურთაზა ბჰუტო. „დარწმუნებული ვარ, ბჰუტოს ოჯახის წევრებზე თავდასხმა გაგრძელდება", — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ამასთან, ბენაზირ ბჰუტომ გამოთქვა რწმენა, რომ მიუხედავად პოლიტიკური კრიზისისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მისი ადმინისტრაცია ხელისუფლების სათავეში დარჩება 1998 წლის არჩევნებამდე. ბენაზირ ბჰუტოს იმედები არ გაუმართლდა, იგი გადააყენეს და როგორც შემდეგ გაირკვა, სამართლიანადაც, ქალბატონ ბჰუტოს თავად ჰქონია სისხლში გასვრილი ხელები...



**გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე აირჩიეს 49 წლის აფრიკელი კოფი ანანი. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გაეროს თავკაცი შავკანიანი პოლიტიკოსია.**

## შემდეგი გაჩერება – პარლამენტი?

საშობაოდ, ბრიტანეთის პრემიერმა, ჯონ მეიჯერმა დაუნინგ სტრიტზე ბრიტანელ ვარსკვლავებს მოუყარა თავი. ვის არ ნახავდით აქ — მომღერლებსა თუ პოეტებს, მხატვრებსა თუ პოლიტიკოსებს. ბრიტანეთის ყველაზე პოპულარული ჯგუფი „SPRICE GIRLS"-ი სოლისტით გერი ჰალივანით იყო წარმოდგენილი. ჯგუფი გასული წლის უცვლელი ლიდერი გახლავთ. ბოლო ხუთი თვე მათი სიმღერა „WANABEE" — მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოწყობილ ჰიტ-ალლუმებში უცვლელად პირველი ნომრით იყო.

გერი ჰალივანი მკაცრი, მუქი ფერის კაბითა და სქელლანჩიანი ფეხსაცმლით გამოცხადდა წვეულებაზე და უმალ მიიპყრო ყველას ყურადღება. თუმცა, მთავარი მოულოდნელობა ჯერ კიდევ წინ იყო. როდესაც ჯერი შობის მილოცვაზე მიდგა, ჰალივანმა მიულოცა დამსწრეთ დღესასწაული და განაცხადა, რომ ჯგუფის ხუთივე წევრი, 1997 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. „ჩვენ ბრიტანულ „მამაკაცურ" პარლამენტს ერთბაშად გავალამაზებთ", — თქვა მან.

## აშშ-ის დემოკრატი პრეზიდენტები

ისინი მიწიერი ცხოვრების დიდი მოტრფიალენი იყვნენ, რესპუბლიკელები მათთან ახლოსაც ვერ მივლენ.

იქნებ ჯორჯ ვაშინგტონი მართლაც იყო მექალთანე და მუსუსი, მაგრამ თომას ჯეფერსონს მთელი თავით რომ სჯობდა, ცხადია. ხოლო ორივე კენედის ფრჩხილადაც არ ღირდა. რა აბდაუბდააო, იტყვის მკითხველი, მართალი ბრძანდებით. ეს ბოდვა რეკლამაა უელსი ჰეიგუდის წიგნისა "პრეზიდენტთა სექსი", რომელიც მალე გამოვა.

გინდათ იცოდეთ, ვინ კოცნაობდა ოვალური კაბინეტის მრგვალ მაგიდაზე? მოგახსენებთ — პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი!

ხვანჯარშეხსნილი ვინ შეიმალა კარადაში? — ბატონი უორენ ჰარდინგი.

ჰეიგუდს თუ დავუჯერებთ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორს თომას ჯეფერსონს სალი ჰემინგსთან უთვალავი შვილი ჰყავდა, თავისი დაუძინებელი პოლიტიკური მტრის, ალექსანდრ ჰამილტონის რძალს ხელებს უცაცუნებდა და ხშირ-ხშირად აკითხავდა ულამაზესი დოლი მედისონის სარეცელს, ქმრის პრეზიდენტად გახდომაში დახმარების დაპირებით... სიტყვა არ გაუტეხია ჯენტლმენ ჯეფერსონს!

პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი თავისი მდივნების საძინებელ ოთახებს მალ-მალე მოინახულებდა ხოლმე, არ ავიწყდებოდა ერთდროულად მიალერსებოდა მარგარეტ ლიპერდსა და მეორე ცოლს — ლუსი მერსერ რეზერფორდს, თან გაზეთ „ნიუ-იორკ-პოსტის" გამომცემელ დოროთი შიფერის სიახლოვითაც ტკბებოდა, თხემით ტერფამდე არისტოკრატმა რუზველტმა კარგად იცოდა ნორვეგიელი პრინცესა მარტას ბაგეთა გემოც.

არც ქლინთონს ჰქონია მოკლე სია — რეპორტიორი დებორა მატისი, 1982 წლის „მის ამერიკა" ელიზაბეთ უორდი, მისი არკანზასის გუბერნატორობისდროინდელი პრეს-მდივანი სიუზი უორკერი, 1980 წლის „მის არკანზასი" ლენოლა სალივენი, ჯენიფერ ფლაუერსი, 1958 წლის „მის არკანზასი" სალი პერდიუ, როკ-ნროლის მოტრფიალე კონი ჰემზი, მეძავი ბობი ენ უილიამსი (ამტკიცებს, ბილისგან ბიჭი მყავსო), პოლა ჯონსი (მათი სასამართლო გრძელდება — ქალი ძალადობას აბრალებს პრეზიდენტს).

მეტად დახვეწილი გემოვნებისა და მრავალფეროვნების მოყვარული ყოფილა აშშ-ის მეთაური!

თუ ჰეიგუდის წიგნს ვენდობით, აშშ-ის დემოკრატი პრეზიდენტები უფრო სექსუალურნი ყოფილან, ვიდრე რესპუბლიკელები.

აფერუმ, დემოკრატებო!

## ისევ მუსოლინი

გარეგნობით ის სრულებით არ ჰგავს თავის დიდ პაპას. ბენიტო (დუჩე) მუსოლინის შვილიშვილი რაქელ მუსოლინი იმდენად მომხიბლავია, რომ დიდი შანსი აქვს გახდეს 1996 წლის მის იტალია. იგი 21 წლისაა, სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობს. რაქელი დარწმუნებულია, რომ სილამაზის კონკურსზე გამარჯვება გზას გაუხსნის ქვეყნის მაღალი საზოგადოებისაკენ.

ამის შემდგომ მომავალი სილამაზის დედოფალი აპირებს თავის დასთან — ალექსანდრა მუსოლინისთან ერთად, (რომელიც დღეს ძალზე პოპულარული პოლიტიკოსია იტალიაში) დიდ პოლიტიკაში ჩაერთოს.

## უნგრეთის იმპერიის გვირგვინი

უნგრეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჯილდო გადასცეს აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს ჯიმი კარტერს. მან პრეზიდენტობის დროს, 1977 წ. ბუდაპეშტს დაუბრუნა უნგრეთის მეფე იშტვანის გვირგვინი, რომელიც ეროვნულ რელიკვიად ითვლებოდა, რამდენადაც მეფე უნგრეთის სახელმწიფოებრიობის სიმბოლოა. გადმოცემით, იშტვანს გვირგვინი 1000 წელს (შობა დღეს) დაადგეს. 1944 წელს იგი ნაცისტებმა გაიტაცეს. შემდეგ ამერიკელებს ჩაუვარდათ და რამდენიმე ათეული წელი დაცული იყო ფორტ-ნოკსში (ამერიკის ხაზინის მთავარი საგანძური).

## ბინიამინ ნეთანიაჰუ ისრაელის პრემიერ-მინისტრი



მემარჯვენე პარტიის "ლიქუდის" ლიდერმა არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების 50,4% მიიღო. რადიკალური მსოფლმხედველობის მქონე ნეთანიაჰუ ეროვნული ერთობის მთავრობის ჩამოყალიბებას აპირებს. უპირატესობა ეროვნული და რელიგიური ბანაკების წარმომადგენლებს მიენიჭება. თუ პერესის პარტია "ლიქუდის" იდეოლოგიას გაიზიარებს, მომავალი პრემიერი მათ უსაქმოდ არ დასტოვებს. შიმონ პერესი კატეგორიულად გამორიცხავს თავის თავს ისრაელის ახალი მთავრობის შემადგენლობაში.



## იაპონიის ახალი ლიდერი

თავისი პოსტი დატოვა იაპონიის სახელმწიფოს მეთაურმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა **ტომიიტი მურაიამამ**. იგი წელიწადნახევარი ედგა სათავეში პოლიტიკურ მთავრობას. მურაიამამ აღიარა, რომ მთელი სულითა და გულით მართავდა 555 დღეს იმ ხომალდს, რომელსაც „ამომავალი მზის ქვეყანა" ერქვა. მან ახალი წლიდან ახალი გზის გაკვეთა მიანდო უფრო ახალგაზრდა კოლეგას, საგარეო ვაჭრობის მინისტრის რიუდარო ჰასიმოტოს. 58 წლის ჰასიმოტო ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეა (რაც ძალზე მნიშვნელოვანია). მან მაშინვე მიახვედრა ყველა, რომ მზად არის მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღოს. მალე პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე დადგინდება, — იქნება ჰასიმოტო პრემიერი თუ არა.

## შირაკი დამარცხდა...



ისრაელის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა საფრანგეთის პრეზიდენტს ჟაკ შირაკს პალესტინელებთან საუბრის საშუალება არ მისცეს, კიდევ ცოტა და... შირაკი მუშტი-კრივზე გადავიდოდა, — „ეს შეგნებული პროვოკაციაა", — ყვიროდა ფიცხი პრეზიდენტი ტელე-კამერის წინ და საფრანგეთში დაბრუნებით იმუქრებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ახალი ინციდენტი მოხდა. ისრაელის მიერ ანექსირებულ ძველ იერუსალიმში არსებულ წმინდა ანას ეკლესიაში (რომელიც საფრანგეთის კუთვნილებაა) შესვლაზე ჟაკ შირაკმა უარი განაცხადა მანამ, სანამ „საფრანგეთის ტერიტორიას" არ დატოვებდნენ ისრაელის ჯარისკაცები. დიდი ჭოჭმანის შემდეგ ჯარისკაცებმა დატოვეს იქაურობა. ჟაკ შირაკი არ ცხრებოდა. ისრაელის უშიშროების სამსახურის „უსაქციელობის" გამო პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ პატიება სთხოვა.

ჟაკ შირაკის ვიზიტი ისრაელში, რომელსაც მომრიგებლის მისია უნდა ჰქონოდა, წარუმატებლად დასრულდა. პრეზიდენტს სურდა, ევროპისათვის დაებრუნებინა ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო როლი, რაზეც ნეთანიაჰუმ უპასუხა, — შუამავლის ადგილი უკვე ამერიკელებს უჭირავთ და სამზარეულოში მეორე დიასახლისის ადგილი არ არისო.

საფრანგეთის პრეზიდენტი, თავდაპირველად, აღმოსავლეთ იერუსალიმში, პალესტინის სამართალდამცავთა შეკრებაზე აპირებდა გამოსვლას, რითაც შეურაცხყოფდა ისრაელის ქნესეთს. ისრაელელები აღშფოთდნენ. ბოლო წუთებში, მიუხედავად თელ-ავივის მძაფრი რეაქციისა, ჟაკ შირაკი მაინც ესტუმრა ისრაელის პარლამენტს. იგი ენერგიულად მოუწოდებდა პალესტინელებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად.

ისრაელელი პოლიტიკოსები არაბეთის მომხრე ფრანგ პრემიერს მტრულად შეხვდნენ. ჟაკ შირაკი ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკაში, ეტყობა, გენერალ დე გოლის ანდერძს შეასრულებს, — არაბებს დაუჭერს მხარეს.

## დუელიანტი ქალბატონები

აღმოსავლეთში ქალების როლი ისტორიულად ყოველთვის ძალიან მოკრძალებული იყო, დღეს კი სულ უფრო მეტი ქალი იკავებს ხელისუფლებაში უმაღლეს თანამდებობას. მათ ევროპულ ქვეყანაში კი არა, მაჰმადიანურ ბანგლადეშში ქვეყნის მართვის სადავეები უჭირავთ და დაძაბულობის მიზეზადაც იქცნენ. ორი წელიწადია ერთმანეთს ებრძვიან ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბეგუმ ჰალედა ზია და მისი ოპოზიციონერი ჰასინა ვაზედი. ქვეყანა თითქმის პარალიზებულია. ჰასინამ და მისმა მომხრეებმა მოსახლეობას 160 დღიანი გაფიცვებისკენ უბიძგეს, რამაც ქვეყანას 13 მილიარდი დოლარის ზარალი მიაყენა. ხალხის დასაშოშმინებლად საჭირო გახდა ჯარების გამოყვანა. ბანგლადეშში სამხედრო დიქტატურის დამხობის შემდეგ, სწრაფად ვითარდება — იგი წამყვანი ქვეყანაა საფეიქრო, მძიმე და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მრეწველობაში. სახელმწიფოში ყალიბდება დემოკრატიული ინსტიტუტები და ამ დროს ქვეყანა ორი პოლიტიკოსი ქალბატონის დაპირისპირების ასპარეზად იქცა. ჰალედა და ჰასინა გავლენიან პოლიტიკურ პარტიებს უდგანან სათავეში და მოსახლეობის მხარდაჭერითაც სარგებლობენ. თუმცა, ჰასინა ირწმუნება, რომ ამჟამინდელი პრემიერი ფალსიფიცირებული არჩევნებით არის ხელისუფლებაში მოსული და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს. ქვეყნის პრეზიდენტის, სალმან რაჰმანის ყოველი მცდელობა მოლაპარაკების მაგიდასთან დაესვა ორი ლედი, უშედეგო აღმოჩნდა.



**მადლენ ოლბრაიტი** — პრეზიდენტმა ქლინთონმა გაათავისუფლა გაეროში ამერიკის მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობიდან და აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშნა. ოლბრაიტი ამერიკის ისტორიაში პირველი ქალია, რომელმაც ეს პოსტი დაიკავა. წინა პოსტზე მის უკანასკნელ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ამერიკისათვის არასასურველმა გაეროს გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს ღალიმ, როგორც თვითონ აცხადებს, — დროებით თავი შეიკავა ამ პოსტზე თავისი კანდიდატურის მეორედ წამოყენებისაგან. მადლენ ოლბრაიტი სიამოვნებით შეხვდა ღალის ამ გადაწყვეტილებას.

## ჯიჰადი კრემლის კედლამდე მიაღწევს

ისლამური პარტიის „ჰაზბი ისლამიეს"-ს მებრძოლები (ყოფილი მოჯაჰედები) თალიბებს შეუერთდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, — სწორედ ავღანეთზე თავდასხმამ დაშალა საბჭოთა კავშირი 15 სახელმწიფოდ, ჩვენ აშშ-საც ვაქცევთ 50 ქვეყნად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ჯიჰადს მოსკოვში, კრემლის კედელთან დავასრულებთო.

ავღანეთის უკანასკნელმა მოვლენებმა — ქაბულის რეჟიმის დაცემამ და „თალიბანის" მიერ დედაქალაქის აღებამ ძალზე შეაშფოთა მოსკოვი. ტაჯიკეთისა თუ უზბეკეთის საზღვართან მისასვლელად თალიბებმა უსათუოდ უნდა გაიარონ ავღანეთის ჩრდილოეთის ის ნაწილი, რომელსაც გენერალი დუსთუმი აკონტროლებს. დუსთუმმა ჟურნალისტებს განუცხადა — არავითარ ომს არ ვაპირებთ. ყველა პრობლემა მოლაპარაკების გზით მოგვარდებაო: თუმცა, ადრე თალიბები ირწმუნებოდნენ, კომუნისტებთან (იგულისხმებოდა დუსთუმის წარსული) კავშირი შეუძლებელიაო. სიტუაცია ნამდვილად შეიცვალა. თალიბები იმასაც აღიარებენ, რომ 1992 წლის აპრილში კომუნისტური რეჟიმი ქაბულში სწორედ გენერალ დუსთუმის მეშვეობით დაამხეს. როგორც ჩანს, დუსთუმთან ომი დღეს საშიშია. ოპოზიციამ იცის, სულაც არ არის ერთი და იგივე ჩრდილოეთში გასვლა, აღმოსავლეთის სოფლების უომრად გავლა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ნებით უერთდებოდა თალიბებს. ჩრდილოეთ ავღანეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ტაჯიკები, უზბეკები და ხაზარები. ისინი თალიბების შემოსვლას თავდასხმად მიიჩნევენ და მოსალოდნელია, „თალიბანის" წინააღმდეგ მთელი ხალხი აღსდგეს.

## აი, პოლიტიკა... 1945-სა და 1996-ში

ისტორიკოსები გვამცნობენ, 1944 წელს, აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა რუზველტმა, დიდი ბრიტანეთის ელჩს ერთ-ერთი შეხვედრისას ხელსახოცზე დაუწერა: „სპარსეთის ნავთობი თქვენია, ხოლო ერაყისა და ქუვეითის ნავთობი ორივემ გავიყოთ, საუდის არაბეთისა — ჩვენია!" ერთი წლის შემდეგ ამერიკულ სამხედრო ხომალდზე რუზველტი შეხვდა საუდის არაბეთის მეფეს. ბრიტანეთი ას წელზე მეტს ბატონობდა სპარსეთის ყურეში. ხოლო საუდის არაბეთმა, ბედი ახალ იმპერიას — ამერიკას დაუკავშირა. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების წინააღმდეგ მიმართული ბოლოდროინდელი ტერორისტული აქტები ახალ აღმოსავლეთსა და კერძოდ, საუდის არაბეთში ცხადყოფს, რომ მათი მიზანია, ამ ადგილებიდან დიდი სახელმწიფოს გაგდება, რომლის ჩრდილი არაბულ სამყაროს ეფინება.

# ცისფერსისხლიანები

**ტაილანდი** — წლევანდელი წელი, 68 წლის მონარქის ბჰუმიბჰოლდ ადულიადეჯისთვის საიუბილეოა, იგი 50 წელია განაგებს ქვეყანას, მისი მმართველობა მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი მეფობის მაგალითია.

**დანია** — დედოფალი მარგარეთ II დედოფლის მოვალეობას მშვენივრად უთავსებს წიგნის გამფორმებლისა და მთარგმნელის პროფესიას. დედოფლის აზრით, სამეფო ოჯახს მეტი ძალაუფლება უნდა ჰქონდეს და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.



**იაპონია** — იმპერატორი აკიჰიტო ქვეყნის სიმბოლოა. ბოლო დროს, მისი შვილები, მას შემდეგ, რაც ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრეს, აქტიურად ებმებიან პოლიტიკაში და თვლიან, რომ სამეფო ოჯახის უპირველესი დანიშნულება, ქვეყნის ზნეობრივ იერსახეზე ზრუნვაა.

**იორდანია** — 60 წლის მეფე ჰუსეინი სულ უფრო ანგარიშგასაწევი ფიგურა ხდება ახლო აღმოსავლეთში. მისი სამშვიდობო წინადადებები ისრაელთან მიმართებაში, ერაყის იზოლაციის კამპანია, სულ უფრო მეტ მხარდაჭერას პოულობს, როგორც იორდანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

**ესპანეთი** — მას შემდეგ, რაც 1975 წელს დიქტატორი ფრანკო გარდაიცვალა, მეფე ხუან კარლოსი ქვეყნის ეროვნული გმირი გახდა. მეფე ყოფილი სპორტსმენია — გატაცებული იყო საავტომობილო რბოლით. მისი მემკვიდრე — გვირგვინოსანი პრინცი ფილიპი ყველაზე სასურველ სასიძოდ ითვლება სამეფო ოჯახებში.

**საუდის არაბეთი** — ქვეყანას მართავს 73 წლის მეფე ფაჰდი, რომელიც ცნობილია, როგორც ისლამის ტრადიციების ერთგული დამცველი და ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტარული მმართველი.

**ბრუნეი** — სულთანი ჰასანალ ბოლკიაჰი მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანად ითვლება. მისი ქონება 40 მილიარდ დოლარს შეადგენს. სულთანი უზარმაზარ სასახლეში ცხოვრობს, სადაც 1788 ოთახია, მისი გატაცება მანქანებია, — სულთანი 800 უახლესი მარკის მანქანის პატრონია. იგი განსაკუთრებულად ზრუნავს ქვეშევრდომებზე და ყველაფერს აკეთებს, რათა მათი ცხოვრება სამოთხეს დაამსგავსოს.

**ჰოლანდია** — დედოფალ ბეატრიქსის მოვალეობა, უმთავრესად, სტუმართა მიღება-გაცილებაა. მსოფლიოში იგი გადასახადთა ერთ-ერთი ყველაზე პუნქტუალური გადამხდელია. გადასახადის სახით, ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტში 20 მილიონი დოლარი შეაქვს. ამასთან, დედოფალი ცნობილია, როგორც ფულის ყველაზე მომჭირნედ მხარჯველი.

# რითი ლაღობდნენ დიდკაცები —

უძველეს დროში ძლიერნი ამა ქვეყნისანი თავს კამათლით ირთობდნენ. რომის პაპი ალექსანდრ V ბორჯია კამათელს გადაბმულად, დილიდან დილამდე თამაშობდა, ხანდახან ლოცვასაც აცდენდა და რადგან დამარცხებულიც ხშირად რჩებოდა, არც უხამს გამოთქმებს ერიდებოდა.

სპარსეთის შაჰმა აბასმა კამათელში წააგო მთელი ქონება (გადასახადებისა და ბეგარის გაზრდამაც არ უშველა), ჰარამხანა და, საბოლოოდ, ტახტიც.

არც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო X გაურბოდა კამათლის მღერას, მაგრამ ბოლო მას ბურთმა მოუღო. ეს ფეხბურთი არ გახლავთ, ამხედრებული ბურთს უნდა დასდევნებოდა, დაახლოებით თანამედროვე პოლოს ჩამოჰგავდა; მეფემ მთელი დღე-ღამე აჯირითა ცხენი, სდია ბურთს და გულმაც ულალატა — გარდაიცვალა.

XV საუკუნეში ევროპის სამეფოთა სასახლეებში ბანქოს ციებ-ცხელება შეიქრა. მისი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლთაგანი რუსეთის დედოფალი ეკატერინე II შეიქნა — დადასტურებულია, რომ რუსეთში ჩამობრძანების დღიდან ვიდრე აღესრულებოდა (50 წლის მანძილზე) მონარქმა ბანქოში 60 მლნ. ოქროს მანეთი (!!!) წააგო, ბრილიანტებს თვლა არ ჰქონდა, „კონზე ბრილიანტს" იგი ჭიქებით ჩადიოდა. იმპერატორი კარტის სათამაშო მაგიდას ეკლესიაშიც კი დაატარებდა (ცოდვაც არის და ცოდვაც), თანაც ნუ დაივიწყებთ, მთელ მის სამეფოში აზარტული თამაშები სასტიკად იკრძალებოდა.

საყოველთაოდ არის ცნობილი ივანე მრისხანეს გატაცება — ჭადრაკი. ამ თამაშისთვის შეეძლო დაეთმო და დროებით გადაედო მისთვის ასევე დიდად შესაქცევი საჯარო წამება. საკუთარ სიკვდილსაც ჭადრაკის დაფასთან შეეგება, თავის თავთან მოთამაშე გულის შეტევით გარდაიცვალა.

# დედოფალ ელისაბედის საიდუმლო დღიურები

ლონდონი. ინგლისი საგონებელშია; სასახლეში კიდევ ერთხელ აირია ყველაფერი; დედოფალი არ აღიარებს; დღიურები მეტყველებენ...

ბესტსელერის ავტორი კურტ ჰუბერი ირწმუნება, რომ გააჩნია დღიურების ფოტოასლები. მისივე თქმით, ხელნაწერები ექსპერტების მიერ არის შემოწმებული და იგი დედოფლის კალიგრაფიის იდენტურია. საქმე ეხება ინგლისის დედოფლის საიდუმლო დღიურებს, რომელიც ჰუბერისთვის გადაუცია დედოფლის ყოფილ მსახურს. ჩანაწერები გასაოცარ ფაქტებს ანუსხავენ, ცხადდება სასახლეში ჩასახული ბევრი ინტრიგა.

— ეჭვიც არ მეპარება, რომ დღიურები სწორედ დედოფლის ხელით არის დაწერილი — ამბობს ჰუბერი (სხვათა შორის, ეს ის ჰუბერია, რომლის წიგნიც გორბაჩოვზე სამი წლის წინ ევროპასა და ამერიკაში ბესტსელერად იქცა). — მაგრამ, ჯერჯერობით, ყველა ცდა, მივიღო დასტური სასახლიდან, უშედეგოა. აღიარება უჭირთ.

ახლა ჰუბერი დედოფალთან დაახლოებული პირებისგან აგროვებს მასალებს, შემოწმებული და დაზუსტებული აქვს დღიურის ბევრი მომენტი.

— წიგნი არ იქნება მოსაწყენი, — გვპირდება ავტორი.

# მხოლოდ სიყვარული აკლია

მექალთანე მონაკოს პრინცი ალბერტი შავ დღეშია. თუ უზნეო ცხოვრებას არ დაანებებს თავს, მისი და, კაროლინა მემკვიდრეობას წაართმევს. ამჟამად ალბერტს აღარ ეცინება, — ამბობენ მონაკოელები და სასახლისკენ აპარებენ ალმაცერ მზერას, — ადრინდელივით ღრეობებს აღარ მართავს, აღარც სტუმარი გოგონების კისკისი არღვევს ქალაქის მყუდროებას.

მხიარულ პრინცს ყოველდღე სხვადასხვა ქალიშვილთან



ჩახუტებულს ხედავდნენ. ახლა ნელნელა დაცხრა, თანდათან სერიოზული კაცი დგებაო, — ამბობენ.

შესაძლებელია, მალე გაზეთებმა ქვეყანას ამცნონ, მონაკოელთა უმცროსი მბრძანებელი ცოლს ირთავს, ანდა სულაც ჯვარი დაიწერაო.

პრინცი ალბერტი და... ცოლი?

ეს კითხვა დარაჯსაც კი გააცინებს.

ამბობენ, ალბერტი ყველა ნაცნობ გოგონას დედოფლობას ჰპირდება. უნდა ნახოთ, პრინცის იახტის გემბანზე თავშეყრილი დედათა სქესის გუნდი და ალბერტი!

ავი ენები ამბობენ, პრინცს 130 საყვარელი ჰყავსო. ალბერტი კი ირწმუნება, ყველაფერი ჟურნალისტების მოჭორილია, საკმარისია ვინმე გოგონასთან დაგინახონ, უმალ სურათს გადაგიღებენ და დაბეჭდავენო.

სხვა ხმებიც დაირხა — პრინცი გოგონებს ნიღბად იყენებს, სინამდვილეში საკუთარ სქესს ანიჭებს უპირატესობასო. მისი საუკეთესო მეგობარი მიკი პოვერსი დაბეჯითებით უარყოფს ამ ამბავს, — პრინცს ლიდი ხანია, ვიცნობ, ეს რომ მართალი იყოს, ალბათ, გავგიჟდებოდიო.

რამდენიმე თვეა, პრინცი ახალი როლის შეთვისებისთვის ვარჯიშობს. მას ტახტისთვის სერიოზული ბრძოლა მოუხდება. მემკვიდრეობას 38 წლის ქვრივი და, კაროლინა ეცილება.

მონაკოელები ირწმუნებიან, რომ ზავის შემდეგ სამთავროში ისევ მხიარულება დაისადგურებს.

# ქალწულები მისი უდიდებულესობისთვის

ამას წინათ, სვაზილენდი ორმაგ იუბილეს დღესასწაულობდა: დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავს და მეფე მსვატი მეორის მეოთხედ საუკუნეს (უცნობია, დამოუკიდებლობა უძღვნეს მემკვიდრის დაბადებას, თუ დამოუკიდებლობას უძღვნეს მემკვიდრე, მაგრამ ეს კია, რომ ორივეს 25 წელი შეუსრულდა). ამ იუბილეს აღსანიშნავად, სამეფო სასახლისკენ ქვეყნის ოთხივ კუთხიდან თავშემონახული ქალწულები დაიძრნენ. სამი დღე-ღამე იარეს ეროვნული დროშებითა და ემბლემებით მორთული შარაგზებით და გზის ბოლოს შეუერთდნენ უზარმაზარ 30 ათასიან დემონსტრაციას, ისინი პატივს მიაგებდნენ დედოფალ-დედას, რომლის ტიტულიც ინდვონუკატი (ქალბატონი დიდი დედა-სპილო) ძალზე შთამბეჭდავი და გავლენიანია.

სასახლის წინ დიდ ველზე გაშლილ ლამაზმანთა უჩვეულო გამოფენას ღირსებით ჩამოუარა 25 წლის მეფემ. მან რთულ ამოცანას ძნელად, მაგრამ მაინც გაართვა თავი, ათასებიდან ერთი აირჩია და რჩეული დიდ დედოფალს წარუდგინა. ხელნაკრავებს ეძლევათ საშუალება, თავიანთ სიქალწულეს როგორც უნდათ, ისე მოექცნენ, ან ვინმეს შესწირონ, ან მომავალ ბედნიერ შემთხვევას დაელოდონ, — მეფეს რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ შეიძლება მოუნდეს მთელი რიტუალის გამეორება.

# ყველაზე მეტად დანიელები საკუთარ დედოფალს ენდობიან

კვირაში ერთხელ, კოპენჰაგენის ყველაზე ლამაზ ქუჩაზე, რომელიც მხოლოდ ფეხით მოსიარულეებს ეკუთვნით, სამეფო „დაიმპლერი" ჩერდება, იქიდან გადმობრძანდება მისი ბრწყინვალება დანიის მონარქი, დედოფალი მარგრეთ II და მოსეირნეთა ნაკადს უერთდება. ბუნებრივია, დედოფალს ყველა სცნობს, მაგრამ ცუდ ტონად ითვლება ამის ზედმეტი აქტიურობით გამოხატვა და ოდნავი თავის დაკვრით ამჟღავნებენ დიდ სიმპათიას.

დანიის სამეფო ისეთივე მყუდროა და უწყინარი, როგორიც ეს ქუჩა. მას 56 წლის დედოფალი, ტანკენარი (180 სმ) მარგრეთ II მართავს. ურთიერთობაში უბრალო, შრომისმოყვარე და მრავალმხრივია დედოფალი; აწყობს აკვარელით დახატული საკუთარი სურათების გამოფენებს, თარგმნის სიმონ დე ბოვუარის წიგნებს, თამაშობს ბრიჯს, კვირაში ერთხელ ხვდება მთავრობის მეთაურს და ქვეყნის მართვაში გადამწყვეტ სიტყვას ამბობს, არც ერთი ზაფხული ისე არ ჩაივლის, მონარქმა თავისი სამეფოს სანაპიროები იახტით რომ არ შემოიაროს, წერს წიგნს.

დანიელებს ყველაზე მეტად თავიანთი დედოფლის ის ფოტო უყვართ, რომელზეც იგი სამეფო თეატრის სცენაზეა გამოხატული და სცენის კიდეზე ჩამომჯდარი ანდერსენის ზღაპრის დეკორაციებს ასწორებს.

დედოფალი მარგრეთი და პრინცი ჰენრიკი ამალიენბორგის სასახლეში ცხოვრობენ ყოველგვარი ყოყოჩობისა და სკანდალების გარეშე. მონარქის დღეგრძელობის უმთავრესი პრინციპი ეს არის. ამ პრინციპის დარღვევას რაც მოჰყვა ინგლისის სამეფოში და რა მძიმე წელიც გადაიტანა ელისაბედ II, მთელმა მსოფლიომ იცის.

დედოფალი პოლიტიკაში არ ერევა, მაგრამ თავისი გადამწყვეტი სიტყვის უფლებით სარგებლობს, მისი გავლენა და მორალური წონა უდიდესია. ყოველი წლის ბოლოს მონარქის ტრადიციული სიტყვა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ძირითად და უცვლელ თემად რჩება და დემოკრატიის დაცვის საკითხებში ყველაზე მეტად დანიელები საკუთარ დედოფალს ენდობიან.

# ჩიტი ბდღვნად ღირს...

ბოლო დროს, დისკუსიის საგნად იქცა, გამოქვეყნდეს თუ არა პრესაში ცნობილ პიროვნებათა ცხოვრების ამსახველი ფოტოები. მონაკოს პრინცესას კაროლინას ადვოკატების ჩართვა დასჭირდა, რომ აეკრძალათ „ფარული კამერით" გადაღებული მისი ფოტოსურათების გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში. დიდი სკანდალი გამოიწვია ფოტოსურათებმა, რომელზეც აღბეჭდილია რესტორანში განმარტოებული — პრინცესა კაროლინა და მსახიობი ვინსენტ ლინდომი. ჰამბურგელი პრინცის ადვოკატ მათიასის აზრით, ფოტორეპორტიორების ცნობილ პიროვნებებზე „ნადირობა" უნდა აიკრძალოს. საილუსტრაციოდ მოიყვანა ცნობილი თოფ-მოდელის კლაუდია შიფერის ნახევრადშიშველი ფოტოსურათი. ადრე თავისუფალი ბეჭდვის უფლებით, ბულვარული პრესის რეპორტიორები ურცხვად ძვრებოდნენ ელიტის პირად ცხოვრებაში. ახლა ცნობილ პიროვნებათა ფოტოსურათებს მათი ნებართვის გარეშე ვერ გამოაქვეყნებ. მაგრამ ვკითხოთ ფოტორეპორტიორებს, შეიკავებენ თავს? ჰონორარი ხომ ბევრად მეტია ჯარიმაზე.

# მეფეთა ოცნებანი



კამბოჯის მეფე ნოროდომ სიანუკის კინორეჟისორობაც დაუწყია. ამას წინათ, კამბოჯის ტელევიზიით პირველად უჩვენეს მის მიერ გადაღებული ფილმი „უბედური გლეხები". რეჟისორობის სურვილი მეფეს 30-იან წლებში გასჩენია, ამ დროს იგი ტახტის მემკვიდრე იყო და საიგონის ცნობილ ფრანგულ ლიცეუმში სწავლობდა. მაშინ საიგონში ჰოლივუდისა და ფრანგულ საუკეთესო კინოფილმებს უჩვენებდნენ. სიანუკის საყვარელი მსახიობები იყვნენ ჟან გაბენი, გრეტა გარბო, კლარკ გეიბლი. საინტერესოა, განაგრძობს თუ არა კამბოჯის მეფე კინორეჟისორობას, თუ ეს ახალგაზრდობის ოცნების აღსრულება იყო.

***

იაპონელ იმპერატორს, თურმე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ჰყვარებია. სააგარაკო ნაკვეთი ტოკიოს ცენტრში ჰქონია. ნაკვეთის ფართობი კრემლის ორ ტერიტორიას უტოლდება. ასე რომ, ამას წინათ, იმპერატორს თავის ნაკვეთში მაგრად უმუშავია და ღმერთებისადმი ყოველწლიური ძღვენის შესაწირად, თქვენ წარმოიდგინეთ, 80 თავთავი მოუმკია.

# სამყაროს ახალი მონარქი შეემატა



თურმე, სულაც არ არის ძნელი სამეფო დინასტიის შექმნა, თანაც ამას არც საუკუნოვანი ტრადიციები სჭირდება...

აგერ ახლა, იტალიის ქალაქ სან-რემოსთან ახლომდებარე სოფლის, სებორგოს სამასიოდე მცხოვრებმა გადაწყვიტა და შემოიღო... „სებერგოს სამეფოს" ახალი მოქალაქეობა... საზღვარიც გაივლეს და უნიფორმიანი მესაზღვრეც დაიყენეს. საკუთარი ფულიც მოჭრეს, მინისტრებიც გაიჩინეს, თითო სებორგელი სამი-ოთხი დარგის მინისტრია. მეფედ აირჩიეს ადგილობრივი გლეხი და საზეიმოდ უწოდეს ჯორჯო I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გვინდა გვჯეროდეს, რომ ყველაფერი ცუდი უკან დარჩა

## 1996 წ. ნაკიანი წელი იყო და ბევრი უბედურებაც მოუტანა მსოფლიოს ტერორისტული აქტები, აფეთქებები, საჰაერო კატასტროფები, ხანძრები, წყალდიდობები...

## 1996 წლის ავიაკატასტროფები

1996 წელი ავიაკატასტროფების მხრივ „უხვი" აღმოჩნდა. ამ წელს 1187 მგზავრმა თვითმფრინავების ნამსხვრევების ქვეშ ჰპოვა განსასვენებელი. ყველაზე ცნობილი ავიაკატასტროფები მოხდა:

— *აპრილში*, ხორვატიის მთებში, ავიაკატასტროფაში აშშ-ის ვაჭრობის მინისტრი რონ ბრაუნი და 35 მგზავრი დაიღუპა.



— *მაისში*, ფლორიდაში ბოინგის კატასტროფამ, რომელშიც 592 მგზავრი იჯდა, 110 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

— *ივლისში*, ნიუ-იორკთან, ოკეანეში ჩავარდნილმა TWA-800 230 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ავარია დღემდე ამოუცნობი მიზეზით მოხდა. თუმცა, ერთ-ერთი ვერსიით ეს ტერორისტთა ნამოქმედარია.

— *ნოემბერში*, ეთიოპიის ავიაკომპანიის კუთვნილმა თვითმფრინავმა მართვა დაკარგა და კორპუსი ინდოეთის ოკეანის ტალღებში შთაინთქა, თან 127 მგზავრი ჩაიყოლია.

— *ყველაზე გახმაურებული* კი ნიუ დელის აეროპორტთან მომხდარი ავიაკატასტროფაა, რომლის დროსაც ერთმანეთს ყაზახეთის ჩარტერული რეისი და ინდოეთის ავიაკომპანიის საუდის არაბეთისკენ მიმავალი თვითმფრინავები ერთმანეთს შეეჯახნენ. შედეგად — 349 მგზავრი და ეკიპაჟის წევრები ადგილზე გარდაიცვალნენ.

ზაირის დედაქალაქ კინშასაში რუსული სატვირთო თვითმფრინავის ბაზრის მოედანზე ჩამოვარდნის შედეგად, 270-მდე ადამიანი დაიღუპა, უფრო მეტი დაიჭრა. დაზარალებულთა უმრავლესობა ქალები და ბავშვები იყვნენ. ფიქრობენ, რომ ავარია გამოიწვია თვითმფრინავის გადატვირთვამ, რის გამოც მან მხოლოდ რამდენიმე მეტრზე შეძლო აფრენა და შემდეგ ბაზრის მოედანზე დაენარცხა. კინშასას საავადმყოფოებში ადგილები არ ყოფნით დაზარალებულებისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ეს უკვე მეორე ამგვარი ინციდენტია უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში.

უდიდესი კატასტროფის შედეგად ძალზე დიდი რაოდენობის ნავთობი გადმოიღვარა საუთ ქინგსთონის სიახლოვეს (როდ აილენდი). ბარჟა სასტიკ შტორმში მოხვდა, ნაპირზე გაირიყა, დაზიანდა და 828,000 გალონი ნავთობი ზღვაში გადმოიღვარა, დაზიანდა ზღვის მთელი ცოცხალი სამყარო და საუკეთესო პლიაჟები, რომლითაც ათასობით ტურისტს იზიდავდა აქამდე.

ზაფხულში, მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში მძვინვარებდა ხანძარი. მათი რაოდენობაც რეკორდული აღმოჩნდა. ამერიკის შტატ ნევადაში ხანძრებმა 300 000-მდე აკრი გაანადგურა. უკანასკნელად ამ მასშტაბის ხანძარი 1969 წელს იქნა აღნიშნული. მხოლოდ აშშ-ის 8 შტატში ხანძარმა გაანადგურა — 550000 აკრი. დაიწვა რამდენიმე ეროვნული პარკი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მსოფლიოში ტორნადოების — ქარბორბალების რაოდენობის არნახული ზრდა, კერძოდ, აშშ-სა და აზიაში. წლეულს ქარბორბალამ გადაუარა ამერიკის სხვადასხვა შტატს — ალაბამას (6 მარტი), 14 აპრილი — ალისონს, არკანზასს, 19 აპრილი — ილინოისს, 20 აპრილი — მისისიპის, 21 აპრილი — ფორტ სმიტ-არკანზასს. განადგურდა 636 სახლი, ორი ბავშვი დაიღუპა.

ქარბორბალამ გადაუარა ბულგარეთის კურორტ ალბენასაც. 19 ივლისს ქარბორბალამ მომენტალურად მოკლა პლიაჟზე მონებივრე ადამიანი. 13 მაისს დასავლეთ ბანგლადეშში სასტიკმა ქარბორბალამ შეიწირა 1000-მდე ადამიანი, დააზიანა 30000 მლნ-მდე ნაგებობა და უსახლკაროდ დატოვა 100000-მდე ადამიანი. თვითმხილველების განცხადებით, „ადამიანები და ცხოველები ქარბორბალას დიდ მანძილზე გადაჰქონდა".

**საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებების თანახმად, 1997 წელს მოსალოდნელია ბუნებრივი კატასტროფების რაოდენობის მომატება.**

## ნეტავ, ჩვენც გვყავდეს დედა რეანიმაციაში



დაღესტანში, კასპიისკოეში ყველას ეძინა, ალბათ, მათ გარდა, ვინც აფეთქებას აყურადებდა, ანუ, ვინც დაუკვეთა და ვინც შეასრულა...

აფეთქება მოხდა და დავალება კარგად შესრულდა... ჩეჩნების კვალიაო, თქვეს, მაფია ურევიაო...

ამას, ალბათ, ვერავინ დაადგენს, მერე ეს ამბავი ყველას მიავიწყდება, ეს დანგრეული სახლიც აშენდება, აღარავის ეხსომება გარდა ამ დამტვრეულ, დასახიჩრებულ, ბავშვობამონამლულ და მშობლებდაკარგულ გოგონებისა...

..."ჯერ ასე მეგონა, ყველაფერს სიზმარში ვხედავ-მეთქი, ხმაური იყო, სახლი ქანაობდა, ჩუსტების ჩაცმა მინდოდა, ერთი სადღაც გამექცა, მერე წამოვდექი, ნეტა რა ხდება-მეთქი, კარები გამოვაღე და..." — იანას საძინებელი ოთახი არ ჩამონგრეულა, ის სახლის მთელ ნაწილში დარჩა, მაგრამ ბინის სხვა ნაწილი აღარ არსებობდა და პატარა გოგონა მეექვსე სართულიდან ჩამოვარდა... იგი უკვე ობოლი იყო.

— დედ-მამას წინა ოთახში ეძინა...

..."იცი, როგორ მტკიოდა? ჩიტივით მოვფრინავდი, მერე დავეცი, მეგონა, მოვკვდი-მეთქი, მერე საშინლად დამცხა და ფეხი მეტკინა, ვიყვირე, კაცებმა მოირბინეს, დიდი ცემენტის კოჭის ქვეშ მომყოლოდა მარცხენა ფეხი, ვერავინ დაძრა, მე ვყვიროდი, ვიღაცამ თქვა, ბავშვი ლურჯდება, რაღაც ვუშველოთო, — ნეტავ ვისზე ამბობენ? ვფიქრობდი მე, ასე გავიდა ორი საათი (შემდეგ მითხრეს), მე ენა აღარ მეტეოდა პირში, ფუსფუსებდნენ, ნემსებს მიკეთებდნენ და ელოდნენ ამწეს. როცა ფეხი გამითავისუფლეს, მხოლოდ ვხაოდი"...

ოქსანა და ქრისტინა დები არიან, ახლა უკვე ობოლი დები მეცხრე სართულიდან „გადმოფრენილი" დები, ერთი ყავარჯნებს ელოდება რომ გაიაროს, მეორე მინით შუაზე გადაჭრილი შუბლის შეხორცებას და ორივე კი გვერდით, უამრავი სახვევ-საფენებით თავპირ-ხელ-ფეხშეხვეულ თანატოლს შენატრიან — „ეჰ, ნეტავ, ჩვენი დედაც იწვეს რეანიმაციაში".

კასპიისკოეს საავადმყოფოში აფეთქების მსხვერპლნი წვანან, აქედან ბევრია ბავშვი და ამ ბავშვებში მხოლოდ ერთი დედა გადაურჩა ნგრევას — იგი დღეს რეანიმაციაში წევს.

საერთაშორისო ექსპერტების შეფასებით, გასული 1996 წელი, სხვადასხვა ხასიათის კატასტროფების ჯერ არნახული რაოდენობით აღინიშნა. გავიხსენოთ გასული წლის ზოგიერთი დიდი კატასტროფა, რომლებსაც მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა.

## საქართველოში სტიქია მძვინვარებს...

საქართველოში უამინდობაა, კოკისპირული წვიმები რამდენიმე დღეა გრძელდება. ნაპირებიდან გადმოვიდა დასავლეთ საქართველოს მდინარეები: ზესტაფონში წყალტუბოსა და თერჯოლაში, სამტრედია-ქუთაისში, ბაღდადში, ვანსა თუ ჭიათურაში წყალდიდობაა. განსაკუთრებით გამძვინვარდნენ რიონი და ყვირილა. კავკასიონის მიდამოებში თოვლქყაპმა შეაღონა ხალხი, მესტიაში თოვლის საფარმა 1,5 მეტრს მიაღწია, სამხედრო გზა გაუვალია, ჯვრის უღელტეხილზე გაიჭედნენ მგზავრები. ჰიდრომეტცენტრი სანუგეშო ცნობას არ იძლევა, კვლავ წვიმები და თოვლია მოსალოდნელი.

## დიდთოვლობა ამერიკის აღმოსავლეთში

ამერიკის აღმოსავლეთში ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ექსტრემალური სიტუაცია შეიქმნა. მიზეზი ქვეყნის ამ ნაწილისთვის უჩვეულო დიდთოვლობაა. თოვლის საფარმა ვაშინგტონში 30 სმ-ს გადააჭარბა. თოვლს ერთვის საშინელი ქარი, რომლის სიჩქარე 50 კილომეტრს აჭარბებს საათში. ეს ქარბუქი თავს დაატყდა აღმოსავლეთის დიდ ქალაქებსაც. ტემპერატურის მკვეთრმა დაცემამ უსახლკარონი გაყინვის საშიშროების წინაშე დააყენა. ბოლო მონაცემებით 40-ზე მეტი უსახლკარო სიცივისაგან დაიღუპა. ვაშინგტონში დიდთოვლობის მიზეზით დაიკეტა ბევრი ორგანიზაცია, გადაიდო პრეზიდენტ ქლინტონის და სენატის დემოკრატ წევრთა ტრადიციული შეხვედრა, ვინაიდან ვაშინგტონის ორი ძირითადი აეროპორტი „ბალტიმორ-ვაშინგტონი" და „ნაციონალური აეროპორტი" დაიხურა. მუშაობს მხოლოდ პატარა „დალასის" აეროპორტი, რომელიც მხოლოდ სპეციალურ თვითმფრინავებს იღებს. აეროპორტებში უამრავი მგზავრია თავმოყრილი. მათთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, აეროპორტების ხელმძღვანელობა სასწრაფოდ ყიდულობს საბნებსა და ბალიშებს.

*ივლისი* — გადაუღებელი წვიმების შედეგად ჩინეთში უდიდეს წყალდიდობას ჰქონდა ადგილი, მილიონობით ადამიანმა სახლ-კარი დაკარგა, ათასობით კაცი დაიღუპა, გზები, რკინიგზები, და საკომუნიკაციო ხაზები მთლიანად განადგურდა. მთავრობამ ჯარები და მუშები გამოიყვანა, რათა როგორმე შეემცირებინა კატასტროფის შედეგები — კერძოდ, გაემაგრებინათ მდინარე იანძის ნაპირები. საბოლოოდ, წყალდიდობამ გაანადგურა 25 მილიონი აკრი სასოფლო სავარგულები და 2,8 მილიონი სახლი 8 პროვინციაში — საერთო ზარალმა 11 მილიონ დოლარს მიაღწია.



წყალდიდობას გამოძახილი ჰქონდა ინდოეთში, ბანგლადეშსა და ნეპალში.

1996 წელი ასევე რეკორდული იყო ქარიშხლების რიცხვითა და სიმძლავრით, კერძოდ, აღსანიშნავია 9 უდიდესი ქარიშხალი, რომელთაგანაც 6 რეკორდულ დონეს ამეტებდა. შტორმებმა მოკლეს 155 ადამიანი და გამოიწვიეს 4,4 მილიარდი დოლარის ზარალი მხოლოდ აშშ-ში. რეკორდულები იყვნენ ჩრდილოეთ კაროლინისა და ვირჯინიის შტატში ამოვარდნილი ქარიშხლებიც.

ექსპერტების აზრით, მომავალ წელს მათი რიცხვი მოიმატებს, ამის მიზეზია ატლანტის ოკეანის ზედაპირის ტემპერატურული ცვლილებანი.

## ესპანეთის კურორტი ოკეანემ წაიღო

არაგონიას არნახული წყალდიდობა დაატყდა თავს: 80 ადამიანი დაიღუპა, ასობით დაიჭრა. ტურისტების უმრავლესობამ ყურად არ იღო მკაცრი გაფრთხილება და კემპინგებში დარჩნენ. კოკისპირული წვიმით მოვარდნილმა წყალმა გახეთქა კაშხალი და ძლიერმა ნაკადმა 130 კმ-ზე მიწიდან აღგავა ყველაფერი. დაჭრილებსა და დაღუპულებს შორის არიან ამერიკელი, ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი და ნიდერლანდელი ტურისტები. სამაშველო სამუშაოები არ არის დამთავრებული. იმ საშინელ ღამეს კემპინგში 700 ადამიანი ათევდა ღამეს. ერთ-ერთმა გადარჩენილმა ტურისტმა თქვა, რომ მთებიდან ღვართქაფი კემპინგს რამდენიმე წამში მიუახლოვდა და გაქცევით თავს ვერავინ უშველა. ხალხი შვეულმფრენებით ამოჰყავდათ.

## ბაშკირეთში ნავთობი გაიჟონა

ნავთობის მსგავსი გაჟონვა წყლის ქვეშ, ისიც 20-30 გრადუსი ყინვის დროს, მსოფლიოს არ ახსოვს. მდინარე ბელაიას ფსკერზე ნავთობგაყვანილობის კატასტროფის შედეგად, სპეციალისტების ცნობით, მდინარის ზედაპირიდან 600 ტ. ნავთობის ემულსია შეაგროვეს, რომელიც დაახლოებით 110-115 ტ. ნავთობს შეეფარდება. შეგროვება გრძელდება. საბოლოოდ, მდინარეში 400 ტ. ნავთობი გავიდა. საავარიო ბრიგადები ადგილებზე ორ წყებად მუშაობენ. გაყინულ ნავთობს სპეციალური აპარატით ათბობენ, შემდეგ ინგლისური „სკიმერი" აგროვებს წყლის ზედაპირიდან და გადააქვს ნავთობსაცავში. მოსალოდნელია სერიოზული ეკოლოგიური საშიშროება, ავარიის ადგილზე ჩავიდა დელეგაცია თათრეთის პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

## კატასტროფები



*14 მარტს* რუსეთის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში ყველაზე ძლიერი ხანძარი გაჩნდა იაკუტიის დასახლება იაჟულუნში. ერთიანად დაიფერფლა ხის ორსართულიანი პროფტექნიკური სასწავლებელი. მსხვერპლიც დიდი იყო, — 17 სტუდენტმა თავი ვერ დააღწია ხანძარს.

*შოტლანდიაში* დაწყებით სკოლაში მანიაკმა (სხვათა შორის, ყოფილმა მასწავლებელმა, რომელსაც სწავლების უფლება ჩამორთმეული ჰქონდა „არაპროფესიული ქცევისათვის") დახოცა 16 ბავშვი და მასწავლებელი. სისხლიანი აქცია მან დილით, ფიზკულტურის გაკვეთილზე განახორციელა.

*28 ივლისს*, ოლიმპიური თამაშების დროს, ატლანტაში 1სთ-სა და 15 წთ-ზე კონცერტის დროს მოხდა აფეთქება. კონცერტს 60000 კაცი ესწრებოდა. ძფბ-ის მონაცემებით დაიღუპა 2 კაცი, 110 დაიჭრა. სხვათა შორის, ოლიმპიური თამაშების სიმშვიდეს 3000 მცველი იცავდა.



*სრული ფიასკო* განიცადა „მარს-96"-ის კოსმოსურმა ექსპედიციამ, რომლისთვისაც რამდენიმე წლის განმავლობაში ემზადებოდნენ, დაიხარჯა მილიონობით თანხა, პლანეტათაშორის სადგურზე ასეულობით მეცნიერი ამყარებდა იმედს და უცებ... კოსმოსურმა ხომალდმა დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გასვლა ვერ მოახერხა.

*18 დეკემბერი* ტრაგიკული დღე იყო არა მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. ჩეჩნეთში ადამიანური, მორალური მოვალეობის შესრულებისას მოკლეს 6 მისიონერი. მათგან 5 მედიცინის მუშაკი, ქალი იყო, მეექვსე — მამაკაცი, მშენებელი ინჟინერი გახლდათ. მისიონერები განსაკუთრებული სისასტიკით ამოხოცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორნი ვეებერთელა სამყაროში



თავის ავტობიოგრაფიაში ნენსი რეიგანი წერს: „ვისაც ჰგონია, რომ ჩვენი ქორწინება კარგად გათვლილი თამაშის ნაწილია, მერწმუნოს, ემლევა".

და, მართლაც, როდესაც საქმე გრძნობებს ეხებოდა, ისინი არასოდეს ფლიდობდნენ. მათი გრძნობა ნამდვილი და ყოვლისმომცველი იყო. „მათი რომანი, ალბათ, ამერიკის პრეზიდენტების ისტორიაში უდიდესი და უსპეტაკესია, — წერს ოჯახის დიდი მეგობარი ჩარლტონ ჰესტონი და განაგრძობს, — მათ გვერდით ყოველთვის გრძნობდი, რომ ერთმანეთს უნაზესი და გაუნელებელი სიყვარულით პასუხობდნენ".

აუცილებლად ხელიხელჩაკიდებულნი სეირნობდნენ, მიუხედავად მკაცრი ეტიკეტისა, საკუთარ აპარტამენტებში სადილობდნენ, სადაც საშუალება ჰქონდათ, კიდევ ერთხელ დამტკბარიყვნენ მარტოობით, ისინი სავსე იყვნენ ერთურთით. ძილის წინ „ზემოთ ამოსული, პირველი, რასაც აკეთებდა, ეს იყო ნენსისთვის მთელი დღის შთაბეჭდილებების გაზიარება, — იხსენებს ნენსის პრეს-მდივანი, — პრეზიდენტს, ეტყობოდა, რომ დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ეს პროცესი."

როდესაც ერთმანეთს, თუნდაც, მცირე ხნით შორდებოდნენ, მათი გამოსათხოვარი კოცნა ისეთი ვნებიანი და ხანგრძლივი იყო, რომ შემსწრენი თვალს არიდებდნენ და ყველამ იცოდა, ახლა ისინი ერთმანეთისთვის იყვნენ მხოლოდ. წასვლის წინ რონი ცოლის საწერ მაგიდაზე ტოვებდა ბარათს, რომელსაც საიდუმლო აბრევიატურას მოაწერდა ხოლმე, — მისი გაშიფვრა მხოლოდ ნენსიმ იცოდა: „მთელ სამყაროში ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ", — წერდა პრეზიდენტი-ქმარი. ნენსის დაბადების დღეებზე რონალდი ვარდების უდიდეს თაიგულს უძღვნიდა სიდედრს. მადლობას სწირავდა, რომ მან „აჩუქა სიცოცხლე მის განუმეორებელ სიყვარულს".

როდესაც ქმრის დაბადების დღე თენდებოდა, ახლა ნენსის რიგი დგებოდა, ისიც ათასგვარი სასიყვარულო ტექსტებით დახუნძლულ ბარათებს ტოვებდა ოთახებში, ისე რომ, რონი მთელი დღის მანძილზე პოულობდა მათ. „ერთმანეთს ჩვეულებრივად, რუტინულად არასოდეს აღიქვამდნენ, ერთმანეთისთვის ყოველთვის ღვთის საჩუქარი იყვნენ", — იხსენებენ ახლობლები. რეიგანს უყვარდა ერთი თავისი ძველი ფილმიდან ფრაზის გახსენება, — ალბათ, ღმერთი მწყალობს, შენთან რომ შემახვედრაო...

სინამდვილეში კი მათი შეხვედრა თავგამოდებით შედგა... „ალქაჯებზე ნადირობისას" გადაღების დროს, 26 წლის ნენსი დევისი, რატომღაც, კომუნისტების თანამგრძნობთა სიაში აღმოჩნდა. მომავალმა პირველმა ლედიმ მაშინვე იაზრა, რომ ეს შეცდომა რაღაც შანსს აძლევდა, ეს შანსი უინგთან შეხვედრა იყო, რომელიც თავისი ანტიკომუნისტური განწყობით იყო ცნობილი, მსახიობთა გილდიას ედგა სათავეში და ცოლთან ახალგაყრილი გახლდათ. უდანაშაულო დამნაშავეს, იმედია, მოუსმენდა და, ალბათ, თანაუგრძნობდა კიდეც, მთავარი იყო შეხვედრა. შემდეგში აღიარებს ქალბატონი რეიგანი, რომ რონის გარეგნობით თავიდანვე მოხიბლული იყო.

...ნენსიმ დაიწყო შეტევა. მეგობარი რეჟისორი აიძულა, მოეწყო რეიგანთან შეხვედრა. რონიც დაეთანხმა, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობი სადილად კი არა (როგორც ნენსის სურდა), არამედ საკმაოდ ადრიანად დაიბარა და მოუცლელობა მოიმიზეზა. ნენსიმ საპასუხო ფრაზა მიაგება, — ჩემთვისაც ძალიან ხელსაყრელია ეს დრო, საღამო დაკავებული მაქვსო.

შეხვედრა შედგა და... დილის სამ საათამდე გასტანა. სიტყვამ მოიტანა და გამოუტყდნენ ერთმანეთს, არაფერი საქმე არ გვქონია საღამოთიო. მეორე დღესაც შეხვდნენ. „არ ვიცი, ამას ერთი ნახვით შეყვარება ჰქვია თუ არა", — იხსენებს ნენსი.

რეიგანი უფრო წინდახედული იყო. სერიოზული ურთიერთობები ახალ ცოლგამშვებულს აფრთხობდა. გაცნობიდან მთელი ორი წელი სხვებს ხვდებოდა, მაგრამ ნენსისკენ მაინც ყველაზე მეტად მიუწევდა გული. ბოლოს, როგორც იქნა, 1952 წელს რონიმ გადაწყვიტა, — „სადილის შემდეგ ვუთხარი — გამომყევი ცოლად-მეთქი, — იხსენებს რონალდი ავტობიოგრაფიაში, — ნენსი უფრო რომანტიკულ სიყვარულის ახსნას იმსახურებდა, მაგრამ, ღმერთმა უშველოს, ასწია თავი, შემომანათა ლამაზი თვალები, ხელზე ხელი დამადო და გამოგყვებიო, — მითხრა"...

პრესის ზედმეტი ყურადღება რომ აეცილებინათ, ლოს-ანჯელესის პატარა ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი, მსახიობი უილიამ ჰოლდენი და მისი ცოლი არდისი იყვნენ მეჯვარენი. ეს 1952 წლის 4 მარტი იყო, 7 თვეში პეტი დაიბადა, 1955-ში კი — რონუმცროსი.

ბოლო წლებში რეიგანი მძიმე სენმა შეიპყრო, ნენსი გვერდიდან არ შორდება, უჭირს ამის შეგუება, „ხანგრძლივ გამოთხოვებას" უწოდებს ახლანდელ მდგომარეობას.

„ორმოცი წელი ეს კაცი მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი იყო და ახლა უჭირს მისი მზის ჩასვლის ყურება".

# სილამაზის ქალღმერთმაც — ბევრი გადაიტანა



XV საუკუნის დასაწყისი... სანქტ-პეტერბურგი ფუტკრის მოზუზუნე სკას მოგაგონებთ... ბოიარები თავის ქნევითა და წვერის ნერვული ვარცხნით (ზოგი გადაფურთხებასაც არ ერიდება) ერთმანეთში ილანძღება და მათი მრისხანება „მეფე-ანტიქრისტეს" ატყდება თავს... ხალხი უწყვეტ ნაკადად მიეშურება საზაფხულო ბაღისკენ — აქ, პეტრე პირველის ბრძანებით, საგანგებოდ აგებულ ნიშა-მღვიმეში, მთელი თავისი სიდიადითა და მშვენიერებით დგას მარმარილოს შიშველი ვენერა.

ანტიკური ხანის ხელოვანმა იგი იმ მომენტში გამოსახა, როდესაც ეს-ეს არის, სამოსი გაიხადა და საცაა წყალში შევა. გრანდიოზული ფიგურითა და მხრებამდე ჩამოშლილი კულულებით, წარმართული ქალღმერთი ამაყად და მშვიდად დაჰყურებს მის ფეხებთან აფუთფუთებულ ხალხს. ანტიკური ცივილიზაციის დამხობის შემსწრეს არად მიაჩნია გარსმოჯარულთა უხამსი წამოძახილები, იყაყანებენ, იყაყანებენ და წავლენ...

„ქალბატონი ვენუსისათვის" (ასე უწოდეს რუსეთში ვენერას — ვენუს) საზაფხულო ბაღში დიდი ზეიმი გაიმართა. მეფე ბედნიერი ღიმილით უვლიდა გარს ქანდაკებას, მეფის სიხარული გასაგები იყო, აუსრულდა ოცნება, ჰქონოდა საკუთარი ანტიკური ქანდაკება.

1717 წელს, საფრანგეთში პეტრე გააოცა პარიზის სამეფო ბიბლიოთეკის საცავებში შენახულმა ანტიკური ხელოვნების კოლექციამ. ევროპელი მონარქები თავს იწონებდნენ, პეტრე პირველს კი, ამგვარი არაფერი გააჩნდა. მეფემ მოსვენება დაკარგა და ყველა ელჩს უპირველეს მიზნად უსახავდა — მიეგნოთ ანტიკური ხანის ქანდაკებისათვის. ძებნამ შედეგი გამოიღო — ერთ-ერთი რუსი, კოლოგრივოვი წააწყდა იტალიელ გაუნათლებელ გლეხს, რომელსაც საკუთარი მიწის ნაკვეთიდან ანტიკური ვენერა ამოეთხარა და მზად იყო, გროშებად, სულ 196 ტალერად მიეყიდა კოლოგრივოვისათვის. ეს ის დროა, როდესაც რომის პაპი კლიმენტ V და მისი პირველი მინისტრი, კარდინალი ოტობონი ქვეყნიდან განძის გატანას უმძიმეს დანაშაულად თვლიან და დამნაშავეს უმკაცრეს სასჯელს ადებენ.

წარმატებით ფრთაშესხმულმა კოლოგრივოვმა სასწრაფოდ აფრინა მაცნე პეტრესთან, თვითონ კი მცირედი რესტავრაციისათვის მოქანდაკე ლეგრი დაიქირავა. ლეგრის (როგორც იტალიელთა უმრავლესობას) თავისი ექსპანსიური ბუნებისა გამო, სიტყვა ენაზე არ დაუმაგრდა და მალე მთელმა რომმა შეიტყო ვენერას ამბავი. ოტობონიმდეც მიაღწია ხმამ, — ქანდაკება დააპატიმრეს და მცველიც მიუჩინეს, მაგრამ ოტობონიმ რა იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. პეტრემ რომში გაგზავნა დიპლომატი რაგუზინსკი, რომელიც თავისი გამჭრიახობის წყალობით, სხვადასხვა ქვეყანაში ყველა საიდუმლო მისიას ასრულებდა.

შვედებთან ომის დროს, რუსებმა ხელთ იგდეს წმინდა ბრიგიტას ნაწილები. ეს წმინდანი კათოლიკური ეკლესიის ერთ-ერთ უმთავრეს წმინდანად ითვლებოდა. იგი 1391 წელს შერაცხეს წმინდანად. მისი წმინდა ნაწილების დაკარგვა კათოლიკური სამყაროსათვის დიდი დანაკლისი იყო. სწორედ ეს წმინდა ნაწილები ჩაიტანა რაგუზინსკიმ რომში და პაპს „ბარტერული" გაცვლა შესთავაზა, თანაც ეს ისე ოსტატურად გააკეთა, რომ რომს სცოდნოდა, თუ პაპი არ დათანხმდებოდა, კათოლიკური მრევლი დრტვინვას დაიწყებდა. პაპს გამოსავალი არ ჰქონდა და ვენერა რუსეთში გაემგზავრა... საზაფხულო ბაღში თავს იწონებდა სიყვარულის ქალღმერთი და მისით ერთობ ამაყობდა ძლევამოსილი პეტრე პირველი.

გადიოდა წლები. ეკატერინე მეორის დროს თავადი პოტიომკინისათვის აშენდა დიდებული თავრიზის სასახლე. მას გარს ერტყა უზარმაზარი ზამთრის ბაღი. ამ წალკოტის დასამშვენებლად ეკატერინემ თავის ფავორიტს ანტიკური ვენერა უძღვნა. ეგზოტიკურ გარემოში კიდევ უფრო გამოჩნდა მისი გაუხუნარი სილამაზე.

...ტახტზე პავლე პირველი ავიდა. იგი რუსეთის ერთ-ერთი განათლებული მეფეთაგანი გახლდათ, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დამფასებელიც იყო, მაგრამ ყველაფერი კარგავდა მნიშვნელობას, როდესაც საქმე დედამისის დანატოვარს შეეხებოდა. ის უდიდესი სიძულვილი, რასაც დედისადმი განიცდიდა, პოტიომკინის სასახლესაც შეეხო და პავლე პირველმა იქ საწყობები გაახსნევინა, მთელი ბაღი კი მოსრა და აღგავა. ორმოცი წლის განმავლობაში იდგა ვენერა მტვრიანსა და ნესტით სავსე საწყობში.

1837 წელს სამდღიანმა ხანძარმა ზამთრის სასახლისაგან მხოლოდ დანახშირებული ჩონჩხი დატოვა. იმავე წელს დაიწყო რესტავრაცია და რევიზიამ სასახლის საწყობებში, ათასგვარ ხარახურას შორის, მიაგნო ვენერას ქანდაკებას. იგი ერმიტაჟში გაიტანეს და თავრიზელი ვენერა უწოდეს.

# საღამო გეიშასთან

ქუჩის ფარნის მკრთალ შუქზე ფიგურა სხვა ეპოქიდან გადმოსულს ჰგავდა. თეთრი სახე, უცნაური ვარცხნილობა, ძველ თარგზე აჭრილი კაბა, — თითქოს ყველაფერი წინა ასწლეულიდან ამოტივტივდაო. ეს გეიშაა.

ძირითადად, გეიშები თავის მოვალეობას ასკეტურად გაწყობილი გეიშების სახლის კარმიდამა, ან რჩეულთა კლუბში ასრულებენ. იაპონელთა უმრავლესობას არც კი უნახავს გეიშა. ამიტომ რაკი ასეთი შესაძლებლობა მომეცა, მისი ხელიდან გაშვება ცოდვა იქნებოდა. იაპონური მკაცრი ეტიკეტი დავარღვიე და თავი წარვუდგინე. ქალი მოკრძალებული რევერანსით მომესალმა. შეხვედრა ვთხოვე. მცირე ყოყმანის შემდეგ, დამეთანხმა. შემპირდა, დაგირეკავთო...

და აი, აწკრიალდა ტელეფონი. სანამ გონს მოვიდოდი, ქალმა მითხრა, — ეს შეხვედრა კონფიდენციალური უნდა იყოს. ვინმემ რომ გამიგოს, გეიშების სახლში უსიამოვნება შემხვდებაო.

სამი დღის შემდეგ, ძვირადღირებული სასტუმროს ვესტიბიულში ვიდექი. მალე მოვიდა. 35 წლის იქნებოდა, მუქი მეწამული კიმონო ეცვა, თეთრი მაკიაჟი ჰქონდა, — ეს ყველაფერი გეიშასთვის დამახასიათებელი ატრიბუტია.

ნამდვილი გეიშა ძალზე განსხვავდება დასავლეთში მასზე გაბატონებული წარმოდგენისაგან. პირველ ადგილზე მისთვის არტისტიზმი და საუბრის წარმართვის ხელოვნებაა, მეორეზე, — ახალგაზრდობა და სილამაზე.

ჰიდე-სანს (ასე ერქვა ჩემს ნაცნობს), თურმე, 19 წლისას, სხვა გოგონებზე გაცილებით გვიან დაუწყია გეიშათა ხელოვნების ათვისება. ეს მრავალწლიანი, დაუღალავი შრომაა. ჰიდესანისათვის ტრადიცია ყველაფერია. მას წარსული უყვარს, თანამედროვე სამყარო კი, მახინჯი და ბილწი ეჩვენება.

მერე თავის კლიენტებზე მიამბო. ძირითადად, ეს 50-70 წელს მიტანებული მამაკაცებია. „ათი წლის წინ, ჯერ კიდევ ნახავდი საინტერესო კაცს, ახლა კი ყველა ერთფეროვანია, — მიამბობს ჰიდე-სანი, — ერთი თუ საკეს სვამს, ყველა დანარჩენი იმავეს ითხოვს. გამორჩევის ეშინიათ — ბავშვებივით არიან. ხუმრობაც ბავშვური აქვთ".

ერთმანეთს იაპონურად ვესაუბრებით, ზოგჯერ ჰიდე-სანი ინგლისურზე გადადიოდა. საკმაოდ კარგად იცოდა.



„კარგი გეიშა ამტანი უნდა იყოს, — განაგრძობს ჩემი თანამოსაუბრე, — სტუმრებთან ერთად მხოლოდ დალევის უფლება გვაქვს, ჭამისა არა. სამი წესი უნდა დავიცვათ განუხრელად: არ უნდა მოვწიოთ, არ უნდა დავლიოთ ვისკი და ვიჯდეთ მხოლოდ ტერფებზე. რამდენიმე ხნის შემდეგ, ეს საკმაოდ მტკივნეულია. რაც უნდა მოვისმინოთ, ყველაფერი საიდუმლოდ უნდა დარჩეს. პოლიტიკოსები და უმდიდრესი კორპორაციათა ხელმძღვანელები გამოთვრებიან და რას არ ყბედობენ. რა თქმა უნდა, ზოგი გეიშა უეცრად წამოსროლილ რომელიმე ფრაზას გულმოდგინედ იმახსოვრებს და მერე ბირჟაზე დიდ ფულს აკეთებს".

ჰიდე-სანს ეს ყველაფერი არ აინტერესებს. თავისუფალ დროს სპორტულ კოსტიუმს იცვამს, ველოსიპედს მოაჯდება და თევზის ბაზრისკენ მიეშურება. ერთ რამეს ნანობს, — შვილი რომ არ ჰყავს. ეს კიდევ ერთი წესია მისი პროფესიისა. მაგრამ ძალზე ამაყობს იმით, რომ სრულყოფილად ფლობს ტრადიციულ ხელოვნებას. ზედმიწევნით ერთგულია გეიშების სახლისა და უფროსი გეიშასი, 83 წლის ოკაა-სანისა, რაც იაპონურად „დედას" ნიშნავს.

საუბარი გაგვიგრძელდა, ამგვარი შეხვედრა რამდენიმე ათასი ფუნტი სტერლინგი ღირს. მაგრამ ჰიდე-სანმა, უეცრად, გაიცინა და უზადო ინგლისურით მითხრა, — „მე ერთობ ძველმოდური ვარ. მეუღლეს უნდა უთხრათ, რომ მნახეთ და მაშინ თავისუფლად შეგვიძლია შევხვდეთ ერთმანეთს, ისე უბრალოდ, საქმის გარეშე, — მერე ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ შემცბარმა მკითხა, — გახდებით ჩემი მეგობარი"?

# უდიდესი მოვალეები



დღეს ნახევარი საქართველო მევალეა, მეორე ნახევარი მათი მოვალე. ვისაც ვალი გმართებთ, დასამშვიდებლად შემოგთავაზებთ იმ ცნობილ მოვალეთა ჩამონათვალს, ვისთან გვერდით დგომაც, ერთ კომპანიაში ყოფნა, არაფრით გეთაკილებათ.

... „დონ კიხოტის" ავტორ სერვანტესი ვალების გადაუხდელობის გამო ციხეში იჯდა.



პუშკინს იმდენი ვალი ჰქონდა, რომ ტრაგიკული დუელის შემდეგ მეფემ ქვრივისთვის, ნატალია ნიკოლაევნასა და შვილებისთვის პენსია რომ დაენიშნა, კარგა დიდი თანხა გაიღო მათ დასაფარავად.

დოსტოევსკის ვალები რომ დაეფარა, წინასწარ იღებდა ჰონორარს ჯერ კიდევ დაუწერელი რომანებისათვის.

მარკ ტვენი, მევალეები რომ გაესტუმრებინა 6 წელი გარს უვლიდა მსოფლიოს (ტრანსპორტის მაშინდელი საშუალებების მასშტაბებით) და კითხულობდა ლექციებს.



ონორე დე ბალზაკს კარზე ყოველ დაკაკუნებასა და ზარზე შიშით გული უსკდებოდა, ალბათ, კრედიტორები მომადგნენო. არც დიუმა და ჟიულ ვერნი იყვნენ კარგ დღეში. დიუმა, მევალეებს რომ დამალვოდა, კავკასიაში გაემგზავრა სამოგზაუროდ. ასე რომ, დიუმას ცნობილ ნაწარმოებს „კავკასია" ლიტერატურის მოყვარულნი კრედიტორებს უნდა უმადლოდნენ.

აშშ-ის პრეზიდენტი გრანტი უპატიოსნო ხალხს ენდო, როდესაც აღმოაჩინა, რომ სამ მილიონ დოლარზე მეტი ვალი აქვს, გაყიდა თავისი ფერმა, სახლები და სამხედრო ჯილდოებიც კი. უდოლაროდ დარჩენილი ცოლს საკუთარ მემუარებს კარნახობდა, რომელიც სიკვდილამდე სამი დღით ადრე მოამთავრა.

მოკლული პრეზიდენტის, აბრამ ლინკოლნის ქვრივი, იძულებული იყო გაეყიდა ძვირფასეულობა, ქურქები, მეუღლის პერანგებიც კი.

რაც შეეხება მეფეებს, მათაც გამუდმებული ვალები ჰქონდათ და ზოგჯერ ბედნიერი ქორწინებით იუმჯობესებდნენ მდგომარეობას. ღირს ამაზე დაფიქრება....

# გზა გოლგოთისკენ და, უკან...



ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს სწორედ ისე მოხდა, როგორც ვწერთ...

ჯეკი და რენე ტრუტებს გასაოცარი ძალის ხმა შემოესმათ. სახლიდან გამოსულებმა დედამიწიდან ცისკენ აზიდული უჩვეულო ქარბორბალა დაინახეს და სამახსოვრო სურათების გადაღებაც გადაწყვიტეს.

— ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ დღემდე თავი სიზმარში მგონია, — იხსენებს 39 წლის ოკლაჰომელი ქალი, რომელსაც მხოლოდ პირილა მოუჩანს ბინტებქვემოდან. მას აღარც ცალი ყური შერჩა, არც თმის არც ერთი ღერი, ხელიც მოტეხილი აქვს, უთვალავი მსუბუქი ჭრილობებითაც არის დასერილი, მაგრამ ყველა თვლის, რომ რენე მაინც ბედნიერ ვარსკვლავზეა დაბადებული.

— ჯეკმა ფოტოაპარატი მომიშვირა და... სურათის გადაღება და რაღაც აქამდე ჩემთვის შეუცნობელი, ერთდროულად მოხდა; რაღაცა ფეხქვეშ გამიძვრა, ამწია, დამატრიალა, ეს ისეთი კოსმიური სისწრაფით ხდებოდა, მივხვდი, ველარ გადავრჩებოდი. მარცხენა ყური ისე მეტკინა, ახლაც მახსოვს ის სიმწარე, თავპირში მცემდა ქვები და რაღაც ჯოხები, ვგრძნობდი, რომ სულ უფრო მაღლა მივიწევდი, აქეთ-იქით ვეხეთქებოდი, ისეთი ხმაური იდგა, გეგონებოდათ, სატვირთო მატარებლის ქვეშ მოვყევი, მალე გრძნობა დავკარგე.

რენე გონს ერთი ბორცვის თავს მოეგო, იგი სახლიდან 18 კილომეტრზე გადაეგდო სმერჩს.

როგორ ყოფაში იყო ამ დროს ჯეკი? მოდი და ნუ გაიკვირვებ, მას ოდნავადაც არაფერი დაშავებია, ოდნავ შეშინდა, ეგ იყო და ეგ. როდესაც სმერჩმა რენე შეიწოვა, ჯეკი მიწაზე დაეცა, ორივე ხელით შემოეხვია ტანძლიერ ხეს და გაუნძრევლად იწვა, ვიდრე ქარბორბალა არ მიწყნარდა. ჯეკი აღარ ელოდა, თუ კიდევ იხილავდა ცოცხალს რენეს...

წარსულს თუ გადავხედავთ, ასეთ შემთხვევას მივაგნებთ: 1984 წელს ფრანკფურტის სიახლოვეს ქარბორბალამ ჰაერში აიტაცა... 64 მოსწავლე და იქვე 150 მეტრზე უვნებლად გადააბრძანა ყველანი. მაშინდელი ბავშვები, რენესგან განსხვავებით, ახლაც სიამოვნებით იხსენებენ ამ „აფრენას".

# ყურდაცქვეტილი ჭორი

ჭორი ადამ და ევასდროინდელია, იგი ყველას უსიამოვნებას ანიჭებს და ამიტომაც სძაგდათ ყოველთვის. ვირგილიუსი ჭორს „საშინელი ბგერებით სავსე ხახასა და ყურებდაცქვეტილს“ უწოდებდა. ჭორს თავისებური ხიბლიც ახლავს, — მას სიამოვნებით ისმენენ, იმეორებენ და ავრცელებენ.



ფრანგმა ფსიქოლოგმა, ჟან-ნოელ კაპფერერმა დააარსა „ჭორის კვლევისა და ახსნის ცენტრი“ და მეცნიერულად სწავლობს მას. მისი აზრით, „ჭორი არ არის იდუმალი, იგი გარკვეულ ლოგიკას ემორჩილება“. დოქტორი კაპფერერი ჭორის მსხვერპლთ რჩევასაც აძლევს.

იზაბელ აჯანი „ჭორის დოქტორის“ კლიენტია. 1987 წელს იგი კარგა ხნით თვალს მიეფარა და მაშინვე დაირხა ხმა: მსახიობი შიდსით არის ავადო. კაპფერერმა უმნეო აჯანის დუმილი ურჩია, — ახლა ხმის ამოღება ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნება და ჭორი უფრო აგორდებაო. მალე მსახიობი მკვდრადაც გამოაცხადეს. მაშინ კი ამოქმედდა კაპფერერი, იზაბელ აჯანი საფრანგეთის უდიდეს საინფორმაციო გადაცემაში გამოიყვანა. დარტყმა მომაკვდინებელი აღმოჩნდა, ბოროტ ხმებს ბოლო მოეღო. იმ შემთხვევაში ეს ეფექტური და ელეგანტური სვლა იყო.

მეცნიერი ჭორის გამომწვევ მიზეზებსაც იკვლევს. რალა მაინც და მაინც შეუბღალავი რეპუტაციის მქონე აჯანიზე გავრცელდა ეს ჭორი? მკვლევარის დაკვირვებით, მსახიობს პირადი ცხოვრება სამზეოზე არ გამოჰქონდა და იგი ამის გამო დაისაჯა.

1981 წლის 19 დეკემბერს ფრანგულმა საინფორმაციო სამსახურმა გადმოსცა ცნობა, ლეხ ვალენსას მრჩეველი, პოლონელთა საყვარელი თადეუშ მაცოვიკი ციხეში დაიღუპაო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი მაშინდელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გენერალ იარუზელსკის სახელს ჩირქს სცხებდა, პოლონეთმა იგი არ უარყო. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გააბათილა მაცოვიკის სიკვდილი პოლონეთის ერთ-ერთმა თანამდებობის პირმა და დასავლეთის პრესას ჭორის გავრცელებაში დასდო ბრალი. ეს პოლონეთის მხრიდან ერთგვარი სტრატეგია იყო.



დიქტატურის დროს ხელისუფლება მიზანდასახულად ავრცელებს ჭორს ცალკეულ არასასურველ პიროვნებაზე, მეამბოხეებზე. კაპფერერის აზრით, ჭორი, თუ ხშირად ავრცელებენ, სასურველ მიზანს ვეღარ აღწევს.

სტატისტიკის თანახმად, ყველა ცილისწამება საშინელია, უხეში, ზოგჯერ კომიკურიც, ხანდახან, შეიძლება ელეგანტურიც იყოს.

ჩინეთში სახელმწიფო ვიზიტის დროს, აშშ-ის პრეზიდენტმა ნიქსონმა მაო ძე დუნს უძვირფასესი ჩაის ფინჯანი მოჰპარა. მცველებმა ეს შეამჩნიეს, მაგრამ პრეზიდენტისთვის თქმა ვერ გაბედეს და რჩევა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ჯოუ ენ ლაის ჰკითხეს. ამ უკანასკნელმა დაცვის უფროსს ურჩია, — ნიქსონი ცირკში დაპატიჟეთ და ფინჯანის ასლი გააკეთეთო. წარმოდგენის დროს ილუზიონისტმა ფინჯანი გააქრო და განაცხადა, — ფინჯანს ნიქსონის ჩემოდანში იპოვითო.

ამ ილბლიანმა ხუმრობამ, ყველას შეუნარჩუნა ღირსება.

მსგავსი ლეგენდები არავის ვნებს. გაცილებით საშიშია, როცა ომის შემთხვევებში ერსა და ქვეყანაში მერყეობას თესავენ.

ჭორი ხშირად ვრცელდება დიდ ფირმებზე. მაგალითად, „მარლბოროს“ დააბრალეს, რომ იგი ქუ-ქლუქს-ქლანელებს აფინანსებდა. „ქემელში“ ოპიუმი იყო და სხვა. ჭორი მაკდონალდის ფირმაზეც გავრცელდა. ბოროტი ენები ამბობდნენ, — ფირმა ძროხის ხორცის



ნაცვლად ჭიაყელების ხორცს იყენებსო. ამ ცილისწამების უარყოფა ჩვეულებრივი გზით შეუძლებელი იყო. მაშინ ფირმა ეკონომიკურ მხარეს მიმართა, — ტელევიზორში გამოაცხადა, — ჭიაყელას ხორცი ძროხისაზე 5-ჯერ ძვირიაო.

ძნელია, ჭორის თავწყაროს პოვნა და, რაც უფრო დაუჯერებელია, მით სწრაფად ვრცელდება.

ჭორების შედეგი მეტად საზიანოა მსხვერპლისათვის. რაც არ უნდა უსაფუძვლო იყოს ჭორი, იგი კვალს მაინც ტოვებს მითქმა-მოთქმის ობიექტზე. როგორც კაპფერერი ფიქრობს, ეს ადამიანის სელექციური ცნობიერების შედეგია: — პირველი შთაბეჭდილება თუ ნეგატიურია, მომავალში ადამიანი მხოლოდ იმ ფაქტებს ითვალისწინებს, რომლებიც პირველს შეესაბამება, სხვა ფაქტებს კი შემთხვევას აწერს ხოლმე.

აკი, ამბობდა კიდევაც დიდი ტალეირანი: „უფრთხილდით პირველ შთაბეჭდილებას, რადგანაც იგი უტყუარია“.

# ცივი ფაქტები ნაყინზე



ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ვერნონის მთის მდელოს მზე აცხუნებდა. მრავალფენა კაბებში ჩაცმულმა ქალებმა თავი შეაფარეს ახლომდგომი ხის ჩრდილს. მალე, მათი მასპინძელი, ჯორჯ ვაშინგტონი გამოჩნდა, რომელმაც პიკნიკი საზეიმოდ დაასრულა და სტუმრებს ვარდისფერი და თეთრი ნაყინით გაუმასპინძლდა. 1790 წლის ამ ცხელ დღეზე გაცილებით ადრე, ნაყინს უკვე მიირთმევდნენ.

პირველი ცნობა ნებისმიერი სახის გაყინული ნუგბარის შესახებ ჩვენს ერამდე V საუკუნიდან მოდის. ალექსანდრე დიდი, თურმე, სიამოვნებით მიირთმევდა ყინულიან სასმელებს.

რომაელი იმპერატორები ღვინოს და ხილის წვენებს არომატისთვის თაფლს ურევდნენ და შემდეგ ყინულით აგრილებდნენ. თოვლი და ყინული შორეული ალპებიდან ჩამოჰქონდათ. გზაში ყინულის მზიდავები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, რათა ტვირთს რომამდე უვნებლად მიეღწია. არსებობს ლეგენდა იმის შესახებ, რომ ერთხელ ცეზარს სუფრასთან დამდნარი ყინული მიართვეს, მან კი მზიდავების მეთაური სიკვდილით დასაჯაო.

მაშინ, როცა რომაელები მთებიდან ყინულს ეზიდებოდნენ, ძველი ჩინელების, ინდოელების, სპარსელებისა და არაბების ნადიმების მონაწილეები გაყინული ხილის არომატული ჩაროზით იგემრიელებდნენ პირს. როდესაც, 1295 წელს, მარკო პოლო ჩინეთიდან ევროპაში დაბრუნდა, უცნაური, გაყინული ნუგბარის რამდენიმე რეცეპტი წარადგინა.

1500 წლიდან რეცეპტებს ნაღები დაემატა. 1533 წელს ეკატერინე მედიჩის საშუალებით, „ნაღებიანმა ყინულმა“ საფრანგეთშიც შეაღწია. საფრანგეთის მეფე ჰენრი მეორეზე დაქორწინების შემდეგ, ეკატერინემ სასახლეში დესერტების საგანგებო მზარეულიც კი დანიშნა. ასი წლის განმავლობაში რეცეპტებს საიდუმლოდ ინახავდნენ. მაგრამ, მოგეხსენებათ, გაუგებარი არაფერი რჩება. 1700 წლისათვის მთელს ევროპაში იხსნებოდა კაფეები, სადაც შეიძლებოდა ეგემათ ნაყინი ნუშის ნამცხვრითა და რომით.

როდის იგემა პირველად ამერიკამ ნაყინი? წელი არ არის ცნობილი. თუმცა, უილიამ ბლექი, რომელიც ერთხელ სადილად იყო მიპატიჟებული მერილენდის მმართველ ბლეიდენთან, 1744 წელს წერდა: ვიგემეთ მშვენიერი ნაყინი მარწყვთან და რძესთან ერთად, რომელიც ძალიან გემრიელი იყოო.

ნაყინის ისტორიასთან ზოგი პრეზიდენტის სახელიცაა დაკავშირებული. თურმე, ჯორჯ ვაშინგტონს იმდენად უყვარდა ცივი დესერტი, რომ 1790 წლის ზაფხულში დანახარჯმა 51 ინგლისური ფუნტი შეადგინა, რაც დღეს თითქმის 2200 დოლარს უდრის.

პრეზიდენტი ვაშინგტონი სიამოვნებით სტუმრობდა მისის ჰამილტონს, ხაზინის სახელმწიფო მდივნის მეუღლეს. წვეულებაზე „მიხაკ-დარიჩინიანი წითელი და თეთრი ნაყინის პირამიდები“ უხვად იყო. რამდენიმე წლის შემდეგ დოლი მედისონმა ნამდვილი ეროვნული სენსაცია მოახდინა, როდესაც 1812 წელს, ჯეიმს მედისონის ინაუგურაციაზე სტუმრებს უზარმაზარი ვარდისფერი ნაყინის გუმბათით გაუმასპინძლდა. ნაყინი მხოლოდ მდიდრებისათვის იყო ხელმისაწვდომი. მაგრამ ორმა გამოგონებამ: 1803 წელს გამოგონებულმა მაცივარმა და 1946 წელს შექმნილმა ხელის საყინულემ, ნაყინი ელიტარული ჩაროზიდან მასობრივ პროდუქტად აქცია.

ის, რაც ერთ დროს, მხოლოდ მეფეებისა და პრეზიდენტების საკვები იყო, ახლა ნებისმიერისათვის ხელმისაწვდომი გახდა.

# ეს ასე დაიწყო



1770 წელს, შვეიცარიელ ქვრივ ქალს, გვარად გროშოლცს, ქალიშვილი შეეძინა; ქალი ცოტა ფეხმსუბუქი გახლდათ და გოგონას მამას კონკრეტულად თითს ვერ ადებდა. მარი (ასე უწოდეს ახალშობილს) სუსტი და დალეული იზრდებოდა. ვინ იცის, როგორ გაგრძელდებოდა მისი ყოფა, რომ საცხოვრებლად ბერნში არ გადასულიყვნენ. აქ ქვრივი მხატვარ კურტიუსს დაუდგა ბინის მეთვალყურედ და მალე — საყვარლადაც.

კურტიუსი წელიწადში ერთხელ პარიზში თავისი სანთლის ფიგურების გამოსაფენად მიდიოდა და ამით ბლომად ფულსაც შოულობდა. 6 წლის მარიმ პირველად იხილა პარიზი მხატვართან ერთად. 12 წლისამ მისი სარეცელიც გაიზიარა — კურტიუსს თავდავიწყებით შეუყვარდა გოგონა და სანთლის ქანდაკების საიდუმლოებაც გაანდო.

ტრიუმფი მარის 5 წლის შემდეგ ელოდა — მან ვოლტერი გამოაქანდაკა, ნამუშევარი საფრანგეთის მეფის, ლუი XV-ის დამ, ელიზაბეტმა მოიწონა და ქალიშვილი სასახლეში მხატვრად მიიწვიეს. საფრანგეთს რევოლუცია დაატყდა თავს, სამეფო ოჯახი გილიოტინაზე გაგზავნეს. მარიმ საოცარი გამჭრიახობა გამოიჩინა, მოკვეთილი თავების შეგროვება მოახერხა და მათგან ნილბებიც აიღო. ლუდოვიკოს, მარი-ანტუანეტასა და მათი შვილების სანთლის ფიგურები ნიჭიერი მოქანდაკის კოლექციის მშვენება გახდა.



მალე კურტიუსი გარდაიცვალა. მარიმ მთელი მისი ქონება ხელთ იგდო და ახლა ცოლად ფრანგ ტიუსოს გაჰყვა, მაგრამ პარიზში ცხოვრება ძნელი აღმოჩნდა, სანთლის ქანდაკებებს მნახველი არ ჰყავდა და ქალბატონმა მარი ტიუსომ ინგლისს მიაშურა, — ალბიონის ქვეყანაში მას ახალი ცხოვრება ელოდა... გამოფენას უამრავი ხალხი მოაწყდა, ბრიტანელებმა მიიღეს მადამ ტიუსო თავისი ქმნილებებით.



დედის სიკვდილის შემდეგ ბიზნესს მისი ვაჟები ჩაუდგნენ სათავეში. დღეს, ინგლისში ჩასული კაცი, პირველ რიგში თუ არა, მეორე სურვილად მაინც ამ გასაოცარი მუზეუმის ნახვას ინატრებს.

1884 წელს, გარდაცვალებამდე 8 წლით ადრე, მადამ ტიუსომ თავისი სკულპტურა გამოაქანდაკა და ამის შემდეგ ხელი არაფრისთვის უხლია.

# სიყვარულო, ძალსა შენსა...

„ჩემი ხატია სამშობლოო“, — ეს კი უთქვამს პოეტს, მაგრამ სანთლითაც რომ ეძებოთ, ალბათ, ვერ იპოვნით ისეთ მამაკაცს, რომელიც იტყოდა „ჩემი ხატია ცოლიო“. ასეთი იშვიათი ადამიანი გერმანიაში მოიძებნა. 52 წლის ბროკერი — ბატონი ერიჰ ლეივუნე.

ამ მხნე და ენერგიულმა მამაკაცმა არ დაიშურა ძალ-ღონე, ფული, და ცოლისაგან ფარულად, თეგერნზეის ულამაზეს სანაპიროზე გამოცდილ ოსტატებს შემკული და მოჩუქურთმებული კოპწია ეკლესია ააშენებინა.



კაცის თაყვანისცემის ობიექტმა, მეუღლემ — ირენ ლეივუნმა ეს უჩვეულო საჩუქარი მხოლოდ თავისი დაბადების დღეს, 50 წლისთავზე იხილა.

# კაზანოვას რევაზი ერქვა...

ეს შევბულება ელენა სერგეევნას დიდხანს დაამახსოვრდება. 40 წლის ორნაქმარევ ქალს ასეთი ბედნიერება არ ღირსებია. ამ დღეების გმირი რევაზი იყო, ვნებიანი საყვარელი და რაინდი.

სოჭის სასტუმროს წინ გამოემშვიდობა საოცნებო მამაკაცს და გულიც სანახევროდ მასთან დარჩა, მაგრამ გაილია ტრფობის თვე... აეროპორტისკენ მიმავალ ტაქსს ელოდნენ, იქვე ახალგაზრდა წყვილი იდგა და ეტყობოდა, ჩქარობდა.

თურმე, გზი მათაც აეროვაგზლისკენ ეჭირათ. ელენა სერგეევნას სთხოვეს და დაემგზავრნენ, რევაზი მოწყენილი იდგა სასტუმროს წინ და ლამის თვალცრემლიანი დიდხან უქნევდა ხელს „გაფრენილ სატრფოს“.

„ვოლგა“ თვალს მიეფარა, სალონში დუმილი ახალგაზრდებმა დაარღვიეს, იკითხეს და ძალზე გაიხარეს, როდესაც აღმოჩნდა, რომ ოლგა სერგეევნაც ომსკში მიფრინავს და სწორედ იმავე რეისით. აეროპორტში ერთმანეთს აღარ დაშორებიან. კატიამ (ასე ერქვა ქალიშვილს) საპირფარეშოში წასვლა შესთავაზა... ბარგი მიშას ჩააბარეს.

ვიდრე ელენა ვარცხნილობას ისწორებდა, კატერინა თვალს მოეფარა, არ აღელვებულა ქალი, ალბათ ქმართან დაბრუნდაო, მაგრამ, ტყუილად შერჩა თვალების ცეცება, ცოლ-ქმრის კვალი გაქრა, ისინი უკან, სასტუმროსკენ მიქროდნენ და ელენას ნივთებსაც მიაცუხცუხებდნენ.

ორი საათის შემდეგ, ისინი კვლავ სასტუმროს წინ გაჩერებაზე იდგნენ, რევაზი მორიგ სატრფოს აცილებდა (როგორც შემდეგ გაირკვა, ეს დაუოკებელი მიჯნური ერთდროულად 5-6 დამსვენებელს „ემსახურებოდა“, კაციც ეგ ყოფილა, და ქუდიც მას ხურებია)...

— აეროპორტისკენ ხომ არ მიდიხარ, ჩემს ახლობელსაც იქით ეჩქარება, — ჩაუსვა ტაქსში ახლა უკვე ლიდია ივანოვნა და დახეთ საოცრებას, გზაში ისევ გაირკვა რომ ახალგაზრდა წყვილიც სანქტ-პეტერბურგში და სწორედ ლიდიას რეისით მიფრინავდა.

ამასობაში, რევაზი ელიზავეტა ალექსეევნას ამზადებდა გასამგზავრებლად.

# მილიონერი ხარჯავს — მოყირჭებულ მილიონებს



სხვაგან ვერსად მოიფიქრებენ, ფეშენებელ ურ რესტორანში ფეხის შედგმისთანავე პრეზერვატივი მოგაჩეჩონ ხელში. აქ ასე ებრძვიან შიდსს. ეს ფლორიდის შტატია, მაიამი-ბიჩი, ქალაქი, სადაც ზაფხულობით თავს იყრის ათასობით გრძელკანჭა მომხიბლავი ქმნილება ერთადერთი საზრუნავით, რაც შეიძლება გააქესეტონ დაღლილი მილიონერები.

მოკლედ, საღამოა, რესტორანში, ზემოთ რომ ვთქვით, იმ „რეზინის ნაწარმით“ შემოგეგებიან. სარესტორნოდ მორთული ქალბატონები მორცხვად ჩაიღიმებენ, სმოკინგიანი მამაკაცები მდუმარედ იჩურთავენ ჯიბეში...

საკლუბო რესტორან *LVA*-ში კლიენტებს რბილ სავარძლებს სთავაზობენ, ოღონდ, აუცილებელი პირობაა მათი გრძელი ხავერდის თოკებით დაბმა. ეს ზომები გადაჭარბებულად არ მიიჩნიოთ, როდესაც დარბაზის შუაგულში გამოდის გველივით სხარტი და ჩამოქნილი ზანგი ქალიშვილი და თითქმის დედიშობილა თავის საოცარი სხეულით იწყებს დაუოკებელი და დაუკმაყოფილებელი ვნების დემონსტრირებას, მამაკაცებს მხოლოდ თოკებით და ათეული ღონიერი მცველით თუ დააკავებ. დარბაზში სალღერღელაშლილ მამრს გვერდით ოთახში ელოდება შოკოლადისფერი მულატები, ვისკის ორმაგი ულუფა და მისტიკური თავდავიწყება.

რომანტიკული პაემნების მოწყობით პირველობას არავის უთმობს 50-იანი წლების სტილის ბარი, *Cecvelander*-ი, იგი ღია ცისქვეშ არის მოწყობილი. შუაგულში უზარმაზარი ლაჟვარდოვანი აუზია, მის ირგვლივ როკავს და წელში ტყდება ნიმფა და სუპერმენი, პირტიტველა ჭაბუკი და შუახანსგადაცილებული მილიონერი. ხამი კლიენტი გაოგნებულია, როდესაც ზურგსუკან ჩაუჩურჩულებენ — რას ინებებთ — „სექსს წყალში“ თუ „კამიკაძეს“? თურმე ეს ფირმის კოქტეილების სახელწოდებაა, რომელსაც კარგა მეთქვირული ქერა ქალიშვილები დაატარებენ. ფირმის რეცეპტს არავინ გაგიმხელს, მაგრამ ერთი ჭიქის შემდეგ, მამაკაცი იწყებს ფიქრს პლაჟზე, ქალზე, გაგრილებასა და თავდავიწყებაზე. თუ ფანტაზია მოგთხოვთ, ცათამბჯენიც თქვენს სამსახურშია. თქვენ მხოლოდ სართული დაასახელეთ და გოგონა აირჩიეთ.

ასეთი ვნებიანი და ეგზოტიკური ღამის შემდეგ, თუ მოინდომეთ და ტელევიზორიც ჩართეთ, იქვე, ლოგინში შემოგთავაზებენ ყველაფრის ფასსა და მისამართს, რის შეძენასაც კი მოისურვებთ. შუადღემდე თუ შემორჩით ამ ქალაქში, მაშინ კილომეტრობით გადაჭიმულ პლაჟებს მიაკითხეთ. აქ ჩასაფრებულია ასობით პროვინციელი ქალიშვილი, რომელთაც პირდაპირ ყნოსვა აქვთ გამძაფრებული და წამში აგნებენ მილიონერს, რომელსაც მოყირჭებია მილიონები და ნეტარებას მოუტანს მათი გაფლანგვა.

იჩქარეთ, ღირს მაიამი-ბიჩში ფულის ხარჯვა.

# ეგზოტიკური პორნო



დიუსელდორფში გამოიცა ცნობარი სექს-ტურისტებისთვის, რომელშიც მითითებულია, რომ დუნაიზე ყველაზე იაფიან ეროტიკულ მომსახურებას გაგიწევენ ტაილანდზე, ტანზანიაში და კუბაზე, მათ დიდად არც ფილიპინები უსწრებს (10-დან 100 დოლარამდე), თუმცა, ეროტიკის მოყვარულებს იქვე აფრთხილებენ, რომ სწორედ ეს ქვეყნები ლიდერობენ შიდსით დაავადებულთა შორისაც, ჩვენდა გასაკვირად, აშშ და საფრანგეთი სიძვირის მიხედვით მხოლოდ მე-4 ადგილზე აღმოჩდნენ, ფლორიდაში ერთი ნეტარი ღამე საშუალოდ 100 დოლარი ჯდება, უფრო მაღალი კლასი, ვთქვათ, პოლიტიკოსების მომსახურებაში ღამის ფარვანა 300 დოლარს სჯერდება. მოსკოვის კლუბ „მანჰეტენ-ექსპრესში“ სიყვარული არცთუ სულ იაფია, ისე რა, შეიძლება შეწვდე — 400 დოლარამდეა... ევროპაში დღეს პირველობს აღმოსავლეთბერლინური ალექსანდერპლატცი, სადაც მართლაც ასარჩევია „საქონელი“, მაგრამ ფასებიც მაღალია. იაპონიის ლეგენდარული გეიშებიც ძვირფასი სიამოვნებაა, მაგრამ სხვა ვერავინ შემოგთავაზებთ სიყვარულის 38 ხერხსა და პოზას.

პირველ ადგილს სიყვარულის ქურუმების სიძვირის მიხედვით იაპონიასთან ერთად იყოფს რუსეთი. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ რუსეთში, ჯერჯერობით, შიდსი დიდსა და პატარას არ მოსდებია.

დსთ-ის ქვეყნებიდან ცნობარში რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ მოლდოვასა და ტაჯიკეთის მონაცემები შეუტანიათ. კიშინიოვში სექსით ერთჯერადი ტკბობა 30 დოლარი ღირს, დუშანბეში — 60 ათას რუბლად შეგიძლიათ იქირაოთ ქალი და საჭმელ-სასმლითაც უზრუნველყოფილი იქნებით. მოკლედ, ცხოვრება შეიძლება.

## ნლის რომანი



61 წლის ტენორმა თავი კვლავ ჭაბუკად იგრძნო. სასწაული მისმა 26 წლის მდივანმა, ნიკოლეტამ მოახდინა. შეყვარებულები არად დაგიდევენ ასაკობრივ სხვაობას (ნიკოლეტა ტენორის ერთ-ერთ ქალიშვილზე უმცროსია). სუსტმა და პატარა ქალმა „დიდი ლუჩანო" დაიმორჩილა და მისგან ახალი ადამიანი ჩამოქნა. ცოტა კი იფიქრა ლუჩანომ, ვიდრე 35 წლიან არცთუ უღბლო ქორწინებას დაარღვევდა, მაგრამ წინ დიდი სიყვარული ელოდა...

ნიკოლეტამ ერთ სასწაულს მეორეც მოაყოლა — ახლა პავაროტი მკაცრ დიეტაზეა, ფორმაში ყოფნა სცენაზეც საჭიროა და სიფრიფანა ნიკოლეტას გვერდით ყოფნისასაც.

ახლა ლუჩანოს სასწაულის ჯერი დგება — ნიკოლეტა მისგან სულ ცოტა ექვს შვილს ელოდება.

პავაროტიმ მიაგნო სიჭაბუკის ელექსირს.

## იოკო ონო და ჯონ ლენონი



სამოცდაორი წლის იოკო ონომ თავის ვაჟთან 20 წლის შონ ლენონთან ერთად დაიწყო ამერიკის ღამის კლუბებში გამოსვლა. იოკო ჯონის შთაგონების წყარო იყო და ალარავის ეგონა, მისი სიკვდილის შემდეგ თუ კვლავ მუსიკას მიუბრუნდებოდა. იოკო ისევ იმ სახლში ცხოვრობს, რომლის შესასვლელთანაც მოკლეს ჯონი. აქ იაპონური ტრადიციის თანახმად (რომელსაც ონო განუხრელად იცავს), აუცილებელია ფეხსაცმლის გახდა. ყველა სტუმარს იოკო, პირველ რიგში, ცნობილ თეთრ როიალს უჩვენებს, რომელზეც იქმნებოდა მათი უდიდესი სიყვარულისადმი მიძღვნილი სიმღერები.

## ჰოლივუდის საუკეთესო წყვილი — ნიქოლ ქიდმანი და თომ ქრუზი



ნიქოლ ქიდმანი და თომ ქრუზი გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ ერთმანეთს, „ის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად მომეჩვენა, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ", — იხსენიებდა შემდეგ ნიქოლი. სწორედ იმ დღეებში თომ კრუზი გაშორდა მეუღლეს მიმ როჯერს და ქალებისაკენ გახედვას კარგა ხანს აღარ აპირებდა.

— დანახვისთანავე მივხვდი, რომ თავდავიწყებით შემიყვარდა, — ამბობს ქრუზი, — ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ასეთი ცოლი მყავს, მის გარეშე, ალბათ, ვერ ვიცოცხლებ.

ნიქოლმა და თომმა ბავშვები იშვილეს. ჯერ გოგონა, ახლა კი ბიჭი.

ამერიკის კინოკრიტიკოსთა ასოციაციამ ნიქოლ ქიდმანი წლის საუკეთესო მსახიობად დაასახელა. ძნელი სათქმელია, რამდენ ხანს გაგრძელდება მათი ოჯახური ბედნიერება, თუმცა, ნიქოლს სჯერა, რომ მუდამ ასე იქნება.

## ვარსკვლავები ყოველთვის ვერ განსაზღვრავენ ვარსკვლავთა ბედს

არ შეიძლებოდა, ისინი რომ ერთმანეთს არ შეხვედროდნენ — ორი დიდი მოკიაფე ვარსკვლავი: ჟან გაბენი და მარლენ დიტრიხი. ასტროლოგთა მტკიცებით, ისინი ზოდიაქოს ნიშნებითაც (კურო — თხის რქა) იდეალური წყვილი იქნებოდა. მაგრამ ჟან გაბენი და მარლენ დიტრიხი ჩვეულებრივ მოკვდავთა წესს არ დაემორჩილნენ! ყოველთვის ვერ განსაზღვრავენ ვარსკვლავები ვარსკვლავთა ბედს.



„საღამოს ათი საათია. მასზე ვფიქრობ. წლებს გავილევდი მასთან გატარებული წამის ნილ.

ჟან, მიყვარხარ. ყველაფერი, რისი ვალებაც შემიძლია, ეს სიყვარულია. თუ არაფერში გჭირდები, ჩემი ცხოვრება დამთავრებულია. კარგია, როცა შემიძლია გითხრა — მიყვარხარ-მეთქი და შენ ვერ შემეკამათები — არა მჯერაო. მაგრამ გვერდით რომ მყავდე, მოგეხვეოდი, თავს მკერდზე მოგაყრდნობდი, რათა მერწმუნა, რომ შენც გიყვარვარ. სხვაგვარად არ გამითენდება, მზე არ ამოვა და არაფერი მომხიბლავს. თუ აღარ გიყვარვარ, მოვკვდები".

ეს — „ცისფერი ანგელოზის", 30-იანი წლების კინემატოგრაფის "სექსღვთაების", გამოუცნობი და დაუპყრობელი მარლენის დღიურის ნაწყვეტია.

ისინი, პირველად ომამდელ ბერლინში შეხვდნენ ერთმანეთს და მალევე დაშორდნენ.

მალე მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, საფრანგეთიც ჩაება ბრძოლაში. გაბენი საზღვაო ნაწილში ჩაირიცხა. როდესაც გერმანელებმა პარიზი დაიკავეს, ჟანი მსახიობთა ჯგუფთან ერთად გაექცა ფაშიზმს და ამერიკაში გაემგზავრა.

ჟან გაბენი მარლენის ყველაზე ძლიერი სიყვარული იყო. მიუხედავად ურთიერთსაპირისპირო ბუნებისა, მათ დიდი ვნება და თანხმობა აერთიანებდათ. ჟანი ამერიკაში თავს მარტოსულად თვლიდა, სამშობლოზე დარდობდა, მარლენში მან მეგობარი და ამხანაგი, დარდის გამყოფი იპოვა, მხოლოდ ამ ჯადოსნური სილამაზის ქალს ესმოდა მისი. მარლენსაც სწორედ ასეთი გაბენი უყვარდა, თავისი „დიდი ეგოისტი" გაბენი.

მარლენი ჰოლივუდსა და გაბენს შორის იყო გაბმული — ჰოლივუდი მას ფულისთვის სჭირდებოდა, მათი ერთობლივი ცხოვრება განშორებებისა და შეხვედრებისგან შედგებოდა. გაბენს ძალზე აწუხებდა ამგვარი მოუწესრიგებელი ყოფა, სიმყუდროვე სურდა და მარლენს ულტიმატუმი წაუყენა — ან დაქორწინება და შვილები, ან ყველაფერს წერტილი დაესმებაო. მარლენმა დასთმო უდიდესი სიყვარული, კარიერა კი — არა...

მაგრამ მარლენს მთელი ცხოვრების მანძილზე უყვარდა ჟანი, უგზავნიდა დეპეშებს, ცდილობდა როგორმე ერთხელ მაინც შეხვედროდა. ყველაფერმა ამაოდ ჩაიარა... ერთხელ, პარიზის რესტორანში შემთხვევით შეხვედრისას, ჟანმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერ იცნო და არც მისალმებია.

გაბენმა 1949 წელს ცოლად შეირთო ჟან ლანვენის მენატურე — დომინიკი, ლამაზი, მშვიდი და გონიერი ქალი. იგი ძალიან ჰგავდა მარლენს.

## ეს იყო ერთი ბედნიერი დღე



ივ მონტანი წიგნში, „მზიანი თავი", ასე იგონებს თავისი ცხოვრების მეგზურთან, საოცარ სიმონა სინიორესთან შეხვედრას, — „ეს იყო 1949 წლის ერთი ბედნიერი დღე, რომელიც მუდამ ცოცხლობს ჩემს გულში".

მართალია, ივ მონტანის ცხოვრებაში ბევრი სხვა ქალიც არსებობდა, მაგრამ არავის გაკვირვებია, თავისი სათაყვანო სიმონას გვერდით რომ დაასაფლავეს.

## საუკუნის წყვილი

მერილინ მონრომ და სახელგანთქმულმა ართურ მილერმა წვეულებაზე გაიცნეს ერთმანეთი. მერილინი მას მაშინაც ურეკავდა, როცა ჯერ კიდევ ყველასთვის უცნობი იყო და როლს სთხოვდა პიესაში. მაშინ მილერს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია დამწყები მსახიობისთვის, ახლა კი წვეულებაზე მოიხიბლა მსოფლიოში ყველაზე სექსუალური მსახიობით. ართურ მილერი — ამერიკის საუკეთესო დრამატურგი, უაღრესად ინტელექტუალური, მაგრამ, ამასთან, უსულგულო, უხასიათო კაცი იყო. მისი და ამერიკის ყველა მამაკაცის ოცნების ვარსკვლავის — მერილინ მონროს ქორწინება საუკუნის ქორწინებად ითვლებოდა. გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ეს იყო სხეულისა და სულის შერწყმა. თუმცა, მათ ცოლქმრობას დიდი დრო არ ეწერა. ვერც ერთმა ვერ მიიღო ის, რასაც მეორისგან ელოდა. ისინი მალე დაშორდნენ.



## მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი

1923 წლის ნოემბერში, მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში მათი პირველი კონცერტი გაიმართა.

— თამარ წერეთელი — ბოშური სიმღერების უბადლო შემსრულებელი; როიალთან — ბორის პროზოროვსკი", — იუწყებოდა აფიშა.





„Вам девятнадцать лет, у Вас своя дорога.

Вам хочется смеяться и шутить.

А мне возврата нет, я пережил так много.

И больно, больно мне в последний раз любить".

ჩაიკარგა და ჩაილია ცნობილი რომანსის ბოლო აკორდები და დარბაზიც აფეთქდა, აპლოდისმენტებს ბოლო არ უჩანდა, იდგა თამარი ბედნიერი და მომღიმარი, თავს დაბლა ხრიდა, მადლობას იხდიდა და ჩვეული არისტოკრატიზმით იღებდა ვარდების დიდ თაიგულებს.

იდგა ბორისი როიალთან დაღლილი, ხელები ჩამოეყარა, ალტაცებულთა ოვაციის მიჩუმებას ელოდა და უცქერდა, თვალს არ აცილებდა თავის ერთადერთს და ცდილობდა, დაემახსოვრებინა მისი თითოეული გამოხედვა და მიხრა-მოხრა, დაემახსოვრებინა მომაჯადოებელი ღიმილი, ასე რომ ხიბლავდა ყოველთვის, გული უგრძნობდა, დიდხანს არ გასტანდა ეს ჯადოსნური ზღაპარი.

პროზოროვსკიმ შესანიშნავად იცის, რომ სრული ტრიუმფისა და კარიერისთვის პატარა თბილისის აღიარება არ კმარა, საჭიროა დიდი სცენა და დიდი ქალაქი, იგი თავს ანებებს სამხედრო ჰოსპიტალში სამსახურს და თამართან ერთად მოსკოვს მიემგზავრება. შემდგომში მომღერალი იტყვის: „იმ დღიდან მოყოლებული, ჩემი მოღვაწეობა ბორის პროზოროვსკისთან, შესანიშნავ მუსიკოსთან და ადამიანთან იყო დაკავშირებული".

ცნობილი შემოქმედის თავზე საავდრო ღრუბლები იყრიდა თავს, ჩანს, არც მისი ზედმეტი პოპულარობა მოსწონდათ, არც მისი დეკადენტური ლექსი და მუსიკა, და არც წარმომავლობა, თავადური სისხლი აძლევდათ მოსვენებას.

პროზოროვსკის აპატიმრებენ.

... გაციმბირება... დახვრეტა.

ეპილოგი: ამ სიყვარულის ამბავი თამარის თაყვანისმცემელთა მემუარებშია შემონახული.



როგორც იქნა, წლის სასიძოს ტიტულის მატარებელმა ჯონ კენედი-უმცროსმა უამრავ ლამაზმანს შორის თავისი არჩევანი ამ ქალბატონზე შეაჩერა, რითაც გზა გაუხსნა ტიტულის ახალ მაძიებელს. მსოფლიოს საპატარძლოებს კიდევ ერთმა ჭეშმარიტმა მამაკაცმა გაუცრუა იმედი. ახალი, 97 წლის სასიძოს ტიტულის მაძიებელი მამაკაცები რიგში ჩადგნენ.

## ბანდერასის გული სამუდამოდ დაპყრობილია



ამერიკულმა ჟურნალმა შიშველი ბანდერასის ფოტო დაბეჭდა თუ არა, ტირაჟი მაშინვე გაიყიდა, როცა იგივე ფოტო "ინტერნეტში" გამოჩნდა, ქსელში ჩართულთა რიცხვის დადგენა შეუძლებელი გახდა, ნულები აღარ ეყოთ.

ლამაზი ანტონიო ესპანეთში წელიწადში 2-3 ფილმში მონაწილეობდა, ფულსაც იძენდა და პოპულარობასაც. სხვა მის ადგილზე თავს ბედნიერად იგრძნობდა, ანტონიომ კი 1992 წელს ჰოლივუდს მიაშურა.

ახლა ანტონიოს და მელანი გრიფიტის სახელები მტკიცედაა გადაჯაჭვული. ჰოლივუდში ცოტაა ასეთი წყვილი — ალბათ ბესინჯერი და ბოლდუინი, მრავალშვილიანი დემი მური და ბრიუს უილისი, ნიქოლ ქიდმანი და თომ ქრუზი — დანარჩენი წყვილები ქაოსურ ცხოვრებას ეწევიან, ვერ გაიგებ, ვინ ვის ვისთან ღალატობს, როდის ეყრებიან ან როდის რიგდებიან.

მას შემდეგ, რაც მელანის შეხვდა, ანტონიოს საჭორაო არავისთვის მიუცია. ორივენი არცთუ ძალიან ახალგაზრდები არიან, მელანი ორჯერ იყო გათხოვილი, ანტონიოსაც ჰყავდა ცოლი, ცხოვრებაში მრავალი შეცდომა აქვს ჩადენილი და ახლა, როცა ერთმანეთი იპოვეს, იციან ერთგულების ფასი.

## წყნარ და იდუმალ ბაღნარში



კატრინს უყვარს, როდესაც არავის ახედებს თავის სულიერ სამყაროში და ამის უფლებაც აქვს. მას დაგმანული აქვს დარაბები, ურდულით ჩაკეტილი კარები ყველასთვის არ იღება, მჭიდროდ შემოსაზღვრულ სამყაროში უკეთესად შეიცნობს საკუთარ თავს. უჩინარდება ხოლმე და სრულიად მოულოდნელად, კვლავ აკიაფდება და აალაპარაკებს პარიზს.

იღებდნენ ყველაზე დიდი რეჟისორები, ვისკონტის გარდა, რაც ძალიან საწყენია. წარმოვიდგინოთ, რა სახეს შექმნიდა ვისკონტის მიერ ჩამოქნილი დენიოვი. თუ კატრინს შეეკითხებით, მაინც რატომ არ გადაიღო ვისკონტიმ, იგი დუმილით აიწურავს მხრებს და ეს მისი თავდაცვის ყველაზე საყვარელი პოზაა. იგი ისეთივე დახვეწილებით დუმს, თითქოს მარაოს ხმარობდეს, ან დიდებული მანერით ფეხს ფეხზე იდებდეს.



*დეკემბრის დამლევს* პარიზში გარდაიცვალა დიდი მსახიობი მარჩელო მასტროიანი. მძიმედ დაავადებულ მსახიობს სიცოცხლის ბოლო დღეებს ულამაზებდნენ მისი დიდი სიყვარული კატრინ დენიოვი და მათი ქალიშვილი კიარა მასტროიანი. კატრინმა შეუსრულა მარჩელოს ანდერძი — 25 დეკემბერს, დიდთოვლობისას რომში დაკრძალეს დიდი მარჩელო.

## მადმუაზელი გამიჯნურებულია



წელიწადია, აღარ ჩანს პატრისია კაასი. აღარც ტელევიზიაში, აღარც რადიოში, აღარც ჟურნალ-გაზეთებში. რა ჭორი არ დაყარეს, ისიც კი თქვეს, — ხმა დაკარგაო. მოენატრათ და დაიძრნენ საძებნელად. უგზოუკვლოდ დაკარგული ვარსკვლავი ამერიკაში იპოვეს! დარდობდნენ, — რა მშვენიერი ქალიშვილია, მაგრამ რას იზამ, სიყვარულში ბედი არ სწყალობს, ვერა და ვერ მოხიბლა ვერც ერთი მამაკაციო...

— აღარ მინდა წარმატებისა და პოპულარობის მონა ვიყო. სიყვარული მეწვია... მინდა ჩვენ ორნი ვიყოთ მარტო, — განაცხადა მომღერალმა.

— მადლობა ღმერთს! — ამოისუნთქა პარიზმა.

პატრისიას მიჯნური ფილიპ ბერგმანი მომღერალი და კომპოზიტორია. მათ თავდავიწყებით უყვართ ერთმანეთი. კალიფორნიაში ცხოვრობენ, სულ ერთად არიან, ხელჩაკიდებულნი სეირნობენ, მღერიან, ერთმანეთი არ ბეზრდებათ.

მოდების კვირეულის დასასრულს, კრისტიან დიორის ხათრით, ნიუ-იორკიდან პარიზში ჩაფრინდნენ პატრისია და ფილიპი, მაგრამ მალევე უკან გაბრუნდნენ.

პატრისიამ ახალი დისკები ფრანგულ და ინგლისურ ენებზე უნდა ჩაწეროს.

## ქალთა გულისმპყრობელი

ადრიანო ჩელენტანო ჟურნალ „ფოკუსს“ აზრს უზიარებს ქალების, ჰომოსექსუალიზმისა და ქორწინების შესახებ.

*— სათაური, — „მამაკაცები მოდიან“, ზედგამოჭრილია ისეთი მაჩო-ტიპისთვის, როგორიცაა ჩელენტანო.*

— მაჩო არა ვარ, ყოველ შემთხვევაში, შინ მე იტალიელი ვარ, ვუმღერ სიყვარულს, ქალისა და კაცის ურთიერთობებს, იმ ამბებს, რაც მრავალგზის გადამხდენია.

*— ბევრი ქალის გული დაგიპყრიათ?*

— საკმაოდ.

*— ეტყობა, თქვენი მეუღლე, მსახიობი კლაუდია მორი, ტყუილად არ ეჭვიანობს.*

— ჩვენ ნაღდი იტალიელი ცოლ-ქმარი ვართ.

*— რა გხიბლავთ ქალებისა?*

— თვალები, ფეხები და ჩემთან თამაში. ჯერ გვაღელვებენ, მერე კი, როცა ჩვენგან ყველაფერს მიიღებენ, ხელიდან გვისხლტებიან.

*— ქალსა და მამაკაცს შორის ბიოლოგიურის გარდა, სხვა არსებითი განსხვავება თუ არის?*

— ქალები ძალიან ცნობისმოყვარენი არიან. გაუთავებელი შეკითხვებით მამაკაცებს ტვინს გვიბურღავენ და გულს გვიწვრილებენ. თანაც დაცინვა და ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა უყვართ. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ომი ქალის გამო დაიწყო. მამაკაცებმა კი ამის გამო პასუხი უნდა ვაგოთ. ქალები ამას ჩვენზე საბატონოდ ჩადიან.

*— ამბობენ, ჰომოსექსუალისტებს ვერ იტანსო.*



— მათი არ მესმის. ეს ხომ ადამიანის ღირსებას შეურაცხყოფს, თანაც არაბუნებრივია. შარვლიან ქალსაც ვერ ვეგუები.

*— ძველმოდური შეხედულებისა ბრძანებულხართ. სიბერის მოკაკუნებამ რაიმე პრობლემა ხომ არ გაგიჩინათ?*

— 15 წლის წინ თითოეულ ჩამოვარდნილ თმის ღერს მივტიროდი. ვიცოდი, ეს დასასრულის დასაწყისი იყო. საშინელებაა სიბერე.

*— თქვენი პოპულარობა უფრო კარგად რატომ არ გამოიყენეთ?*

— 70-იან წლებში ჰოლივუდის ბევრ ფილმში ვიყავი მიწვეული, მაგრამ, რაც უფრო ახლოვდებოდა გამგზავრების დღე, მით მეტად მთრგუნავდა შიში. ფრენის ისე მეშინია, რომ კონტრაქტს ვარღვევდი ხოლმე. ის კი არა, ლიფტშიც და გვირაბშიც ცივი ოფლი მასხამს.

*— მეგონა, იტალიელებს მხოლოდ მაფიის ეშინიათ-მეთქი?*

— ერთ ტელეშოუში აბორტებისა და სელაპების ხოცვის წინააღმდეგ გამოვედი და აფეთქება დამიპირეს. მას შემდეგ კონფლიქტებს ვერიდები, რაღა თქმა უნდა, გარდა სასიყვარულოსი.

## ნეტავ, როგორ მიხვდა, რომ ომზე სპექტაკლი მარიონეტებს უნდა ეთამაშათ?



გაბრიაძის სპექტაკლზე ფიქრი ძნელია. მისი გახსნებაც მხოლო გრძნობითაა შესაძლებელი, ღიმილით, სიხარულით, მაგრამ პირველ რიგში, ტირილით (სპექტაკლის ჟანრიც ხომ სიტყვა დატირებითაა განმარტებული).

რეზო გაბრიაძის სპექტაკლი „სიმღერა ვოლგაზე“ თითქმის არაფერს ამბობს ჩვენსა და ჩვენს დროზე, რადგან იგი მარადიულს ეძღვნება — მარადიულ ტანჯვას, მარადიულ სიყვარულს, სამუდამო განშორებას. ამიტომაც არის ესოდენ სადა, უფრო თხრობასა და აღწერას რომ საჭიროებს, ვიდრე ახსნას. რა არის ასახსნელი? ვიხსენებ დედა ჭიანჭველის უკანასკნელ სიტყვებს, მსახიობ ლია ახეჯაკოვას ხმით ნათქვამს და ისევ ცრემლი მერევა. წარმოდგენა პროლოგით იწყება — მუსიკით, სიტყვის გარეშე. ნელა, ძალიან ნელა შეირხევა ქვიშის ყორღანი, მარცვალ-მარცვალ ცვივა ქვიშა და შეჭაღარავებული თავი გამოჩნდება, რომელიც ერთადერთ ხელს დაჰყრდნობია. თოჯინა ცოცხლდება, ზანტად დგება, რადგან უკვე აღარსად მიეჩქარება — ყველაფერი გვიანაა. ხელით ქვიშას მისწევ-მოსწევს და ბრძოლების ნამუსრევს პოულობს — დაფლეთილ დროშას, ვიღაცის ქუდიდან ჩამოვარდნილ ვარსკვლავს, გერმანულ ჩაფხუტს, შემდეგ თოჯინა ქვიშაში მარხავს იქვე ნაპოვნ თავის მეორე ხელს და თვითონაც ქვიშაში ჩაეფლობა. ასე თავდება პროლოგი. სპექტაკლის პერსონაჟები არიან: ალიოშა — სცენის მუშა, ცხენი. ნატაშა — ცირკის ვარსკვლავი, ცხენი. ფილხაზი — კიეველი ხელოსანი, გერმანელი გენერალ-პოლკოვნიკი. სტალინი. საბჭოთა გენერალი — გორენკო. დედა ჭიანჭველა, ანგელოზი და სხვები... ბრუნავს სცენის ცენტრში დადგმული მწვანე, მომინანქრებული სათლი შიგ გამოჭრილი პატარა სარკმელებით, მილასლასებენ დაჭრილი ცხენები რუსეთის ტრამალებზე. მაინც, როგორ მიხვდა რეზო გაბრიაძე, რომ ომზე სპექტაკლი სწორედ მარიონეტებს უნდა ეთამაშათ, რადგან მათზე უკეთ არავის შეუძლია ითამაშოს სიკვდილი. ადამიანს არ ძალუძს ასეთი სიმართლით გადმოსცეს თავისი განცდები. თოჯინას კი მართლა ფეხები ეკეცება და მოცელილივით ძირს ეცემა — ისევ ხისა და ნაჭრის ნაგლეჯი ხდება, მეტი არაფერი. დიდხანს შეიძლება თხრობაც და აღწერაც, მაგრამ როგორ გადმოგცეთ განცდა, რომელიც დამეუფლა, როცა დედა ჭიანჭველა თავის დაკარგულ პატარას დასტიროდა „ჩვენზე უხმოდ ამქვეყნად ვინ დადიოდა? ყველაფერი დათვალეს... ჩვენ ჭიანჭველები კი არა....“

რეზო გაბრიაძემ კი დათვალა.

## ერნესტ ჰემინგუეი ისტორიაში განუყრელი სვიტერით დამკვიდრდა

გამოჩენილი მწერალი ირჩევდა მუშურ-გლეხურ ჩაცმულობას და სხვა სამოსთან შედარებით ხელით ნაქსოვ, უხეში შალის სვიტერებს მიაგებდა პატივს. მისმა ახლობლებმა ის თავისებურებაც იცოდნენ, რომ მწერალი მას შიშველ სხეულზე იცვამდა. „ჩვენ სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნდა და ასეც გვეგონა, რომ საცვლის მაგივრად სითბოსთვის სვიტერები უნდა გვეტარებინა. ეს უჩვეულო მხოლოდ მდიდრებისთვის იყო,“ — თქვა ერთხელ ჰემინგუეიმ.



დღეს აღარც მდიდრები თვლიან უჩვეულოდ ამას: ეს მოდურია და სტილური, თვითმყოფადი და ბუნებრივი. თანაც შიშველ ტანზე სვიტერჩამოცმული აუცილებლად გრძნობ რაღაც უპირატესობას, — გულის სიღრმეში თავი უფრო მამაკაცური და სექსუალური ჰგონია.

## განუმეორებელი იზაბელ აჯანი



ყველა, ვისაც კი ეგზოტიკურ მზეთუნახავთან, შესანიშნავ ფრანგ მსახიობ იზაბელ აჯანისთან გადასაღებ მოედანზე უმუშავია, ერთხმად ამბობს, — არავინ იცის, რას ჩაიდენს, მეტისმეტად სექსუალურია და თანაც ცოტა გიჟიო. ფრანგი ჟურნალისტები არ ემადლიერებიან და ზოგჯერ „ლიმონსაც“ კი ეძახიან. არც თუ ტყუილად, აჯანი თითქმის არასოდეს თანხმდება ინტერვიუზე და ეკრანზეც დამოუკიდებელ, მტკიცე ხასიათის ქალებს ასახიერებს, თავის ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფის ნებას არავის რომ არ აძლევენ. მისი კინოგმირები უმეტესად უიმედოდ შეყვარებულები არიან.

მოულოდნელად აჯანის ცხოვრებაშიც იგივე გამეორდა — ბავშვი გააჩინა ცნობილი ფლეიბოის, დანიელ დენ ლუისისაგან, რომელსაც მაინცდამაინც არ გახარებია ეს ამბავი.

მომხიბლავ იზაბელს არ უყვარს თავის ძველ კინოროლებზე ლაპარაკი. მხოლოდ მომავალი მაინტერესებს, ძველი ნამუშევრების ჩამოთვლა ნეკროლოგს მაგონებსო, — ამბობს მსახიობი. იგი 1965 წელს დაიბადა პარიზის გარეუბანში, ალჟირელისა და გერმანელის ოჯახში. თოთხმეტი წლისა იყო, როცა კინოში პირველად გადაიღეს, 15 წლისა კი უკვე თეატრალურ სტუდია „კომედი ფრანსეზში“ თამაშობდა.

აღმოსავლური ტემპერამენტისა და ოკეანის მიღმა მიღებული გამოცდილების მიუხედავად, აჯანი იყო და რჩება ევროპელ მსახიობად, რომლის ხელოვნებას არაჩვეულებრივი მაგიური ძალა აქვს.

## ქართველთა რძალი „სასტიკი რომანსიდან“

ლარისა გუზაევა — ნაწყვეტი „კვირის პალიტრისათვის“ მიცემული ინტერვიუდან.

...დავინახე თუ არა, მივხვდი — ეს ბედისწერა იყო. 30-ისა ვიყავი. ცხოვრებაში ყველაფრის ნახვა მოვასწარი — 17 წლიდან ლუკმაპურს საკუთარი შრომით ვშოულობდი, პირადი ცხოვრებაც არცთუ იღბლიანად ამეწყო, მაგრამ ყველაფერს მიჩვეული, ვფიქრობდი, ასეც უნდა იყოს-მეთქი. ეს შეხვედრა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა... ნუ გამკიცხავთ გულწრფელობისათვის, მაშინვე გულში გავივლე, როგორ მინდა მყავდეს ვაჟი, რომელიც კახას დაემსგავსება-მეთქი... სიზმარივით ჩაიარა ულამაზესმა დღეებმა... სამი თვის შემდეგ, აეროპორტში, ცხარედ მოვთქვამდი, — ვინ იცის, ვნახავდი კი ოდესმე იმ ადამიანს, რომელმაც ჩემი ცხოვრება ერთი ხელის დაკვრით შეცვალა-მეთქი... ერთი თვის შემდეგ, ტელეფონში კახას ხმა გაისმა — ხვალ მოვფრინავ და... ერთი წლის შემდეგ გიორგი შეგვეძინა. ღმერთმა, არ ვიცი, რა სიკეთისთვის, მარტო კახა და გიორგი როდი მაჩუქა, აქ თბილისში, მეორე სახლი ვიპოვე. მეორე დედ-მამა. უმამოდ გაზრდილი ქალისთვის იცით, რას ნიშნავს ამ ასაკში მამის პოვნა? ახლა ვხვდები, რასაც ნიშნავდა დედაჩემის შეგონება — როცა გათხოვებას დააპირებ, იცოდე, ოჯახს უნდა მისთხოვდეო. სრული ჭეშმარიტება აღმოჩნდა — როგორი პრობლემაც არ უნდა გამოჩნდეს, პირველ რიგში იმაზე ვფიქრობ, რომ აქ, თბილისში, დალი და გიორგი არიან, მე კი, ჩემი პატარა ოჯახით, მათი განუყოფელი ნაწილი ვარ და უფლება არა მაქვს, ისე არ მოვიქცე, როგორც მათ ეკადრებათ და შეეფერებათ. ხშირად ჩამოვდივართ თბილისში. 5 წლის გიორგი სამშობლოს ფესვებმა უნდა კვებოს... ერთი უდიდესი მიზანი მაქვს — ჩემი შვილი აქ გაიზარდოს, მშობლიური ენა იცოდეს, ოჯახის ტრადიციები გაითავისოს.



ჩემი შემოქმედებითი ცხოვრება? კინო ჩემთვის აღარ არის, იგი დაკნინდა. აბა, შეხედეთ ეკრანს. ყველაფერი წალეკა უხამსობამ, სისასტიკემ, უნიჭობამ, წამხედურობამ. საშინელებაა, როდესაც ისეთი რეჟისორი, როგორიც მოტილია („უდაბნოს თეთრი მზე“) მდარე, იაფფასიან უხამსს სიუჟეტს გამოეკიდება მასის გულის მოსაგებად, როცა ოსტატი თავს უფლებას აძლევს, პირველივე კადრებიდან ამდენი სიბინძურე ილვრებოდეს. ადრე ცენზურა უშლიდა ამას ხელს, ე. ი. ადამიანს მუხრუჭები სჭირდება, შიში უნდა თრგუნავდეს?! ჩანს, ათეული წლობით იმდენი სიბინძურე დაგვიგროვდა სულში, რომ მისი დაფარვა აღარ ძალგვიძს.

## ნინოს ჯულიეტა



დიდი ბალეტის ვარსკვლავს ნინო ანანიაშვილს ერთი წლის შესვენების შემდეგ სერგეი პროკოფიევის „რომეოსა და ჯულიეტაში“ ვიხილავთ. თავად ნინო ანანიაშვილი ძალზედ თავდაჭერილია, არ უყვარს თავის ქება. მან უკვე სამჯერ „გააცოცხლა ეს უკვდავი სახე — პირველად იური გრიგოროვიჩის, შემდეგ ლეონიდ ლავროვსკის და ბოლოს, კენეტ მაკმილანის ქორეოგრაფიით. პარტნიორობას უწევდნენ ანდრის ლიეპა და ალექსეი ფადეევი. ნინო ანანიაშვილს კონტრაქტი აქვს დადებული დიდ თეატრთან და მალე „ჟიზელსა“ და „ანიუტაშიც“ ვიხილავთ. აპრილსა და მაისში „ვარსკვლავი“ „მეტროპოლიტენის“ (ამერიკა) სცენაზე გააოცებს მაყურებელს. წინა სეზონისას, ტრავმის გამო, ბალერინა ნიუ-იორკში ყავარჯნებით დადიოდა.

## ვუპი აღფრთოვანებულია

ვუპი გოლდბერგი აღტაცებული ჭყივილით შეხვდა პირველ „ოსკარს“, რომელიც 1991 წელს მიანიჭეს ფილმში „ჰოსტ“ ბრწყინვალე თამაშისათვის. უცნაური გარეგნობის ვუპიმ გამორჩეული ადგილი დაიკავა კინოს სამყაროში.

*— ვუპი, როგორ გრძნობთ თავს, რაც ცნობილი მსახიობი ქალი გახდით?*

— მსახიობი ქალი? არა ვარ მსახიობი ქალი! მე ვარ მსახიობი. მხოლოდ მსახიობ ქალად მონათვლა ჩემი ნიჭის შეზღუდვაა. ნებისმიერი როლის შესრულება შემიძლია, კარის სახელურისაც კი. ამიტომ მინდა მამაცი კაცების როლების თამაში, ჯეიმს ბონდის მსგავსად ან დრამატულისა — დე ნიროსავით.

როცა არ ვთამაშობ, შინ, კონექტიკუტში, მშვიდად ვატარებ დროს. გარს ქათმები და ბატები მახვევია. არ მიყვარს ჰოლივუდში ცხოვრება.

*— თქვენ დაწერეთ ზღაპარი „ალისა“...*

— ეს არის გოგონას თავგადასავალი, რომელსაც გამდიდრება სურს და ამიტომ ათასნაირ ლატარეაში მონაწილეობს. ერთ დღეს ნიუ-იორკში მიდის მონაგების მისაღებად და აქედან იწყება მისი გასაჭირიც. ბოლოს, გოგონა მიხვდება, რომ მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეს შორის დიდი სხვაობაა.

*— დღეს ვარსკვლავი ხართ. რაიმეზე თუ ოცნებობთ?*

— ჩემი ოცნება მომავალია, თავისი ჭირით და ლხინით. ძალიან მინდა ვაკეთო ის, რაც მიყვარს. ვიყო ფილმის რედაქტორი და არა რეჟისორი. და კიდევ ვისურვებდი, 85 წლამდე მეცოცხლა, ბეტ დევისივით.

## ბინები იყიდება

3-ოთახიანი, 48 კვ.მ ფართის, სარემონტო, ტელეფონიანი ბინა, დიდუბეში, 8-სართულიანი სახლის მე-7 სართულზე. მიშენება — ლოჯის მხარეს — 30 კვ.მ (დაუმთავრებელი), ტელ: 34-10-90

ვაკეში, კინოთეატრ „ყაზბეგთან", მე-4 სართულზე, 2-ოთახიანი, ულუქსო, ტელეფონიანი ბინა, იზოლირებული ოთახებით — 22+18 კვ.მ., აივნით, სარდაფით. ჭერი — 3,20 მ. ტელ: 29-37-49 (10-11 სთ); 34-85-86 (20-23 სთ). ავთო

2-ოთახიანი, სუფთა, ტელეფონიანი ბინა, შუშაბანდით, ვერაზე. ოთახების ფართი — 25+18; ჭერი — 4მ. ყველა სათავსო საკუთარია, შესასვლელი კი საერთოა ერთ ოჯახთან. ფასი — 23000 დოლარი. მის: შანიძის ქ. №3, მე-3 სართ. (შესასვლელი სადარბაზოდან). ტელ: 22-72-69. მარინა

1-ოთახიანი, მაღალჭერიანი, იზოლირებული, ტელეფონიანი ბინა, აგურის შენობაში, მე-3 სართულზე, ყაზბეგისა და კუტუზოვის ქუჩების კუთხეში, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" ახლოს. ტელ: 93-15-94

1-ოთახიანი, გარემონტებული, ტელეფონიანი ბინა, მე-2 სართულზე, სარდაფით, შემოკავებული ხეხილიანი ბაღით. ფასი შეთანხმებით. მის: ვაჟა-ფშაველას მე-4 კვ. (სასწრაფო დახმარების მიმდებარე ტერიტორია). ტელ: 36-52-11

2-ოთახიანი, 80 კვ.მ. საერთო ფართის, გარემონტებული, ტელეფონიანი ბინა, მე-16 სართულზე, რკინის კარებით, ორი აივნით, საბურთალოს ცენტრში. მის: ქავთარაძის ქ. №25/4. („ლენკომბინატის" პირდაპირ). ტელ: 34-73-69

4-ოთახიანი, ჩეხური პროექტის, მშენებარე ბინა, მაღალ ბელეტაჟზე, დიდ დიღომში (მე-4 მ/რ). ბინა გადახურულია, ჩასატარებელია შიდა სამუშაოები. ფასი 2500 დოლარი.

სასწრაფოდ, 3-ოთახიანი (16+29+30) გალარეა — 12 კვ.მ, ბელეტაჟზე, 1-ელ სართულზე, 4-მეტრიანი ჭერით, 3-სართულიან აგურის შენობაში. მის: ჩიქობავას ქ. №34 (ყოფილი საბჭოს ქ.). ფასი 15000 დოლარი. ტელ: 38-02-78; 96-60-63. გარიკა

სასწრაფოდ, კერძო სახლი, პატარა ეზოთი, ავტოფარეხით, ტელეფონით, საერთო ფართით — 180 კვ.მ. ბინა ნახევრად სარემონტოა, აქვს გაფართოების და დაშენების პროექტი. ტელ: 23-16-14; ნოდარი ან ლია

ოროთახნახევრიანი, აივნიანი, ტელეფონიანი, მაღალჭერიანი ბინა, დავით აღმაშენებლის გამზირზე (მე-3 სართულზე); ან იცვლება ვარკეთილის პლატოზე, ფულის დამატებით, 2 ან 3-ოთახიან ბინაზე. ტელ: 73-91-34 (6სთ-ის შემდეგ)

3-ოთახიანი კერძო სახლი, ბელეტაჟზე (32+20+15), გათბობით, სამზარეულოთი, აბაზანით, სარდაფით, ავტოფარეხით, ცინკური გადახურვით. აქვს ხეხილიანი ეზო — 200 კვ.მ. საწყისი ფასი 25000 დოლარი. მის: ნაძალადევის რ-ნი, ჩოდრიშვილის ქ. №121. ტელ: 96-28-02

3-ოთახიანი, კარგად გარემონტებული ბინა, სან-ზონაში, ტელეფონით, ფარეხით, მიშენებით, სარდაფით — 5 კვ.მ. ბინა ახალი გარემონტებულია. ფასი 20000 დოლარი. მის: სან-ზონა, მე-18ბ კორპ. მე-4 სად. ბინა №27. ტელ: 67-56-23. დიმა

4-ოთახიანი, გარემონტებული ბინა, სათავსოებით, მოუწყობელი სარდაფით. მის: გლდანულა, მე-9 კორპ. 1 სად. მე-3 სართ. ბინა №9. ტელ: 68-36-01 ცხადაძე

4-ოთახიანი, ლვოვის პროექტის ბინა, 9-სართულიანი სახლის მე-6 სართულზე, რკინის კარებით, პარკეტით, აივნით, სარდაფით. საწყისი ფასი 14000 დოლარი. მის: მუხიანი, დუმბაძის გამზ. (ავტონაწილების მაღაზიის უკან). ტელ: 66-49-95

4-ოთახიანი, ექსპერიმენტული პროექტის, გარემონტებული, ტელეფონიანი ბინა, სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ბინაში არავის უცხოვრია. ფასი შეთანხმებით. მის: დიდი დიღომი, მე-3 მ/რ. მე-12 სართ. ტელ: 62-28-20; 34-85-17. ნანა

საკუთარი სახლი, სარდაფით. პირველ სართულზეა ორი ოთახი, მეორეზე — ერთი (28+18+14). მეტრო „300 არაგველთან", სასტუმრო „მეტეხის" უკან. ფასი 12000 დოლარი. ტელ: 78-94-98

სასწრაფოდ, ძალიან იაფად, 3-ოთახიანი, იზოლირებული, სარემონტო ბინა, დიდი სარდაფით და შუშაბანდით, შეიძლება მე-2 სართულის დაშენება. მის: მეტეხის შეს. №23 (მეტრო „ავლაბრის" პირდაპირ). ტელ: 99-79-52. ზურაბი

გლდანულაში — საკარმიდამო ნაკვეთი — 1100 კვ.მ. ბლოკის შენობით, ზომით — 20X5 მ, დამტკიცებული პროექტით. შეყვანილია წყალი, გაზი, დენი. ფასი — 8 000 დოლარი. ტელ: 64-78-36 მათიაშვილი როლანდი

სასწრაფოდ, 2,5-იანი ბინა, მეტრო „ისანთან", კაპიტალურ 9-სართულიან სახლში, მაღალ პირველ სართულზე. ფასი 14000 დოლარი. ტელ: 74-62-90. აჩიკო, ციცო

1) მიწის ნაკვეთი, გუდაურში; 2) გურჯაანის რ-ნის სოფ. ველისციხის ცენტრში, დიდი, კეთილმოწყობილი სახლი, დიდი ხეხილიანი ეზოთი. ტელ: 71-19-07

4-ოთახიანი, გაურემონტებელი, ჩეხური პროექტის ბინა, მე-2 სართულზე, ტელეფონით, სარდაფში საკუჭნაოს ფართით, საერთო, შემოღობილი ავტოსადგომით, ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე, ქარხანა „აისის" წინ. ფასი 6000 დოლარი. მის: გველესიანის ქუჩა №46. ტელ: 5-29-31

## ქირავდება

3-ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინის ორი ოთახი, სათავსოებით. ფასი 70 დოლარი. მის: ვარკეთილი-3, კორპ. V სართ. მე-8 სად. ბინა №140. ტელ: 96-24-78 კოტრიკაძე

დიდ დიღომში, ოთახნახევრიანი, იზოლირებული ბინა, რკინის კარებით, მაცივრით, ჯამ-ჭურჭლით (16/12 სართულზე). ფასი — 70 ლარი. ტელ: 99-89-74. ლიკა (10-18 საათამდე); 51-53-29. მედეა (დილით).

გირავდება, საბურთალოზე კერძო სახლის, კეთილმოწყობილი, 2-ოთახიანი ბინა, ყველა საჭირო ავეჯით. ბინას აქვს ტელეფონი, ცხელი წყალი, მანქანის სადგომი. ფასი 2000 დოლარი. მის: ლუქსემბურგის ქ. №31. ტელ: 38-16-95

## ვასწავლი, ვამზადებ

ვამზადებ მოსწავლეებს ქართულსა და მათემატიკაში (ბინაზე მისვლით), მოვუვლი ბავშვს. ტელ: 29-42-04 მარიკა

ამერიკაში სტაჟირებული სპეციალისტი — დოცენტი ასწავლის ინგლისურს ინდივიდუალურად (ქართულად და რუსულად), მოსწავლეთა მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 95-32-12 (მეტრო „მარჯანიშვილთან")

ვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს, სახლში მისვლით. ფასი თვეში 25 ლარი. ტელ: 95-86-04 ნათელა

სწრაფი კითხვის ტექნიკას შევასწავლი 3-თვიან მეცადინეობებზე (კვირაში 2-ჯერ, მეტრო „დელისთან"), ვისაც სჭირდება ინფორმაციის დიდი რაოდენობა. კითხვის სიჩქარე გაიზრდება საშუალოდ 5-ჯერ. ტელ: 31-32-75

სამუსიკო სკოლის პედაგოგი-მეთოდისტი მოამზადებს მოსწავლეებს მუსიკაში (ფორტეპიანოს სპეციალობით). ტელ: 30-47-41

## სხვადასხვა

ვიქირავებ: 1) ჯიხურს მეტროსთან ან ბაზრობაზე (ვაგზალთან, მეტრო „ახმეტელის" მიდამოებში); 2) ვულკანიზაციას, ნაძალადევის, გლდანის რაიონში. ტელ: 64-54-44; 64-74-84 ლავრენტი

საშუამავლო ფირმა „მედიატორი" მოგეხმარებათ ბინების, ოფისების, სახლების, სავაჭრო ობიექტების ყიდვა-გაყიდვაში. მის: ქიქოძის ქ. №3. ტელ: 99-89-74; 99-93-78; 98-69-19

## გთავაზობთ სამუშაოს

ვინც ეძებს სამუშაოს, მობრძანდით 6 იანვარს, 16 სთ-სა და 30 წთ-ზე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე (ქიმიკოსთა) კორპუსის მესამე სართულზე, სააქტო დარბაზში. იკითხეთ ზურაბ ყოლბაია

ვისაც სურს, დაიწყოს პერსპექტიული კომერციული საქმიანობა, მობრძანდით: ტექ. უნივერსიტეტი, მე-2 კორპ. მე-3 სართ. 16 სთ-სა და 30 წთ-ზე. ორშაბათობით. ყალიჩავა ინგა

ცნობილი ამერიკული კომპანია გთავაზობთ პერსპექტიულ სამუშაოს, ძირითადი საქმიანობიდან მოუწყვეტლად. ანაზღაურება გამომუშავებაზეა და საკმაოდ მაღალია. ტელ: 31-14-50

ცნობილი საერთაშორისო კომპანია გთავაზობთ პერსპექტიულ სამუშაოს, ძირითადი საქმიანობისგან როგორც მოწყვეტით, ასევე მოუწყვეტლად. ტელ: 22-81-29 ზაზა

## ვეძებ სამუშაოს.

ვარ 41 წლის, გასათხოვარი. მოვუვლი ბავშვებს ან მოხუცს. ბავშვებს შემიძლია მივეხმარო გაკვეთილების მომზადებაში, მეხუთე კლასის ჩათვლით, ვასწავლო ქსოვა, ფანდურზე დაკვრა და სიმღერა. ტელ: 66-88-38; 66-24-62 მანანა

გამარჯობათ, გილოცავთ ახალ წელს! მე, მოქალაქე მჭედლიშვილი ანა მიხეილის ასული ვარ პროფესიით მბეჭდავი (მდივან-მემანქანე). ვეძებ ჩემს შესაფერის სამუშაოს. გთხოვთ დახმარებას. მის. ვაგზლის მოედანი, სასტუმრო „კოლხეთი", ოთახი №303. თბილისის 1991-92 წწ. (ომებით) დაზარალებული.

ვაწარმოებ ყველანაირი ელექტროგაყვანილობის მონტაჟს, შეცვლას და შეკეთებას. გადავაკეთებ კონდენციონერს ორმაგი მუშაობის რეჟიმზე, რომელიც ზამთარში გამოყოფს თბილ ჰაერს, ხოლო ზაფხულში — ცივს. ტელ: 94 21-23. ალეკო ჯანგულაშვილი

ვაწარმოებ ყველანაირი საოჯახო ელექტრომოწყობილობის, მრიცხველების, ამომრთველების, ჩამრთველების, ჭაღების, ღუმელების მონტაჟს, შეცვლას, შეკეთებას და დაზიანების აღმოფხვრას. გადავაკეთებ კონდენციონერს ზამთარში თბილი ჰაერის გამოყოფის რეჟიმზე. ტელ: 94-21-23. ვაჟა ჯანგულაშვილი

გაგირემონტებთ იმპორტულ და სამამულო რადიოელექტრონულ მოწყობილობას: ელექტრონული ტელეფონი, მაგნიტოფონი, ჩინური ნათურა, ელექტრონული სათამაშოები და სხვა მსგავსი მოწყობილობანი. ტელ: 23-14-32

შევაკეთებ ყველა სახის ელექტროქურას. შევცვლი გამაცხელებელ დისკებს (კამფორებს). მაქვს ყველა სახის სათადარიგო ნაწილი. ტელ: 68-78-33

ვიღებ შეკვეთებს ყველა ზომის მამაკაცის ტანსაცმელზე, მათ შორის სუპერ-გოლიათებზე, აგრეთვე გადაკეთებაზე, როგორც ქალის, ისე მამაკაცის. შეიძლება ბინაზე მომსახურება. ტელ: 61-66-88 გაიოზი

1) ვღებულობთ შეკვეთებს ტორტებზე. ტელ: 22-38-91

## ვმკურნალობ

საგვარეულო მცენარეული ნაკრებით ვმკურნალობ: დიაბეტს, ლიმფურ და ფარისებრ ჯირკვლებს (ლიმფადენიტი, ჩიყვი), პლევრიტს და ბრონქიტს (ტუბერკულოზურსაც), ქალურ დაავადებებს (ფიბრომა, ალები, ნერვული სპაზმები), გულის უკმარისობას, ცისტიტს, მარილებს. მის: ალ. ყაზბეგის გამზ. №16. ტელ: 39-49-56 (11-14 სთ)

გთავაზობთ სამკურნალო მცენარეებით განკურნებას, ვისაც გაწუხებთ: რადიკულიტი, მარილები, იშიაზი, რევმატიზმი, ბუასილი, მუნი, დამწვრობა, თმის ცვენა, ქერტლი, კუჭის წყლული. ვაკეთებ სამკურნალო მასაჟებს. ტელ: 68-28-27 ლალი ოქრუაშვილი

ყურადღება: თბილისის ნევროლოგიის ინსტიტუტში („ღრმაღელე", მე-8-ე საავადმყოფოსთან) გაიხსნა ფიტოთერაპიის კაბინეტი, სადაც ხალხური მეთოდებით წარმატებით მკურნალობენ: 1) ნერვის ანთებას (იშიაზი, რადიკულიტი...), სახსრებს (ანთება, მარილები, ოსტეოქონდროზი, პოდაგრა); 2) ქოლეცისტიტს, ბრონქიტს, ნევროზს, ღრძილებს; 3) ბუასილს, ძირმაგარებს, ჩირქოვან — შეუხორცებად ჭრილობებს. შედეგები მაქსიმალურად გარანტირებულია! კონსულტაციები უფასოა!!! მიმღები განყოფილება, №5 კაბინეტი. (11-14 სთ.) ტელ: 61-02-97; 39-39-97 ბინა.

ჩვენ ვკურნავთ უნებლიე შარდვას ღამით, არა მარტო ბავშვებში, არამედ მოზრდილებშიც. ხალხური მკურნალის (ჯემალ ქოიავა) მისამართია: აბაშა, თავისუფლების 56, ბინა 4 (შაბათობით); ტელ: თბილისში: 96-62-20 ან 95-13-70

მხოლოდ ჩვენი ოჯახისეული მალამოთი იკურნება ქრონიკული სურდო, მუდამ სველი და გაჭედილი ცხვირით. ხალხური მკურნალი (ჯემალ ქოიავა). მის: აბაშა, თავისუფლების 56, ბინა 4 შაბათობით). ტელ: თბილისში: 96-62-20 ან 95-13-70

თუ გაწუხებთ ჭარბი წონა, მარილები, გულ-სისხლძარღვთა და კანის დაავადებები, ალერგიული რეაქციები, დაღლილობა, თავის ტკივილები, მოგვმართეთ: ვაჟა-ფშაველას გამზირი, V კვარტ. V კორპ. ბინა 212. ტელ: 31-21-80 დორეული ვალერიანი

ვმკურნალობ მეტყველებაში მძიმე დარღვევების მქონე ბავშვებს. მეთოდი ინდივიდუალურია. ტელ: 51-51-31 ან 98-71-38, 96-53-50

თუ გსურთ, ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესება, ორგანიზმის გაწმენდა ცხიმების, ქოლესტერინისა და სხვა მავნე ნალექებისაგან; წონაში დაკლება-მომატება, ან ზოგიერთი სხვა პრობლემების მოწესრიგება — გთავაზობთ ამერიკული კომპანიის უნიკალურ პროდუქციას. ტელ: 31-14-50

Вы хотите похудеть и при этом оздоровиться, тогда звоните 95-72-52 Татьяна.

## ვყიდი

ძალიან იაფად, ქარხნული წესით დამზადებულ რკინა-ბეტონის ავტოფარეხს, რკინის კარებით. 6.25X3.25. შეიძლება ცალ-ცალკე გაყიდვაც. შეგვიძლია ადგილზე მიტანა და დადგმა. ტელ: 96-26-41

1) მაღაზიის მაცივარ-საყინულეს. ფასი 400 დოლარი; 2) ჰაერის კომპრესორს, 5 ატმოსფერო. ფასი 200 დოლარი; 3) სამღებრო საშრობ სპირალს, 15 მეტრს. ფასი 100 დოლარი; 4) პერგის მიკროტრაქტორს. ფასი 300 დოლარი; 5) ავტომატურ ინკუბატორს 300 კვერცხზე. ფასი 200 დოლარი. ტელ: 64-78-36 როლანდ მათიაშვილი

ალაყაფის რკინის ჭიშკარს (ჭიშკარში კარები), ზომებით — 2.25X2.25, საბაზრო ფასზე იაფად. ტელ: 99-79-34 (18 სთ-ის შემდეგ).

არმატურას: 12 მმ, 14 მმ, 22 მმ-იანს. „დახვეულ" არმატურას 0,5 ტონა. ტელ: 96-83-95

სასწრაფოდ: 1) საქსოვ მანქანას „სევერიანკა"; 2) საკერავ მანქანას „ვერიტაზი"; 3) საკერავ მანქანას „მინი იაგუარი". ფასი შეთანხმებით (შეღავათიანი). ტელ: 68-77-89 ნელი, კახა (საღამოს)

ველოტრენაჟორს „ზდოროვიე" შეფუთულს, სტანდარტული ზომის, რეგულირებადი დატვირთვით და სიჩქარის მაჩვენებლით. ფასი 300 ლარი. ტელ: 66-70-71

სასწრაფოდ, ნუტრიის ახალ, საუკეთესო ხარისხის გრძელ ქურქს, 48-50 ზომას. ფასი შეთანხმებით. ტელ: 34-22-36 ნანა, 61-72-10 თამუნა

გთავაზობთ, წმინდა სისხლის როტვეილერის ლეკვებს, დამადასტურებელი დოკუმენტებით. ტელ: 66-12-04; 36-43-01

## ვულოცავთ

ყველა „პალიტრელს" და „ბომონდელს", ჩემი თამადობით, ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ წარმატებებს შემოქმედებით საქმიანობაში და პირად ცხოვრებაში. დიდი სიყვარულით, თქვენი უმცროსი კოლეგა ეკა ჩიტაშვილი

„ტუნტურ გოგოს", ნინო მაღლაკელიძეს ვულოცავთ ცხოვრებაში პირველი ახალი წლის დადგომას. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგძრელობას, სიხარულს და დიდ სიყვარულს. დედიკო და მამიკო

დიდი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს ჩვენს საყვარელ ბებოს, ენვერ ილარიონის ასულ კუსიანს. ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ლამაზ ცხოვრებას, ჩვენს საიმედოდ. ნინო და ნათია ბინაძეები

ჩემო საყვარელო გიკუჩია! გილოცავ პირველ ახალ წელს. დაე, შენი ცხოვრება 1997 წლიდან სიყვარულით, სილამაზით ყოფილიყოს გაცისკროვნებული. ბედნიერი ყოფილიყავი, შენს საყვარელ ხალხთან ერთად. გკოცნი პაწუა ცხვირზე. შენი დეიდა ნინო ქიტიაშვილი

შობა-ახალწელს ვულოცავთ რობერტ და ზურა შანავებს, ნინო პაპიაშვილს, ოლია ბუზალაძეს, შოთა და მერი ზაალიშვილებს, მაიას, ნუკრის, თათიას, ჯაბას და ჩვენს დიდ სიხარულს და იმედს, ლაშა ზაალიშვილს. სიკეთის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი წელი. დათო და შორენა

ჩვენს საყვარელ დაიკოს, ნათის, ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერებას, სიხარულს, ჯანმრთელობას და ჭეშმარიტ სიყვარულს. ხომ იცი, შენ გელოდებით! სოფო და დათო

საყვარელ ბიძას, დათო ჩოქურს! გილოცავ შობა-ახალწელს, დაბადების დღეს. დათო, იყავ ჯანმრთელი, ძლიერი, გფარავდეს ღმერთის კალთაო. იქნება ცოლი შაირთო, და გაახარო ნაზიკო, გაცმევს, გაჭმევს და გინახამს, გაცხოვრებს — მეტი რა გიყოს. მარიკელა და ზურიკელა ბროლაძეები

ჩემო ნატო და გიორგი! ახალი წლის მოსვლას გილოცავთ. წარმატებებისა და წინსვლის ნიშნით გევლოთ მრავალ წელს. გახსოვდეთ, მხოლოდ თქვენი სითბო და მოფერება დამამშვიდებს. ვამაყობ თქვენით! დედიკო

ვულოცავ ჩემს დას — ლალი კოტორაშვილს და დედას — ეთერ არაბულს შობა-ახალწელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. თამაზ კოტორაშვილი

შობა-ახალწელს ვულოცავ გოგიყეინაშვილის, ტარიელ ჩახუნაშვილის და რევაზ ახლედიანის ოჯახებს. ვუსურვებ სურვილების ასრულებას, ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ეთერ გორგიაშვილი

მშვენიერო ეკა (ბაჭია)! გილოცავ ახალ წელს. სიცოცხლევ, გისურვებ ბედნიერებას, ულევ სიხარულს და ძლიერ სიყვარულს. პატივისცემით, ილია

ჩვენს ძვირფას მამიდაშვილებსა და დეიდაშვილებს — რუსუდან და ბესიკ კაცაძეებს, ხათუნა და მანანა ხეცურიანებს, ზვიად და ზაზა ბედინაშვილებს, ვულოცავთ ქრისტეშობის უდიდეს დღესასწაულს და ვუსურვებთ ყოველივე კარგს. ლევან და ვახო ძაგნიძეები.

მოხევე ვაჟკაცებს — გოჩა და ვანო შიბაშვილებს! გილოცავთ შობა-ახალწელიწადს. თქვენი მოსიყვარულე მანანა

მურაბას, შოთას, კინკილას, ზურას, პრანის, მაკარინას, ეკას, ფიქრიას გილოცავთ შობა-ახალწელს. გისურვებთ ბედნიერ ცხოვრებას. თქვენი გუგა

გია გოკიელს! გილოცავენ დაბადების დღეს და შობას უსაყვარლესი ადამიანები: პატარიძეების, ქარაზანიშვილების და ტულუშების ოჯახი. დაესწარი მრავალს, ოჯახთან ერთად. გფარავდეს უფალი!

ჩემს პატარა საყვარელ შვილიშვილს, სოსო ჩაფიძეს, ვულოცავ დაბადების დღეს — 7 იანვარს. გაიზარდე სასახელო ბიჭი, გისურვებ ჯანმრთელობას და ნათელ მომავალს. შენი ბებია ლენა აგიაშვილი

ნათია მაისურაძეს ვულოცავ ახალ წელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. ახალი წელი სასიხარულო ყოფილიყოს შენთვის. ლევანი ალაპიშვილი

ჩემს ჯიგიტ ძმებს, სოსო და თამაზ ჭილიტაშვილებს! გილოცავთ ახალ წელს! დაესწარით მრავალს, ლარებით და დოლარებით! თქვენი გია

ხათუნა ლომაშვილს ვულოცავ შობა-ახალწელს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, მალე გაბედნიერებასა და ღმერთის ლოცვა კურთხევას თავის საყვარელ ოჯახთან ერთად. ფეხბედნიერი ყოფილიყოს, ჩემო დაო, ეს 1997 წელი. კეთილი სურვილებით, მზეონა ჟიჟილაშვილი

ჩემს შვილიშვილებს, აჩიკო და ია ბიგანიშვილებს ვულოცავ 1997 წლის დადგომას, ვუსურვებ, მრავალ ახალ წელს ბედნიერად შეხვედროდნენ. ბებია — ლამზირა კოლიას ასული ტოროტაძე

დედა, მამა, გილოცავთ შობა-ახალწელს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერ წინსვლას მომავალში. თქვენი ქეთინო ტიკურიშვილი

ლაშა და ლიკა ნადირაძეებს ვულოცავთ ახალ წელს. ვუსურვებთ მრავალ სიხარულს, კარგ მომავალს და ახლობლების ბედნიერებას. მამიდა ელზა, ბებია ლია ცერექაშვილი

უძვირფასეს და უსაყვარლეს ლადო მაისურაძეს ვულოცავ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს. ვუსურვებ ლამაზი ოცნებების ლამაზად ასრულებას, ზღვა სიხარულს, ბედნიერებასა და უშრეტ სიყვარულს. შენი ერთგული მეგობარი

ლალი კიკაჩეიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს და ახალ წელს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ ოჯახთან ერთად. ავთო, ნუნუ

მიმი გუჯეჯიანს! გილოცავ ახალ წელს და დაბადების დღეს. გისურვებ წარმატებებს სიყვარულში და ბიზნესში. მალე მენახა შენს ახლად შეძენილ მეგობართან ერთად. ნათია სუბელიანი

სოფიკო მესხს ვულოცავთ დაბადების დღეს. ძმა დათო, დედა რუსიკო და მამა ნუგზარ მესხი

განუმეორებელი სიკეთით სავსეს, ჩემს დედობილ ლია ცერექაშვილს ვულოცავ ახალ წელს. ვუსურვებ ჯანის სიმრთელეს, შვილებში და შვილიშვილებში გახარებას. შენი შვილობილი ვაჟა ოქროაშვილი

ჩვენო პაწაწინა ნაწუკა! გილოცავთ შობა-ახალწელს. მრავალს დაესწარი, ჯანმრთელად და ბედნიერად. სულ ასეთი მხიარული იყავი, ჩვენო ტკბილო გოგო. შენზე უსაზღვროდ შეყვარებული მშობლები, დეიდა ცირა, ბებია და ბაბუა.

ჩემს მეგობარს მამუკა შტააძეს ვულოცავ შობა-ახალწელს და გაბედნიერებას. ვუსურვებ ძეობას. შენი ჯგუფელი რამაზ სუბელიანი და მეუღლე ნესტან ვიბლიანი

შობა-ახალწელს ვულოცავ ჩემს საყვარელ მეგობარს — ნინიკო ყარაშვილს, თავის მეუღლესთან — დავით თევდორაშვილთან ერთად. გისურვებთ თქვენი ლამაზი მიზნების განხორციელებას. ხათუნა ჯოხიძე

შობა-ახალწელს ვულოცავ ჩემს საყვარელ დას მაია ქორიძესა და სიძეს — არჩილ გორდულაძეს. ჰქონოდეთ ბედნიერი წელიწადი, თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. მიყვარხართ. ხათუნა ქორიძე

ჩვენო ძვირფასო გიგა და დემეტრე ჭკადუებო და თამარ და თაზო თოდუებო! გილოცავთ ქრისტეს შობას და ახალ წელს. ლამარა, ქეთინო და თამუნა

სოხუმის პედსასწავლებლისა და

---

უფასო განცხადებების გარდა

**„კვირის პალიტრაში"**

შეგიძლიათ მოათავსოთ ფასიანი განცხადება ჩარჩოში (რომელიც პირველ რიგში ხვდება თვალს).

ამისთვის საჭიროა საგაზეთო ჯიხურებში შეიძინოთ „პალიტრის" საფირმო ბარათი განცხადებისათვის და ჩააგდოთ ჩვენს საფოსტო ყუთებში.

პედინსტიტუტის კურსდამთავრებულ მეგობრებს! გილოცავთ ახალი 1997 წლის და შობის დადგომას, დამთავრების 50-45 წლისთავებს, თქვენ-თქვენი ოჯახების შემადგენლობით. გისურვებთ დღეგრძელობას და დროებით შეწყვეტილი ტრადიციული შეხვედრების აღდგენას. ჟორა ბენდელიანი

შობა-ახალწელს ვულოცავ ჩემს საყვარელ დეიდას — ირმა თათანაშვილს. ბედნიერება და სიხარული ყოფილიყოს მისი მუდმივი თანამგზავრი. ანუკი ნამალაშვილი

ჩემს საყვარელ ამხანაგს ნინო სპარტაკის ასულ ტურაშვილს! ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს სწავლაში და ულევ სიხარულს, ანუკისთან ერთად. ნინო ბინაძე

ახალ წელს ვულოცავთ ამირანს, „დონ-ჟუანს“, ტარიელს. ვუსურვებთ:

ახალი წლიდან
რომ აღარ ევლოთ ცარიელს
ჭკვიანად იყვნენ,
გადაიხადონ ვალები
ხეირს არ აყრით ორთაჭალაში
დევნა ქალების.

ზალიკო

ჩვენო ნატო ლორია! გილოცავთ შობა-ახალწელს და დაბადების დღეს, 9 იანვარს. გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. იყავი ბედნიერი. თინა და თამაზი

ჩემო საყვარელო მარი! დაბადების დღეს და დამდეგ შობას გილოცავ. იყავი ჯანმრთელი, ბედნიერი და მუდამ მხიარული. გკოცნი, ძალიან ბევრს. შენი პატარა დაკო

ჩვენს საყვარელ დედიკოს. ხაზი დაბადების დღეს, 9 იანვარს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და უამრავ წარმატებას ცხოვრებაში. მერი, ზაური, ანგი ლარიები

ჩვენს საყვარელ დაიკოს, 10 წლის თამრიკო ზაზუნაშვილს, დაბადების დღეს, 6 იანვარს ვულოცავთ. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს სწავლაში. მრავალ შობა-ახალწელს დაესწარი. შენი ძამიკო ჩიკორა, დები თეონა და მარი

ჩვენს საყვარელ ქეთი ბესელიას ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ დღეგრძელობას, ბედნიერებას, ულევ სიყვარულს. დედიკო და მაიკო

ჩვენს საყვარელ შალვა ბუცხრიკიძეს ვულოცავთ შობას და დაბადების 55 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს და სიყვარულს, ოჯახთან ერთად. დები: ნანი და ლიანა; დისშვილები: თამრიკო, სულიკო, ალიკა, გია

ჩემს ძმისშვილს ბექა სარდანაშვილს და ჩემს ქალიშვილს ნინოს! გილოცავთ დაბადების დღეს და ბრწყინვალე დღესასწაულს — შობას! თქვენი ილო ბიძია და მამიკო

დაბადების დღეს ვულოცავთ ქრისტეშობისთვის 29-ში დაბადებულ გიორგი ლოლაძეს. ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს და მარადიულ სიყვარულს. შეინარჩუნე სულიერი ძლიერება. სიყვარულით და პატივისცემით, ნათია.

კარგ მამას, მეუღლესა და შესანიშნავ ადამიანს — ამირან მამულაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს - 3 იანვარს. ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს, ჯანმრთელობას და ბედნიერებას, თავის ოჯახთან ერთად. მაყვალა დავითაძე

ბიზნესში და გამარჯვებებს სპორტში, შენს შვილობილებთან ერთად. მარად შენი კეთილისმსურველები... P.S. აბა, შენ იცი, ხარის წელიწადში როგორ „იმაიმუნებ“

ჩვენო საყვარელო სოსო, გილოცავთ დიდ გამარჯვებას — „სნგ“-ს ჩემპიონობას კარატეში. გვენახო სულ მუდამ წინსვლით გახარებული, ჯანმრთელი და ბედნიერი, შენს საყვარელ დედ-მამასთან და დედმამიშვილებთან ერთად. დოხნაძეების ოჯახი

ოთხმოცდამეთექვსმეტე ბალღმა ამ საუკუნის (მიხჩუებული ბერიკაცის!) აიკრა ბარგი, წელი ყიჟინით უნდა მორჩეს, არა წუწუნით, დიდება ყველას, ვინც გაუძლო წნეხსა და მარგილს, დიდება, ვისაც შერჩა ლონე ელოდოს დიდ ბედს, ვინც რწმენით შეხვდა ათასცრხაასოთხმოცდაჩვიდმეტს! ჯულა კობაიძე

თუ განუხებთ: რადიკულიტი, მარილების დაგროვება, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, ნიკრისის ქარი, მიოზიტი, ნერვის ანთება, რეინოს დაავადება, სახსრების ყველა სახის დაავადება და განკურნების იმედი არსაიდან ჩანს, მიანებეთ გამაყუჩებელ და ქიმიურ წამლებს თავი და მიაკითხეთ ნუგზარ თაბუნიძეს, რომელიც მკურნალობს საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ტრადიციული მეთოდით.

ჯანმრთელობასთან ერთად დაიბრუნებთ ექიმის რწმენას.

მისამართი: ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №48 (ყოფილი ათარბეგოვის ქუჩა №1 კლინიკური საავადმყოფო 10-დან 13 საათამდე)

შ.პ.ს «ჩიხურა» გთავაზობთ

რკინის კარების, გისოსების, ჟალუზების დამზადებას

მის: ქავთარაძის ქ. №8, ინტურისტების ფარეხი

ტელ. 30-36-99 (საამქრო)

იკითხეთ გაზეთი

ПАНОРАМА недели

„კვირის პალიტრის“

დამატება რუსულ ენაზე

გთავაზობთ

1. ქსეროქსის ქაღალდს; A4 x 500 (2,5 კგ.) .......... 8/8,50 ლ.
2. ქსეროქსის ქაღალდს; A3 x 500 (5 კგ.) .......... 16,5/17,5 ლ.
3. საწერ,საბეჭდ ქაღალდს; A4 (1 კგ.) .......... 3,2/3,6 ლ.
4. კომპ. პერფ. ქაღალდს; სიგ.24,38,42სმ;(1კგ) .......... 4/4,5 ლ.
5. კომპ. ქაღალდს რულონებში; სიგანე 21 სმ .......... 4/4,5 ლ.
6. ქსეროქსის ფერად ქაღალდს; A4 x 500 (2,5 კგ.) .... 12,5/13 ლ.
7. ფაქსის ქაღალდს; 21სმ x 20მ .......... 3/3,5 ლ.

სხვადასხვა ტიპის საქაღალდეები, საოფისე სამაგიდო კომპლექტები, საკანცელარიო და საოფისე ჟურნალები

- უნაღდო ანგარიშსწორებით 38-91-64 ვაჟა-ფშაველას პრ. 45
- ადგილზე მიწოდებით. 39-84-05 V-სართ. ოთ.№15 (გდღმისი)

ს/ქ ბანკი „ოლიმპი“ მის: აკ.წერეთლის გამზირი №2 (ერ.სტადიონი) ტ.94-07-60, ტ/ფაქ 95-09-19

საბანკო მომსახურება, მთელი სამუშაო დღის განმავლობაში შაბათის ჩათვლით. ანაბრების მიღება თქვენთვის სასურველი დროით და პირობებით.

გახდით „ოლიმპი“-ის მეანაბრე და კლიენტი. თქვენს ნდობას ჩვენ გავამართლებთ. ვიაროთ ერთად სიმდიდრის მწვერვალისკენ.

რუსიშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს 9 თებერვალს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდხანს სიცოცხლეს. ჩვენო კარგო დედიკო! დაე, აგიცხადდეს ყველაზე ლამაზი სიზმარი! მაიკო, სოფიკო, მამიკო — ბონდო შახულაშვილები

ლელა ნონიკაშვილო! ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, შენსავით ნაზი და კეთილი ყოფილიყოს ყველა შენი დაბადების დღე, გფარავდეს შობის დღესასწაული. შენი ქეთი.

სოსო ბაცაკაშვილს ულოცავენ დაბადების დღეს — 5 იანვარს, თავისი მეზობლები გიორგი და ლალი გოქაძეები

ჩემო საყვარელო მარიკა და ზაზა! გილოცავთ შობა-ახალწელიწადს, თქვენი პატარა ქალიშვილით. ბედნიერები იყავით, გკოცნით. სალომე

ჩემს საყვარელ ნათლულს ნათია მახაშვილს, ვულოცავ დაბადების დღეს, 5 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს, კარგ სწავლას, ბედნიერი და ლამაზი ოჯახის შექმნას. ჟანა ფარეხაშვილი

ჩვენს საყვარელ შვილიშვილს, ბექა მუზაშვილს! ჩვენო პირველო მერცხალო, დიდო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს — 7 იანვარს. გისურვებთ ლამაზ ბავშვობას და ბედნიერ მომავალს. შენი ზოია ბებია და ვაჟა ბაბუა

ჩვენს საყვარელ ელენე ბებიას, ვულოცავთ დაბადების დღეს, 6 იანვარს. დაესწარი მრავალ დაბადების დღეს, ჯანმრთელი და ბედნიერი. შენი საყვარელი შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილებით. გკოცნით ბევრს, შენი შვილიშვილები თამრიკო, მეგი, დიტო.

ჩემო საყვარელო ნათლია ნინო! გილოცავ ყველაზე ლამაზ დღესასანაულს — დაბადების დღეს და ქორწინებისას. ეს შობა-ახალწელინადი ბედნიერების მიმტანი ყოფილიყოს შენი ოჯახისათვის. გკოცნი, შენი ნათლული ეკა

ჩვენს საყვარელ მამიკოს, დათო ჩხაიძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს (7 იანვარს). გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს, დიდხანს ბედნიერ სიცოცხლეს. გკოცნით შვილები: ეკა, კოკა და დათუნა, ძმისშვილი ნინო ჩხაიძე

„მიყვარხარ, ძლიერ ძლიერ,
რაც გადის დრო და ხანი...“

ჩემო ლია, გილოცავ დაბადების დღეს, 6 იანვარს. უშენოდ ერთი წამიც არ მაცოცხლა. თემურ სტურუა

ჩვენო მაკა! გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს. დღეგრძელი და მზეგრძელი ყოფილიყოს შენი ცხოვრება. შენი პატარა დემეტრე, ინგა და ემზო მოდებაძეები

ლია ციხელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 1 იანვარს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და მრავალ სიხარულს. შენი დაიკო მარინა ციხელაშვილი

ჩვენს საყვარელ ნატოს ვულოცავთ ზვიად ბიძია! გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას. მრავალი დაბადების დღე მოგვულოცოს. სალომე, გვანცა, ლილე მეშველიანები

ჩვენს საყვარელ ინგა კავკასიძისას ვულოცავთ დაბადების დღეს (2 იანვარს). ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, დიდ და ლამაზ ოჯახთან ერთად. ნანული, თემური, ნიკა, გიგლა, (უგრეხელიძეები)

ელზა ნადირაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, საყვარელ ქმარშვილთან ერთად. თამილა

ჩვენს სიცოცხლეს და იმედს, ჩვენი სულის ნაწილს, ნანატრ შვილს — ნათია გუნიავას ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ კეთილდღეობას, ბედნიერებას, ჭეშმარიტ სიყვარულს და საუკეთესო სურვილების შესრულებას. სიყვარულით, დედიკო და მამიკო

ელვა-დეპეშა ხონში ივან დიდის დიდ ვანიჩკა მაჭარაძეს. გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერ მომავალს. „ვიყავით ერთად, სხვა სიხარული არ მინდოდა. ყველაზე მეტად შენი დაკარგვის მეშინოდა...“. საუკუნოდ შენზე შეყვარებული ანეტა.

ჩვენს ძვირფას და სანუკვარ დედას, დინარა მიეხილის ას ბაზიარღლონტს ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ოჯახურ მყუდროებასა და სულიერ სიმშვიდეს. თინათინი და ავთანდილი

ჩვენს საყვრელ პასკი-პუსკის ვულოცავთ შობას და დაბადების დღეს — 7 იანვარს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ძმა, დედიკო და მამიკო

ჩვენო საყვარელო რუსიკო, გილოცავთ დაბადების დღეს, 10 იანვარს. დაესწარი მრავალს, იყავი ბედნიერი, ჯანმრთელი და ყოველთვის მხიარული, ღმერთი იყოს შენი მფარველი. ქეთი და ანუკა

ჩემს საყვარელ ნინიკო ბაიდოშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერ და უღრუბლო მომავალს, ჯანმრთელობას და სილამაზეს. ყოველთვის ყოფილიყავი ისეთი მომღიმარი, როგორიც ახლა ხარ. გურანდა თავართქილაძე

ჩვენს საყვარელ მამიკოს, დაზი ქობალიას ვულოცავთ დაბადების დღეს და ახალ წელს. ვუსურვებთ ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნით და გესიყვარულებით. შენი შვილები ნანა და ირაკლი

ჩვენს საყვარელ პაპას, შოთა ნარიმანიძეს ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს — 10 იანვარს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს. გკოცნით, გვიყვარხარ. გიორგი და ლალი გოქაძეები

მერაბ ყუბუსიძეს! გილოცავთ შობა-ახალწელინადს! დაესწარი მრავალს, ჩვენთან ერთად. გისურვებთ წარმატებებს აზარტულ თამაშებში, წინსვლას

ყოველ კვირას ფირმა „ჩკ“ გთავაზობთ

მოგზაურობას დუბაიში

და 1 კგ ტვირთის ჩამოტანას 2-ად. შეკვეთით დუბაიდან ჩამოგვაქვს:

მანქანები, გენერატორები, ნავთქურები, მაცივრები და სხვა საქონელი.

თბილისი, აკურის ქ. 8 (სპორტის სასახლის უკან) ოთახი 204, ტ. 36-79-54

ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 17 სთ-მდე.



ფირმა „ვიატკა“

შეგიკეთებთ და დაგიმონტაჟებთ „ვიატკას“ და „ვიატკის“ ტიპის უცხოურ სარეცხ მანქანებს, შეგიკეთებთ ნებისმიერი ტიპის სარეცხ მანქანებს

გარანტიით. შეღავათიან ფასებში

გამოძახება უფასოა

პეიჯერი 30-69, ტ. 98-50-52, 30-34-41

საგაზეთო ქაღალდი

(სიკტივკარის, მაღალი სითეთრის)

84 სმ. სიგანის რულონებში.

ადგილზე მიტანით. ფასი 1 ტონა — 1150 ლარი ტ. 98-74-44

გაითვალისწინეს რა მოსახლეობის, ეკონომიკური მდგომარეობა და ექიმთან დაგვიანებული მიმართვის გამო ავადმყოფობის დამძიმების გახშირება,

ჩირქოვან-სეფსისურ დაავადებათა და დასაზუსტებელი ეთიოლოგიის ცხელებათა სპეციალიზირებული კლინიკური საავადმყოფო /სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი/ აგრძელებს ცნობილი კლინიცისტების უფასო კონსულტაციებს — ღია კარის დღეს.

აკადემიკოსები: ვახტანგ ბოჭორიშვილი და ნოდარ დოლიძე, პროფესორები: ნინო მახვილაძე და თამარ ბოჭორიშვილი, აგრეთვე სხვა წამყვანი სპეციალისტები: ქირურგი ე. გოცაძე, გინეკოლოგი ე. მგალობლიშვილი, პედიატრი ნ. მწყერაძე ატარებენ უფასო კონსულტაციებს ყველა სახის გაურკვეველი მწვავე და ქრონიკულცხელებიანი ავადმყოფებისათვის ყოველ ორშაბათს, 13 — 16 საათამდე.

მისამართი: ალ. ყაზბეგის /ყოფილი პავლოვის / პრ. № 16, 1 სართული, საკონსულტაციო პოლიკლინიკა.

გაუფრთხილდით თქვენს ჯანმრთელობას, მიმართეთ სპეციალისტს დროულად, დაგვიანება უფრო ძვირი დაგიჯდებათ!

## „კვირის პალიტრა“ აქვეყნებს კერძო ხასიათის განცხადებებს უფასოდ

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში 9 იანვრის (ხუთშაბათი) 17 სთ-მდე. ყუთები განთავსებულია მეტროების — „მარჯანიშვილი“, „ვაგზლის მოედანი“, „თავისუფლების მოედანი“, „რუსთაველი“, „ახმეტელი“, „ვარკეთილი“, „დელისი“, „პოლიტექნიკური“, „სარაჯიშვილი“ — მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ გაზეთების ჯიხურებზე, აგრეთვე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ქუთაისის ცენტრალური ავტოსადგურის შენობაში, პრესის გავრცელების სამსახური.

სხვა სახით (გარდა „კვირის პალიტრის“ ბოლო ნომრიდან ამოჭრილი „უფასო განცხადების ქვითრისა“) შემოსული განცხადება არ გამოქვეყნდება.

1/97 **უფასო განცხადების ქვითარი**

განცხადების ტექსტი ____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 20 (მისამართის გარდა)*

P.S. №1-ის ქვითარი ძალაშია 6 – 9 იანვრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩაგდეთ 9 იანვრის (ხუთშაბათი) 17.00 სთ-მდე

კ. დონელი

# მკვლელობის რეცეპტი

თვალწარმტაც ყვავილნარში ჩაფლული ვილა სულაც არ შეესაბამებოდა იმ, ცოტა არ იყოს, პირქუშ სურათს, მას რომ წარმოედგინა. ვილის დიასახლისიც სულ სხვანაირი აღმოჩნდა.

მადამ შალონი, ასე, ორმოციოდე წლის ქალი, დამნაშავის არც ერთ ტიპს არ მიეკუთვნებოდა, — ვერც კლეოპატრას დაარქმევდით, ვერც მეგერას. იგი მინერვა იყო! ნამდვილი მინერვააო, — მაშინვე დაასკვნა კაცმა. ქალს დიდი, სხივიანი, მუქლურჯი თვალები ჰქონდა, ხმელთაშუაზღვისფერი, ასე კარგად რომ მოჩანდა სასადილო ოთახის ფართო ფანჯრიდან, სადაც ისინი ისხდნენ.

კაცს სიამოვნებდა მშვენიერი დიასახლისის ყურება და სულ მალე გადათქვა, — მთლად მინერვა არ უნდა იყოსო. ქალს აქმისფერი, ხავერდოვანი ლაწვები თვრამეტი წლის ტურფა ქალიშვილივით უღვიოდა.

მადამ შალონისნაირ, ოღონდ ნაკლებ ლამაზ ქალს სიმსუქნეს დასწამებდი, მასზე ამას ვერ იტყოდი. კაცმა იგრძნო, ეს ქალი სამოცი წლისაც ასეთივე მომხიბლავი იქნებოდა.

— „დიუბონეს" ხომ არ მიირთმევთ, ბატონო ინსპექტორო?

ქალმა, ღვინოს რომ ასხამდა, ინსპექტორს თვალებში დაბნეულობა შეატყო და გამხიარულდა. ირონიულ ღიმილს თავდაჭერილობით ისე მარჯვედ ნიღბავდა, რომ ინსპექტორის გამჭრიახმა თვალმაც ვერ შეამჩნია.

— გმადლობთ.

ინსპექტორს ხმა შეუთრთოლდა; გულში ენყინა და შეეცადა, დამაჯერებელი ტონით ელაპარაკა. დიდებული რამაა კარგი აღზრდა. მადამ შალონმა ღვინო მოსვა და ამით დელიკატურად აგრძნობინა, — თქვენს მოწამვლას სულაც არ ვაპირებო.

ინსპექტორმა მირონმა ტაქტი დაუფასა, მაგრამ მეტისმეტი ეშმაკობა ხომ არ არისო, — იეჭვა.

ქალმა მომაჯადოებლად, ოდნავ ირონიულად გაუღიმა.

— იმიტომ მოხვედით, რომ ქმრები მოვწამლე?

— მადამ?!

— რა თქმა უნდა, პრეფექტურაში იქნებოდით, — მთელ ვილფონშს სჯერა ეს ამბავი.

მადამ შალონი საზოგადოებრივი აზრის სიმკაცრეს შეგუებული ქალის ხმით ლაპარაკობდა. სიმშვიდის შესანარჩუნებლად ინსპექტორმა თავს ძალა დაატანა.

— მადამ, მე გეახელით 1939 წლის იანვარში გარდაცვლილი შარლ ვესერისა და 1946 წლის მაისში დაღუპული ეტიენ შალონის გვამების ექსჰუმაციის ნებართვისთვის. ექსპერტიზა აუცილებელია... უკვე უარით გაგისტუმრებიათ თქვენი რაიონის კომისარიატის ბრიგადირი ლუშური.

— ლუშური უზრდელია, თქვენ სულ არ გგავთ. ერთი სიტყვით, მოვიდა არა როგორც ადამიანი, არამედ კანონის ცივი აღმსრულებელი, — ქალმა ღვინიან ჭიქას ვნებიანი ტუჩები შეახო, — ხოლო თქვენ, ინსპექტორო მირონ, უარს ვერ გეტყვით.

— დიდად გმადლობთ, — ინსპექტორმა თავი დაუკრა.

— უარის თქმას არ ვაპირებ, — გააგრძელა ქალმა შემპარავი ხმით, — პარიზის პოლიციის მეთოდებისა ცოტა რამ გამეგება და დარწმუნებული ვარ, უჩუმრად უკვე ყველაფერი გააკეთეთ.

ცხადია, ანალიზებშიც ვერაფერი იპოვნეთ, ხომ? უეჭველია, თქვენ ასეთი შემთხვევა არასოდეს გქონიათ. ამიტომ განიზრახეთ, უკეთ გაგეცანით — გაგეგოთ ჩემი ხასიათი, გაგერკვიათ, როგორ მიჭირავს თავი და ამასობაში, რაიმე ისეთი დაგეტყუებიათ, რაც ჩემს დანაშაულს გამოააშკარავებდა. ხომ ასეა?

ქალი მართალი იყო, უარის თქმას მხოლოდ ჯიუტი და ბრიყვი თუ შეეცდებოდა. ინსპექტორმა პასუხად საუკეთესო ვარიანტი არჩია — განმაიარაღებელი გულახდილობა.

— მართალი ბრძანდებით, მადამ შალონ, თითქმის აბსოლუტურად მართალი, მაგრამ...



ინსპექტორმა ქალს ძალიან ყურადღებით შეხედა.

— ქალს ზედიზედ ორი ქმარი უკვდება, ორივე კუჭნაწლავის მოშლილობით, თან არც ისე ბებრები და ორივე — ქორწინების მეორე წლის თავზე; ამასთან, — მიაქციეთ ყურადღება, — თითოეულისაგან სამემკვიდრეოდ კარგა დიდი ქონება რჩება... მიაქციეთ ყურადღება?

— დიახ.

მადამ შალონი ფანჯარასთან მივიდა, რაც მარჯვედ მოფიქრებული ჟესტი იყო — ხმელთაშუა ზღვის ცისფერ ფონზე ძალზე მაცდურად ჩანდა მისი მომხიბლავი სილუეტი.

— ოჰ, ინსპექტორო მირონ, რას იტყვით, გულახდილად რომ გითხრათ ყველაფერი?

სახიფათოა, ო, რა სახიფათოა ასეთი დაპირება, მით უფრო ნაზი და ალერსიანი ხმით გამოთქმული! ინსპექტორმა უმალ იაზრა, — სიფრთხილე მმართებსო.

— თუ თქვენ გსურთ, მადამ, მზად ვარ, მოგისმინოთ.

ინსპექტორი შეეცადა, რაც შეიძლებოდა, გულგრილად ელაპარაკა, რისთვისაც დიდი გარჯა დასჭირდა. არა, არა, ეს ქალი ძალიან საშიშია, ძალიან საშიში!

— კარგი, მოგანიჭებთ ამ სიამოვნებას.

მადამ შალონი ისევ ფანჯარასთან იდგა. სახეზე ღიმილი გაქრობოდა. ნიავმა ოთახში ყვავილების თუ სუნამოს მოტკბო სურნელი დაატრიალა. მირონმა გადაწყვიტა, არაფერი ჩაენიშნა და მოსასმენად მოემზადა.

— მუსიე მირონ, კულინარიისა რაიმე გაგეგებათ?

— მადამ, მე ხომ პარიზელი ვარ?!

— სიყვარულისაც, ვიმედოვნებ.

— მადამ, ისევ ვიმეორებ — მე პარიზელი ვარ!

— მაშინ...

ქალმა ღრმად ჩაისუნთქა, მკერდი გამოებურცა. ასე სუნთქავენ წყალში ყვინთვისას.

— მაშინ გეტყვით, რომ მე — ჰორტენზია ეჟენ-ვილრუა-შალონმა, აუღელვებლად, თანდათან, განზრახულად 57 წლის ასაკში საიქიოს გავისტუმრე ჩემი პირველი ქმარი შარლ ვესერი, იმავე მეთოდით 60 წლის ასაკში მოვკალი მეორე ქმარი, ეტიენ შალონი.

— ალბათ, ამის მიზეზი გქონდათ?

— ვესერს ცოლად მშობლებმა გამაყოლეს. ორიოდ კვირაში მივხვდი, ნამდვილი ღორი იყო, უკეთ რომ ვთქვათ, მოუპირავი ტახი. ვერც წარმოიდგენთ იმ ცხოველის მთელ სისაძაგლეს. სიტყვებიც არ მყოფნის დასახასიათებლად — ურცხვი, ბაქია, ბილწი, ყიამყრალი, უტიფარი, საწყალი ხალხის მყვლეფავი, თაღლითი, თანაც საოცრად მსუნაგი, ნამდვილი ღორმუცელა გახლდათ. უსაზიზღრესი ჩვევა ჰქონდა — ყველაფერში თავაშვებული იყო. სწორედ ასეთი ღორული ცხოვრების შედეგია დაავადებული კუჭნაწლავი.

ინსპექტორს დაწვრილებით ჰქონდა შესწავლილი ვესერის საქმე და ასეთ დახასიათებას არ გაუკვირვებია. მერე ჰკითხა:

— მუსიე შალონი?

— ის უფრო ხნიერი იყო, არც მე ვიყავი ყმაწვილი, როცა ცოლად გავყევი.

ინსპექტორმა ოდნავ ირონიულად ჰკითხა:

— მასაც არ უვარგოდა კუჭ-ნაწლავი?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! უფრო ზუსტად, ნებისყოფა. ვესერი ღორი იყომეთქი, გითხარით. ეს მეტსახელი შალონს ნაკლებად შეეფერება, თუმცა, შესაძლოა მასზე გარყვნილიც კი იყო. ოკუპაციის წლებში შალონი გერმანელებთან ეგდო. რატომ მოიკლავდნენ გერმანელები თავს შალონის საუკეთესო და ძვირფასი სურსათით მოსამარაგებლად, როცა გარშემო იმდენი ადამიანი შიმშილით იხოცებოდა? რატომ აძლევდნენ საუკეთესო ღვინოებს? ბატონო ინსპექტორო, შეიძლება დამნაშავე ვარ, მაგრამ მე ფრანგი ვარ. ამიტომ შალონსაც უყოყმანოდ გამოვუტანე სასიკვდილო განაჩენი.

— როგორ ახერხებდით განაჩენის აღსრულებას?

ქალმა გაუღიმა:

— გაგიგიათ ასეთი კერძები — ნაბლით გამოტენილი ინდაური, ცხარე საწებლიანი ქათამი, ძროხის სუკი „ამულეტი", წვნიანი „ბაგონი", ნეაპოლური ომლეტი „სიურპრიზი", თურქული ბადრიჯანი, მწყრის ლაბასხმული...

— მადამ, შემიბრალეთ... ო, რა კერძებია?! ყველა ძალზე ნოყიერია!

— თქვენ ჩემი მეთოდი გაინტერესებდათ, ინსპექტორო! სწორედ ეს გემრიელი კერძები იყო ჩემი იარაღი. ოღონდ, თითოეულს ვუმატებდი ერთ წვეთ... — ქალი შეყოვნდა, ამოისუნთქა, ან იქნებ, ინსპექტორს ალიზიანებდა. მირონმა „დიუბონე" მოსვა, თან ცდილობდა, მოუთმენლობით გამოწვეული ხელების თრთოლვა როგორმე დაეოკებინა.

— რის ერთ წვეთს, მადამ შალონ?

— თქვენ იძიებთ ჩემს საქმეს, ხომ იცით, ვინ იყო მამაჩემი?

— ჟან-მარი ვილრუა, სახელგანთქმული კულინარი, დიდებული ესკოფეს მოწაფე.

— ოცდაერთი წლისა ვიყავი, მამამ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, კულინარიაში თავის ტოლად რომ მაღიარა.

— ძალიან საინტერესოა, ნება მიბოძეთ, ქედი მოვიხარო. და მაინც, რის ერთ წვეთს უმატებდით ყველა კერძს?

— ჩემი ხელოვნების ერთ წვეთს. მხოლოდ ამას, მეტს არაფერს. ამას წინ ვინ დაუდგება? მით უმეტეს, ვესერი და შალონი! დღეში სამ-ოთხჯერ ამ გემრიელი კერძებით ვუმასპინძლდებოდი მათ, კერძებს ერთმანეთს მოხერხებულად ვუხამებდი, ორივეს საშობაო ბატივით ვასუქებდი. მაწიერი საჭმელი ძილს ანდომებდათ, ახალგაღვიძებულებს უფრო ნოყიერს მივართმევდი ხოლმე. მადის გასახსნელად ძალიან ბევრ ღვინოს სვამდნენ. მათ ასაკში კი ეს საიქიოსკენ უმოკლესი გზაა.

— აბა, სიყვარულიო? მაპატიეთ, მადამ შალონ. თქვენ თვითონ დაინტერესდით ამ საკითხში ჩემი ცოდნით.

— ნოყიერი, გემრიელი საჭმელი სატრფიალოდ განაწყობს კაცს, უფრო სწორად, იმ საქმიანობისთვის, რასაც ისინი სიყვარულს ეძახდნენ. ყოველთვის მზად ვიყავი, დავხმარებოდი მათ და ხელსაც ვუწყობდი მეძავებთან დროსტარებაში. აი, ასე მივიყვანე ისინი აღსასრულთან. ესაა, რაც უნდა მეთქვა.

მომხიბლავმა, თვალშუქიანმა მანდილოსანმა აღსარება დაამთავრა. ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ფართო ფანჯრებიდან ყვავილების სურნელება იფრქვეოდა, შორს, მადამ შალონის თვალებზე უფრო ლურჯი ზღვა კამკამებდა.

აღელვებული ინსპექტორი მირონი წამოდგა და ქალს მიუახლოვდა:

— მადამ შალონ, გთხოვთ. საღამოს ნიცაში წამომყევით.

— კომისარიატში?

— ო, არა, მადამ!.. კაზინოში გეპატიჟებით, შამპანური დავლიოთ და მუსიკას მოვუსმინოთ.

— მაპატიეთ, ინსპექტორო მირონ, მაგრამ...

— მადამ, მე უცოლშვილო კაცი ვარ, 44 წლისა. ქალებს მოვწონვარ, ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებიან, — ვხუმრობ, რა თქმა უნდა! შავი დღისთვის ორიოდ გროში მაქვს შემონახული. არც ისე ბევრია, მაგრამ მაინც...

კაცი დაჟინებით მისჩერებოდა, მერე ქალის ხელი ალერსიანად აილო.

— მე თანახმა ვარ სიკვდილზე, მადამ შალონ!

ქალმა თვალი აარიდა. აღელვებული ინსპექტორი მის წინაშე მოლოდინით გახევდა. ცდილობდა, თავი მოეწონებინა, ისედაც ფართო მხრები გაშალა. ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, მუცელი შეიზნიქა.

ქალს მოსწონდა იგი, რა თქმა უნდა, მოსწონდა!

— მუსიე მირონ, — ალერსიანად უთხრა, — გემრიელი საჭმელი, როცა ბოროტად არ იყენებენ, ყოველთვის როდი ჰკლავს კაცს. ნებას გრთავთ, ხელზე მეამბოროთ!...


საკმარისია, ერთხელ აიღოთ ხელში გაზეთი

და თქვენ მისი მუდმივი მკითხველი გახდებით!

ვამზადებთ და ვღებავთ

რკინის კარებს, გისოსებს, ქალუზებს და სხვა რკინის ნაკეთობებს შეღავათიან ფასებში.

მის: ალ. ყაზბეგის №34ა სამშ. მასალათა ინსტიტუტის უკან ტ. 39-79-46

საუკეთესო ხარისხის

ნებისმიერი პოლიგრაფიული პროდუქცია თქვენთვის ხელსაყრელ ფასებში

გამომცემლობა «კოლორი»

☎ 36-78-07, 98-74-44 აკურის ქ. №8

Color სპორტის სასახლის უკან

ეტიკეტები

ბლანკები

გაზეთები

ბროშურები

წიგნები

პლაკატები

ფასიანი ქაღალდები

და სხვა

დაკაბადონება და ბეჭდვა

ჯანდაცვის სამინისტროს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური



მამაკაცებსა და ქალებს სთავაზობს

სექსუალური დარღვევების და ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკას, მკურნალობას. როგორიცაა:

1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა მათ შორის პირველი საქორწინო ღამის პრობლემები.

2. სქესობრივი ლტოლვის და სიამოვნების განცდის დაქვეითება ან გაქრობა.

3. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.

4. მცირე ზომის სასქესო ასო (მიკროპენისი), ფიმოზი, პარაფიმოზი, მოკლე ლაგამი.

5. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.

6. დეპრესია, ძილის დარღვევები, აკვიატება, შიშები, ენერგეტიკული დაქვეითება.

თქვენ მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმ-სექსოლოგები და ფსიქოთერაპევტები

ანონიმურობა გარანტირებულია

მიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-16 საათამდე

მიღება შეიძლება წინასწარი ჩაწერით ☎ 29 34 39

მისამართი:

თბილისი, ვაკე, ი.ჭავჭავაძის გამზ. 5. ყოფ. ლენკომბინატი II სართული, კაბინეტები: 17, 18, 19.

პირველი კონსულტაცია უფასოა

საწერი და საბეჭდი ქაღალდი

თეთრი — I ხარისხის 1 შეკვრა (200 ფურცელი) — 3,1 ლარი

მუქი — II ხარისხის 1 შეკვრა (250 ფურცელი) — 1,9 ლარი

გადარიცხვით და ნაღდ ანგარიშზე

მინიმალური რაოდენობა — 20 შეკვრა

☎ 36-78-07, 98-74-44

აკურის ქ.№8 სპორტის სასახლის უკან, „კოლორი" (გამოთვლითი მათემატიკის ცენტრი)

ხალების, მეჭეჭების და სხვა ყოველგვარი ხორცმეტების, კორძების („მეზოლების"), ჰემანგიომების (ბუღლების), სვირინგების („ნაკოლკების"), ქუთუთოებში კოლესტერინის დაგროვების (ყვითელი ლაქების), კანისა და ფრჩხილის კიბოს, სასქესო ორგანოებზე წანაზარდების და სხვა მსგავსთა გარანტირებული, უმტკივნეულო და უკვალო მკურნალობა. მაღალკვალიფიციური ონკოლოგის კონსულტაციები ნებისმიერ საკითხზე.

გირჩევთ, დროზე მოიცილოთ საშიში წარმონაქმნი!

31-ე პოლიკლინიკა, ახმეტელის მეტროსთან, კაბ. №42 10-დან 14 საათამდე

მე-13 პოლიკლინიკა, რუსთაველზე, ოპერის პირდაპირ, ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან ზემო შესასვლელში კაბ. №23, 15-დან 17 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფიფქია



დიდი ბუზღუნა ვინმეა ფიფქია.

ზედაც არ უყურებს პატარა სტუმრებს, რომლებიც დაფაზურნით, სიმღერებით და ლამაზი, მადისაღმძვრელი ტორტებით ულოცავენ დაბადების დღეს. გაბუტული გალიის კუთხეში ჯდება და კბილებს კრეჭს...

ფიფქია დიდი, თეთრი გორილაა, მსოფლიოში ერთადერთი ალბინოსი მაიმუნი. იგი 30 წლის წინ იპოვეს კატალონიაში და ბარსელონის ზოოპარკში მოიყვანეს. ეს დღე მის დაბადების დღედ მონათლეს, რადგან ფიფქიამ ადამიანური ლაპარაკი არ იცის და ამის თაობაზე ვერაფერს გვეტყვის.

მთელი ბარსელონა ზეიმობდა ფიფქიას დაბადების დღეს. ბრაზიან ალბინოსს ნაივიც კი ნაზად ეალერსებოდა და თეთრ ბალანს უშლიდა...

გორილას განა უმიზეზოდ სძულს ადამიანები! 1966 წლის ოქტომბერში მსუნაგობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა მთელ ოჯახს. ესპანეთის გვინეის ჯუნგლებში, ბანანის ბაღს შესეულ გორილებს პატრონი თოფით დაერია... მიწას უსულოდ განრთხმული შავი მაიმუნის გვერდით თოვლის თეთრი გუნდა ეგდო. გლეხმა სასწრაფოდ აიტაცა გუნდა და... ბარსელონის ზოოპარკს მიჰყიდა.

თეთრი მაიმუნის მნახველი ზოოლოგები გაოგნდნენ, — აქამდე არ სჯეროდათ, — შავ გორილას თუ შეიძლებოდა ბამბის ქულასავით შვილი ჰყოლოდა.

...ქვეყნის ცნობილი ვეტერინარები მძიმე ავადმყოფი ფიფქიას სასთუმალთან ათენ-ალამებდნენ, მისი გამოჯანსალება დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს.

ფიფქია ბურგომისტრის ხშირი სტუმარი იყო, ხოლო სალვადორ დალიმ საყვარელ ალბინოსს საპატარძლო კაბაში გამოწყობილი თოჯინა აჩუქა.

ფიფქიას სურათებმა მოიარა მსოფლიო პრესა, — იგი ამ ქვეყნად ყველაზე ცნობილი მაიმუნი გახდა!

ფიფქია 186 კგ იწონის და ბარსელონის სიამაყეა. ეტყობა, თავისი მშვენიერების ფასი იცის, — ხელთათმანებივით იცვლის სატრფოებს. ოთხი ცოლიდან ერთილა შემორჩა ცოცხალი, 21 შვილი ეყოლა, სამწუხაროდ, ყველა შავგვრემანი და შავბეწვა. ცოცხლადდარჩენილი 6 მემკვიდრიდან შეიძლება რომელიმეს შვილმა მაინც გააგრძელოს პაპის ჯიშიო, — ოცნებობენ ბარსელონელები. მანამდე კი, ფიფქია სიამოვნებით მიირთმევს ხოლმე ვიტამინიან იოგურტსა და მომვლელი ქალის ალერსზე ფისოსავით გაიტრუნება ხოლმე.

ორი წლის წინ (მაშინ ყველა ცოლი ცოცხალი ჰყავდა), დარაჯს ვოლიერის კარი ღია დარჩენოდა. მაიმუნმა დრო იხელთა, თანამეცხედრეებთან ერთად დინჯად გამობრძანდა გარეთ და ზოოპარკის ბილიკებს ტაატით გაუყვა.

კვირა დღე იყო, პარკი ხალხით იყო სავსე. გოლიათი ცხოველების დანახვამ ყველა საშინლად დააფრთხო, მაგრამ არც გორილებს დადგომიათ კარგი დღე — ისინიც კარგა მაგრა შეაშინა მოზიმზიმე დიდ-პატარამ და სასწრაფოდ გალიისკენ მოკურცხლეს.

# პინგვინს გაუმართლა



მოსკოვში, ინსპექტორმა უცხოური მანქანა გააჩერა, სალონში ორი ბენდენაწკრული ახალგაზრდა იჯდა.

— ბიჭებო, მორიგეობას ვერ მივატოვებ, ეს პინგვინი დაიკარგა და, იქნებ, ზოოპარკში წაიყვანოთ?..

— რა ბაზარია, უფროსო, შემოსვი მანქანაში.

საღამოს, მორიგეობის შემდეგ, ინსპექტორმა ზოოპარკში დარეკა და პროტეჟე მოიკითხა. რა პინგვინი, რის პინგვინიო, — გაიოცეს.

განრისხებული ინსპექტორი მთელი ღამე დაჰქროდა ქალაქის ქუჩებში. დილით, ერთ სახლთან, თვალი მოჰკრა ნაცნობ მანქანას. ამასობაში, ბენდენაწკრულებმაც გამოაღეს სადარბაზოს კარები და... ფრთებში ხელებჩაკიდებული პინგვინი გამოიყვანეს.

ინსპექტორმა იარაღის ბუდე გახსნა და საშინელი გინებით მიეჭრა ბიჭებს:

— თქვე ძაღლიშვილებო, ხომ გთხოვეთ, ზოოპარკში წაიყვანეთ-მეთქი?

— უფროსო, ეგრეც მოვიქეცით, გუშინ ზოოპარკშიც გვყავდა და წითელი მოედანიც ვაჩვენეთ, ახლა დიდ თეატრში მიგვყავს...



# ცხენი მკურნალი

მედიცინაში რაითერაპია დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ პრობლემის შესწავლა გადაწყვიტა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულმა თბილისის სამედიცინო აკადემიამ. მკურნალობის მთავარი მეთოდია ცხენოსნობა. ჩატარებულმა გამოკვლევებმა, ექსპერტების აზრით, შეიძლება მთელი რევოლუცია მოახდინოს მედიცინაში. რაითერაპია კურნავს ოსტეოქონდროზს. ქართველიმა მედიკოსებმა თავიანთი გამოკვლევები რუსეთის ჯანმრთელობის სამინისტროში წარადგინეს, რათა რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივად დაინერგოს რაითერაპია, როგორც ოსტეოქონდროზის მკურნალობის ახალი მეთოდი.

ოსტეოქონდროზით 130 დაავადებულზე ჩატარებულმა ექსპერიმენტმა შემდეგი სურათი მოგვცა: ცხენოსნობის 60 სეანსის შემდეგ ავადმყოფობის 80% აბსოლუტურად გამოჯანსაღდა, დანარჩენებს კი მდგომარეობა გაუუმჯობესდათ. ასეთი შესანიშნავი შედეგები იმით აიხსნება, რომ ცხენზე ჯდომისას ადამიანს სწორად უჭირავს სხეული, ხერხემალი გასწორებულია, მის ირგვლივ კუნთები დუნდება და ხერხემლის ძვლის დაჭიმვისათვის კარგი პირობები იქმნება.

# სექსუალური მანიაკის 300 მსხვერპლი

ამერიკელმა ბიოლოგებმა განგაშის ზარი შემოჰკრეს. კალიფორნიის სანაპიროებთან დამკვიდრებულმა უზარმაზარმა ზღვის ლომმა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე 300 დედალი ლომი იმსხვერპლა, მათთან სქესობრივი კავშირის დამყარების მცდელობისას „ქალები“, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, იჭყლიტებოდნენ.

მეცნიერები ყოველ გაზაფხულზე, კუნძულ სან-მიგელის ზღვის უბეში პოულობდნენ დაღუპულ ზღვის ლომებს. თავდაპირველად, სულო ცოდვილო და, მეთევზეებზე ეჭვიანობდნენ, მაგრამ ამასწინათ, შემთხვევის ადგილზე და ცხელ კვალზე დააფიქსირეს ნამდვილი დამნაშავე — ბუმბერაზი ზღვის ლომი. პოლიციის ინსპექტორებმა მას „მოროდიორი“ შეარქვეს.

— მე დავინახე უზარმაზარი ცხოველი, რომელიც ცდილობდა, „შერწყმოდა“ მდედრს, ეს ყმაწვილი ბევრად დიდი იყო საბრალო „ქალზე“ და, ელემენტარულად, ნაპირს დააჭყლიტა, — ჰყვება ინსპექტორი ბილ ფოლკნერი — ეს გოლიათი ზღვის ლომის, სტელერისა და კალიფორნიაში გავრცელებული მომცრო ჯიშის ჰიბრიდია. ადგილობრივი ეროვნული პარკის მეთვალყურეთა აზრით, ყველაზე კარგი გამოსავალი „მოროდიორის“ მოკვლაა, რადგან მისი სექსუალური პოტენციის დაოკება არ ხერხდება.

როგორც ზღვის ბიოლოგიის ინსტიტუტიდან გვაცნობეს, სტელერის ზღვის ლომმა შეიძლება 850 კგ-ს მიაღწიოს. მისი საბრალო კალიფორნიელი „ტურფები“ კი (თანაც ყველაზე ზორბანი) 100 კგ-ს ძლივს იწონიან.

# აბაკუნე ჩექმები



ეს შოტლანდიური პონი, სახელად ფუჯი, იმდენად მოცუცქნულია, რომ ჩვეულებრივი ცხენის ნალები ვერ მოირგო, არადა, ჩლიქები სულ დაეჩეჩქვა. მისმა გულაჩუყებულმა პატრონმა ნალებიანი ჩექმები შეუკვეთა და ახლა ფუჯი დაბაკუნობს ამ უჩვეულო ფეხებით. 50 სმ-იანი პონი თავს შესანიშნავად გრძნობს, ერთი ეს არის, ძაღლებში თუ გაერია, თვითონაც, ალბათ, ძაღლი ვარო, — ფიქრობს.

# ნეტა, როგორ არშიყობენ ცხოველები?



ცხოველურ სამყაროს, მწერების ჩათვლით, არშიყობის მშვენიერი ჩვევები აქვთ. ამ პერიოდისთვის დედალმა ისე უნდა გამოქანცოს მამალი ცხოველი, რომ სხვა სატრფოსთვის აღარ შერჩეს ძალა. ამისთვის ყველაზე კარგი ღონისძიებაა, ბუდის აშენება მიანდოს და მხოლოდ საქმის აღსრულების შემდეგ უძღვნას საკუთარი თავი. ასეთია ოჯახური ბედნიერების სიტუაცია. საარშიყო პერიოდი ხვადებსაც აქვთ. ისინი გულმოდგინედ აკვირდებიან რჩეულს, ვაითუ, მიჯნური ფეხმძიმედაა? ჯობს, დაყოვნდეს და დაელოდოს ფინალს, ვიდრე მერე სხვისი ნაბიჭვრები ზარდოს! ესეც არ იყოს, თუ დედალს გვერდით უკვე ჰყავს ვინმე დაგულებული, სხვას მაინც არაფრით მიიკარებს (ადამიანებისგან განსხვავებით). არშიყობის პროცესი ძუს ძვირად, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც უჯდება, — ზოგიერთ აგრესიულ მიჯნურს შეიძლება კიდეც შემოეჭამოს. დედალმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს და დაამშვიდოს ავხორცი პარტნიორი, ამის აღიარებული მეთოდია ზურგზე დაწოლა და აგრესორისთვის ყველაზე ნაზი და მგრძნობიარე ადგილების მიმზეურება, ეს, როგორც წესი, სისხლადუღებულ ხვადს განაიარაღებს, თავდამსხმელი ცვლის ტაქტიკას და გადადის უფრო მშვიდ სექსზე.

რაც შეეხება საყვარელი არსებისათვის ყვავილების მირთმევას, ამის დიდოსტატები მწერები არიან და, ვგონებ, ადამიანებმაც მათ მიბაძეს. არც ერთი მამრი ხოჭო ან ჭია არ მივა სატრფოსთან „ხელის სათხოვნელად“, თუ ზურგით თაიგული არ მიართვა, თაიგულის როლს კი ჩვეულებრივი ბალახის ღეროც ასრულებს. დედალი ხოჭოც იმას დაუთმობს სარეცელს, ვინც მეტ ბალახს მიართმევს.

თუ საქმე კოცნაზე მიდგება, აქ ჩვენი დიდი პედაგოგები ფრთოსნები არიან. ვიდრე ერთმანეთს საბოლოოდ შეუერთდებიან, მამალი ჩიტი დედალს საკუთარი ნისკარტით კვებავს და ეს რიტუალი საკმაოდ ხანგრძლივია.

ყველაზე დიდი სექსუალური მადის მქონენი, თურმე, ჭიამაიები ყოფილან. წელიწადში ერთი მდედრი ჭიამაია 30-ზე მეტ პარტნიორს იცვლის, — განა იმიტომ, რომ „მეძავია“, — ექსტაზში შესულს შემოეჭმება ხოლმე საყვარელი, თანაც სექსუალური აქტი 18 საათს გრძელდება(!) მდედრი ლამაზი სამოსელით და სუნით იზიდავს მამრს.

ცხოველურ სამყაროს ადამიანებისგან ის განასხვავებს, რომ ისინი არ ეძლევიან სექსს, როგორც მხოლოდ სექსს, მათ იციან, როდის დგება მათი გამრავლების ჟამი და მემკვიდრეობისთვის ირჩევენ ერთმანეთს.

# ნაზი ფეხები ჰქონია სპილოს...



ამ ჩვენს 7 ტონიან სპილოს, თურმე, საოცრად მსუბუქი და რბილი სიარული სცოდნია, — ჭანჭრობში არ ეფლობა, თითქმის უჩქამოდ გადადის რკინიგზის ხაზზე და არც ნაყარს აზიანებს. მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ დაბიჯებისას სპილოს ფეხი ჟელატინის ტოპრაკივით ბრტყელდება. ამიტომ უღრან ტევრშიც კი უხმაუროდ დადის, — ელასტიკური „ბალიშები“ ფიჩხის მტვრევის ხმას ახშობს.

# კინოვარსკვლავ ვეშაპს — თავისუფლება

ვილიმ ამჯერად ინგლისური უნდა ისწავლოს, გასულ კვირას ვეშაპი აკვარიუმ-პარკში REINO AVENTURA-ში მეხიკო-სითიდან ორეგონაში გადაიყვანეს. იქ ექვსმეტრიანი და ტონანახევრიანი ცხოველი ახალ კვალიფიკაციას გაივლის — ცირკისათვის გაწვრთნილი ნამდვილ, ზღვის თავისუფალ ვეშაპად გადაიქცევა. თუმცა, სამწუხაროდ, ვილის, რომელსაც სინამდვილეში კეიკო ჰქვია, მხოლოდ ესპანური „ესმის“. მისი ახალი სამი ამერიკელი მწვრთნელი კი, რომელთაც კეიკო თავისუფლებაში ცხოვრებას უნდა შეაჩვიონ, ესპანური ენის შესწავლის არანაირ სურვილს არ ამჟღავნებენ. ასე რომ, ვილის დიდი შანსი აქვს, ისტორიაში შევიდეს, როგორც ორი ენის მცოდნე ვეშაპი.

ვილის პოპულარობას ხელი შეუწყო ვარნერ ბროსმა და ფილმმა „REE WILLY“ (1993), სადაც კეიკო მთავარ როლს თამაშობს. ფილმი მთავრდება იმით, რომ ერთი ჯიუტი ბიძის მეგობარი, დელფინ-შოუს ვარსკვლავი ვეშაპი ვილი გამაოგნებლად ძლიერი ნახტომით ჯებირს გადაევლება და ზღვის უსასრულობაში გაუჩინარდება. თუმცაღა, ეს საოცარი ნახტომი გადაიღეს ელექტრონულად მართვადი დეკორაციებით, რომელიც მილიონი დოლარი დაჯდა.

ამ სანტიმენტალურმა ფილმმა 100 მილიონ დოლარზე მეტი მოგება მოიტანა. ფილმის სულისჩამდგმელი ვილი კი, როგორც ცნობილი გახდა, მექსიკურ აკვარიუმში, არცთუ შესაშურად ცხოვრობდა. ბინადრობდა 30 მეტრის მეტისმეტად თბილი და ჭუჭყიანი წყლით სავსე აუზში. მას ყოველდღიურად მხოლოდ სკუმბრიით კვებავდნენ. ამის გარდა, ბილის დილიდან საღამომდე გულისწამღები მუსიკის თანხლებით შოუ უნდა წარემართა და „სალტოები“ ეკეთებინა.

თექვსმეტი წლის კეიკოს ცუდმა პირობებმა გული დაუსუსტა, კანი დაუავადდა, უმადობა დასჩემდა. ზურგის ფარფლი მოუდუნდა, კოხტად ჩაწიკწიკებული კბილები კი კარგა ხანია აუზის კიდეზე ჩამოიმტვრია. ზღვის ბიოლოგმა ნაომი როზემ, რომელმაც კეიკო გასინჯა, თქვა — კეიკოს სიკვდილი ყოველდღეა მოსალოდნელიო.

დაგეგმილი იყო „REE WILLY-2“-ის გადაღება, მაგრამ კეიკო ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ფილმის გადაღება „ელექტრონული ვილის“ საშუალებითღა თუ მოხერხდება.

ვარნერ ბროსმა დიდსულოვნად გაიღო 2 მილიონი დოლარი კეიკოსათვის დახმარების აღმოსაჩენი ფონდის დასაარსებლად. თანხის გამოსაყოფად აკვარიუმ-პარკმა „REINO AVENTURA“-მაც არ დაიხია უკან. დარჩენილი ხუთი თუ ექვსი მლნ. დოლარი სპონსორებმა და სკოლის მოსწავლეებმა მოაგროვეს.

კეიკოსათვის ორეგონაში, მექსიკის აკვარიუმთან, შედარებით ოთხჯერ დიდი ახალი, ყინულივით ცივი, ნამდვილი ოკეანის წყლით სავსე აკვარიუმი აიგება. ფსკერში ჩადგმულ ქვის ლოდებზე, კეიკოს თავისი თეთრი ღიპის გახეხვა შეეძლება. მოძრავი წყალსაშენი ვეშაპს წყლის დინების იმიტაციას შეუქმნის. დავიწყებას მიეცემა სალტოები და დამპალი სკუმბრია. კეიკოს ყოველდღიურად 100 კგ. ზღვის ცხოველით, მელანთევზითა და ორაგულით გამოკვებავენ.

ფონდში არსებული მილიონები კეიკოს გადაყვანასაც დააფინანსებენ: კინოვარსკვლავ ვილის, შოკში რომ არ ჩავარდეს მგზავრობის დროს, თან მისი ორი მექსიკელი სანიტარი გაჰყვება.

კეიკო OREGON COST-ის აკვარიუმში ორი წელი თავისუფლად იცურავებს, შეეჩვევა თევზის თვითონ დაჭერას, შემდეგ კი ოკეანეში გაუშვებენ.

# ცხოველთა საპარიკმახერო ბოსტონში



ბოსტონში, მასაჩუსეტის შტატში, გაიხსნა ცხოველთა, რიგით 1001-ე საპარიკმახერო. დაუჯერებელია, მაგრამ ამერიკელებს საპარიკმახეროებში არა მარტო ძაღლები და კატები, არამედ ენოტები, მაიმუნები, ცხვრები და ღორებიც და ქათმებიც დაჰყავთ. პატრონები თავიანთი „აღსაზრდელების“ გასალამაზებლად ფულს გულუხვად ხარჯავენ.

# საუკუნის სასწაული სახელად ვანგა

... ვანგას პირველი წინასწარმეტყველება



თავისსავე ქვეყანას შეეხებოდა. მისი თქმით, — ერთი წლის შემდეგ ომი დაიწყებოდა. 1941 წლის 8 აპრილს გერმანელებმა იუგოსლავიის საზღვარი გადალახეს (ვანგას საცხოვრებელი ადგილი პეტრიჩი — იუგოსლავიასთან სასაზღვრო ზონაა). კიდევ ერთი წლის შემდეგ, ვანგას ბულგარეთის მეფე ბორისი ეწვია. ვანგამ გააფრთხილა, — „შენი სამეფო კაკლის ნაჭუჭში მოექცევა! დაიმახსოვრე: 28 აგვისტო!“ ერთი წლის შემდეგ, 28 აგვისტოს, ბორისი გარდაიცვალა.

*ეს ვანგამ იწინასწარმეტყველა:*

„გახსოვდეთ პრაღა! მალე იგი დაემსგავსება აკვარიუმს, სადაც შლეგი ადამიანები ითევზავებენ!“ — წამოიძახა ვანგამ 1968 წელს. ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ჯარები ჩეხოსლოვაკიაში იმავე წლის აგვისტოში შევიდნენ.

... 1979 წელს ვანგას სსრკ სახალხო არტისტი ვიაჩესლავ ტიხონოვი ეწვია, — „რატომ არ შეასრულე შენი მეგობრის, იური გაგარინის თხოვნა? შენ ხომ მის სამახსოვროდ მალვიძარა უნდა გეყიდა?“ — ჰკითხა ვანგამ მსახიობს. ტიხონოვი გაოგნდა, — გაგარინის სიკვდილის შემდეგ მსახიობს დაავიწყდა მეგობრის თხოვნა. ვანგამ კი დასძინა, — „გახსოვდეს: გაგარინი არ დაღუპულა, იგი „წაიყვანეს“. მაგრამ ვინ და სად წაიყვანა, ვანგამ არ გაამხილა.

... ვანგა არ იღებდა ისეთ ადამიანს, რომელსაც საშინელი განსაცდელი ელოდა, თუ სიკვდილის ბეჭდით იყო დაღდასმული. არ იღებდა ისეთებსაც, ვისი ზნეობრივი თვისებებიც არ მოსწონდა. სწორედ ამის გამო თქვა უარი, — ალან ჩუმაკთან, ანატოლი კაშპიროვსკისთან და ჯუნას რამდენიმე მოწაფესთან შეხვედრაზე. ჯუნას ნიჭს კი აღიარებდა, მაგრამ კიცხავდა ფულის მოხვეჭის სურვილის გამო. ეს თვისება თავად ვანგასათვის უცხო იყო.

*ეს ვანგამ იწინასწამეტყველა:*

„ელცინი გორბაჩოვზე მეტად აღზევდება, საბჭოთა კავშირი კი დაიშლება (1989 წლის დასასრული). ზუსტად 200 წლის შემდეგ კაცობრიობა კავშირს დაამყარებს სხვა ცივილიზაციებთან. პირველ სიგნალს უნგრეთი მიიღებს. მანამდე მსოფლიოს უამრავი კატაკლიზმა ელის. ძირეულად შეიცვლება ადამიანის ცნობიერება, დაიყოფიან რწმენის მიხედვით. ხშირად მეკითხებიან, — ეს როდის იქნებაო! ჯერ ადრეა, ჯერ სირია არ დაცემულა!“ (1967 წლის მაისი).

*ეს ვანგამ იწინასწარმეტყველა:*

„ელცინს კვლავ აირჩევენ, ურჯულოები კი (ასე უწოდებდა კომუნისტებს) ხელისუფლების სათავეში არ მოვლენ“ (1996 წლის აპრილი).

...ვანგას სიკვდილის წინ აბსოლუტურად სალი გონება ჰქონდა. მისი განცხადებით, — მან თავისი ნიჭი გადასცა ერთ ფრანგ გოგონას, რომელიც მალე დაბრმავდება.

ვანგას უზარმაზარი ქონება დარჩა, — მის ანგარიშზე 1 მილიონი დოლარი და 50 მილიონი ლევი ირიცხება. მილიონებით შეფასდა მიმსვლელების საჩუქრებიც. ჰქონდა ორსართულიანი სახლი პეტრიჩში და აგარაკი — რუპიტეში. მისი ხარჯით აშენდა წმინდა პეტკა ბულგარელის სახელობის ეკლესია, სადაც შარშან მხოლოდ სანთლის გაყიდვით მიღებულმა თანხამ 2 მილიონ ლევს მიაღწია. 1984 წლის 6 სექტემბრის ანდერძით, ვანგას უძრავ-მოძრავი ქონება სახელმწიფოს გადაეცა.

# თეთრი ქალბატონის ვიზიტი

პრუსიის მეფე, ფრიდრიჰ II ძალზე ეჭვიანი და ცრუმორწმუნე გახლდათ და არც ერთ ბრძოლაში არ ჩაერთვებოდა, თუ ნათელმხილველნი გამარჯვებას არ უწინასწარმეტყველებდნენ. საინტერესო ის არის, რომ მისმა სიკვდილმაც დაადასტურა — მისტიციზმი იმსახურებს ყურადღებას.

... ეს 1786 წელს მოხდა. მეფე-ბატონი სან-სუსში ისვენებდა, რეგულარულად სეირნობდა დიდებულ პარკში და უყვარდა ტბორში მოყელყელავე გედების გამოკვება. ერთხელაც, ფრიდრიჰმა უკან ჩამოიტოვა კამერდინერი და წყლის შორეული ნაპირისკენ გაემართა. სულ მალე მსახურმა გაიგონა მეფის ყვირილი, უფრო შიშისგან გამოწვეულს რომ ჰგავდა. შეშფოთებულმა მიირბინა და ფერდაკარგულმა ფრიდრიჰმა ენის ბორძიკით უთხრა:



— სად გაქრა! აგერ ახლა უცნაური ქალი ვნახე... ასე მითხრა — მალე უკანასკნელად მოგაკითხავ და წაგიყვან კიდეცო...

მეფე მოასვენეს... ექიმებმა კიდევ ერთხელ გამოჰკითხეს ყველაფერი, ჯიუტად იმავეს ჰყვებოდა: ქალი რაღაც უსიცოცხლოს და არაამქვეყნიურს ჰგავდა, წყლის ზედაპირს ისე მოჰყვებოდა, თითქოს ფეხსაც არ აკარებდა, გრძელ და წვრილ მკლავებს ჩემსკენ იშვერდა — დაიხსომე, შენი აღსასრული მოახლოვდა, ზეგ სწორედ ამ დროს და სწორედ ამ ადგილზე მოგაკითხავ და წაგიყვანო.

უცნაურმა მოჩვენებამ მეფეს მოსვენება დააკარგვინა, საწოლში ველარავინ დააკავა, ჯერ კიდევ დასუსტებული, მაინც წამოდგა და ის „ზეგ“ რომ გათენდა, დაბარებულივით გაიარა მთელი პარკი, ტბორისკენ მიემართებოდა, უკან ადევნებული მსახურები მკაცრი ტონით დაითხოვა.

— მაშინვე მივხვდი, რომ უცნაური ქალი სიკვდილი იყო, — ჰყვებოდა ერთ-ერთი ლაქია მოგვიანებით, — ამიტომ, მაინც ჩუმად გავყევი ბატონს უკან, ბოლომდე მივსდიე. წყალს რომ მივუახლოვდი, მეფის შეყვირება გავიგონე, თუმცა მის გვერდით ვერავინ დავლანდე. მეფე-ბატონმა კი კვლავ რამდენჯერმე წამოიყვირა და მხოლოდ შემდეგ დავლანდე რაღაც ბუნდოვანი და თეთრი ბოძი, რომლის საზღვრები ხან იწელებოდა, ხან იკუმშებოდა. ეს ბოძი მიუახლოვდა მეფეს და ისიც მოცელილივით დაეცა მიწაზე. მოჩვენება გაქრა...

როდესაც შიშით შეპყრობილმა მსახურებმა ფრიდრიჰთან მიირბინეს, იგი უკვე გაუნძრევლად და უგრძნობლად იწვა. რამაც ყველა გააკვირვა, ის იყო, რომ ხელში თეთრი ქსოვილის ნაგლეჯი ჩაებღუჯა. ფრიდრიჰი საკუთარ აპარტამენტებში მიაბრძანეს და რამდენიმე საათის შემდეგ გონმოუსვლელად მიაბარა სული უფალს.

# თქვენ სხვა გზით მიდიხართ

*მოხუცი თავის დაქნევით, მდუმარედ მომესალმა. დიდხანს მაკვირდებოდა, მერე მკითხა, — ვინ გამოგაგზავნა? მოთმინებით ველოდი იმ საიდუმლოს გაგებას, რისთვისაც ათასობით კილომეტრი გამოვიარე.*



— ბარბარა ჰუნგმა. თქვენ, ბარბარამ და თქვენმა ამხანაგმა ლიაო იანმა ერთი საიდუმლო იცით, რომლის გამჟღავნების უფლება, თითოეულს ცალ-ცალკე, არ გაქვთ. ლიაო იანი უკვე აღარ არის, ორნი დარჩით. თქვენ მიამბობთ თუ ბარბარას დართავთ ნებას?

— კარგი, იანმა ორივეს გაგვასწრო. დაჯექი და მისმინე.

... შავი ჭირი მძვინვარებდა სამხრეთ აფრიკაში. წითელი ჯვრის, ხსნის არმიის ექიმები და მოხალისეთა ბრიგადები ეპიდემიის ადგილებში მიმოდიოდნენ. ჩემი თანამოსაუბრე, მაშინ მას ანდრე სოლნცევს ეძახდნენ, ბარბარა ჰუნგი და ჩინელი ლიაო იანი სასწაულებრივად გადაურჩნენ მობობოქრე სენს. ბოლოს, ძალების აღსადგენად, სამივე ინდოეთის ოკეანეში, პატარა კუნძულებზე მდებარე სანატორიუმში გაგზავნეს.

— სანატორიუმის მმართველი თავს გვევლებოდა, ჩვენც დიდი პატივისცემით ვეკიდებოდით. ვამჩნევდით, რაღაც აწუხებდა ამ კაცს. მართლაც, ერთი თვის შემდეგ გამოგვიტყდა, — უბედურება დამატყდა, იქნებ მიშველოთო.

... ჩემი ქალიშვილი თორმეტი წლისაა, შესანიშნავად აღზრდილი გოგონაა, მაგრამ... ფეხმძიმედაა. ელისი გვიმტკიცებს, მამაკაცთან არანაირი ურთიერთობა არ მქონიაო, მაგრამ ფაქტი სახეზეა. მალე ყველაფერი გამოაშკარავდება. მიშველეთ, გამოიკვლიეთ ჩემი გოგონა.

დავთანხმდით. ბარბარამ გოგონა გასინჯა და თავზარდაცემულმა გვითხრა, — გოგონა ქალწულია, მაგრამ ექვსიოდე თვის ფეხმძიმეაო. ლოდინის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა... მშობიარობა მეშვიდე თვეზე დაეწყო გოგონას. ბარბარას მე და იანი ვეხმარებოდით. სწორედ ამ დროს მოხდა ის, რამაც ძირეულად შეცვალა ჩვენი შეხედულება ცხოვრებაზე, სამყაროზე, შეცვალა ჩვენი ბედი. გოგონას ტკივილი არ უგრძვნია. იწვა მშვიდი და მომღიმარი. მალე გამოჩნდა ოქროსფერკულულიანი ჩვილის თავი. თითქოს გამოცურდაო, ყურადღებით შეგვათვალიერა და გარკვევით წარმოთქვა ფრაზა ჩვენთვის გაურკვეველ ენაზე. მაგრამ აზრი ფრაზისა სამივესათვის გასაგები გახდა, — „თქვენ სხვა გზით მიდიხართ“. ამის თქმა და ჩვილს სახე დაუსევდიანდა, დაუნაოჭდა და ჩვენს თვალწინ ერთბაშად დაპატარავდა. თავზარდაცემულნი ვიდექით და ხმას ვერ ვიღებდით. პატარა ფერფლად იქცა და ისე გაქრა, რომ ნაკვალევიც კი არ დაუტოვებია...

კუნძულს რომ ვტოვებდით, არ ვიცოდით, რა გვექნა. ეთერული ბავშვი მირაჟი კი არა, რეალობა იყო. რეალობა, შემოქმედის მიერ გამოგზავნილი. უზენაესმა ნიშანი მოგვცა, მაგრამ რა უნდა გვეღონა, ეს კი აღარ ვიცოდით. ძველებურად ცხოვრება აღარ შეგვეძლო, რადგან ჩვენ „სხვა გზით მივდიოდით“: დუმილი ვარჩიეთ. ბარბარა დედა ტერეზას ჯგუფს შეუერთდა, ლიაო იანი ჩინეთის ერთ-ერთ ლეპრაზორიუმში დამკვიდრდა, მე აქ — ბუდისტ ბერებთან. მალე ბარბარა აღარ იქნება, კობრა დაგესლავს. მომავალ წელს მე ზვავი მომიღებს ბოლოს. ეს გუშინ მაუწყა ლიაო იანმა, იქ მან ყველაფერი იცის...

*ერთი წლის შემდეგ შევიტყვე ბარბარას გარდაცვალების შესახებ. კობრას დაუგესლავს. ბარბარამ უარი თქვა სამკურნალო შრატზე, — ეს ამ სამყაროში ჩემი გზის დასასრულიაო, უთქვამს და სიკვდილს ღიმილით შეხვედრია. როგორ და რა ვითარებაში დაიღუპა მოხუცი, არ ვიცი, მაგრამ ერთხელ, საღამო ხანს, ყრუ გუგუნი მომესმა, თითქოს სადღაც შენობა ჩამოშვავდაო. გული მომეწურა, შიშით კი არა, დიდი დანაკარგის შეგრძნებით. მივხვდი, — ეს მოხუცი დაიღუპა. უკანასკნელი იმ სამთაგან, რომელთაც დანამდვილებით იცოდნენ, რომ ჩვენ სხვა გზით მივდივართ.*

# როგორ გამოვიცნოთ ხასიათი ფერის საშუალებით

რატომ ყიდიან შაქარს პაკეტით, რომელსაც ლურჯი ლაქა აქვს? თურმე, ეს შემთხვევითი როდია. ფერი ადამიანის ფიზიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურ შეგრძნებებზე ახდენს გავლენას. მაგ. ლურჯი, ადამიანისათვის შეუცნობლად, აღიქმება, როგორც „ტკბილეული“, მწვანე — როგორც „მჟავე“, წითელი ფერისაგან კი გულისცემა ხშირდება.

თითოეულ ჩვენთაგანს აქვს საყვარელი ფერი, რომელსაც შეუძლია უამრავი რამ გვიამბოს ადამიანის ხასიათსა და ემოციურობაზე.

*წითელი* — სისხლისა და დაპყრობების ფერი. ადამიანი, რომელიც წითელ ფერს ირჩევს, მუდამ გამარჯვებას ესწრაფვის, თანაც ნებისმიერი ხერხით. წითელი მაჯისცემას ახშირებს, წნევას მაღლა წევს, სუნთქვაც გაცილებით ღრმაა. ამ ფერს მტკიცე და აქტიური პიროვნებანი ირჩევენ, — ხელმძღვანელები, საქმოსნები და სპორტსმენები. მათ გუნება-განწყობილების უცაბედი ცვლა ახასიათებთ. სექსში ექსპერიმენტები უყვართ, ამიტომაც ღალატობენ ხშირად საყვარელ ადამიანს. წითელი — ნიმფომანთა ფერია.

ფიზიკური და ნერვული გადაღლისას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებისა და იმპოტენციის დროს წითელი ფერი აუტანელი ხდება.

*ლურჯი* — ეს ფერი არტერიულ წნევას დაბლა სწევს, ანელებს მაჯისცემას და სუნთქვას. ამ ფერის მოყვარულებს წყნარი, სათნო ხასიათი აქვთ. ლურჯი ძალიან უყვართ მსუქნებს. განსაკუთრებით კი მათ, ვისაც დასვენება, სულიერი სიმშვიდე სჭირდებათ.

თუ ემოციური ატმოსფერო შინ და სამსახურში დაძაბულია, ლურჯი ფერი უსიამო და მოსაწყენი ხდება.

*მწვანე* — ეს ფერი ხშირად ჯიუტ, მიზანდასახულ, დესპოტური ხასიათის ადამიანებს უყვართ. ახალგაზრდობის სწრაფვა მწვანე ფერისაკენ — ეს დამოუკიდებლობისკენ სწრაფვაა, მშობლების მეურვეობისაგან თავის დაღწევის სურვილია.

*ყვითელი* — ეს ფერი გულღია, მხიარული, თავგადასავლებისა და ბედნიერების მაძიებელ ადამიანებს მოსწონთ. ყვითელი ფერის მოყვარულმა, დიდ შრომისმოყვარეობასთან ერთად, უეცრად შესაძლოა, საოცარი სიზარმაცე გამოავლინოს.

იმედგაცრუება, მარცხიანი სიყვარული და მარტოსულობა ყვითელი ფერისადმი სიძულვილს იწვევს.

*იისფერი* — ამ ფერს ემოციურად უმწიფარი მოზარდები ირჩევენ. თანატოლების წინაშე თავის მოწონების სურვილი და უკონტროლო ემოციები ხშირად მოულოდნელ, გაუთვალისწინებელ შედეგებს იწვევს. ასეთებს გარშემომყოფთა გულშემატკივრობა, კეთილმოსურნეობა სჭირდებათ. სწორედ ამავე მიზეზით უყვართ იისფერი ფეხმძიმე ქალებს.

იისფერი არ მოწონთ სამეცნიერო სამუშაოთი დაკავებულ ადამიანებს, მათ, ვისაც თავისი სიტყვის გატანა უყვართ.

*ყავისფერი* — ეს ფერი დისკომფორტის, სენის, კონფლიქტებისა და პრობლემებისაგან თავის დაღწევის სურვილზე მიუთითებს. ყავისფერს, ჩვეულებრივ, ღარიბნი და მშობლიურ კერას მოკლებული ლტოლვილები ირჩევენ. სამაგიეროდ ყავისფერი სძულთ ინდივიდუალისტებს, რომელთაც „ჯოგური“ გრძნობანი და ფიზიკური კომფორტი აღიზიანებთ.

*შავი* — ეს ფატალისტებისა და ფანატიკოსების ფერია. ამ ფერის ამომრჩევ ადამიანს, თუ, რა თქმა უნდა, მგლოვიარედ არაა, შეუძლია რისკზე წასვლა და თავის მოგიჯიანება. იგი მზადაა აუმხედრდეს ბედს, გარშემომყოფთ და ხელაღებით უარყოს წარსული.

*რუხი* — ფერი „თავშესაფარი“. ყველაზე მეტად იგი ვაჭრობის მუშაკებსა და სტუდენტებს უყვართ, განსაკუთრებით, გამოცდების დროს. ამ ფერის მოყვარულს ყველაფრისაგან განცალკევება სურს, ცდილობს, პასუხისმგებლობა აირიდოს.

რუხი ფერი არ უყვართ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა სურთ, გარშემომყოფთ თავს აბეზრებენ ზედმეტი ყურადღებითა და ცნობისმოყვარეობით.

# საავადმყოფოს ფოტოკამერა იღებს ადამიანის სულის პირველ ფოტოს

გულის ჩვეულებრივი ოპერაცია რელიგიისა და მედიცინის ისტორიაში შევიდა. ამ ოპერაციის დროს ფოტოგრაფმა (მისდაუნებურად, ამაზე არც უფიქრია) შესძლო დაეფიქსირებინა უწამესი წამი, როდესაც სხეული დატოვა სულმა!..



ფოტოზე აშკარად ჩანს საოპერაციო მაგიდის თავზე ამაღლებული მოელვარე სული, ეს ის მომენტია, როდესაც პაციენტის გულისცემა შეჩერდა.

მეცნიერებმა, თეოლოგებმა და ვატიკანმაც კი, ეს სურათი სიკვდილის შემდგომი სიცოცხლის დრამატულ დასაბუთებად მიიჩნიეს და აღიარეს:

— ეს ფოტოსურათი ბიბლიის დამადასტურებელია, იგი ოდესმე გადაღებულ სურათთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და განუმეორებელია.

სული ვერ შენიშნა 12 დამსწრემ, ნუ გაგიკვირდებათ, იგი შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველია და უხილავი. როდესაც ფოტოგრაფმა სხვა სურათებს შორის მოლანდების შავ-თეთრი სურათი ნახა, ჯერ იფიქრა, ვიღაცა გამასხარავებას მიპირებსო და სპეციალისტს აჩვენა. არაფერი მსგავსი! მაშინ კლინიკის მღვდელს მიაკითხა, პირველი, რაც ღვთისმსახურს აღმოხდა, იყო, — მამაზეციერო! ეს ხომ ადამიანის სულიაო.

მამა ვალენტინის რჩევით, ფოტოსურათი მთელი ევროპის სასულიერო პირებს დაუგზავნეს, რომის პაპმაც ითხოვა ასლი. ახლა ვარაუდობენ, რომ იოანე-პავლე მალე გააკეთებს განცხადებას ადამიანის სულის ავთენტიკურობის დასაბუთების შესახებ.

სკეპტიკოსებისთვის ვამბობთ, — ან უნდა ირწმუნოთ, ან — არა, რაიმე შუალედური არ არსებობს.

# ეჭვობთ, გატყუებენ თუ არა...

თუ ეჭვი გღრღნით, დააკვირდით მოსაუბრის ჟესტიკულაციას. თუ ცრუს ფეხი ფეხზე აქვს გადადებული, უნებლიეთ ათამაშებს წვერებს (ცერებს), იგი რატომღაც შეეცდება დაგიმალოთ ხელის დიდი თითებიც. აქ აუცილებლად გაგვახსენდება ლენინი თავისი განუყრელი პოზით (ჟილეტში შემალული ცერით). ადრე ვაჭრები სწორედ ასეთი ღიმილით და ჯიბეში თითებჩაწყობილი გამოდიოდნენ მყიდველთან გარიგებაზე.

თუ მხედველობას არ უჩივით, დააკვირდით მოსაუბრის გუგებს, ტყუილის თქმას ჩაიფიქრებს თუ არა, გუგები დაუვიწროვდება, ან პირიქით. ამ ნიშნების ერთობლიობით, შეუმცდარად გამოიცნობთ, ცდილობენ თუ არა თქვენს მოტყუებას.

ტყუილისადმი ყველაზე ნაკლებადმიდრეკილნი ცეცხლის ნიშნისქვეშ დაბადებულნი არიან.

მიწის ნიშნის მატარებლები დუმილს არჩევენ, იტყუებიან მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში.

რაც შეეხება სხვა ორს, წყლისა და ჰაერის ნიშნისქვეშ მოვლენილებს, აქ დაცქვიტეთ ყურები, განსაკუთრებით, თუ თევზებთან გაქვთ საქმე.

მათთვის ჩვეული სიტუაციაა ილუზიების სამყაროში ყოფნა, ტყუილის თქმისას, სჯერათ, რომ მართალს ამბობენ.

ტყუის სასწორიც, მაგრამ მისი მოტივი სხვაგვარია. ისინი მწარე სინამდვილის დამალვას ცდილობენ.

ტყუპები ჭორიკანა და მატყუარები არიან, ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ ცრუობენ, რომ გარშემომყოფთა ინტერესი და გაოცება გამოიწვიონ.

კიბორჩხალების ტყუილი მათ განწყობაზეა დამოკიდებული. შეუძლიათ იცრუონ კიდეც და მეორე მომენტში, აღსარებაც ჩაგაბარონ.

# თუ თქვენ ენერგოვამპირი შემოგეჩვიათ...

*(მატერიალისტებო, ნუ იქნებით ზედმეტად მატერიალისტები!)*

მოულოდნელად, არაფრის გულისთვის თავი ცუდად გიგრძვნიათ? ადგილს ვერ პოულობთ, დაკარგეთ მოსვენება და ძილი, თითქოს სხეული არ გემორჩილებათ, თავი გისკდებათ?

თითოეულ ჩვენგანს, ისევე, როგორც ყველაფერ ცოცხალს ჩვენს პლანეტაზე, საკუთარი ენერგოველის გარდა, გარეველიც ახლავს, ეს ველები ჩაკეტილია, მაგრამ ხდება მათი დარღვევა და სხვა ენერგიის შემოჭრა. ამ გვირაბით (ველში გაჩენილი ხვრელით) სარგებლობს ენერგოვამპირი, იტაცებს ენერგიას და ძლიერდება, ველდარღვეული ადამიანის მდგომარეობა კი ნურავის შეშურდება...

საქმე მაშინ რთულდება, როდესაც გარეველი შეკრულია (ბინა, ოთახი, შენობა), ვამპირს ხელ-ფეხი ეხსნება და იგი აქტიურდება. ენერგიის გამტარები არიან თქვენს ოთახში არსებული ნივთები, მაგ. ტელეეკრანი კარგი გამტარია, ამიტომ უყვარდათ კაშპიროვსკის და ჩუმაკს ტელევიზიით გამოსვლა. დადებითი ენერგიის გამტარია ცეცხლი, ბუხარი, სანთელი. ოთახის ველი, თავის მხრივ, შეკრულია, მაგრამ ძლიერი ვამპირები უარყოფითი აზრებით არღვევენ მას და რაც უფრო ბოროტია ეს აზრი, მით უფრო შედეგიანია შემოჭრა.

ზოგჯერ ვამპირი რაიმე ნივთს „დაადებს“ მისთვის საჭირო შინაარსს და შეუმჩნევლად შემოგაპარებთ ბინაში.



ასეთი ბინიდან გარბიან ცხოველები. ილუპება ოთახის ყვავილები, ბინის პატრონი კი გაწურულ ლიმონს ემსგავსება.

გააღეთ ფანჯრები, შემოუშვით ჰაერი და მზე, შეადგინეთ სარკეების სისტემა, რომ რაც შეიძლება მეტი მზის სხივი ირეკლებოდეს თქვენს ბინაში. ძალიან ეფექტურია წყალიც, იგი კარგად აგროვებს ენერგიას, დადგით წყლით სავსე ღია ჭურჭელი სხვადასხვა კუთხეში. ღამით დაიმუხტეთ მთვარით, ისიც მზის სხივებს ირეკლავს.

ბინაში ბუხარი და სანთელი შენობას ენერგიით ტენის, ამიტომაც არის, რომ ეკლესიაში, სადაც ბევრი სანთელი ანთია, უზარმაზარია ენერგიაც და იქ ხშირად მოსიარულე ადამიანი ჭარბად იღებს მას.

სხვათა შორის, ანთებული სანთლით შეიძლება განსაზღვროთ, არის თუ არა ესა თუ ის პიროვნება ენერგოვამპირი. ამისთვის კეფაზე (აქ იმყოფება ენერგიის შემკრები) უნდა დაიჭიროთ ანთებული სანთელი, თუ ალი თანაბრად და მკაფიოდ ანთია, ადამიანის ენერგეტიკა წესრიგშია, თუ სანთელი აბოლდა და ქრება, ადამიანი ვამპირობისკენ არის მიდრეკილი.

# იცით, რა თვისებების სამკაულს ატარებთ?

როგორ გავარჩიოთ ბნელი და ნათელი ინფორმაციის მატარებელი ქვები? უპირველესად, საკუთარ შეგრძნებებს უგდეთ ყური, თუკი სამკაული ოდნავ უგუნებობას გგვრით, მოიხსენით, კარგია, თუ იუველირს მიუტანთ და გადააკეთებინებთ, ახალ ჩარჩოში იგი ძველ თვისებებს და ინფორმაციებს კარგავს. ახლა ვნახოთ, რომელი პოპულარული თვალი მიესადაგება თქვენს პიროვნებას. შევთანხმდეთ, რომ ჰოროსკოპით მითითებული თვლები ძალაში რჩება, ლაპარაკია დამატებით სამკაულებზე.

ალმასი — ადამიანი თავდაჯერებული და ამაყი ხდება; განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს მათზე, ვისი სტიქიაც ცეცხლია ან ჰაერი; წყლისა და მიწის სტიქიის ადამიანებს ვურჩევთ, ალმასი 35-40 წლის ასაკში ატარონ, მაშინ მათი პიროვნება უკვე ჩამოყალიბებულია.





ლალი — ეს ქვა ძლიერი სასიცოცხლო ძალის წყაროა, პატრონს მჩქეფარე, სასარგებლო საქმიანობისკენ უბიძგებს. თუ თქვენ გადაჭარბებულად აგრესიული და ბრაზიანი არ ხართ, იგი შესანიშნავ მოკავშირედ გაგიხდებათ. სამკურნალო თვისებები: უხდება გულსა და სისხლძარღვოვან სისტემას; უფრთხილდით ჰიპერტონიის დროს;

ამეთვისტო — ამაღლებს ინტელექტს, გამოგიმუშავებთ გულისყურსა და სიბეჯითეს. აგრეთვე, შეუძლია პატრონი ახლობლებისადმი გულგრილობასაც შეაჩვიოს. კეთილად მოქმედებს უძილობისა და მძიმე, კოშმარული ძილის დროს.

ტოპაზი — იწვევს სიმშვიდეს და ცხოვრებით ტკბობის შეგრძნებას. ძალიან კეთილ ზეგავლენას ახდენს მელანქოლიით შეპყრობილებზე.

მთვარის სპეკალი — ამშვიდებს ფიცხი, თავშეუკავებელი და სასტიკი ბუნების ადამიანებს, კვებავს ნერვულ სისტემას. მისი ძლიერება მატულობს სავსე მთვარის პერიოდში.

*იასპი* — დამაშოშმინებელი თვისებით გამოირჩევა, ყველა წითელი ფერის ქვა სისხლის გაწმენდას უწყობს ხელს, კეთილად მოქმედებს ღვიძლზე და გულის რითმზე. მწვანე შეფერილობის ქვა კარგია თავის ტკივილის, უძილობის, მაღალი წნევის დროს.



ნეფრიტი — მოთამაშეებისა და გათვალულების თილისმაა. მფლობელს დახვეწილობასა და გარშემომყოფთა სიმპათიას მატებს, აუმჯობესებს მხედველობას, აწესრიგებს ძილს.

მათთვის, ვისი სტიქიაც წყალია ან მიწა...

ალექსანდრიტი — დაგეხმარებათ ოჯახური ურთიერთობის მოწესრიგებაში, ფილოსოფიურ და სამეცნიერო კვლევა-ძიებაში, ბიზნესმენების ერთგული თანაშემწეა.

ოპალი — ეს თვალი ყველაზე მეტად უკავშირდება წყლის სტიქიას, მშრალ კლიმატში „ავადდება“ კიდეც, ბზვინვარებას კარგავს. ექსტრასენსორული უნარჩვევების გამაძლიერებელია, კარგ ურთიერთობას ამყარებს მეოცნებესთან.

საფირონი — მისტიკური თვალია, ხშირად იყენებენ მაგიურ საქმიანობაში, კარგად და საიმედოდ იცავს პატრონს, მაგრამ ზადიანი საფირონი (ვთქვათ, გაბზარული) შეიძლება უბედურების მომტანიც შეიქნეს, ეს განსაკუთრებით ჯანმრთელობას დაეტყობა.

ზურმუხტი — პატრონს აჯილდოვებს ერთგულებითა და ურყეობით.

ფირუზი — ენერგიულობისა და კარგი კონტაქტებისკენ გიბიძგებთ. არ გაპატიებთ უსინდისობას, ამიტომ ეცადეთ, მორალურად სუფთა იყოთ.

გარდა ამისა, ზოგ თვალს ყველა ადამიანისათვის მხოლოდ სიკეთე და ჯანმრთელობა მოაქვს. თუ თქვენზე მავნე ენერგეტიკული შეტევა განახორციელეს, სამკაული შეიძლება გასკდეს კიდეც, ე.ი. მან მიიღო თავის თავზე დარტყმა. ასეთებია „ვეფხვის“, „შევარდნისა“ და „კატის“ თვალი.

რაც შეეხება მარგალიტს, ზღვის მარგალიტი მხოლოდ თევზების ზოდიაქოში დაბადებულებს შეუძლიათ ატარონ, ნაკლებ პრეტენზიულია მდინარის მარგალიტი, მაგრამ ისიც კი უმიზეზო ნაღვლისა და დარდის მომგვრელია.

შეარჩიეთ თქვენთვის ხელსაყრელი სამკაული.

# ხალი ბედის ნიშანია

უმრავლესობას ხალი, ეს ბუნებრივი ნიშანი, აღიზიანებს და, ლამის, სიმახინჯე ჰგონია. სულ სხვაგვარად აფასებენ მას სახალხო მკურნალები, წინასწარმეტყველნი და მაგები. მათ მიაჩნიათ, რომ ამ ნიშნების ადგილმდებარეობა განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას და ბედს.

მაშ, ასეა თუ ისე, ხალი გაქვთ:

შუბლზე მარჯვნივ — თქვენი ინტელექტი დიდებასა და კეთილდღეობას მოგიტანთ;

შუბლზე მარცხნივ — ხართ სუსტი ნებისყოფის და ექსტრავაგანტურობისკენ მიდრეკილი.

თვალის შიდა მხარე (ცხვირისკენ) — მშვიდი, მორიდებული და მომჭირნე ბრძანდებით;

მარჯვენა წარბთან — ადრეული და შესაძლოა, ბედნიერი ქორწინება გელით;

მარცხენა წარბთან — უიღბლო ქორწინება;

ყურზე — უგუნურების ნიშანია;

მარჯვენა ლოყაზე — ბედნიერი ცოლქმრობა გელით;

მარცხენა ლოყაზე — სიძნელე , ბრძოლა გიწევთ;

პირის სიახლოვეს — კარგი ბუნებისა და მგრძნობიარე პიროვნება ხართ;

ცხვირზე — დიდი მომავალი, სექსუალურობა და მოგზაურობა დაგყვათ;

ზედა ან ქვედა ყბაზე — სუსტი ჯანის ნიშანია;

ყელზე — თქვენი ცხოვრება ცვალებადია, სიძნელე ახალგაზრდობაში, წარმატება მოწიფულობაში, გელით მდიდარი მემკვიდრეობა;

ხელის მტევანზე — ნიჭიერება მოგიტანთ წარმატებას;

მხარზე — რთული და ძნელი ცხოვრება გელით;

მარჯვენა მკერდზე — გექნებათ წინსვლისა და ვარდნის მონაცვლეობა;

მარცხენა მკერდზე (მამაკაცს) — წარმატება და ბედნიერება.

მარცხენა მკერდზე (ქალს) — ზეაწეული ტემპერამენტი ზოგჯერ უგუნურ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ.

მკერდის შუაში — უზრუნველყოფილი იქნებით, მაგრამ დიდი სიმდიდრე არ გელით.

# ... ბერიას ლიმუზინი — ახლაც მოდის ხოლმე სახლთან...

მოჩვენებებზე მონადირეთა კლუბებში ჯადოქრების, მისტიკოსების, ექსტრასენსებისა და „იმ სამყაროს“ თაყვანისმცემელთა გარდა, აბსოლუტურად ნორმალურად მოაზროვნე, სალი ისტორიკოსმხარეთმცოდნენი, ფიზიკოსები და ფსიქოლოგები შედიან. ასეთი კლუბი მოსკოვშიც არსებობს და...

1990 წლის ბოლოსთვის დაადგინეს, რომ მოსკოვის რუკაზე (ეს განსაკუთრებით ძველ მოსკოვს ეხება) რამდენი ადგილია, სადაც სხვადასხვა ადამიანის თქმით, განსაკუთრებით ხშირია უცნაურობა და მოლანდება.

... ასეთი უცნაური ადგილებიდან ყველაზე გამოჩენილი მაინც კაჩალოვის ქუჩაზე მდგომი „ბერიას სახლია“. ამბობენ, რომ ღამღამობით ახლომახლო მცხოვრებლებს დღემდე ესმით მანქანის დამუხრუჭების ხმა, უხილავი ავტომობილის მძლავრი ძრავა ხმამაღლა მუშაობს, შემდეგ ისმის კარების გაღების ხმა, მშვიდი ფეხის ხმა და განკარგულებებიც კი, რომელსაც ასევე უჩინარი პიროვნება იძლევა. მალე კარებს კვლავ გაიხურავენ, ძრავა ისევ უმატებს ბრუნვას და ლიმუზინი ტოვებს იქაურობას, მისი ხმა კიდევ დიდხანს ესმით...




... ლენინის სახელთანაც არის დაკავშირებული ბევრი ამოუხსნელი ისტორია. სენატის შენობასთან, ბელადის ოთახ-მუზეუმის ახლოს ყარაულში მდგომი კრემლის დაცვის პოლკის ოფიცრები მოწმენი არიან, როგორ ისმის დაკეტილი და დალუქული ოთახიდან ნაბიჯების ხმა, ქაღალდის შრიალი, ნივთების გადაადგილების ხმა, თანაც სიგნალიზაცია დუმს... ამბობენ, რომ ბელადის გიგანტური, რამდენიმემეტრიანი სილუეტი განუყრელი კეპითა და გაღეღილი პალტოთი გამოჩნდა კრემლის თავზე 1980 წლის დასაწყისში — მიხრწნილი „გენსეკების“ მიყოლებით გარდაცვალების წინ, რასაც გორბაჩოვის ხანა მოჰყვა...

...ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკის საძირკველი თვითმკვლელთა სასაფლაოზე გაუთხრიათ (ეკლესია კრძალავდა მათ დაკრძალვას ჩვეულებრივ სასაფლაოებზე). უკვე მე-16 საუკუნიდან არსებობდა ეს საფლავები. ფუნდამენტის ჩაყრის დროს მრავლად უნახავთ მიცვალებულთა ჩონჩხი, ძვლები და თავის ქალები ცალცალკე, ზედ ბეტონი დაუსხამთ და აღუმართავთ კოშკი. ზედა იარუსებზე ასულ მემონტაჟეებს, თურმე, უცნაური ხმები ესმოდათ, რომელიც ძალზე ჩამოჰგავდა ადამიანის კვნესას. ამბობენ, ეს ხმა დღესაც ესმითო კოშკის ზედა სართულებზე.

თუ მისტიკით დაინტერესებულ სულთმცოდნეებს დავუჯერებთ, მოჩვენებები უმეტესად დიდი ბოროტების ადგილებში ჩნდება, იქ, სადაც სისხლი დაიღვარა, სადაც ბუდობდა ეშმაკეული. შთამომავლობას, ალბათ, ასეთ ახალ ადგილებსაც შემოვუნახავთ.

# სასწაულები დღესაც ხდება

ხანძარმა ერთიანად გადაბუგა რამდენიმე სახლი, ორი სავაჭრო დაწესებულება, ათობით ავტომობილი. ნამდვილი ჯოჯოხეთი დაატრიალა, გადაწვა ტყე და პარკი. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ სრულიად უვნებელი გადარჩა ორი თაბაშირის ქანდაკება.

„მომეჩვენა სასწაულის შემსწრე გავხდიმეთქი“, — ჰყვება მეხანძრე სინ ეშენი. დევიდ რიდმა კი, ვისი მაღაზიებიც დაიწვა და განადგურდა, განაცხადა: „მივხვდი, რომ მაღალმა ღმერთმა იხსნა ეს ქანდაკებები, აბა, სხვა ახსნა არ არსებობს“.

15 წლის წინ ოჰაიოს შტატში რიდის დედამ ღვთისმშობლის 75 სმ-იანი ქანდაკება დააყენა მამულში, რიდმა კი შემდეგ ქრისტეს 30 სმ-იანი ქანდაკებაც მიამატა და ხეზე მიამაგრა. სწორედ ეს ორი ქანდაკება იყო ხანძრის შუაგულში, რომელსაც 8 საათს ებრძოდა 17 მეხანძრე და 40 სახანძრო მანქანა. გარშემო ყველაფერი მოიბუგა, ცეცხლის ენები 15 მეტრს აღწევდა. როგორც იქნა, ჩააქრეს ხანძარი. უფლისქანდაკიანი ხე იდგა უვნებელი. იქვე იდგა ქათქათა დედაღვთისმშობელიც.

ამ სასწაულის შემსწრე ერთ-ერთმა მეხანძრემ წარმოთქვა, — აქამდე თუ ღმერთი არ მწამდა, დღეიდან თვალი ამეხილაო.

# ბოროტი და კეთილი... ქურქი

სამოსისათვის გამოყენებული ქსოვილებიდან ადამიანზე ყველაზე მეტად ბეწვი მოქმედებს, სულ ერთია, ხელოვნური იქნება იგი თუ ნატურალური. ენერგეტიკული თვალსაზრისით, ბეწვი მარტო აქტიური კი არა, ძალზე ინდივიდუალურიც კი არის, ქურქის შეძენისას (და საერთოდ ბეწვის რაიმე ნივთის) კარგად უნდა გვახსოვდეს ეს — რაც ძალიან მიესადაგება და მოუხდება ერთს, სრულიად უარყოფითად და ულამაზოდ გამოიყურება მეორეზე.

გულჩათხრობილმა, თავის თავში ჩაკეტილმა ადამიანმა, რომელსაც ხასიათიც კირკიტა აქვს, ალბათ, დაბალბეწვიანი სამოსი არ უნდა ატაროს. ნაულა, ყარყუმი და სიასამური სწორედ ის ბეწვია, რომლის საკუთარი აურა უკიდურესობამდე ცივია, ჩაკეტილი და პატრონს სიზვიადისა და გარიყულობის ელფერს ანიჭებს, ამიტომ დაიმკვიდრეს ამ ბეწვებმა „კეთილშობილის“ სახელი. გულღია, უშუალო, ტემპერამენტიანი ადამიანებისათვის მისი ტარება ზედგამოჭრილია — თავდაჭერილობისაკენ, დროული სიდინჯისაკენ წარმართავს მათ. დაბალბეწვიან სამოსში გულჩათხრობილი პიროვნება კიდევ უფრო გარიყული და საკუთარი პრობლემებით თავგაბეზრებული ხდება. ასე რომ, შეიძლება ტრაგედიამდეც მივიდეს, დეპრესიაც განაღდებული აქვს.



მოკლედ, თუ თქვენ შებოჭილი ბუნებისა ხართ, გირჩევთ ატაროთ შინაური ცხოველების — კრაველის, კურდღლის, თხისა და დათვის ბეწვი.

გრძელხაოიანი ბეწვი, მაგალითად, მელა და ყარსაღი გამორჩეული ხასიათის მატარებელია — თავის თავში მძლავრ ეროტიკულ მუხტს შეიცავს და უპირველესად თავის პატრონზე აფრქვევს ამ თვისებას. ამიტომ გამოიყურება ასე მაცდუნებლად ამ ბეწვში გამოხვეული ქალი.

არის კიდევ ბეწვის ერთი სახეობა: თახვი, ნუტრია, წავი, ზღვის კატა და ნერპა — ეს ყველა წყლის ცხოველია. ისინი წყლის სტიქიის თვისებებს ატარებენ და თავიანთ პატრონებზე გამწმენდ გავლენას ახდენენ. ამ ბეწვის სამოსი აიცდენს ყველა მავნე და უარყოფით ზეგავლენას, დაგიცავთ ავი თვალისგან, წყევლა-კრულვისგან, არც ის არის გამორიცხული, რომ ენერგეტიკული ვამპირიც უვნებელყოს.

## აღმოჩენილია «იესოს პაპირუსი»



ე. ნ. ოქსფორდის სახარების პაპირუსი ინგლისელმა პაპიროლოგმა ქარსთინ პეტერ თიიდემ გაშიფრა. მის წიგნში მოთხრობილია თითქმის სენსაციური ცნობები იესო ქრისტეს ცხოვრების შესახებ.

მეცნიერის თქმით, ოქსფორდული პაპირუსის თარიღი და მისი ნამდვილობა ახლებურად შეფასდა. ეს, ფაქტობრივად, უკვე აღმოჩენილის ხელახალი აღმოჩენაა, დიდი ხნის წინათ დადგენილის ახალი თვალით გადახედვა.

სახარებაში აღწერილი ბოლო ამბები პირველი საუკუნის 30-იან წლებში ხდებოდა. მკვლევარს, ცხადია, აინტერესებდა ტექსტი, რომელიც დაწერილი იქნებოდა იმ დროსთან რაც შეიძლება ახლოს, რადგან, რაც უფრო ძველია ტექსტი, მით უფრო სარწმუნოა.

60-65 წლებში ვერავინ გაბედავდა სიცრუის თქმას, — იერუსალიმისა და გალილეის მცხოვრებთ ყველაფერი კარგად ახსოვდათ. ფანტაზიის შესაძლებლობა მაშინდელი თვითმხილველებისთვის ნაკლები იყო, ვიდრე შემდგომ.

მეცნიერმა აღმოაჩინა ჭეშმარიტად „იესოს პაპირუსი", — აქ საჭოჭმანო არაფერია. ხელნაწერის ასოები პირველი საუკუნის პირველი ნახევრისთვის დამახასიათებელი ე. წ. ლეგატურებითაა გადაბმული.

ოქსფორდულ პაპირუსთან ასაკით ყველაზე ახლომდგომი პაპირუსი 66 წლის 24 ივლისითაა დათარიღებული. ოქსფორდული კი, გაცილებით ადრეა შედგენილი.

მაშასადამე, — ასკვნის მეცნიერი, — იესო ქრისტე ნამდვილად ძე ღვთისაა, ნამდვილად მამისგან მოვლენილი ამქვეყნად, ნამდვილად ევნო და აღსდგა მკვდრეთით.

## ფოტოაპარატში გამოჩნდა სიკვდილი



ბრაზილიის ქალაქ ბელო ჰორიზონტეს მახლობლად, მდინარე ველგასის სანაპიროზე ამერიკელ ცოლ-ქმარს, გრინლებს უბედურება დაატყდათ თავს... ჯანეტმა და სემმა გადაწყვიტეს, ამ ლამაზი მდინარის სიახლოვეს გაეტარებინათ შვებულება, კარავიც დადგეს, საცხოვრებელი მოიწყვეს. სემმა დაღლილი სხეულის წყალში გალაღლაღება მოინდომა. ჯანეტმა ფოტოაპარატი მოიმარჯვა და ქმრის ოსტატური ნახტომი კადრში გააშეშა, სემი ისეთი გატაცებით ჭყუმპალაობდა, რომ ქალმა კიდევ რამდენიმე კადრი უძღვნა მას. ის იყო, კიდევ ერთისთვის მოემზადა, რომ ვიდეომაძებარში უეცრად გამოჩნდა გიგანტური ნიანგი. რეპტილია თვალის დახამხამებაში ეძგერა მოცურავეს, ყბებში მოიქცია მისი მკლავი და წყლის სიღრმეში ჩაითრია. წყალი სისხლმა შეღება... ჯანეტი გაშეშდა, კრინტიც ვერ დაძრა, და ასე ნახევრადუგრძნობი აღმოაჩინეს ტურისტებმა. უხმეს პოლიციას, მათ ადგილობრივი მონადირეები მიიხმარეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ხავსიან ნაპირას სემის მაჯაზე საათშერჩენილი ხელი იპოვნეს... დინების მიყოლებით, სამასიოდე, მეტრში, მონადირეებმა სამასკილოგრამიანი ნიანგი მოკლეს.

## სიდედრებო, შინ დაეტიეთ...

ჩერეპოვეცელი ვალერი პიკუნოვი აურაცხელი სიმდიდრის პატრონი იყო, თანაც - ფარულად: ბინა გამოვსებული ჰქონდა უამრავი ხატით, გამოჩენილი მხატვრების სურათებით, ოქროს სამკაულებით და ეს ქონება ძალიან მონდომებით ჰქონდა მიჩქმალული კარადებსა და სამალავ-საცავებში — პატრონს ქურდების შიში არ ასვენებდა, არც სიგნალიზაციამ უშველა, არც ორმაგმა რკინის რვაგასაღებიანმა კარმა, ვერც რკინის გისოსებმა დაუწყნარეს ნერვები. სულ იმის ფიქრში იყო, რით გადაერჩინა განძი. ჰოდა, ერთმა კეთილისმყოფელმა ურჩია, შეეძინა ძლიერმოქმედი ძილისმომგვრელი კაფსულა, რომელიც ბინიდან გასვლისას შემოსასვლელში უნდა დაემალა. საკმარისია, ვინმეს ფეხი დაედგა და 7-8 საათიანი სალათას ძილი გარანტირებული ჰქონდა. ასეც მოიქცა და ამდენი ხნის უძილობის შემდეგ პირველად დაიძინა მშვიდად.

მეორე დღეს იფიქრა, ახლა აგარაკზე წასვლაც შეიძლებაო და ცოლ-ქმარი მეგობრებთან ერთად გულმშვიდად მიენდვნენ მანქანას... ის დღე ნებივრად გაატარეს და გვიან ღამით შინ დაბრუნდნენ. ვაი, ამ დაბრუნებას — გაფეთქილი კარები, შემოსასვლელში გაგორებული მხვრინავი სიდედრი და გაცლილი ბინა.

რა მომხდარა? საწყალ სიდედრს, ჩემი საყვარელი სიძე-ქალიშვილი აგარაკზე არიან, ერთს ჩემებურად მივდგებ-მოვდგები, სახლს ბზინვას დავაწყებინებ, მოვლენ და გულს გავუხარებო, უფიქრია და გულდინჯად გაუღია კარები, შეუდგამს ფეხი და ...მერე აღარაფერი ახსოვს, მხოლოდ სიძის ბღავილმა და ლაზათიანმა მუშტმა გააღვიძა... ვიღაცას დიდხანს უძებნია და თითქმის მთელი სიმდიდრე გაუზიდავს, როგორც გამომძიებლები ამბობენ, ქურდი შემთხვევით გამვლელს ჰგავს, ნახა, რაც „ცუდად იდო", ხელს გააყოლა, ოღონდ, ბარაქიანად გააყოლა.

ახლა, ქურდების ნაცვლად დაკავებულია პიკუნოვი, ბრალად ედება ხულიგნობა, სიდედრზე თავდასხმა.

## რას ამდევნებიხარ, შავო კაცო?!..

წარმოიდგინეთ, გამოდიხართ შინიდან და კარებთან გიცდით მრისხანე შავი კაცი. ჯდებით მანქანაში, იგი ჯდება მეორეში და მოგდევთ. მისდევთ ტროლეიბუსს, ისიც არ ჩამოგრჩებათ, ფეხით მიდიხართ, ზურგს უკან გესმით მისი ფეხის ხმაც... არ გესვრით, არ გეჩხუბებათ, ხმასაც არ გცემთ, — მაგრამ არ გშორდებათ. ვერსად იჩივლებთ, რას იტყვით, — ხომ არაფერს გიშავებთ... ასეთი შავი კაცები იაპონიასა და გერმანიაში კვალში ჩასდგომია გამოუსწორებელ მოვალეებს. ამომავალი მზის ქვეყანაში ვალების დაბრუნების ეს მეთოდი, დიდი ხანია, ძალაშია. ევროპისათვის ცოტა ახალია, მაგრამ ბერლინელი ბიზნესმენის, მიულერის ფირმას კლიენტები ჭარბად ჰყავს. თუ ვინმეს თქვენი ვალი აქვს და ვერ იბრუნებთ, მიბრძანდებით, გადაიხდით 50 მარკას, გამოგიყოფენ მოღუშულ, შავ სამოსში გამოწყობილ ტიპს და ისიც აჩრდილივით აედევნება თქვენს მოვალეს; გამვლელებმა კი ყველამ იცის, რომ ,,ობიექტს ფული აქვს გადასახდელი და ეს ,,ობიექტიც" ყოველნაირად შეეცდება, თავიდან მოიშოროს ეს ,,შავი კაცი", ამისთვის კი ერთადერთი საშუალება არსებობს — უნდა დაგიბრუნოთ ვალი.

ჯერჯერობით, სააგენტოს ექვსი ,,ჩრდილი" ჰყავს, მაგრამ მოთხოვნები იზრდება.

## თავშეკავებული ქმრები (?)

ცოლიანი მამაკაცი და მისი გათხოვილი საყვარელი ქალაქგარეთ, კოტეჯში ნებივრობდნენ. ალერსგამოვლილებს მეზობლის სახლიდან მუსიკის სასიამოვნო ჰანგები შემოესმათ და ვიზიტი განიზრახეს. დაუპატიჟებლად სტუმრობა არ ყოფილა ხუმრობა, — გაშეშდნენ, როდესაც „სიყვარულის ბუდეში" თავიანთი კანონიერი მეუღლეები იხილეს.

მოღალატე ცოლებმა ერთმანეთი რომ ითრიეს, თავშეკავებული ქმრები მხოლოდ მაშინ ჩაერივნენ საქმეში, — „ყველამ თავისას მოუაროს" — პრინციპით, თავ-თავიანთი ცოლები ერთმანეთს დააშორეს. ამბავი იმით დასრულდა, რომ კანონიერების თვალსაზრისით დაწყვილებულებმა იქაურობა დატოვეს.

ეს ბულგარეთში მოხდა; ამ ოჯახებმა ერთმანეთი ზაფხულში, შავი ზღვისპირა კურორტზე გაიცნეს.

## დასტინ ჰოფმანის „პირველი როლი"



პოპულარულ ამერიკელ მსახიობს მომავალი პროფესიისთვის მეტად უჩვეულო და ორიგინალურ ვითარებაში მიუგნია: როგორც ამას წინათ გამოტყდა, ამისთვის უბიძგებია სასიყვარულო, კაცობის ზიარების პირველ ღამეს.

...15-იოდე წლის დასტინი „დიდი გაკვეთილის" მისაღებად მიუყვანიათ ქალთან. მსახიობი ირონიულად აფასებს თავის მაშინდელ სექსუალურ შესაძლებლობებს, — ვიდრე რამე დაიწყებოდა, დამთავრდა კიდეცო, — ამბობს, მაგრამ ძალზე პროფესიულად გამოუმჟღავნებია სხვა შესაძლებლობანი, — პარტნიორთან თავს ხომ არ შევირცხვენდი, — ჰყვება იგი, — გადავწყვიტე, დილამდე მეთამაშა ვნებიანი საყვარლის როლი, მოვყვევი თეატრალურ კვნესას, ზოგჯერ ყმუილსაც შევურევდი ხოლმე, მთელი ტანით ვთრთოდი და ვძაგძაგებდი.

არავინ იცის, რა აზრის დარჩა დასტინის პირველი რჩეული, მაგრამ იმ ღამემ გადაწყვიტა ჰოფმანის კარიერის ბედი, — მსახიობობა და სხვა არაფერი!

## მეოცე საუკუნის მიწურული... სენსაციებს სენსაციები მოჰყვება... (ნაპოვნია გრაალი?!)

სულ ახლახან ვწერდით, რომ ნაპოვნია ბიბლიური ლოთის ცნობისმოყვარე ცოლის მარილის ქანდაკი და აი, კიდევ ერთი სენსაცია, რომელსაც, ჯერჯერობით, ბადალი არ მოეპოვება — მიკვლეულია მაცხოვრის თასი, რომლიდანაც მან საიდუმლო „სერობის დროს ღვინო მიირთვა. უფლის წმინდა თასი მონტანას შტატის, ქალაქ სენლუისის... ლომბარდში აღმოჩნდა. ექსპერტთა დასკვნით, უეჭველია, ეს სწორედ მაცხოვრის სასწაულთმოქმედი თასია, რომმელიც ერთი შეხებით კურნავს ყველა სნეულს.

— არავის შეუძლია მისი შეფასება, იგი ფასდაუდებელია, — ამბობს ცნობილი არქეოლოგი დოქტორი რობერტ სთოუნი, რომელმაც წარუდგინა საზოგადოებას განძი. რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი სიცოცხლე ჩამქრალა წმიდა გრაალის ძიებაში, და აი, 2000 წლის შემდეგ ხელთ გვიპყრია უდაოდ ქრისტესმიერი თასი.

— მკვდარი ზღვის პაპირუსები მოგვითხრობენ, რომ ქრისტეს ერთმა მოწაფეთაგანმა ჯვარცმის დროს გრაალის ფსკერზე უფლის სისხლით პაწია ჯვარი დასვა, ამ თასზე არის ეს ნიშანი. ანალიზმა დაადასტურა ტურინის გარდამოხსნისა და გრაალის სისხლის იდენტურობა და, რაც მთავარი და სრული დასტურია, — წლობით განუკურნებელი სნეულნი ხელის შეხებისთანავე იკურნებიან, ლეგენდაც ხომ ამას გადმოგვცემს... — ამბობს დ-რი სთოუნი.

ამბავი მოულოდნელად გახმაურდა, ხალხმრავლობისა და მოძალების თავიდან ასაცილებლად გრაალი საიმედო ადგილზე ინახება.

... ანტიკვარიატის დიდი თაყვანისმცემელი რიტა ლექვილი გონს ვერ მოსულა:

— ვერც წარმოვიდგენდი, რა განძთან მქონდა საქმე, უბრალოდ, მზერა მიიპყრო და ვიფიქრე, ჩემს კოლექციას დაამშვენებს-მეთქი.

ქალიშვილმა შენაძენი შინ წაიღო. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა სტუდენტმა არქეოლოგმა ყურადღება მიაქცია თასის ფსკერზე ოდნავ შესამჩნევი ჯვრის გამოსახულებას, ნებართვა სთხოვა ლექვილს და თავის პროფესორს, დოქტორ სთოუნს, აჩვენა იგი, სთოუნი კი ერთ-ერთი დიდი სპეციალისტია ქრისტესდროინდელი რომის იმპერიის.

თუმცა, მის ლექვილს განუსაზღვრელ თანხას სთავაზობენ, მას გადაწყვეტილი აქვს, როგორც კი სთოუნი ექსპერტიზას დაასრულებს, წმინდა გრაალი გადასცეს ვატიკანს.

—მოხარული ვარ, რომ შემიძლია ასეთი ნივთი ვაჩუქო ხალხს.

—ვინც ამ ბოლოდროინდელ არქეოლოგიურ მიკვლევებს ადევნებს თვალს, არ შეიძლება გულგრილი დარჩეს და არ აღფრთოვანდეს, ბოლო ორ წელიწადში იესოსთან დაკავშირებული რამდენიმე ნივთი წარმოჩინდა: ეკლის გვირგვინი, ჯვარი და აი, ახლა — გრაალიც. ვფიქრობ, ეს ტყუილუბრალოდ არ ხდება, დამაიმედებელი ნიშანია, — ასკვნის დ-რი სთოუნი.

## ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო...



თურმე, ძმები გრიმების ზღაპრის გმირი ფიფქია, მართლა არსებობდა XV საუკუნეში. ოღონდ, ზღაპრული ფიფქიასგან განსხვავებით, იგი მოუკლავთ...

ას დასკვნამდე მივიდა გერმანელი დოქტორ ეკჰარდ ზანდერი, თანაც თავისი ვარაუდი განამტკიცა რეალური ფიფქიას ცხოვრების ეპიზოდებით. მეცნიერმა მიაგნო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ზღაპრის გმირის პროტოტიპს, ამ ქალიშვილის რამდენიმე სავარაუდო პორტრეტსაც.

— ძმებმა გრიმებმა ან არ იცოდნენ, ან შეგნებულად დაუმალეს მკითხველს საშინელი სიმართლე. ოთხი წელი დამჭირდა, ვიდრე ამოვხსნიდი რებუსს. ბედმა გამიღიმა, მივაგენი რეალურ პროტოტიპს. ეს გახლდათ XV ს.-ის გერმანელი ბად-ვილდუნგენელი მშვენიერი გრაფინია მარგარეთი.

დოქტორი ზანდერი წიგნში — „ფიფქია, მითი და სინამდვილე," წერს, რომ გოგონას, ისევე, როგორც ზღაპრის ფიფქიას, ბოროტი დედინაცვალი ჰყავდა, მაგრამ გერის სიკვდილში მისი ხელი არ ურევია. ეს დიდი და შავი საქმე ესპანეთის ფარულ პოლიციას უკეთებია. საქმე ის ყოფილა, რომ გრაფიანიას თავდავიწყებამდე შეჰყვარებია ესპანეთის მეფე ფილიპე, ამ სიყვარულს უმსხვერპლია კიდეც, რადგან ესპანეთის ტახტზე მზრუნველებს გადაუწყვეტიათ, ფილიპესა და გერმანელი გრაფინიას კავშირს დიდი პოლიტიკური სკანდალი მოჰყვება და უმჯობესია, ქალი თავიდან მოვიშოროთო... საბრალო მზეთუნახავი მოუწამლავთ.

ჯუჯები, ზღაპარში ფიფქია რომ გადაარჩინეს, სინამდვილეში ბავშვები იყვნენ, მუხლჩაუხრელად, წელში მოხრილნი, თორმეტ-თორმეტი საათი რომ მუშაობდნენ მარგარეთის ძმის ქვის სამტეხლოებში, ისინი თითქმის ყველა ინვალიდდებოდა და 20 წელზე მეტს ვერავინ ცოცხლობდა. მათ არ ძალუძდათ გრაფიანიას შველა. ეს უკვე გრიმების ფანტაზიის ნაყოფია.

— რაც შეეხება მოწამლულ ვაშლს, — განაგრძობს მეცნიერი, — გამოვარკვიე, რომ ბად-ვილდუნგენში მართლაც ცხოვრობდა ამ საქმის კარგი მცოდნე კაცი, მისი მწარე ვაშლის გემო საბრალო ბავშვებსაც უგემიათ, მის ბაღში რომ აღარ გადამძვრალიყვნენ, იმიტომ...

წლების მანძილზე ეს დეტალები თაობიდან თაობას გადაეცა, ზოგი რამ დაემატა, ზოგი — გამოაკლდა, ზოგმა მთხრობელმა უფრო გააკეთილშობილა და ჩამოაყალიბა ახალი ლიტერატურული სიუჟეტი, რომელსაც გვირგვინი ძმებმა გრიმებმა დაადგეს.

## სიკვდილი თვითონ გამოიხმო?..

გასული საუკუნის ბოლოს მოსკოვში ცხოვრობდა ვინმე კოკორევი, კაცი მომლხენი და ხუმარა, ფულისა და სავაჭროთა პატრონი. ერთხელ, შეზარხოშებულმა და ხუმრობის გუნებაზე მყოფმა, ახლობლებს დედამისის სახელით თავისი „გარდაცვალება", პანაშვიდისა და დაკრძალვის თარიღები შეატყობინა. „დაკრძალვაზე" სათანადოდ შემოსილი მოძღვარიც მობრძანდა. „სპექტაკლით", რეჟისორის გარდა, ყველა უკმაყოფილო დარჩა.

გავიდა ზუსტად ერთი წელი და... კოკორევი გარდაიცვალა, სწორედ იმ დღეს, რომელიც მან 12 თვის წინ მიუთითა სამგლოვიარო ბარათებში, წესიც სწორედ იმ მღვდელმა აუგო და სწორედ იმ სასაფლაოზე დაკრძალეს, ერთი წლის წინ თვითონ რომ განისაზღვრა სამუდამო განსასვენებლად...

# სხდომა გრძელდება. ბატონო მსაჯულებო...

შავი ლაქის, ფორთოხლისფერი ნატით განყობილი ფეხსაცმელები ძვირადღირებულმა უცხოურმა შავმა ფეხსაცმელმა შეცვალა, წელში გამოკვართული მწვანე პიჯაკი — თანამედროვე, ასევე ძვირფასმა შავი ფერისამ. ძველი ოსტაპ ბენდერიდან მხოლოდ ქუდი შემორჩა და ფრაზა: „სხდომა გრძელდება, ბატონო მსაჯულებო", რომელსაც ყოველ საღამოს წარმოთქვამს არჩილ გომიაშვილი მოსკოვში, „ოქროს ოსტაპში" შესვლისას.



25 წლის წინათ გადაღებული „12 სკამის" შემდეგ ბევრი როლი ითამაშა, მაგრამ ახსოვთ მხოლოდ ეს — დიდი კომბინატორის როლი.

*— ბატონო არჩილ, არ გწყინთ, რომ ბენდერის გარდა თქვენი სხვა როლები არ ახსოვთ?*

— რ გითხრათ... რაც კი ქვეყანაზე პრემია იყო, „კაზაკებში" მონაწილეობისათვის მივიღე, ვფიქრობ, სტალინიც კარგად ვითამაშე რვასერიიან სურათში „ომი," მაგრამ როგორც თქვენ ბრძანეთ, ოსტაპი ახსოვთ.

*— თქვენს კაბინეტში ოსტაპ ბენდერის ბევრი პატარა ქანდაკება გიდგათ. ქუდიც მუდამ თან გაქვთ. გარეგნული ატრიბუტების გარდა, გავხართ რამით დიდ კომბინატორს?*

— მხოლოდ იმით, რომ მასავით არტისტი ვარ, მუდამ ხალხის გარემოცვა მჭირდება. ეს კლუბი „ოქროს ოსტაპი" ჩემი თეატრია, დარბაზში ტაშით მეგებებიან. ჩემი გამოჩენა მთელი სპექტაკლია. ყოველ სტუმართან მივდივარ, ვესალმები, ვესაუბრები. აქ მე გონჩაროვიც ვარ, ლიუბიმოვიც და მარკ ზახაროვიც.

*— ამბობენ, თითქოს მრავალი წლის წინ კაზინოში დიდი ფული მოიგეთ.*

— კი, მაგრამ წინ ერთი ამბავი უძღოდა. ათიოდე წლის წინ დასავლეთ ბერლინში ვიყავი. იქ ერთი ბიზნესმენი გამაცნეს, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში — მაიქლ ფილდი, 75 წლისა იყო, მენაგვეობით დაეწყო და მულტიმილიონერი გახდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საცხოვრებლად ამერიკიდან გერმანიაში გადავიდა და იქ გამოსცა თავისი წიგნი „ამერიკა ტაქსისტის თვალით". სწორედ ამ წიგნმა დამაინტერესა. გადავწყვიტე, მაიქლზე ფილმი გადამეღო და ტაქსისტის როლი თავად შემესრულებინა.

მთელი წელი ბერლინში ამ პროექტზე ვმუშაობდი, სსრკ-დან რეჟისორიც ჩავიყვანე, ფილდი ფილმის პატრონი იქნებოდა. მთელ მსოფლიოში მისი გაყიდვის უფლებაც მას მივეცი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როგორც გვიან მითხრა, ამ პროექტის არ სჯეროდა და ამიტომაც კონტრაქტს არ მიდებდა. ერთი სიტყვით, ვალებში ჩავვარდი. სულ 100 მარკა მქონდა დარჩენილი. ერთ დღეს კაზინოს რომ ჩავუარე, ვიფიქრე, ჩემს გაჭირვებას ეს 100 მარკა რას უზამს, გინდ მქონია, გინდ არა. იქნებ, მოვიგო და ბედს ვეწიო-მეთქი. მოვიგე, წარმოიდგინეთ, 100 ათასი მარკა მოვიგე, სიხარულისგან გაგიჟებულმა კრუპიეს 10 ათასი მარკა ვაჩუქე... ის ფული ცოლ-შვილს მოვახმარე, მანქანა ვიყიდე. კლუბი სხვა სახსრებით გავხსენი და ამაშიც მაიქლ ფილდს მიუძღვის წვლილი. როცა ფილმთან დაკავშირებით ვერ შევთანხმდით, მაიქლმა მითხრა, არჩილ, ვიცი, რაც გქონდა, დახარჯე, მინდა დაგასაჩუქრო, ათ სათამაშო ოთახს გიყიდი, თითოში 5-6 ავტომატი იდგმებაო. მეორე დღეს, მართლაც, გამოიძახა ნოტარიუსი, იურისტი და საჩუქარი გამიფორმა. ისეთი შემოსავალი გამიჩნდა, რომ ყოველდღე შემეძლო ერთნახევარი „მერსედესის" ყიდვა. დასავლეთ ბერლინში გალერეა გავხსენი, ათასნაირი ბიზნესი წამოვიწყე. მერე ავტომატები გავყიდე და აქ ჩამოვედი. ისე რომ, ჰაერიდან არაფერი მოდის.

მოსკოვში სათამაშო ბიზნესმა მახინჯი ფორმა მიიღო, როგორც შეგატყობენ, რომ ხელი მოგდის, კრუპიეს ცვლიან. სხვა ქვეყნებში ასე არ არის...

უკვე 70 წლის ვარ და გამდიდრების სურვილი აღარ მაწვალებს. ჩემს კლუბში მოდიან ელჩები, დეპუტატები, მთავრობის წევრები. ეს ხალხი და კაზინოს სტუმრები ერთმანეთს ვერ შეეფერებიან. ჯერჯერობით, კაზინოს კულტურა არა გვაქვს, მოსკოვში, კაზინოში ვერც ცოლს წაიყვან, ვერც საყვარელს, ისეთი პირით იგინებიან, რომ შეგრცხვება. ამიტომაც აღარ მაქვს კაზინო.

*— სკამებთან დაკავშირებულ შოუს ისევ აწყობთ?*

— დიახ. თვეში ერთხელ იშლება ძვირფასი სანოვაგით დახუნძლული სუფრა, თამაშში 12 ადამიანი მონაწილეობს. მაშასადამე, მაგიდას 12 სკამი აქვს შემოწყობილი, ყოველ მათგანზე დევს ნომერი, მონაწილე ირჩევს ნომერს და ჯდება სკამზე. ერთ-ერთში 6 ათასი დოლარი დევს, ლატარეასავით არის, მაგრამ აუცილებლად ვიღაც იგებს. ოსტაპ ბენდერის როლის თამაშის 25 წლის იუბილეზე კი ერთ სკამში 1,5 კარატიანი ბრილიანტი ჩავდე, რომელიც ბერლინის აუქციონზე მქონდა ნაყიდი, მეორეში კი რიო-დე-ჟანეიროში გასამგზავრებელი საგზური.

ეს თამაში უფრო მომწონს, ვიდრე კაზინო.

# ცეროდენა ბუმბერაზები



პატარა, მცირე ზომის არსების სიცოცხლისუნარიანობაზე, თუნდაც, ის ფაქტი მეტყველებს, რომ ჩვენ, ადამიანები ვცოცხლობთ, მამონტებმა და დინოზავრებმა კი ჭირი მოგჭამათ.

ადამიანებიც, ყველა ერთი ყაიდისა და სიმაღლის ხომ არ ვიქნებით, ვართ ასეთნიც და ისეთნიც, მაღალნი და დაბალნი.

დაბლებო, სწორდით!

თავი მაღლა, გაიმართეთ! ნუ გგონიათ, რომ მარტო თქვენ გაქვთ პრობლემები, სათვალიანებმა, მსუქნებმა, წითურებმა, რაღა ქნან? მოკლედ, ყველგან შეიძლება დამკვიდრება და საკუთარი სიტყვის თქმა, თქვენ თითქმის ყველა საქმეში დიდი წინამორბედები — ცეროდენა ბუმბერაზები გყავდათ.

მოიშორეთ „ნაპოლეონის კომპლექსი", ნუ შეეცდებით სიმაღლის ნაკლებობა ძალაუფლების მოპოვებით შეივსოთ, რაც მეტად მოინდომებთ ამ გზით თვითდამკვიდრებას, მით უფრო შეგამჩნევენ და მოგერიდებიან. მოძებნეთ, მიაგენით გატაცების საგანს: ხელოვნება, სპორტი, იმღერეთ, ილექსეთ, ითამაშეთ, იცოცხლე, საყვარელ საქმეს რა გამოლევს...

ისე, მაინც, განა რა ისეთი დაბალი ხართ?

გაგაცნობთ გინესის წიგნიამბავნარიამბავნარის მონაცემებს:

ქალაქ სან-დომინგოში ცხოვრობს დედამიწაზე ყველაზე დაბალი მამაკაცი ნელსონ დე ლა როსა. მისი სიმაღლე 72 სმ-ია.

ყველაზე დაბლები ზაირელი პიგმეის ტომის მკვიდრნი არიან, მამაკაცები საშუალოდ 137 სმ-ს აღწევენ.

დაბლები ძალზე მოდაშია ევროპის კინოდარბაზებში. საქმე ის გახლავთ, რომ მაყურებელი, რომელიც კომფორტს არის მიჩვეული, წინასწარ რეკავს სათანადო ფირმაში და ითხოვს, სეანსის დროს ხელი რომ არ შეუშალოს რომელიმე გიგანტმა, მის წინ დაჯდეს ფირმის წარმომადგენელი — მისი სიმაღლე ყველას ხელს აძლევს — 150 სმ.

ცოტაც ვიფიქროთ...

**გამოცანა**

...ცხოვრობდა ერთი ქონდრისკაცი. ბინა მეოცე სართულზე ჰქონდა, მაგრამ ლიფტს იგი ყოველთვის მეათე სართულზე აჩერებდა და დარჩენილ სართულებს ფეხით აითვლიდა ხოლმე. რატომ?

# უჩვეულო ქორწინება

ჰიმალაელ შერპებს ასეთი ადათი აქვთ, — ძმებს შეიძლება ერთი ქალი ჰყავდეთ ცოლად, ოღონდ კი მიწის ნაკვეთი არ გაიყოს. თუ ოჯახში სამი ვაჟია, უმცროს-უფროსს ერთი საერთო ცოლი ჰყავთ, შუათანა კი მონასტერში მიდის. თუ ოთხნი არიან, წყვილად ირთავენ თითო ქალს, ანუ ოთხ ძმას — ორი ქალი.

ჰიმალაის მეორე ტომში, დოლპოში ერთი ცოლი მეგობრებსაც შეიძლება ჰყავდეთ.

სპიტებში შობადობა შეზღუდულია და შვილის ყოლის უფლება მხოლოდ უფროს ვაჟს ეძლევა. ბრაზილიასა და ახალ გვინეაში ახალგაზრდა ჯერ ხანშიშესულ ქალს ირთავს ცოლად, შემდეგ თანატოლს და ბოლოს — უმცროსს. ბირმაში მრავალცოლიანობაა გავრცელებული. თანაც, მამის სიკვდილის შემდეგ, უფროსი ვაჟი ვალდებულია, მამის ყველა ცოლი შეირთოს. (გამონაკლისი, კიდევ კარგი, დედამისია).

# ძილში გამოიზამთრებს ხოლმე



ლოუთერი ვერ იტანს სიცივეს და ნესტს, დეპრესიაში ვარდება ხოლმე. ამიტომ, ამდენი უსიამოვნებისგან თავის დასაღწევად დათვივით ძილში გამოიზამთრებს. ეს ჩვევა 60-იან წლებში, ერთი საშინელი ზამთრის შემდეგ გამოიმუშავა და შეეცადა, ეს პროცესი გაეხანგრძლივებინა; შესძლო კიდეც, მაგრამ ეს დროებითი თავშესაფარი მაინც მთავრდებოდა, — ჭამისა და სხვა ფიზიოლოგიური მოთხოვნები თავისას შვრებოდა. ფლოუთერმა თვითჰიპნოზს მიმართა და ვარჯიშით ყველა მოთხოვნა, პრაქტიკულად, გაუქრა. ამჟამად კვირაში ერთი ყლუპი წყალი ყოფნის. ნივთიერებათა ცვლა იმდენად შენელებული აქვს, რომ არც ჭამა სჭირდება, ბოდიში და, — არც მონელება.

ფლოუთერი მეგობრებთან ერთად ხვდება ხოლმე შობის დღესასწაულს და მერე აპრილამდე ძილს აფარებს თავს. აპრილში ახლობლები კიდევ ერთ დღესასწაულს ზეიმობენ — დუაითის გამოღვიძებას.

მოკლედ, დუაითი ლხინით იძინებს და ლხინით იღვიძებს.

# რუსებს კიდევ ერთი საამაყო წინაპარი შეემატათ

გასული საუკუნის მიწურულს ლონდონის გაზეთები აჭრელდა: — ლონდონში, ერთსა და იმავე კვარტალში, უცნობი სადისტი ერთი და იმავე ხერხით, ბასრი ქირურგიული სკალპელით სტაბილურად კლავდა და კლავდა... შემდეგ მას ჯეკი მფატრავი უწოდეს.

პოლიციამ, ვითომდა სავარაუდო მკვლელის ასობით ანონიმური წერილი მიიღო, უმრავლესობას „ჯეკი მფატრავი" აწერდა ხელს, გრაფოლოგიური ანალიზიც ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და გამომრიცხავი იყო, მაგრამ თანდათანობით, წლიდან წლამდე, ლონდონის პოლიციამ დაასკვნა, რომ მკვლელი უცხოელი იყო.

...და, აგერ, უკვე 1959 წელს გამოდის წიგნი „ჯეკი მფატრავის პიროვნება". ავტორმა, დონალდ მაკ-კორმიკმა შეისწავლა ყველა არსებული მასალა და ამოხსნა რებუსი — სადისტი რუსეთიდან იყო... გვარად კონოვალოვი, არც ის არის გამორიცხული, რომ მეორე გვარსაც — პედაჩენკოს ატარებდა, იგი მუშაობდა პოლიკლინიკაში, რომლის ძირითადი პაციენტები მეძავები იყვნენ.

1905 წელს, როგორც მაკ-კორმიკი წერს, რუსეთის ოხრანკის ბიულეტენს გაუცია კონოვალოვ-პედაჩენკოს პორტრეტული აღწერა, რომელიც ძალიან ემთხვევა ლონდონურ აღწერილობას.

„გმირი წინაპარი" უბრუნდება სამშობლოს?

# ჩერჩილი, სასმელი, დიპლომატია

ჩერჩილი დაბადებულია ლხინის დროს, დიახ, სწორედ წვეულებისას, რომელიც ჰერცოგ მალსოსიოს გაუმართავს საგვარეულო სასახლეში 1874 წლის 30 ნოემბერს. ალბათ, ამიტომ გაჰყვა სმის სიყვარული სიკვდილამდე.

ჩერჩილზე, თურმე, ამბობდნენ, სულ ჩქარობსო. სასმელს ყოველთვის დანიშნულ დროს ღებულობდა, სმის შუალედებში ცდილობდა, მოესწრო სახელმწიფოს, პარლამენტის, ოჯახის საქმეები და მრავალტომიანი თხზულებების დაწერაც, სიგარას გამუდმებით ეწეოდა.

ახლა ვნახოთ, როგორ მოიხიბლა იმ სასმელებით, რომლებსაც პირველად გაუსინჯა გემო სტალინის ბინაში, მოსკოვში, მეორე მსოფლიო ომის მძიმე წლებში. პატარა მაგიდას ორნი შემოსხდომიან: სტუმარი — ჩერჩილი და მასპინძელი — სტალინი. სტალინი თავად ხსნიდა ბოთლებს, უვსებდა ჭიქას პრემიერ-მინისტრს. საკმაოდ გულწრფელი და მხიარული საუბარიც გაუმართავთ ომზე, მომავალ მსოფლიოზე, ოჯახზე, და, რა თქმა უნდა, სასმელზედაც.



შუა ლხინში სტალინის ქალიშვილი სვეტლანა შემოსულა, მამა ქალიშვილს მოჰფერებია, სტუმრისთვის გაუცნია. ჩერჩილსაც თავისი ქალიშვილი მოჰგონებია, სვეტლანასთვის მიუმსგავსებია. ქალიშვილების სადღეგრძელოც შეუსვამთ... დასასრულს ჩერჩილს გაჰკვირვებია: მთელი ბატარეა იდგა დაცლილი ბოთლებისა, ძალზე კარგი დრო გავატარეთ, არც ასეთი კარგი და არც ამდენი სასმელი არ დამილევია, ვერც კი გავიგე თვითმფრინავში ასვლაო,— ზეპირადაც უთქვამს და მოგონებაშიც აღუნიშნავს.

# დედის გული

ბუენოს-აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოში 17 წლის ანტონია ნევასი იწვა. მისი მკურნალი ექიმის მისაღებში დედამისმა თავი მოიკლა.

...გოგონას თანდაყოლილი გულის მანკი ჰქონდა. მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, შველა მხოლოდ გადანერგვით შეიძლებოდა. დონორის მოლოდინში დღე დღეს მისდევდა, საქმეს ისიც ართულებდა, რომ ანტონიას შემთხვევაში დიდი იყო შეუთავსებლობის საშიშროება, ისე, რომ გადანერგილი გულითაც შეიძლება მხოლოდ რამდენიმე თვეს ეცოცხლა.

ამასობაში, ჯანმრთელობა ისე გაუუარესდა, რომ ახლობლები გააფრთხილეს, თუ უახლოეს დღეებში არ გამოჩნდება დონორი, ელოდეთ, ყველაზე უარესსო.

დედამ უკვე რამდენჯერმე შესთავაზა თავისი გული, მაგრამ პროფესიული ეთიკის ნორმების მიმდევარმა ექიმებმა უარი უთხრეს. მაშინ სასოწარკვეთილმა მარია ნევასი მივიდა შვილის მკურნალ ექიმთან მიღებაზე, ხელჩანთიდან რევოლვერი ამოიღო და ტყვია საფეთქელში იკრა. სიკვდილს წამიც არ დაუგვიანია. კაბის საყელოზე დედას ქინძისთავით ბარათი მიემაგრებინა, — ექიმს ემუდარებოდა, დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ ტრანსპლანტაციას.

ოპერაციამ 17 საათს გასტანა. ანტონია ერთი თვის შემდეგ გამოწერეს, დღეს მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ახლა მას დედის გული იცავს.

# რა თეძო-ბარკალი ჰქონია?!

— „რატომ გაქვს ამხელა ყურები?" — „იმიტომ, რომ მამაკაცის გული მოვინადირო", — ასე გიპასუხებთ აფრიკის მასაის ტომის მზეთუნახავი. მართლაც, ამ ლამაზმანების ყურები მგლისას კი არა, ყურპანტურა სპანიელისასაც გადააჭარბებს.

მასაის ტომის ქალები ქანდაკი ტანითა და უსასრულო ფეხებით გამოირჩევიან, მაგრამ მათი სიამაყე მაინც ყურებია, რაც უფრო გრძელია ბიბილო, მით ლამაზია ქალიშვილი. ამიტომ მომავალ საპატარძლოებს ყურებზე ბავშვობიდანვე დიდ სიმძიმეებს (კგ-მდეც კი) ჰკიდებენ და თუ 16 წლის ასაკში შესაბამისად არ ჩამოუგრძელდა იგი, ვაი საბრალოს, დარჩება გაუთხოვარი, მის ბუნგალოს არც ერთი სასიძო არ მიადგება...

ბუშმენთა ტომელი ქალების სხეულის საამაყო ნაწილი კი თეძობარკალია. თუ ევროპელი ქალის ერთი თეძოს შემოწერილობის იდეალური ვარიანტი 50 სმ-ია, ბუშმენის სილამაზის ეტალონი ერთმეტრიანი (მაინც) თეძოა.

სხეულის ამ თავისებური რელიეფით ისინი ცხოვრებამ უზრუნველყო. ეს ტომი სულ დევნას განიცდიდა და ქალი, ცდილობდა, რაც შეიძლება ცხიმის მეტი მარაგი დაეგროვებინა სხეულში. რაც ფართოა ქალის თეძო, მით მდიდარია იგი, ჯანმრთელი, მიმზიდველი და საოცნებოც.

# თავს თუ აჯობე, შენი მომრევი აღარავინაა!

*„შავი ბერეტები“ შეადგენენ სამხედრო პროფესიონალების განსაკუთრებულ კატეგორიას, რომელთაც „რეინჯერებს“ უწოდებენ და გადიან სადაზვერვო-დივერსიული მომზადების სპეციალურ კურსს ქ. ფორტ-ბენინგში (ჯორჯიის შტატი)“. — ჟურნალი „TRUFFENFAQSIS“.*

*ვიდეოფილმების მეშვეობით გარკვეული წარმოდგენა გვაქვს აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმებზე, ყმაწვილთა კერპებია რემბოსა თუ კომანდოს ტიპის სუპერმენები. ვინ არიან ისინი, რომელთათვისაც ცხოვრება ომია, ხოლო სისასტიკე თვითმიზანი კი არ არის, არამედ უმოკლესი გზა გადარჩენისაკენ? რა ვიცით მათ შესახებ? კომპეტენტურ ინფორმაციას მხოლოდ იმ ადამიანისაგან თუ შევიტყობთ, ვინც თვითონ გაიარა „რეინჯერთა“ კურსები. საქართველოს შეიარაღებული ძალების სადაზვერვო განყოფილების მეთაური ბ-ნი ნიკა ჯანჯღავა სწორედ ერთ-ერთი „იმათთაგანია“.*

**დოსიე:**

**ნიკა ჯანჯღავა, ქართველი. დაიბადა 1970 წლის 23 აპრილს. დაამთავრა თბილისის 64-ე საშ. სკოლა მედალზე, თსუ-ს ისტორიის ფაკულტეტი (მეორადი ფაკულტეტი — სამართალმცოდნეობა). სავალდებულო სამხედრო სამსახური გაიარა სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში. 1994 წ. აგვისტოში 16 ოქტომბერს კონკურსის წესით გაემგზავრა აშშ-ში, გაიარა სამეთაურო და საჰაერო-სადესანტო მომზადების სკოლა, რომლის დაგვირგვინებაც იყო „რეინჯერთა“ კურსები ქ. ფორტ-ბენინგში. 1996 წ. საქართველოს მშვიდობის დაცვის ოცეულთან ერთად იმყოფებოდა ნატო-ს სწავლებაზე პროგრამით — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“. უცოლოა.**

*საყვარელი ფერი — ხაკისფერი, საყვარელი წიგნი — რ. კიპლინგის „ჯარისკაცური მოთხრობები“ და მისი ყველა ნაწარმოები. საერთოდ არ ეწევა სიგარეტს, არ სვამს არანაირ ალკოჰოლურ სასმელს (ბავარიულ ლუდსაც კი). ხოლო რაც შეეხება საჭმელს, ნიკას გაეცინა და თქვა, — „იმის შემდეგ, რასაც ჩვენ ვჭამდით კურსებზე და სადაც 25კგ დავკარგე, ჩემთვის არ არსებობს პრობლემა, რა ვჭამო. ჩვენ გვასწავლიდნენ ექსტრემალურ პირობებში გადარჩენის ჩვევებს, თუ როგორ მოგვეპოვებინა სასმელი წყალი და საკვები, პრაქტიკულად, არაფრისაგან“.*

— როგორი იყო „რეინჯერთა“ კურსის ერთი ჩვეულებრივი დღე?

— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის დღე არ არსებობდა ისევე, როგორც არ არსებობდა ღამე. დღე-ღამეში გვეძინა მხოლოდ 15-20 წუთი და ამისაც მადლობელი ვიყავით ჩვენი ინსტრუქტორების, რომლებიც დედამიწის სხვადასხვა ცხელ წერტილებში ბრძოლაგამოვლილი ოფიცრები და სერჟანტები იყვნენ. მოთხოვნები ჩვენს მიმართ ძალზედ მკაცრი იყო, ვსწავლობდით დივერსიული ომის წარმართვის მეთოდებს თანამედროვე ომის ურთულეს პირობებში, სამედიცინო და რადიოსაქმეს, ვითვისებდით მოწინავე ქვეყნების ავტომატურ იარაღს. ყოველ ღამე, რამდენიმეწუთიანი ძილისას წამოგვყრიდნენ და მინდორში, პროჟექტორების შუქზე 4 სთ-ის განმავლობაში ვვარჯიშობდით ხელჩართულ ბრძოლაში. აგრეთვე, გვქონდა ყოველდღიური მარშ-ნახტომები მთაგორებში, ჯუნგლებში თუ ქვეწარმავლებით სავსე ჭაობებში 25-30 კმ-ზე, 35 კგ-იანი აღჭურვილობით და ყოველივე ეს მიმდინარეობდა უზარმაზარი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ. ამასთანავე, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელი იყო ჩვენს სიცოცხლეზე, განსაკუთრებით რთულ პირობებში მოქმედებისას თავს მუდამ დაგვტრიალებდნენ შვეულმფრენები. მათი მთავარი იდეოლოგია არის ამგვარი: „რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს წვრთნები, ჩვენ შენს



სიცოცხლეს უფრო ვაფასებთ (თუნდაც, წვრთნის ჩაშლის ფასად)“. მიუხედავად ამისა, 1995 წ. თებერვალში დაიღუპა 4 „რეინჯერი“, საკმაოდ ტრივიალურ ვითარებაში. შვეულმფრენმა დააგვიანა მათი გამოყვანა ჭაობებიდან საწვავის უქონლობის გამო. თითქოს წარმოუდგენელია ამერიკისთვის, არა? მაგრამ ასეც ხდებოდა.

— რამდენად შეესაბამება ჭეშმარიტებას ის სტერეოტიპი, რაც ჩვენშია შექმნილი აშშ-ის სპეცდანიშნულების რაზმის წევრებზე?

— მეტ-ნაკლებად მქონდა ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნების სპეცნაწილებთან, შემიძლია ვთქვა, რომ ის სტერეოტიპი, რაც ჩვენშია ჩამოყალიბებული „ბოევიკების“ ყურების შედეგად, არ შეესაბამება სინამდვილეს, ფიზიკური ძალის კულტი სპეცრაზმებში არ არსებობს, მთავარია გქონდეს ძლიერი სული, ნებისყოფა, გქონდეს ჭკუა. ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ „რეინჯერისათვის“ სიტყვა „არა“, „არ შემიძლია“ — არ არსებობს. შენი გონება უფრო ძლიერია, ვიდრე შენი სხეული, მაშ, გააკეთე ისე, რომ ტანმა მოუსმინოს ჭკუას, ხანგრძლივი მარშ-ნახტომისას 25-ე კმ-ზე სხეული გეუბნება, რომ მას არ შეუძლია, ის გამოიფიტა, მაგრამ ტვინი ჩაგძახის, — უნდა გააკეთოო. სპეცრაზმებში ცნობილი გამონათქვამია: — „სჯობს გათხარო 10 მ სანგარი, ვიდრე 1 მ საფლავი“.

— ნიკა, როგორც თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი, რას იტყოდი ქართული არმიის შესახებ?

— არის ორი ტიპის არმია, ერთი ემზადება ომისათვის, ბრძოლისათვის და მეორე — აჩვენებს სხვას, რომ ის ომისათვის ემზადება, ასეთი გახლდათ სსრკ-ის, იგივე რუსული არმია, რომელიც, ფაქტობრივად, ბრძოლისუუნარო იყო, რაც დამტკიცდა, თუნდაც, ჩეჩნეთში. ყველა ქვეყანა, რომელმაც საბჭოთა სამხედრო მომზადება გაიარა, დამარცხდა სხვადასხვა სამხედრო კონფლიქტში, ვინაიდან საბჭოთა სისტემა თვლიდა, რომ ადამიანი არის ჭანჭიკი, ადამიანი არარაობაა; ევროპული სკოლა კი ამბობს, რომ ადამიანია ყველაფერი. ტოტალიტარულმა სახელმწიფომ შექმნა ტოტალიტარული არმია, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოქმედებდა დევიზით: „Чем больше в армии дубов, тем крепче наша оборона“. ვიცი, რომ ჩვენ უნდა ავიღოთ საუკეთესო დასავლური სისტემიდან, აღმოსავლურიდან,



მაგრამ მიბაძვა მხოლოდ ერთი მიმართულებით, ჩვენთვის დამღუპველია. საქართველოს არმია, ქართული ჯარი, ჯერჯერობით, ყალიბდება და თუ გვსურს შევქმნათ დემოკრატიული სახელმწიფო, უნდა გვყავდეს არმია, რომელიც ეფუძნება დემოკრატიულ პრინციპებს. ეს გამოიხატება, პირველ რიგში, ჩვეულებრივი ჯარისკაცისადმი პატივისცემაში, ვინაიდან ყოველი ჯარისკაცი პიროვნებაა და არა უსულო მანქანა. მსურს ვთქვა ზოგი ჩვენი აპოლოგეტი სამხედროს გასაგონად, რომლებიც ამტკიცებენ, რომ, პირველ რიგში, საჭიროა სამწყობრო მომზადება და შემდეგ ყველაფერი დანარჩენი. არა! ჩვენ ჯერ გვჭირდება საბრძოლო მომზადება, რომლის ერთ-ერთი ნაწილია სამწყობრო მომზადება. ის ჯარი ვერ იქნება ბრძოლისუნარიანი, სადაც 6 თვის განმავლობაში ჯარისკაცი 5 ტყვიას ისვრის. ამერიკელი ჯარისკაცი 1 თვეში 1500 გასროლას აკეთებს. ჯარს არ ასწავლიან, როგორ გაანადგუროს მოწინააღმდეგე და ამავე დროს, ხელფასსაც უხდიან, ან ძალიან ბევრს აძლევენ, ან არაფერს. ჩვენი ამოცანაა, დავიცვათ საქართველო, სამწუხაროდ, არაა ჯერ გამოგონილი იარაღი, რომელიც არ კლავს, სანამ ჩვენს ხელშია იარაღი, რომელიც ანადგურებს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ მისი გამოყენება.

— რას წარმოადგენს საქართველოს სპეცდანიშნულების ნაწილები, რა ფუნქცია ეკისრება მათ?

— სპეცდანიშნულების შენაერთები, დაზვერვის შენაერთები, ჯერჯერობით, მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია. შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვყავს ხალხი, რომელთაც ნებისმიერი საბრძოლო ოპერაციის უმაღლეს დონეზე შესრულება შეუძლია, მაგრამ, საუბედუროდ, ასეთები ერთეულებია. ჩვენ ვცდილობთ შენაერთის შექმნას, მაგრამ გაჭირვებით ვახერხებთ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო.

— თქვენს ნაწილებში სამსახურისას ადამიანი, პრაქტიკულად, სულ სხვა პიროვნებად ყალიბდება, ძლიერ პიროვნებად. დემობილიზებული ჯარისკაცი, ანუ „SHORT“, როგორც აშშ-ში უწოდებენ, სდებს თუ არა რაიმე პირობას, რომ მის მიერ შეძენილ ცოდნას არ გამოიყენებს ბოროტი განზრახვით?

— სამწუხაროდ, ეს პროცედურა ჯერ არ არის შემუშავებული, მაგრამ მომავალში, როდესაც შევქმნით ისეთ შენაერთებს, რომელთაც ექნებათ რეალური საბრძოლო ამოცანები, ეს პრობლემა აუცილებლად იჩენს თავს, ჯერჯერობით, საქართველოში ამის პრეცედენტი არ არსებობს. აშშ-ში, როდესაც პიროვნება ხდება სპეცრაზმის წევრი, მისი პირადი საქმე ეგზავნება გფბ-ს, ცსს-ს და აღრიცხვაზე იმყოფება. თუ რაღაც ცუდი ჩაიდინა, მას აუცილებლად გამოთვლიან. მაგალითად, 1995 წელს მოხდა აფეთქება ოკლაჰომაში და აღმოჩნდა, რომ ტერორისტს, რომელმაც შეიწირა 200 ადამიანის სიცოცხლე, დამთავრებული ჰქონდა იგივე კურსები, რაც მე, ანუ იყო „რეინჯერი“.

— ნიკა, შენ 18 თვე გაატარე აშშ-ში, რა მიგაჩნია ამერიკელი ჯარისკაცის, ან უბრალო ამერიკელის დამახასიათებელ თვისებად?

— პატრიოტიზმი, პატრიოტიზმი და პატრიოტიზმი. ამერიკელი არის დიდი რანგის პატრიოტი, ის ყველაფერს გააკეთებს თავისი დიადი სამშობლოსათვის. როდესაც ჩვენ იშვიათად, მაგრამ მაინც გვქონდა დასვენების ბედნიერი წუთები, ისინი მღეროდნენ ჩრდილოურ და სამხრეთულ ომისდროინდელ სიმღერებს, იხსენებდნენ ამერიკის ისტორიას და ამაყობდნენ, რომ ამერიკელები არიან. ჩვენც, მარშ-ნახტომებისას, აუცილებლად ვმღეროდით, თან ფსიქოლოგიური დატვირთვის მქონე კაციჭამია ტექსტებს და არა რესპუბლიკელთა თუ დემოკრატთა დიადი პარტიის ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე, ამაზე არ მღერიან, ამაზე ფიქრობენ და მათ ეს აქვთ ღრმად გულში. სამშობლოს სიყვარულს აფიშირება და გულში მჯიღის ბაგუნი არ სჭირდება, მას საქმით უნდა დამტკიცება.

— შენ იყავი ერთ-ერთი რიგითი მონაწილე აფხაზეთის ომისა; ომისა, რომელიც ყოველი ქართველის სულს ღია ჭრილობად აჩნია...

— ახლა ამბობენ, რომ აი, ჩვენ წავაგეთ, ვმოროდიორობდით, ვკლავდით ერთმანეთს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ გვყავდა მილიციური ტიპის ჯარი, ეს მოხალისეების ჯარი იყო, მასა იყო და არა შენაერთები. ნებისმიერ სახალხო ამბოხებასთან ბრძოლა კი ისევე რთულია, როგორც ბულიონის ჭამა ჩანგლით. ბოლო ფილმი ვნახე ხაინდრავასი, — „ოცნებათა სასაფლაო“, ყველამ უნდა ნახოს ეს ფილმი, იგი პირველი ობიექტური ნაწარმოებია აფხაზეთის ომზე, სადაც ნაჩვენებია არა მარტო ჩვენი, არამედ იმათი ტრაგედიაც, ნაჩვენებია, რომ ორ ადამიანს შორის შუღლს, რაც არ უნდა დიდი სიტყვებით იყოს გამართლებული იდეოლოგია, მაინც ცოდვის მეტი არაფერი მოაქვს. ვისაც უნდოდა ნამდვილად ომი, ისინი განზე დარჩნენ, ვისაც არ უნდოდა, ისინი ჰკლავდნენ ერთმანეთს. სისულელე... ბევრი სისულელე ჩავიდინეთ, რომელთა გამოსწორება გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს.

— რა აზრისა ხართ ჩვენ ჯარში ასე გავრცელებულ დეზერტირობის ფაქტზე, რომელიც შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლევა.

— კომენტარიც ზედმეტია! ჯარისკაცები გარბიან, რადგან ეშინიათ, რომ არა გვაქვს იდეალური პირობები. მე ყველაზე მეტად მძულს ჩემი თავი მაშინ, როდესაც ჩემს ფორმას შიშით ან სიძულვილით უყურებენ, და ეს იმათი „დამსახურებაა“, რომლებიც სამხედრო ფორმას პირადი ამბიციებისთვის იყენებენ. მსურს ვუთხრა წვევამდელებს: ბიჭებო, ჯარი — საბავშვო ბალი არ არის, არც მარტო ალლუმებზე გასვლა, ეს არის ახალი ხალხის გაცნობა, ტექნიკის, იარაღის გაცნობა, რაც ყოველ ვაჟკაცს უნდა შეეძლოს, ეს არის ცხოვრების დიდი სკოლა, სადაც შენს თავს შეიცნობ და დააფასებ, რასაც შინ ჯდომით ვერ გაიგებ. შენში უნდა იყოს რისკისადმი მზადყოფნის იმპულსი, უნდა გამოსცადო თავი ბევრ რამეში. ქართულ არმიას სჭირდება განვითარებული პიროვნებები, ის ხალხი, ვინც წინ წასწევს საქმეს, ჩვენ გვჭირდებით თქვენ.

— სპორტის რომელ სახეობას ანიჭებთ უპირატესობას?

— ნებისმიერს, რომელიც ჩემთვის საჭიროა, როგორც ჯარისკაცისთვის და ხელს უწყობს საერთო ფიზიკურ განვითარებას, — სირბილი, ცურვა, ფეხბურთი, სამთო მომზადება.

— საბრძოლო ხელოვნებიდან?

— კარატე, აღმოსავლური ორთაბრძოლები კარგია, მაგრამ რითი ჩამოუვარდება მას ჩვენი ქართული ჭიდაობა, რომლის პოპულარიზაცია და ჩვენს ახალგაზრდობაში დანერგვა ძალზე კარგი და საშური საქმეა. ამასთანავე, მე მაქვს ინფორმაცია ქართული საბრძოლო ხელოვნების „ხრიდოლის“ შესახებ და ვაპირებ გავეცნო მას. რა თქმა უნდა, კარატე კარგია, მაგრამ 20-ოდე კმ-ის გავლის შემდეგ, მოწინააღმდეგეს ხელჩართულ ბრძოლას ვერ გავუმართავ, მე ამისათვის ავტომატი მაქვს. არ უნდა მივიყვანო თავი ხელჩართულ ბრძოლამდე, მაგრამ თუ ეს გარდაუვალია, უნდა ვფლობდე ხელჩართული ბრძოლის ხელოვნებას, რომ მოწინააღმდეგე გავანადგურო. „რეინჯერის“ ერთ-ერთი კანონია — „თუ იჩხუბე — უნდა მოკლა, ან — არ იჩხუბო“.

— რადგან „რეინჯერები“ ახსენე, ხომ ვერ გაიხსენებ რომელიმე კურიოზს კურსებზე ყოფნისას?

— მთაში ვიყავით. სერჟანტი მოვიდა და გვკითხა, ვინ არის უცხოელიო. მხოლოდ მე ვიყავი. დღის სამი საათი იყო. მკითხა, სადაური ხართო. ჯერ რუსი ვეგონე, როგორც იქნა, გავაგებინე, რომ საქართველოდან, ჯორჯიიდან ვარ. ძალიან გაოცდა, — ნუთუ, არსებობს სხვა ჯორჯიაო. მეუბნება, იმღერე შენი ქვეყნის ჰიმნიო. ბატალიონს გავაწყობ და ისე-მეთქი. გავაწყვე ბატალიონი, მივეცი ბრძანება — „სმენა!“ და რადგან არავითარი სურვილი არ მქონდა, ვილაც გადამთიელი სერჟანტის ხუშტურის გამო მემღერა საქართველოს ჰიმნი, ჩემი მეტად არასასიამოვნო ხმით ბოლომდე ვიმღერე სსრკ-ის ჰიმნი. 5 წუთის განმავლობაში მთელი ბატალიონი სმენაზე იდგა, ისე აღფრთოვანდნენ, ტექსტის ჩაწერაც მთხოვეს ე. წ. ქართული ჰიმნისა. როდესაც ბატალიონის მეთაურს ვუამბე, კინაღამ მოკვდა სიცილით, ეს ხომ წარმოუდგენელია, „რეინჯერთა“ კორპუსის არსებობის მანძილზე, ვინმეს ემღერა სსრკ-ის ჰიმნი „რეინჯერთა“ ბატალიონის შუაგულშიო.

...ვარ ჩასაფრებული ჯუნგლებში. ღამეა. უცებ მესმის ქართული ლაპარაკი, არ ვიცი, რა ვიფიქრო, ეს, რა თქმა უნდა, უძილობის, გადაღლის ბრალი იყო, მაგრამ მესმის ნამდვილი ქართული საუბარი...

— ხომ ვერ გაიხსენებ რაზე საუბრობდნენ?...

— მგონი, მწვადებსა თუ ფეხბურთზე (იცინის), მივიპარე ახლოს და ვხედავ, ორი ზანგი „რეინჯერი“ ჭუკჭუკებს.

— ქართულ არმიაში ყოფნისას რაიმე კურიოზს ხომ არ მოიგონებ?

— ქართული ჯარის ცხოვრება თვითონ არის დიდი კურიოზი, რადგან ის აღმშენებლობით პროცესშია და ძალიან ბევრი რამ ხდება ისეთი, რომ კარგ კომედიას გადაიღებდი, მაგრამ ჩვენს სინამდვილეში ეს უფრო ტრაგიკომედია იქნებოდა.

— შენი იდეალი?

— იდეალი ძალიან ტევადი სიტყვაა. იმ სერჟანტებს და ოფიცრებს, რომლებიც მე მასწავლიდნენ, ესმოდათ თავიანთი ამოცანა, იცოდნენ, რომ ბევრი რამ არ ვიცოდით. კი არ ცდილობდნენ, დავეჯაბნეთ თავიანთი ცოდნით, არამედ ესწავლებინათ. გვეუბნებოდნენ: ხვალ ერთად წავალთ ბრძოლაში, შენ უნდა იცოდე, რაც მე ვიციო.

ნამდვილი ვაჟკაცი არის კაცი, რომელიც პასუხისმგებელია თავის ნებისმიერ სიტყვაზე, მოქმედებაზე. პატივს ვცემ იმ ადამიანებს, რომლებმაც ზედმიწევნით იციან თავიანთი საქმე, რომლებიც სიკეთეს თავის გამოსაჩენად არ აკეთებენ. რასაც აკეთებს ჯარისკაცი ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ ჩანს, მაგრამ შემდეგ ბრძოლაში, რომელიც ხშირად რამდენიმე წამს გრძელდება, მან ეს დაგროვილი ცოდნა უნდა გამოიყენოს მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

— რას ნიშნავს შენთვის „რეინჯერობა“?

— „რეინჯერობა“ მთელი ცხოვრებაა. ვერასოდეს გახდები „რეინჯერი“, თუ არ გიზის სულში მარცვალი იმისა, დაუმტ-



კიცო შენს თავს, რომ რაღაც შეგიძლია, და არა ის, რომ შენ გინდა აჯობო ვიღაცას. თავს თუ აჯობე, შენი მომრევი არ არსებობს.

— რას უსურვებდი საქართველოს ახალგაზრდობას?

— ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი, რასაც ფიქრობს ნიკა ჯანჯღავა, ჩვეულებრივი ქართველი კაცი და არა თავდაცვის სამინისტროს ოფიცერი. ძალიან კარგი თაობა მოდის, მაგრამ თუ მშვიდობა გვინდა, უნდა ვემზადოთ ომისთვის, უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს 1/3 დაკარგულია, არ უნდა გვეგონოს, რომ ვიღაც სხვა მოვა და გააკეთებს ჩვენს საქმეს, ასე ფონს ვერ გავალთ. მინდა ვთხოვო ჩვენს ახალგაზრდებს, ავიდნენ ძმათა სასაფლაოზე, საბურთალოზე, და შეხედონ ბიჭების სურათებს, იქ წვანან 19-24 წლის ბიჭები, მათაც სურდათ სიყვარული, ლხინი, ყველაფერი ის, რასაც სიცოცხლე ჰქვია, მაგრამ წავიდნენ ომში და ვერ დაბრუნდნენ, ისინი გვეძახიან. ეს ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელია. განკითხვის დღე მოვა და ღმერთი, როგორც მშობელი მამა, ბევრ რამეს გვაპატიებს, ბევრ რამეს, ყველაფერს არა.

*ზურაბ ფაჩულია*



## თარაზულად:

3



5



10



(სახელი)

11



(სახელი)

12



13



14



15



(სახელი)

18



(სახელი)

21 ?



(სახელი)

23



(სახელი)

25



(თოფ-მოდელის გვარი)

26



27



28



## შვეულად:

1






2



4



(სახელი)

6



(სახელი)

7



8

ტელესერიალ "ველურ ვარდში" მთავარი როლის შემსრულებელი

9



(თოფ-მოდელის გვარი)

16

მსახიობ მაგდაულის სახელი

17



19



20



(სახელი)

22



24



*კროსვორდი შეადგინა* ***რამაზ ალანიამ*** *დააკაბადონა* ***პაატა მამფორიამ***

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად**: 3. დრიბლინგი; 5. ტრამპლინი; 8. ივანიშევიჩი; 9. ფრეზა; 11. ლაოსი; 12. ლისტი; 14. კრეტინი; 15. ბირჰოფი; 18. იმამი; 20. ვაზნა; 23. ორგია; 24. კვინტილიონი; 25. ბრაუნინგი; 26. „ჰაინეკენი“.

**შვეულად**: 1. არბიტრი; 2. ინდექსი; 4. ნიავი; 6. არიგო; 7. იშიასი; 10. არტერია; 11. ლივორნო; 12. ლანჩი; 13. ირისი; 16. მანტი· 17. ყარყარა; 19. ·დი აფანი; 21. რაიონ 22. აპორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოეხვიეთ ერთმანეთს



ოჯახურ ურთიერთობათა სფეროს ცნობილი სპეციალისტი, ვირჯინია სატირი თვლის, რომ ყველა ჩვენგანს დღეში სულ ცოტა 2-დან 4-მდე ჩახვევა-ჩახუტება სჭირდება. ეს სულაც არ ხდება ნეტარებისთვის, არც აღგზნებისთვის და არც აღზრდის უკომპლექსობა; ეს მნიშვნელოვანი ადამიანური მოთხოვნილებაა. ლოს-ანჯელესელი არატრადიციული მედიცინის სპეციალისტები დარწმუნებული არიან: უკეთური აზრი და ფიქრი ადამიანის ორგანიზმისათვის ტოქსიკურია, ბრაზი და მრისხანება ღუპავს პიროვნებას. ჰოდა, თუკი ვინმე გეხვევა და გეალერსება, საალერსო სიტყვებს ჩაგჩურჩულებს და გკოცნის, ყველაფრისაგან დაგიცავს, როგორ გაბრაზდები, როგორ გაიკარებ ბოღმასა და შურს? ამიტომ გეირჩევენ მეცნიერ-მკვლევარები — დღეში სულ ცოტა ოთხჯერ მაინც მოეხვიოთ და მოეფეროთ ახლობლებს. გაიხანგრძლივეთ და სხვებსაც აჩუქეთ ჯანსაღი სიცოცხლე.

# მთავარია, ვიცოდეთ, რა ვჭამოთ



ჩვენი კვება ტვინის შრომისუნარიანობაზე მოქმედებს. გთავაზობთ მენიუს, რის მეშვეობითაც შეძლებთ გაიუმჯობესოთ მეხსიერება. მაგალითად: სტაფილო გაგიადვილებთ საჭირო ტექსტის დაზეპირებას, რადგან იგი ტვინში ნივთიერებათა ინტენსიურ ცვლას იწვევს. ასე რომ, დაზეპირების წინ, უმჯობესია, ერთი თეფში გახეხილი ზეთისხილიანი სტაფილო მიირთვათ.

ანანასი — მუსიკოსებისა და თეატრალური ვარსკვლავების უსაყვარლესი ხილია, ვისაც დიდი მოცულობის ტექსტის დამახსოვრება სჭირდება. მას ვიტამინ „C“-ს დიდი რაოდენობით მიღება მოუწევს. ამასთან ანანასი ნაკლებკალორიულია; ამიტომ დღეში ერთი ჭიქა ანანასის წვენი ძალიან მოგიხდებათ. ამგვარ დანიშნულებისაა ავოკადო — ენერგიის წყარო. დღეში ამ ნაყოფის ნახევარიც კი საკმარისია ტონუსის ასამაღლებლად.

ყურადღების კონცენტრაციისათვის ძალზე სასარგებლოა, თუ ასიოდე გრამ კიბორჩხალას მიირთმევთ. ეს დელიკატესი ორგანიზმს ცხიმოვანი მჟავით კვებავს და ყურადღების შესუსტების უფლებას არ მოგცემთ. თუ გონებრივ და ფსიქიკურ გადაძაბვას უჩივით, კიბორჩხალას ხახვი მიაყოლეთ. იგი სისხლს ათხელებს და ტვინის ჟანგბადით ამარაგებს. საკმარისია, თუნდაც, ნახევარი თავი ხახვის მიღება. კაკალი (ნიგოზი) ნერვულ სისტემას ამაგრებს, თავის ტვინის მოქმედების სტიმულირებას ახდენს. ლეღვი ქიმიური შემადგენლობით ასპირინს ჰგავს, ათხელებს სისხლს, თავის ტვინს ჟანგბადით კვებავს. ეს უკანასკნელი საუკეთესო საკვებია ჟურნალისტებისა და შემოქმედებითი პროფესიის მქონე ადამიანებისთვის.

ძირა — გენიალურ იდეებს ბადებს. მასში შემავალი ეთერზეთები ნერვულ სისტემას აღაგზნებს. შემოქმედებითი აქტიურობისათვის ყოველდღიურად ძირას ჩაი დალიეთ. გამოცდის წინ ნებისმიერ შიშს, დაძაბულობას მოგიხსნით ერთი თეფში კომბოსტოს სალათი. ლიმონი აღქმას გაგიადვილებთ. უცხო ენების ათვისებაში კი ერთი ჭიქა ლიმონის წვენი დაგეხმარებათ.

არომატული ნივთიერებანი „ბედნიერების ჰორმონების“ — ენდორფინების გამოყოფას უწყობენ ხელს. 150 გრ. ხენდრო — უარყოფით ემოციებს აგიორთქლებს. ბანანში შემავალი სეროტონინის დახმარებით კი ტვინი გაგაგებინებს — ბედნიერი ხარო.

# რევოლუცია გულის ქირურგიაში

დრეზდენის გულისა და სისხლძარღვთა ცენტრში, სულ ცოტა ხნის წინათ, პირველად ევროპაში, გაკეთდა გულის ოპერაცია ენდოსკოპის საშუალებით ქირურგ რაინჰარდ შენბურგერის ხელმძღვანელობით. ოპერაცია გაუკეთდათ 39 და 69 წლის მამაკაცებს, რომლებიც თავს კარგად გრძნობენ და უცხო სხეულის „სხეულში შეჭრას“ შესანიშნავად გაუმკლავდნენ.

აქამდე გულის ქირურგია გულისხმობდა ავადმყოფის გულის უჯრედის მთლიანად გახსნას, ახალი ტექნიკის გამოყენების შემთხვევაში კი, საკმარისია სულ პატარა ნასერი, რომ არტერიიდან მკერდის ძვალს მიკროსკოპული კამერა მიუერთდეს, რომლითაც ექიმი სპეციალურ აპარატს მართავს პაციენტის გულში.

ეს „შეჭრის“ მეთოდი ამერიკაში სტენფორდ-უნივერსიტეტის სპეციალისტებმა დანერგეს და სრულყვეს.

ამ მეთოდით გაკეთებული ოპერაცია ტრადიციულ „ღია“ ქირურგიასთან შედარებით, ავადმყოფს უფრო ადვილად გადააქვს, ისე, რომ იგი ოპერაციიდან რამდენიმე საათის შემდეგ ინტენსიურ მკურნალობას აღარ საჭიროებს.

# შიდსი — XX საუკუნის უკურნებელი სენი

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციების ექსპერტები ვარაუდობენ, რომ დღეს საქართველოში 500-600 AIDSინფიცირებული და შიდსით დაავადებულია.

ამ ავადმყოფობასთან ბრძოლაში მედიცინა უძლურია, ხომ არ არის მკურნალობის რაიმე ახალი მეთოდი საშიში სენის თავიდან ასაცილებლად?

ჯერჯერობით, სიახლე არაა, რადიკალურად განკურნების საშუალება არ გვაქვს. სიცოცხლის გასახანგრძლივებლად ვიყენებთ უახლეს მედიკამენტებს. ამერიკაში გამოიგონეს ახალი მედიკამენტი, მაგრამ მას ჯერ ჩვენამდე არ მოუღწევია.

შიდსით დაავადებულებს, რომლებიც აღრიცხვაზე არიან, ვადებინებთ ხელწერილს, რომ ყველა სამკურნალო დაწესებულებას განუცხადონ თავიანთი დაავადების შესახებ. დიდი პრობლემა ექმნებათ მათ სტომატოლოგებთან, რადგან ისინი უარს ამბობენ შიდსით დაავადებულთა მკურნალობაზე, ამიტომ უნდა გვქონდეს საკუთარი სტომატოლოგიური კაბინეტი. საბედნიეროდ, ჯერ ქირურგი არ დაგვჭირვებია, თორემ სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით.

# სამურაის საიდუმლო

შუასაუკუნეებში, სამურაები თევზსა და ბრინჯთან ერთად მიირთმევდნენ ფაფასავით გახეხილ ბოლოკს ან თალგამს, რადგან უძველესი დროიდან თვლიდნენ, რომ ბოლოკისნაირები მამაკაცების სექსუალურობას აძლიერებსო. სამურაები ყოვლისშემძლეობას არა მარტო ბრძოლის ველზე ამტკიცებდნენ, არამედ „წითელი ფარნების“ უბნებშიც, რომელიც ფეოდალური იაპონიის ქალაქების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. თანამედროვე იაპონელებმა უძველეს რეცეპტებში კორექტივი შეიტანეს. იმავე მიზნით საუკეთესო საშუალებაა ჭარხალი, რომელსაც შუასაუკუნეების იაპონია არ იცნობდა. ჭარხალი ბუნებრივი კოქტეილია, რომელშიც შედის სხვადასხვა ვიტამინი, მიკროელემენტები, თუთია. იგი აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების მუშაობას, ჯანსაღ კუჭნაწლავს კი ვერანაირი დაავადება ვერ ერევა.

# ქარვა — მკურნალი

ქარვა უძველესი დროიდან იპყრობდა ადამიანის ყურადღებას სილამაზით, გამაჯანსაღებელი ეფექტებით.

ქარვას მაგიურ შესაძლებლობებსაც მიაწერდნენ. იყენებდნენ ბალზამირებისა და მუმიფიკაციის დროს. ქარვის თილისმა და ამულეტი ადამიანს ავადმყოფობისა და ბოროტი სულებისგან იცავდა. ლიტვურად ქარვას „ძინტარსი“ — „მზის ქვა“ ჰქვია. ქარვის სამკურნალო თვისებების შესახებ უძველეს დროშიც იცოდნენ. დაუმუშავებელი ქარვის მძივი ამსუბუქებს ფარისებრი ჯირკვლით დაავადებულ ადამიანთა მდგომარეობას, აწესრიგებს არტერიულ წნევას. სამკურნალო თვისებებით ყველაზე ძვირფასი ყოფილა ბალტიისპირული ქვა. იგი გარშემო თავისებურ ტალღებით მიკროკლიმატს წარმოშობს. თურმე, ქარვის კაბინეტებში იოლად იხსნება სტრესული მდგომარეობა, აღსდგება ენერგია.

# ვ ი ლ ო ც ო თ ! ! !

როდესაც მედიცინა უძლურია, მხოლოდ ლოცვა გვიშველის. ამ ჭეშმარიტებას მტკიცება არ სჭირდება. ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰერბერტ ბენსონმა ეს ჭეშმარიტება მეცნიერულად დაასაბუთა: სისტემატური ლოცვები სუნთქვის სიხშირეს აძვეითებს და თავის ტვინის ტალღისებურ მოძრაობას არეგულირებს. ამ დროს მიმდინარეობს ორგანოების თვითგანკურნების პროცესი. პროფესორ ბენსონის დაკვირვების შედეგად, მორწმუნეთა 36% უფრო იშვიათად დადის ექიმთან, ვიდრე დანარჩენები.

# მშობიარენი ახლებურად მოილოგინებენ...

აკუშერ-გინეკოლოგებთან დაახლოებულ წრეებში გაჟონა ინფორმაციამ...

სპეციალისტები ამბობენ, რომ ახლახან ექიმების ჯგუფმა შეიმუშავა, მათი აზრით, ყველაზე უსაფრთხო ხერხი. მრავალგზისი და ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ, თურმე, ერთ გინეკოლოგ ექიმ-ქალს, (რა თქმა უნდა, — ფეხმძიმეს) საკუთარ თავზე ჩაუტარებია ექსპერიმენტი და ყველა ერთად მისულა ამ დასკვნამდე — მშობიარობისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობა უწონადობაა: ეს იქნება ბევრი პრობლემისა და მშობიარობისეული ტრავმისგან დაცვის საშუალება.

ახლა გაჩნდა ამ მეთოდის დანერგვის საწინააღმდეგო აზრიც — უწონადობა დედამიწისთვის ჩვეულ გარემოში არ არსებობს, იგი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ბაროკამერებში, მაგრამ ეს ხომ უდიდეს თანხებს მოითხოვს? ამისდა მიუხედავად, იმ ინფორმაციამაც გაჟონა, რომ ზოგი „ახალი რუსის“ მშვენიერმა მეორე ნახევარმა უკვე იმშობიარა ბაროკამერაში და ფრიად კმაყოფილიც დარჩა.

მალე მშობიარობის ახალი სტილი ნაკადად წარმოდინდება და ბაროკამერები ყველა სამშობიარო სახლში დაიდგმება.

# დედებო, მარცხენა ხელზე აძინებთ შვილს?



ჩვეულებრივ, დედა ბავშვს მარცხენა ხელზე აძინებს. აქვს ამ ფაქტს რაიმე სამეცნიერო ახსნა? ლონდონის საავადმყოფოს „ჰამერსმიტის“ მეცნიერებმა ამას ყურადღება მიაქციეს. ექიმ გარი სირაცკის მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად, 78% და 83% ცაცია დედებისა, ამჯობინებენ ბავშვის დაძინებას მარცხენა ხელზე. ბავშვს ესმის დედის ხმა და მარცხენა ყურიდან ხმის სიგნალები გადაეცემა ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროს, რომელიც ადამიანის ემოციებს, ინტონაციებს და მელოდიებს აღიქვამს.

1973 წელს ამერიკელმა ფიზიოლოგმა ლი სალკმა გამოთქვა შემდეგი მოსაზრება: უჭირავს რა ბავშვი მარცხენა მხარეს, დედა გაუცნობიერებლად ცდილობს, ბავშვმა გაიგონოს დედის გულის ცემა. ახლა ამ ფენომენისთვის, გარდა ემოციურისა, სამეცნიერო ახსნაცაა ნაპოვნი.

# მწეველი ქალები



მწეველი ქალი სიცოცხლის რამდენიმე წელს წევაში ჰკარგავს. არას დაგიდევთ, რომ ყველა სიგარეტის კოლოფს გარკვევით აწერია: „მოწევა ჯანმრთელობისთვის მავნებელია“. ამერიკულ რესტორნებში წარწერები აფრთხილებენ: „მოწევამ შეიძლება ფეხმძიმობა გაართულოს“. ექიმები ამტკიცებენ, მწეველი ქალები ფილტვების კიბოთი ავადდებიანო... მიუხედავად ამდენი გაფრთხილებისა, მწეველ ქალთა რიცხვი მსოფლიოში დღითიდღე მატულობს. თამბაქოს წინააღმდეგ გამოცხადებული ომი ქალებს შორის ნაკლებპოპულარულია.

როგორც მწეველები ამბობენ, სიგარეტი მათი დამოუკიდებლობის გამოხატულებაა, მათ სიმხნევეს, სითამამეს ანიჭებს და კიდევ მათში ამაღლებულობის შეგრძნებას იწვევს.

რატომ ეწევიან მოსწავლეეები? აკი, სკოლებში გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, სიგარეტი მავნებელიაო, მაგრამ პედაგოგთა ეს შეგონება რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, რადგანაც მოსწავლეები რეკლამებში მშვენიერ ქალებს ხედავენ სიგარეტით ხელში. სინამდვილეში მწეველ ქალებს ყვითელი ფრჩხილები, ავადმყოფური სახის კანი და ბოხი ხმა აქვთ. მოზარდებმა იციან, რომ ეს მართალია, მაგრამ ირეკება თუ არა ზარი, უფროსკლასელი გოგონები ბიჭებისთვის განკუთვნილი მოსაწევი ადგილისაკენ გარბიან LUCKY STRIKE-ს უკიდებენ და ამით ყმაწვილებს თავს აწონებენ, რადგან იციან, არის რაღაც დამოკიდებულება მშვენიერებასა და სიგარეტს შორის. იციან, როდესაც საუბრის დროს, მხოლოდ ტუჩებით უკავიათ სიგარეტი, ამ დროს ზედა ბაგე ვიწროვდება, ისე, როგორც ამას ჟულიეტ ბინოში აკეთებს ხოლმე, ხოლო ქვედა — ისეთი დიდი და სქელი ჩანს, როგორიც ბეატრის დეილს აქვს. გოგონებმა კი მშვენივრად იციან, რომ იმ ყმაწვილებს, რომლებთანაც ერთად ეწევიან, ბეატრისის ქვედა და ბინოშის ზედა ბაგე, დიახაც რომ ხიბლავთ, რადგან მოწევა — სექსის მშვენიერებაა.

რამდენიმე წლის შემდეგ, ეს გოგონები მწეველ ქალებად ყალიბდებიან.

სიგარეტის აკრძალვა ქალთა დისკრიმინაცია იყო, ხოლო სიგარეტი ქალის ხელში — ამბოხის გამოვლინება.

ქალები უფრო ხშირად პროტესტის, ამბოხის ნიშნად ეწევიან, ან კიდევ, როცა სიმართლეს, სინამდვილეს გაურბიან.

სუპერმოდელი, რომელიც ეწევა, თითქოს ამბობს: „სულ არ მა-ღელვებს ის ამბავი, რომ წევა ფერისმჭამელებს გამიჩენს“. სუპერმოდელი სიგარეტით ხელში თითქოს ფოტოგრაფსეუბნება: „ჰელოუ, სუპერფოტოგრაფო, არ მანაღვლებს ის ფაქტი, რომ შენ ხუთ წელიწადში ჩემი გადაღება აღარ მოგინდება, რადგანაც სიგარეტი სახის კანს გამიფუჭებს და ნაოჭებს გამიჩენს. ფეხებზე მკიდიხართ შენც, მოდების ინდუსტრიაც და ყველა სხვაც, რომლებიც აკანონებენ, თუ როგორ უნდა გამოიყურებოდეს ქალი“.

არადა, მწეველი მოდელი საუკეთესო მოდელად ითვლება. რატომ? იმიტომ, რომ მავანნი სურათზე ქალსა და სიგარეტს კი არ ხედავენ, არამედ თავისუფლების სუნთქვას.

სიგარეტით ხელში ამბობენ ქალები სათქმელს, ემშვიდობებიან საყვარელ მამაკაცებს. სიგარეტით ხელში მიაბიჯებენ ცხოვრებაში, როგორც ჯარისკაცები — ომში. რადგანაც მათ სიგარეტი სიმამაცესა და სითამამეს მატებს.

განა სიმამაცე არ არის, სიკვდილს თვალებში უყურებდე, იცოდე, სიგარეტი სიცოცხლეს გიმოკლებს და ისიც, რომ სიგარეტით სიკვდილი გმირობა არაა და მაინც ეწეოდე.

და მიუხედავად ამისა, მათ პოეტურად მიაჩნიათ, რომ ჯიბით ერთ კოლოფ სიკვდილს ატარებენ. ეს მათ აახლოვებს სიგარეტის მწეველ მსოფლიო ფეხბურთელ პაულ ბრაიტნერთან და იმ ფეხმძიმე ქალთან, რომელიც დროდადრო სიგარეტით იღებს სიამოვნებას. ისინი ყველანი მაღლდებიან კანტის გაგებამდე, რომელიც ყველა სიამოვნებას ამაღლებულს უწოდებს, თუნდაც, იგი ნეგატიურ გამოცდილებას შეიცავდეს.

ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ხვდებიან ქალები, რომ ისინი სიგარეტის ბოლის მიღმა თავიანთ უსუსურობას, მოუწყობლობას მალავენ და ანადგურებენ სიცოცხლეს, რომელზედაც მათ გავლენა არა აქვთ.

და მაინც, ვიდრე მშვენიერება სიგარეტთან იქნება გაიგივებული, არ დაილევიან მწეველი ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯალათი

1946 წლის შემოდგომაზე საერთაშორისო ტრიბუნალმა ნიურნბერგში სიკვდილი მიუსაჯა დაახლოებით 60 დამნაშავეს. განაჩენი სისრულეში მოიყვანა ერთმა კაცმა — აშშ-ის არმიის მთავარმა ეგზეკუტორმა ჯონი მალტამ.



დღეს ჯონი 77 წლისაა, მაგრამ შესანიშნავი მეხსიერება და მოკრივესავით ძლიერი ხელები აქვს. მას თითოეული დასჯა ახსოვს და ოდნავადაც არ ნანობს.

— მე სიხარულით ამყავდა სახრჩობელაზე ის არამზადები, რომლებიც უდანაშაულო ქალებს, ბავშვებსა და მოხუცებს ხოცავდნენ. დასჯის თითოეული წამი სიამოვნებას მგვრიდა. აქამდეც ღრმად მწამს, რომ თოკი ყველაზე ჰუმანური სასჯელია ამ ურჩხულებისათვის.

ფაშისტების დასჯის სურვილი მთავარმა ჯალათმა თავად გამოთქვა. მანვე ააშენა ორსახრჩობელიანი ეშაფოტი.

— ყულფზე ნასკვს 13-ჯერ გამოვკრავდი. თოკს რამდენიმე ათეული კაცისთვის უნდა გაეძლო და სხეული მიწას არ უნდა შეხებოდა. თანაც, ასე უფრო მოსახერხებელი იყო ფოტოს გადასაღებად.

16 ოქტომბერს, მზის ამოსვლამდე, ლანდსბერგის ციხეში პირადად მან ჩამოახრჩო ჰიტლერული კაბინეტის ათი წევრი.

— თითოეულ მათგანს ვიცნობდი, — იხსენებს ჯონი, — ყოველდღე ვნახულობდი საკნებში, მაინტერესებდა, რას აკეთებდნენ. ერთხელ, გერინგმა მითხრა, — „რალაც დიდხანს ფაციფუცობ?" ვუპასუხე, უნდა გიხაროდეთ, რომ ჩემი ხელით კვდებით-მეთქი. სამწუხაროდ, გერინგისა და ჰიმლერის ჩამოხრჩობა არ მომიწია. ვილაცამ საწამლავი შეუგზავნა. აი, ამ ხელებით ჩამოვახრჩე ყველა ფაშისტი, ჯერ თავზე შავ კაპიუშონს ჩამოვაცვამდი, მერე კი თოკს ყელზე.

პირველი რიბენტროპი დასაჯეს. ფეხთ ბორკილები ედო, ხელები ზურგსუკან ჰქონდა გაკრული. სიკვდილის წინ სიტყვის თქმის უფლება მისცეს, — „ღმერთი გადაარჩენს გერმანიას!" — წამოიძახა მან. შემდეგი ჰიტლერის მთავარი სამხედრო მრჩეველი კეიტელი იყო. მერე გესტაპოს შეფი კალტენბრუნერი, იდეოლოგი როზენბერგი, პოლონეთის გენერალ-გუბერნატორი ჰანს ფრანკი და სხვ.

— პორნოფოტოგრაფი და სადისტი იულიუს სტრეიჩი ყველასგან ოდნავ განზე იდგა. ეშაფოტზე რომ ადიოდა, იყვირა, — „ჰაილ, ჰიტლერ!" თავზე თოკი სწრაფად გადავაცვი და ისე ჩამოვახრჩე, მღვდელმა „ამინ"-ის თქმაც ვერ მოასწრო. საქმე რომ მოვითავე, ყაზარმაში წავედი, კარგი რუსული არაყი გადავკარი და დამშვიდებული სინდისით დავწექი დასაძინებლად. მე ხელები სუფთა მაქვს, — დღესაც ამბობს ჯონი.

ჯონი მალტა ფაშისტებს 1947 წლის ივნისამდე სჯიდა. დემობილიზაციის შემდეგ ბოსტონში დაუბრუნდა ოჯახს, სადაც დღემდე ცხოვრობს და შვილიშვილებს თავს ევლება. მეზობლებმა იციან ჯონის წარსული, მაგრამ კიდევ უფრო სცემენ ამისთვის პატივს. ომის დამთავრების შემდეგ, ჯალათი არ დაუჯილდოებიათ. მას მხოლოდ მოგონებები, ფოტოები და სადემობილიზაციო მოწმობა დარჩა, სადაც გვარის მაგივრად ფსევდონიმი წერია — „ჯალათი-10".

# ბანდიტური „ოთხეული"

ოპერმუშაკები დიდხანს ეძებდნენ მათ კვალს... მოსკოვ-ნოგინსკის მატარებლის მგზავრებს ხშირად ძარცვავდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ცემდნენ ვილაც თავზეხელაღებულები. დაზარალებულები ერთსა და იმავეს ამბობდნენ, — ორი გოგო და ორი ბიჭია ამის ჩამდენიო. ბევრი რამ შერჩათ, მაგრამ ერთხელაც, ჩავარდნენ: 22 წლის ანდრეი და 20 წლის სერგეი, 18 წლის ვერა და 19-ის ნატაშა.

მათი ნამოღვაწარიდან სისასტიკით განსაკუთრებით, ძმები მარკოვების საქმე გამოირჩეოდა.

ვორონეჟელი ძმები: არტემი (22წ) და კირილი (23წ) დედაქალაქში გავლით იყვნენ, ბებიასთან, ვოლოგდაში მიემგზავრებოდნენ. მატარებლის გასვლამდე საკმაო დრო ჰქონდათ და პოდმოსკოვიეს ერთ-ერთ. სამხედრო ნაწილში თანაკლასელის ნახვა მოინადინეს. თავადაც ის-ის იყო მოეხადათ სავალდებულო სამხედრო სამსახური, ტანთ ისევ ჯარისკაცური ფორმა ეცვათ. გამომშვიდობებისას მეგობარმა ძმებს სამი კუპიური გადასცა: ათი, ხუთი და ერთდოლარიანი, აქ არაფერში მჭირდება, თქვენ გამოგადგებათ, როცა დავბრუნდები, მაშინ დამიბრუნეთო. კირილმა ფული ჯიბეში ჩაიდო და... მოულოდნელად გასაჩუქრებული ძმები ნახევარ საათში სიკვდილს შეებრძოლნენ.

ნოგინსკამდე ვილაც ოფიცერთან საუბრით გაერთნენ, ნოგინსკში ის ოფიცერი ჩავიდა და ბიჭები ვაგონში მარტონი დარჩნენ. უსაქმურობისგან იყო, ალბათ, თუ უბედობისგან, ჯიბიდან დოლარები ამოიღეს და სურათებს დაუწყეს თვალიერება. ვაგონში ხმაურით შემოჭრილი მხიარული ოთხკაციანი (ორი გოგონა და ორი ბიჭი) კომპანიისთვის ყურადღებაც არ მიუქცევიათ.

როგორც ჩანს, მომდევნო მოვლენები ისე თვალისდახამხამებაში განვითარდა, რომ ძმებმა ვერც შეიგრძნეს, რა საშიშროება აღემართათ წინ. ბედის ტრაგიკული შემობრუნება იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთი ოთხთაგანი სკამებს შორის გასასვლელში გაეჩხირა და — ეგ მწვანეები აქეთ გადმოგვეცითო ბრძანა. ძმებს ოდნავადაც არ შეშინებიათ, პირიქით, გულდინჯად ურჩიეს, შარს ნუ გადაეყრებით, ბიჭებო, გზა გააგრძელეთო. არტემი ბავშვობიდანვე კრივსა და კიკ-ბოქსინგში ვარჯიშობდა, საოლქო შეჯიბრებების პრიზიორიც იყო და თავდამსხმელების წუთში გაუვნებლობაც შეეძლო, მაგრამ ძმებმა ერთი რამ ვერ გაითვალეს — საჭიდაო და კრივის მოედანზე საქმე პატიოსან მოწინააღმდეგეებთან ჰქონდათ, აქ კი, თვალწინ ნაძირალები ასტუზოდნენ.

როგორც წინასწარი გამოძიებით დადგინდა, იმ საღამოს „საქმეზე გამოსულებმა" კასტეტის და დანის გარდა, ხელს სკამის მსხვილი ფეხებიც გამოაყოლეს. სწორედ



ეს ტაბურეტის ფეხები ჩართეს საქმეში და თანაც ყველაზე უნამუსო სვლით — ორივე ძმას მიპარვით ჩასცხეს კეფაში.

ძმები ხაფანგში აღმოჩნდნენ. სკამებსშუა გასასვლელში მომწყვდეულებს, არათუ, სპეციალური ილეთების გამოყენება, თავისუფლად შემობრუნებაც არ შეეძლოთ. ასეთ სიტუაციაში თავდაცვა, მით უფრო, იქით შებრძოლება, გამორიცხული იყო.

და ძმები მაინც თავგანწირვით იბრძოდნენ. ამიტომაც ურტყამდნენ ბანდიტები ასე გამეტებით და დაუნდობლად. სამედიცინო ექსპერტიზამ ვერც კი დაადგინა, რამდენი დარტყმა მიაყენეს ბიჭებს. თავის ქალა ჩალეწილ-ჩათქვეფილი ჰქონდათ, ძვალ-რბილი გაერთიანებული, ხელები, თითებიდან დაწყებული მკლავის ზედა სახსრამდე წვრილ ნამსხვრევებად ექციათ. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, ყველაზე გულადნიც კი თვალს არიდებდნენ — იქაურობა ერთმანეთში არეული სისხლითა და ტვინით იყო მოსვრილი... ბიჭები დიდხანს იბრძოდნენ სიცოცხლისათვის.



როდესაც ღონე გამოელიათ, ერთ-ერთმა ნაძირალამ ჯიბიდან დანა იძრო და ისედაც სიცოცხლის ნიშანწყალის გარეშე დარჩენილ ძმებს რამდენჯერმე ჩაარტყა. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ერთს ფილტვები და ღვიძლი ჰქონდა გაფატრული, მეორეს — გული.

ამ წამებში მატარებელი ჟელეზნოდოროჟნის უახლოვდებოდა. სადისტებმა მომაკვდავებს თავი მიანებეს და ვაგონი დატოვეს. ქვემოთ მათ კვალზე გამოსული ოპერმუშაკები ელოდნენ.

სიცოცხლის ბოლო წამებში კი ამ დაფლეთილმა ძმებმა, მარტოკებმა სასწაული მოახდინეს — ფორთხვით მეორე ვაგონამდე გააღწიეს, მშველელს ეძებდნენ, მაგრამ...

შედგა სასამართლო... ნატაშას 5 წელი მიუსაჯეს, ვერას — 8. ანდრეი 15 წლით განარიდეს საზოგადოებას და სერგეიმ წერტილი დაუსვა თავის სიცოცხლეს... უმაღლესი ზომა.

# კაზინოდან რვა ცხედარი გამოიტანეს

იმ ტრაგიკულ ღამეს მოსკოვის ღამის კლუბ „PAV"-ში, როგორც ყოველთვის, უძილობას ცეკვით ებრძოდა ახალგაზრდობა. გათენებას აღარაფერი უკლდა, რომ შენობაში ორი „მაგარი ბიჭი" შემოვიდა და ყველას თვალწინ პისტოლეტები დაატრიალეს.

იარაღის მუქარით, ბანდიტებმა კლუბის მომსახურეებს და სტუმრებსაც პირქვე ჩაწოლა უბრძანეს, შემდეგ ძირსგართხმულებს გადაალაჯეს, კედლებს, ავეჯსა და ირგვლივ რაც მოხვდათ, ყველაფერს ბენზინი მოასხეს — დილა მშვიდობისაო, — დაიგდეს, ასანთს გაჰკრეს და გავარდნენ... წამში მშვენიერი დარბაზი ცეცხლმა და ჯოჯოხეთმა მოიცვა.

ეტყობა, საშინელი წამებისთვის გამეტებული ადამიანები შენობიდან გაღწევას შეეცადნენ, მაგრამ ბოროტმოქმედებს გასასვლელები გარედან საგულდაგულოდ დაეგმანათ, მაშინ ამ საბრალოებს ხანძრიდან მოშორებული კაზინოსთვის მიუკითხავთ, მაგრამ გადარჩენის შანსი ზოგიერთებს თვალსა და ხელს შუა გაუქრათ, — ერთი პატარა კარი ვერ გაატარებდა პანიკაში ჩავარდნილ მოზღვავებულ ხალხს.



სახანძროს, რომ ვთქვათ, ბევრად არც დაუგვიანია, მაგრამ რვა ცხედარი მაინც გაიტანეს. სამი დამწვარი ქალიშვილისა და ერთი ახალგაზრდის ამოცნობა მაშინვე მოხერხდა, დანარჩენებს ადგენენ... მათ გარდა, კიდევ ხუთი კაცია მოწამლულ-დამწვარი და, თითქმის, უიმედო.

წინასწარი მონაცემებით, დაღუპულთა უმრავლესობა 19-დან 26 წლამდე ახალგაზრდები, ამ კლუბის ხშირი სტუმრები იყვნენ. და თუ ვინმეს მათზე შურისძიება მოუნდებოდა, უკეთეს და უეჭველ ადგილსამყოფელს ვერ მიაგნებდა.

# კონში სიქალწულე ჩადო...

კაუნასის პროკურატურის გამომძიებლებს უჩვეულო პრობლემის გადაჭრა მოუწიათ, — უნდა დაადასტურონ, 14 წლის გოგონამ თავისი ქალწულობა მართლა ბანქოში წააგო თუ გააუპატიურეს; ამაზეა დამოკიდებული განაჩენის სიმკაცრე, თუმცაღა, განაჩენი ორივე შემთხვევაში გარდაუვალია.

მართლაც, კურიოზული ამბავია. ქალაქის პოლიციაში იჩივლა ქალბატონმა, —. ჩემი 14 წლის გოგონა ვინმე 21 წლის ყმაწვილმა გააუპატიურაო. დაზარალებულისა და დამნაშავის დაკითხვამ გამოააშკარავა, რომ უწლოვანი და მისი მოზრდილი მეგობარი ვაჟის ბინაში „დურაკას" თამაშობდნენ და კონში იდო... ქალწულობა... ანუ, წაგების შემთხვევაში, გოგონა ნებით დაუთმობდა გამარჯვებულს. რა გასაკვირია, თუ ადვილად მოუგეს და, მანაც სიტყვა პირნათლად შეასრულა.

ქალიშვილისაგან ეს ამბავი კი მოისმინა, მაგრამ გაცეცხლებულმა დედამ საჩივარი მაინც გაუპატიურებაზე შეიტანა. გამომძიებლები იმან დააბნია, რომ ორივე მთავარი მოქმედი პირი ერთსა და იმავეს ირწმუნება, მაგრამ დედა ვერაფრით მოთოკეს — ჩემი მორწმუნე ქალიშვილი საკუთარი ნებით უცხო მამაკაცს ლოგინში არ ჩაუწვებოდაო.

პროკურატურის წარმომადგენლებმა ძიებაში ექსტრასენსები და ჰიპნოზიორიც კი ჩართეს. ამან საქმეს ვერ უშველა — ჰიპნოზის ქვეშ ორივემ იგივე გაიმეორა, ექსტრასენსი კი ირწმუნება — ძალა იხმარესო.

ძიება ჩიხში მოექცა. ქალიშვილის დედამ ლიტვის პრეზიდენტს მიმართა.

# როგორ ავიცილოთ გაქურდვა

## გამოცდილი ოპერრწმუნებული გვირჩევს

— რაც უფრო ნაკლებმა იცის თქვენი ქონების შესახებ, — უკეთესია;

— ნუ დატოვებთ ბავშვებს შინ მარტოს;

— ნუ გამოამზეურებთ ყიდვა-გაყიდვის განცხადებას, კვალზე მოგყვებიან;

— რკინის კარები — ქურდისთვის სამიზნეა, უმჯობესია, ორი კარის დაყენება — შიგნით რკინისა, გარედან ჩვეულებრივის;

— კარისთვის აუცილებელი დეტალებია: ჯაჭვი და სათვალთვალო, მაგრამ გაითვალისწინეთ, ქურდს შეიძლება გაზის ბალონი ჰქონდეს...



— შემოსასვლელში სირენა დადგით, საჭიროების შემთხვევაში რომ მთელმა სახლმა შეიტყოს.

— თუ მოულოდნელად ჩაქრა სინათლე, ნუ იჩქარებთ, ნუ გამოხვალთ ბინიდან მეზობლებში საკითხავად, იქნებ, მძარცველი სწორედ ამას ელოდება;

— რამდენიმე წუთითაც რომ გამოდიოდეთ გარეთ, კარები მაინც ჩაკეტეთ.

ერთმა კაცმა გარაჟში ჩაირბინა და ვიდრე ამოვიდოდა, ქურდებმა თავიანთი ბნელი საქმე მოასწრეს;

— მოილაპარაკეთ მეზობლებში და შეთანხმებით თავდაცვის ხერხებზე. რა თქმა უნდა, იდეალურია სადარბაზოს კარებზე კოდი, მაგრამ თუ მობინადრეებს საამისო ფული არ აქვთ, ერთმანეთს დაურიგეთ სამსახურის ტელეფონის ნომრები, ყურადღებით იყავით, ვინ გამოჩნდება უცხო, ვის მიაქვს ავეჯი, ვინმე საეჭვო ხომ არ შემოეჩვია ეზოს, ბიჭბუჭები უსაქმოდ ხომ არ დაეხეტებიან.

საერთოდ, ყველაზე უებარი საშუალებაა, — ქურდი ციხეში უნდა იჯდეს.

# სისხლისმსმელი მედიკოსები

კომპეტენტური პირების გადმოცემით, ახლახან, რუსეთის ქალაქებში მიაგნეს ვამპირების კარგად ორგანიზებულ, ერთ მუშტად შეკრულ ჯგუფს. მისი წევრები ყელს ადამიანის სისხლით იკოკლოზინებდნენ. წესად ჰქონიათ სისხლის ჩასაბარებელ პუნქტებში სამუშაოდ მოწყობა, სისხლის გადასხმის პროცესში დონორებს შიდსის ვირუსზე ამოწმებდნენ. ვამპირებს ეს ხელს აძლევდათ. აბა, სხეულს ხომ არ დაიბინძურებდნენ? მათი „მოღვაწეობის" შედეგად, სადგურებს და საავადმყოფოებს გამუდმებით აკლდებოდათ სისხლი და ბევრი ავადმყოფი ელუპებოდათ.



გამოძიების შემდეგ დაადგინეს, რომ ვამპირთა უმრავლესობას სამედიცინო განათლება აქვთ მიღებული და, ძირითადად, სამედიცინო დაწესებულებებში არიან მოკალათებულნი.

# ქურდები მეგობარს შემნახველ საკანში აბარებდნენ ხოლმე

პერმის ცენტრალური ბაზრის შემნახველ საკანში ხანშიშესულმა მანდილოსანმა შენაძენის ჩაბარება მოინდომა და კინაღამ სიცოცხლესაც გამოესალმა, ყოველ შემთხვევაში, ინფარქტს გამოჰკრა ხელი. როდესაც იქაური მუშაკი ქალი ჩანთის თაროზე შემოსადებად ემზადებოდა, მის გვერდით უზარმაზარი ჩემოდანი შეინძრა და შიშისაგან თვალებადქცეულს უცნაური ხმები შემოესმა, თითქოს ვილაც საცოდავად კვნესოდა. სიგნალზე მილიციელებმა მოირბინეს, ჩამოიღეს ჩემოდანი და პატრონის დაუსწრებლად გახსნეს... მაყურებლის თვალწინ გასაოცარი სურათი გადაიშალა: ფსკერზე ათად მოკეცილი, გალურჯებული ბიჭუნა იწვა. სუფთა ჰაერზე რომ მოხვდა, შებარბაცდა და თავი ძლივს შეიმაგრა. კიდურები ისე დაბუჟებოდა, ველარც ანძრევდა. ყველა კითხვაზე ამაყად დუმდა. გაუჩნდა საქმე ადგილობრივ მილიციას, მაგრამ დიდხანს არ დაუგვიანია საიდუმლოს ახსნას — მეორე დღესვე ქალაქში დააკავეს მოზარდთა (უფროსი 19 წლისა იყო) ბანდა, რომლებსაც აღმოუჩინეს იმ დღეებში შემნახველი საკნიდან დაკარგული ნივთები. ძიების პროცესში გაირკვა იმ „ჩემოდნის ბიჭის" ამბავიც... თურმე, ასაკით ყველაზე პატარებს (იმ დღეს 11 წლის ვოვკას რიგი ყოფილა) მოსაღამოვებულზე ჩემოდნით ჩააბარებდნენ საკანში, ისიც ღამით შიგნიდან ადვილად გასაღებ ბუნაგს აღებდა, დაძვრებოდა ნივთებში, არჩევდა საუკეთესოებს და ციყვივით ინახავდა, დილით კი ჩემოდანს ბანდის 19 წლის მეთაური ალექსეი ნ. აკითხავდა და შენახვის საფასურს „პატიოსნად" იხდიდა. ბანდის სრულწლოვანი წევრები ციხეში მიაბრძანეს, „ჩემოდნის ბიჭები" კი — გაუშვეს.

## იაპონჩიკის ექსკლუზიური ინტერვიუ ციხიდან



პატარა ოდესის — ბრაიტონ ბიჩის თავკაცი ვიაჩესლავ ივანკოვი წელიწადზე მეტია ნიუ-იორკის ციხეში ზის (მის შესახებ არაერთხელ ვუამბეთ ჩვენს მკითხველებს), ბრალად გამოძალვა ედება, მსაჯულებმა დამნაშავედ სცნეს, მაგრამ სასამართლოს განაჩენი ჯერ არ გამოუტანია. გასული წლის დამლევს იაპონჩიკმა ტელეფონით ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა „კომერსანტ დეილის“ კორესპონდენტს. ივანკოვის თქმით, ჩხრეკისას ფულის, საბუთების და საათის გარდა, ფოტოსურათებიც ჩამოართვეს და ახლა, მასზე ალბეჭდილ პირებს კლავენ. — ერთი მათგანი ედიკ ხაჩატუროვია, იგი ჩემს სასამართლო პროცესზე მოწმედ გადიოდა, სწორედ, მან გამაცნო რუსტამ სადიკოვი (რომელმაც სთხოვა იაპონჩიკს ფულის დაბრუნებაში დახმარება). პროცესს რუსეთის სპეცსამსახურის თანამშრომელიც ესწრებოდა და ედიკა ორი დღის შემდეგ მოკლეს. სადიკოვსაც მოიშორებდნენ, ამერიკელებს ზომები რომ არ მიეღოთ.

— *თქვენ რატომ დაგტოვეს ცოცხალი?*

— რაში აწყობდათ ჩემი მოკვლა, რუსეთის სპეცსამსახურებსაც ის უნდათ, რომ შოუ მომიწყონ.

## მოკლეს ზუგდიდის ფრთის კიდევ ერთი წარმომადგენელი



მოსკოვში კიდევ ერთი ჩვენი თანამემამულე მოკლეს.

18 ნოემბერს, მოსკოვის დროით 20სთ-სა და 30 წუთზე, სხოდნენსკოეს ქუჩაზე ბოროტმოქმედებმა დახვრიტეს „ივერიის“ პრეზიდენტი, 52 წლის რაულ გოგილავა. ქილერები გაუჩინარდნენ და შემთხვევის ადგილზე მარტოოდენ 4 ტყვია და „მაკაროვის“ ტიპის პისტოლეტის ორი მასრა დატოვეს.

9 სთ-სა და 30 წუთზე გოგილავა მისმა თანამშრომლებმა სახლში ჯიპი „ჩეროკით“ მიიყვანეს. როცა ის მანქანიდან გადმოვიდა და სადარბაზოსკენ გაემართა, მკვლელიც კვალდაკვალ გაჰყვა. ქილერმა სადარბაზოში შეუმჩნევლად შეღწევა მოახერხა, შესასვლელი კარი გადაკეტა და მომენტალურად გახსნა ცეცხლი. მიუხედავად იმისა, რომ მან ორჯერ გაისროლა, მიზანს მაინც ააცილა. გოგილავამ დრო იხელთა, სახლის კიბეებზე ავარდა, თუმცა, ბედისწერას ვერსად გაექცა: მეორე სართულზე ფირმის პრეზიდენტს ქილერ-დუბლიორი ელოდებოდა.

მოკლული ჩვენი თანამემამულეა, მოსკოვში კარგად ცნობილი ქართული ქურდული სამყაროს, ე. წ. ზუგდიდის ფრთის წარმომადგენელი, ზედმეტსახელად „რაული“.

ოთხი თვის წინ, მან თავის მეგობარ ცნობილ ქურდ ვახო — „ვახა“ ეხვანიასთან ერთად დატოვა იუჟნოსახალინსკი, სადაც საკმაოდ ხანგრძლივად ცხოვრობდა.

ზუგდიდის ფრთა წარმოდგენილია ქურდული სამყაროს ისეთი ცნობილი პიროვნებებით, როგორებიც არიან: აკაკი კოხია, შაქრო კაკაჩია, „შაქრო სტარი“ და გია კვარაცხელია. ისინი ტრადიციულ პოზიციებზე იდგნენ, ანუ „ქურდული გაგების“ თავგამოდებულ დამცველებად ითვლებოდნენ. ამასთანავე, ზუგდიდელი ქურდები აქტიურად უპირისპირდებოდნენ ე. წ. „აპელსინებს“ — ახალგამომცხვარ ქურდებს, რომლებიც თავიანთ ტიტულებს „დამსახურების“ მიხედვით კი არ იღებდნენ, ფულით ყიდულობდნენ.

ერთ-ერთ ქურდულ შეხვედრაზე, სადაც „ვახა“ საკმაოდ მწვავედ გამოვიდა „აპელსინების“ წინააღმდეგ, იგი მუცელში დაჭრეს.

ლენინის პროსპექტზე მდებარე ბართან „კაკადუ“ უცნობებმა მოკლეს აკაკი კოხიას ვაჟი. რამდენიმე ხნის შემდეგ თავს დაესხნენ გია კვარაცხელიას, რომელიც სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, ხოლო ბერლინში პროფესიონალმა ქილერმა ერთი გასროლით მოკლა შაქრო „სტარი“.

ამრიგად, შესაძლებელია, რომ რაულ გოგილავა ავტორიტეტთა შორის გავლენის სფეროთა გადანაწილების უსასტიკესი ბრძოლის კიდევ ერთი მსხვერპლია.

## ტყვიის ქარცეცხლში



ამ საშინელი სროლის წინაისტორია სულ მარტივად დაიწყო: რიგითი ჯარისკაცი დასაჯეს და ჰაუპტვახტში ჩასვეს, ბრძანება უმცროსმა ლეიტენანტმა ჟელტკოვმა გასცა. ამას ნამდვილი ჩიკაგოს სცენები მოჰყვა... ჰაუპტვახტში ჯდომისას, დისციპლინის დამრღვევმა შავი საქმე ჩაიფიქრა და როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ ასეული საგუშაგოდ განამწესეს, თავისი სისხლიანი გეგმის რეალიზება გადაწყვიტა.

პატარა ოთახში სამნი იყვნენ, სწორედ ის უმცროსი ლეიტენანტი და ორიც სხვა. რიგითმა ჩუმად მიატოვა პოსტი და ოთახის ზღურბლიდან პატიოსნად გააფრთხილა შიგ მყოფნი — მარტო ლეიტენანტთან მაქვს საქმე, სხვებთან პრეტენზია არ მაქვსო. იმ სხვებმაც თავს უშველეს, ერთი ლუმელს ამოეფარა, მეორე კუთხეში მიიკუჭა, მსხვერპლი კი, პირადი სიმამაცე იყო, თუ წამიერი გაოგნება, ადგილიდან არ იძვროდა. რიგითმა მიუშვირა ავტომატი და ზუსტად მეტრნახევრიდან გახსნა საშინელი ცეცხლი, განგსტერულ ფილმებში რომ გინახავთ, ქილერები თეძოზე მიბჯენილი ავტომატიდან აქეთ-იქით გადაქანებით ჯერს ჯერზე რომ ისვრიან. ასე იყო აქაც, საცერივით დაიცხრილა კედელი, გამძვინვარებული ჯარისკაცი კი ბოლო ტყვიამდე ისროდა.

რა მოუვიდა ლეიტენანტს? როდესაც მიჩუმდა საშინელი ტრიალი, იგი გადაეყუდა მაგიდას და უღბლო ქილერს ავტომატი აართვა: შემდეგ თავს ერთი სიამოვნებაც მიანიჭა — ისე ძლიერ მოსდო ყბებში თავდამსხმელს, რომ იგი ხანგრძლივ ნოკაუტში გაგზავნა.

ახალგაზრდა მეთაური არ ყოფილა შვარცენეგერ-ტერმინატორი, არც ჯავშანჟილეტი ეცვა, უბრალოდ, ფორტუნა იყო იმ დღეს მის მხარეს.

## ავთო ლომიძე „საქმის გარჩევის“ დროს დაიჭირეს



ბანდიტები არც სხვებს ინდობდნენ და არც თავისსავე მოძმეებს. 40-ზე მეტმა განგსტერმა მოიყარა თავი მოსკოვში, ტოლბუზინის ქუჩაზე „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზთან. ის იყო, მოლაპარაკება დაიწყეს და მილიციაც გამოჩნდა, თან ომონელებიც ახლდნენ. განგსტერებს, რატომღაც, ძლიერ შეეშინდათ, იმის მიუხედავად, რომ იმ კონკრეტულ მომენტში არაფერს აშავებდნენ. ჯერ წინააღმდეგობის გაწევა სცადეს. მაგრამ ჰაერში ნასროლმა ტყვიამ ყველა გონს მოიყვანა და საალრიცხვო ბარათებში შეტანის შემდეგ, „სტრელკის“ მონაწილეები გაუშვეს, გარდა ერთისა. ეს არის 37 წლის ქართველი „კანონიერი ქურდი“ ავთანდილ (ავთო) ლომიძე.

საინტერესოა, რომ ლომიძე საქმის გასარჩევად იყო მიწვეული. როგორც გაირკვა, მილიცია მას 17 იანვრიდან ეძებს, როგორც მკვლელობაში ეჭვმიტანილს (კოტელნიჩესკაიას შესახვევის №3 სახლთან მანქანაში მოკლეს ერთ-ერთი მაფიოზი). მილიციის განცხადებით, კრიმინალური გენერლისათვის ასეთი ნორჩი ასაკის მიუხედავად, ავთანდილ ლომიძე კოლეგა ქურდებს შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ამას წინათ, დონის როსტოვში მათი დიდი თავყრილობაც კი მოაწყო.

## კორუფცია — სომხურად



ბოლო დროს, სომხეთში სრულდება ის, რასაც დიდი ხანია, რუსეთს შეჰპირდა ლებედი — მილიციის რიგებში კორუფციასთან ბრძოლა.

თანაც, ადგილობრივმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო სირაბეგიანმა ორგანოს მუშაკის ფულისა და ქრთამისადმი ლტოლვის ერთგვარი მაჩვენებელიც განსაზღვრა — უცხოური მანქანა და ორსართულიანზე მაღალი აგარაკი. ამ მაჩვენებლის მიგნებიდან ათი დღის შემდეგ, მინისტრმა დაიწყო დამნაშავეების გამომჟღავნება.

რატომ მაინცდამაინც ათი დღის შემდეგ? იქნებ, რუსეთის მილიციისა არ იყოს, სომხეთსაც ეშინია, დასათხოვი არ გაუხდეს ნახევარზე მეტი მუშაკი? აქაც ძალზე უყვართ მრავალსართულიანი სახლები და მერსედეს-ბმვ-ები. მოკლედ, მინისტრმა ისურვა, რომ ათი დღის შემდეგ, ოპერმუშაკები გამოეთხოვონ უცხოურ მანქანებს და ზედმეტ სართულებს.

უმრავლესობა ამ ათი დღის მანძილზე ფეხმოუცვლელად იჯდა საკუთარი აგარაკის, საკუთარ ფარეხში დაყენებულ საკუთარ ლიმუზინში, მეათე დღეს კი, მიაყენა ბულდოზერი და ორსართულაცილებული დანაშენი მოხსნა სახლს, შესანიშნავი ახალთახალი უცხოური მანქანა კი „მშობლიურ“ „ჟი-გულიზე“ გადაცვალეს.

დაუმორჩილებელი რვა პასუხისმგებელი მუშაკი სამსახურიდან დაითხოვეს. სომხეთის შსს-ს პრესსამსახურის თავკაცის, შარვაზანიანის თქმით, შრომის ბირჟას მიაკითხა მინისტრის პირველმა მოადგილემ, რომელმაც წაიტრაბახა, — ორსართულიან აგარაკს ძვრასაც ვერავინ უზამსო.

მინისტრის გადაწყვეტილება ყველაზე უფრო ხალხს ესიამოვნა — 500-მდე კაცმა თავი მოიყარა სამინისტროსთან და ყიჟინითა და სტვენით შეეგება „ზაპოროჟეცითა“ და „მოსკვიჩით“ მობრძანებულ ჩინოსნებს.

ერთი რამ მაინც გამორჩა მინისტრს — ვერც ორსართულიან სახლს აიშენებს კაცი თავისი ხელფასით! მაგრამ, თავად სირაბეგიანსაც რომ ასეთი აქვს?!

## სენსაციური დოკუმენტები ულიანოვის ოჯახის შესახებ

### რაზე დუმდა მარიეტა შაგინიანი

ოქტომბერში პეტერბურგის ერთ-ერთმა გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ ალექსანდრე კუცენევთან, რომელშიც გაიელვა ინფორმაციამ რუსეთის მეფის, ალექსანდრე II უკანონო შვილების შესახებ.

— ალექსანდრე II მართლაც ჰყავდა არაერთი უკანონო შვილი, რადგან იგი ვნებით ალსავსე და ალვირახსნილი კაცი იყო. მის შვილებს შორის იყვნენ ისტორიული პიროვნებებიც. კერძოდ — ალექსანდრე ულიანოვი, ვლადიმირ ილიას ძე ლენინის უფროსი ძმა. საქმე ისაა, რომ ლენინის დედა, მარია ალექსანდრეს ასული ალექსანდრე II-ის კარის ფრეილინა გახლდათ. როცა ალექსანდრე II ჯერ კიდევ დიდი თავადი იყო, მან რომანი გააბა მარია ალექსანდრეს ასულთან. რუსეთში ნაბიჭვრებს გულმოწყალედ ექცეოდნენ — აძლევდნენ თავადის ტიტულს, ამწესებდნენ გვარდიულ პოლკში. ცნობილია, რომ ლომონოსოვი პეტრე I-ის შვილი იყო, თავადი ბობრინსკი — პოტიომკინისა და ეკატერინე II-ისა, რაზუმოვსკი — დედოფალ ელიზავეტას უკანონო შვილი იყო. ყველა მათ, როგორც იცით, ბრწყინვალე კარიერა გაიკეთეს და არასდროს უგრძვნიათ თავი განდეგილებად. ასეთი ბედი ელოდა ალექსანდრესაც, ლენინის ძმას.

მაგრამ მარია ალექსანდრეს ასულმა კიდევ ერთი შვილი — გოგონა გააჩინა და ამ გოგონას არავითარი კავშირი არა ჰქონდა ალექსანდრე II-სთან.

ფრეილინას 2 ბავშვითურთ მეფის კარზე ყოლა უკვე ლამაზი აღარ იყო. ოხრანკამ პეტერბურგში აღმოაჩინა უბედური ადამიანი — ჰომოსექსუალისტი ილია ულიანოვი. როგორც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანი, იგი ოხრანკას ანკესზე ჰყავდა წამოგებული. მარია ალექსანდრეს ასულს მზითვად მისცეს აზნაურის ტიტული, შემოსავლიანი ადგილი პროვინციაში და ახალდაქორწინებულნი სიმბირსკში გაემგზავრნენ.

მარია ალექსანდრეს ასული არც ციმბირში გამოირჩეოდა მკაცრი ზნეობით და, თუმცა მისი სექსუალური ცხოვრება ილია ნიკოლოზის ძესთან არანაირად არ შეიძლებოდა შემდგარიყო, მან კიდევ ოთხი შვილი შვა.

პატარა ქალაქში ყველაფერი უცბად ხდება ცნობილი და ბიჭუნები თანატოლ ულიანოვებს აბრაზებდნენ დედის, მეფისა და ილია ნიკოლოზის ძის ამბების შეხსენებით. საბოლოოდ, ამან უარყოფითად იმოქმედა ალექსანდრეზე, იგი გაიზარდა გაბოროტებული და ერთი სურვილით, — რაც არ უნდა დაჯდომოდა, „გაქალებინა“ მამიკო. ამ გეგმებით გაემგზავრა იგი პეტერბურგს სასწავლებლად. ყველაფერი დანარჩენი ოხრანკამ მოაწყო. დაეხმარა ალექსანდრე ულიანოვს შესულიყო ნაროდნაია ვოლიას რევოლუციურ ორგანიზაციაში და მიიღო მონაწილეობა მეფეზე თავდასხმაში.

მარია ალექსანდრეს ასული დაუყოვნებლივ გაემგზავრა პეტერბურგს და ალექსანდრე II-ს გამოეცხადა. საკვირველი საქმეა, არც ერთ ისტორიკოსს განცვიფრება არ გამოუხატავს იმის გამო, რომ ყველასათვის უცნობი ღარიბი სიმბირსკელი აზნაური, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ხვდება მეფესთან მიღებაზე (თუმცა, ისტორიკოსები არასოდეს გაუკვირვებია იმ ფაქტსაც, რომ ულიანოვების ორი პირველი ბავშვის დაბადების თარიღები მნიშვნელოვნად უსწრებენ ილიასა და მარიას ქორწინების თარიღს).



მეფე ალექსანდრე II-მ კი დაუყოვნებლივ მიიღო თავისი ძველი სატრფო და მათ ერთად მოინახულეს საშა ციხესიმაგრეში. მეფემ შეიწყალა „მეფის მკვლელი“, დაჰპირდა მას თავადის ტიტულს და გვარდიაში ჩარიცხვას, მაგრამ საშენკა ნებისყოფიანი აღმოჩნდა; მან პირში მიახალა მათ, რასაც ფიქრობდა თავის ორივე მშობელზე და შეჰპირდა, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე მამიკოს ბომბს ესროდა! ალექსანდრე ულიანოვი გარეთ აღარ გამოუშვიათ. იგი „ფსიხუშკაში“ გააქანეს, სადაც კიდევაც დაასრულა სიცოცხლე სხვის დაუხმარებლად 1901 წელს. ისტორიკოსები ვერ თანხმდებიან დასჯის ფორმაზე, არავითარი დასჯა კი არ შემდგარა.

არ გაუმართლათ ასეთ ოჯახში მომდევნო შვილებსაც. ილია ნიკოლოზის ძემ იცოდა, რომ შვილები მისი არ იყვნენ, ის მათ ისე ექცეოდა, როგორც თავის სასიყვარულო მიდრეკილებების პოტენციურ ობიექტებს. ვალოდიას მთლიანად ერგო მისი არამამობრივი სიყვარული. სიყმაწვილეში ვლადიმირ ილიას ძე ძალზე მიმზიდველი იყო. როგორ არ ეწინააღმდეგებოდა დედა, მაგრამ იგი, მაინც უძლური იყო დაეცვა შვილი.

— ლენინი უკანასკნელ დღემდე ჰომოსექსუალისტი დარჩა. უნდა ითქვას, რომ ამის შესახებ ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის და მხოლოდ საბჭოთა ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ამაზე, ცხოვრობდნენ აღმაფრენითი თაყვანისცემით პროლეტარიატის ბელადის მიმართ. ანტონიონის აქვს ფილმი ჰომოსექსუალისტებზე და მასში ლენინს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, განიცდიდა თუ არა საბოლოოდ ლენინი დისკრიმინაციას თავისი ორიენტაციის შედეგად, მაგრამ ბავშვობაში ეს მისთვის საკმაოდ დიდი გამოცდა იყო. იგი გაიზარდა გაბოროტებულ კაცად, შეიძულა მთელი სამყარო, ჩხუბობდა, ურტყამდა თავის მწვალებლებს. ყველაფერ ამასთან ერთად, იგი, რა თქმა უნდა, ძალიან ნიჭიერი ადამიანი იყო.

70-იან წლებში მარიეტა შაგინიანი წერდა წიგნს ლენინზე და მიიღო საარქივო მასალებზე მუშაობის ნებართვა. როდესაც მარიეტა შაგინიანი გაეცნო ამ ქაღალდებს, იგი გაოგნებული დარჩა და დაწერა მოხსენებითი ბარათი პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელზე. ბრეჟნევმა ეს ინფორმაცია თავის წრეს გააცნო. სუსლოვი, თურმე, 3 დღე იწვა წნევით და მოითხოვა დაეხვრიტათ შაგინიანი ცილისწამებისათვის, მაგრამ ბრეჟნევი სხვაგვარად მოიქცა: მან შაგინიანი თავისთან გამოიძახა და გაჩუმების ნაცვლად შესთავაზა ლენინზე წიგნისათვის პრემია, ბინა და ა.შ.

მოხსენებითი ბარათი გაასაიდუმლოეს და იგი პარტიის ცენტრალური კომიტეტის არქივში ინახებოდა. როდესაც მე გავეცანი არქივში ამ ბარათს, მოვინდომე თვით საარქივო მასალების ნახვაც და გამოვითხოვე მათი ასლები. ყველაფერი სწორად ამგვარად იყო...

# თემურ ქეცბაია „გლაზგო რეინჯერსში“?

ცნობილი გახდა, რომ ათენის „აეკში“ მოთამაშე ქართველ ლეგიონერ თემურ ქეცბაიათი რამდენიმე კლუბია დაინტერესებული. მათ შორის, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“ აქტიურობს. როგორც შევიტყვეთ, შოტლანდიელებს უკვე ბინაც შეურჩევიათ და თავიანთი პირობებიც შეუთავაზებიათ.

„გლაზგო რეინჯერსის“ გარდა, თემურ ქეცბაიათი დაინტერესდნენ ინგლისისა და გერმანიის საფეხბურთო კლუბები. თუ სად ითამაშებს ქეცბაია, ამას მომავალში შევიტყობთ. აქვე გეტყვით, რომ მას „აეკთან“ კონტრაქტი გაისად ზაფხულში უმთავრდება.

## პოლიცია ტყუილად გაისარჯა

დანიის ქალაქ ოლბორგის ერთ-ერთმა მცხოვრებმა პოლიციას შეატყობინა, ჩემს მეზობელ ქალს ძარცვავენო. მეზობლის ბინიდან საშინელი ყვირილის ხმა ისმოდა, რაც იმას ადასტურებდა, რომ ქალზე ძალას ხმარობდნენ. პოლიცია უცებ მოვარდა, კარები შეამტვრია და... წარმოიდგინეთ მათი განცვიფრება, როცა სავარძელში აბსოლუტურად ჯანმრთელი ახალგაზრდა ქალი დაინახეს, რომელიც დანიისა და პორტუგალიის ნაკრების შეხვედრას უყურებდა. როგორც შემდეგ გაირკვა, გულშემატკივარი ძლიერ ნერვიულობდა და ისტერიული კივილი ბრაიან ლაუდრუპის მიერ პორტუგალიელთა კარში გატანილ გოლს გამოუწვევია.

## პელეს ორეული უქმნეს



ფეხბურთის მეფეს; პარიზის გარეუბანში — ვერსალში ცვილის ორეული შეუქმნეს. „სანთლის პელე“ ბრაზილიის ნაციონალური გუნდის ფორმაშია გამოწყობილი. პელეს ძლიერ ესიამოვნა ორეულთან შეხვედრა: „შენ ნამდვილად აღარ დაბერდები“, — მხარზე ხელი დაჰკრა სანთლის კაცს.

## პატიოსანი ქურდი

ზურელიუს ჟუკაუსკასს, რომელიც ლიტვის კალათბურთელთა ნაკრების წევრია და რომელსაც, ამ ცოტა ხნის წინ, ბინა გაუძარცვეს, პოლიციისათვის არ მიუმართავს. მან პრესის საშუალებით სთხოვა ქურდს, დაებრუნებინა მედალი, რომელიც ატლანტის ოლიმპიადაზე მიიღო. ქურდი გამოეხმაურა მის წინადადებას და დამატებითი 175 დოლარის საფასურად მედალი დააბრუნა. ასე რომ, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა, ურთიერთგაგებაც ამას ჰქვია.

## გაზაევმა ობოლი გოგონა იშვილა

რუსეთის ჩემპიონატის ბოლო, „ოქროს მატჩამდე“ რამდენიმე დღით ადრე, „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა, როგორც ჩანს, კეთილშობილური ჟესტით ფორტუნის მომადლიერება გადაწყვიტა. ვლადიკავკაზელთა თავკაცმა, რომელიც ორი ვაჟის მამაა, ოსეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ბავშვთა სახლიდან ორწლინახევრის გოგონა იშვილა. „სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი, რით ავხსნა ჩემი გადაწყვეტილება. თითქოს შინაგანმა ხმამ მიკარნახა. ყოველი ადამიანი ცდილობს, სიკეთე გააკეთოს. მე რომ ყველა ობოლი ბავშვის გაბედნიერება შემეძლოს, უეჭველად, ვიზამდი ამას. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია, და ამიტომაც შევეცდები, ეს გოგონა მაინც გავაბედნიერო“, — ვალერი გეორგიევიჩმა ამ სიტყვებით აუჩუყა გული რუს ჟურნალისტებს. გაზაევის ქალიშვილს ვიქტორია ჰქვია, რაც მეტად სიმბოლურია 16 ნოემბრის მატჩის წინ, სადაც „ალანია“ „სპარტაკს“ უნდა გაეჯიბროს ნევისპირა ქალაქში. გოგონა შემთხვევით არ უშვილებიათ. თურმე, გაზაევები ბავშვთა სახლს სწვევიან, ვალერის მეუღლეს ბელას პატარა ვიკა ფეხებზე შემოხვევია, ქალს გული აჩუყებია. ცოლ-ქმარს თავიდანვე ჰქონიათ გადაწყვეტილი გოგონას აყვანა. აღსანიშნავია, რომ გაზაევი ივან დეტსკის აყვანასაც აპირებს, ოღონდ შვილად კი არა, „ალანიას“ გუნდში, ამ ფორვარდს კონტრაქტის ვადა გაუვიდა ნიჟნი ნოვგოროდის „ლოკომოტივთან“ და იგი ახალ კლუბს ეძებს. „ალანიას“ კი, მოგეხსენებათ, მიხეილ ყაველაშვილის „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლის შემდეგ, უხეიროდ მისდის საქმეები შეტევაში. თანაც, გაზაევს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ გაისად დიდი, ევროპული კლასის კლუბის შექმნას ვაპირებო. ვნახოთ, თუ გამოუვა.

## მარადონა ყალმუხეთში ჩავა? ანუ ილუმჟინოვის წინასაახალწლო ზმანებანი



ყალმუხეთის პრეზიდენტმა ყირსან ილუმჟინოვმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელშიც ნათქვამია: „ჩაითვალოს საფეხბურთო კლუბ „ურალანის“ მთავარ ამოცანად — 1997 წლის სეზონში უმაღლეს ლიგაში გადასვლა. 1997 წლის 1 თებერვლამდე შემუშავდეს და დამტკიცდეს რესპუბლიკაში ფეხბურთის განვითარების პროგრამა. აგრეთვე, გამოინახოს ფინანსები „ურალანისათვის“ მომავალი წლისათვის“. ერთი სიტყვით, ყალმუხეთში ფეხბურთს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭეს. როგორც ცნობილი გახდა, აქ გაზაფხულზე ელიან დიეგო მარადონას, რომელიც „ურალანის“ ერთ-ერთ თამაშს დაესწრება.

## კორეა — იაპონია?

მაისის ბოლო დღეს ფიფამ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატს ერთდროულად ორი ქვეყანა — კორეა და იაპონია უმასპინძლებს. პირველ ივნისს ამ ორი ქვეყნის დელეგაციებმა დატოვეს ფიფას შტაბბინა.

გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მსოფლიო საფეხბურთო წრეებში უდიდესი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა ატყდა. წარმოიქმნა უამრავი პრობლემა. ამომავალი მზის ქვეყანაში საკითხის ამგვარად გადაწყვეტა თითქმის ტრაგედიად მიიღეს. იაპონიის ერთ-ერთი ავტორიტეტული გამოცემა აღნიშნავს, რომ ჩემპიონატის ასეთი ფორმირება ქვეყანას მილიარდობით ზარალს მოუტანს. იაპონელები, რატომღაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფიფა კორეის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამიტომ ქვეყანაში, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, დაიწყო ჩემპიონატისათვის მზადება, მიმდინარეობდა ერთდროულად თხუთმეტი სტადიონის რეკონსტრუქცია. მოგეხსენებათ, ახლა ამდენი სტადიონი საჭირო აღარ იქნება. იაპონელები იმასაც აღნიშნავენ, რომ კორეელების გამოყოფილი თანხა ჩემპიონატის ორგანიზაციისთვის ოთხი მილიარდი დოლარით ნაკლებია, ჩრდილოელ მეზობლებთან შედარებით.

კიდევ ერთი არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი — სად მოთავსდებიან გუნდები უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობისას? ერთი შეხედვით, ყველაზე სამართლიანი გუნდების გადანაწილება იქნებოდა. მაგრამ, წარმოიდგინეთ იმ გუნდების მდგომარეობა, რომელთაც ერთი კვირის განმავლობაში ხან ერთ ქვეყანაში მოუწევთ თამაში და ხან მეორეში. ამასაც თავი რომ დავანებოთ, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ სეულის ოლიმპიადის დროს ტურისტთა 80% იაპონიაში ცხოვრებას ამჯობინებდა და არა ოლიმპიადის დედაქალაქში.

# მომავლის იმედით!

1996 წელიც მიიწურა. წელი, რომლისაგანაც ბევრად მეტს მოველოდით, ვიდრე ხელში შეგვრჩა. წელს გამოჩნდა, რომ, თურმე, მარტო დამოუკიდებლობა და ცალკე გუნდების გამოყვანა არ ყოფილა საკმარისი. არადა, შარშან ამ დროს, იმედებიც უფრო რეალური ჩანდა. მოუთმენლად ველოდით ჩვენი ფეხბურთელების მსოფლიო ჩემპიონატში ჩართვას, წინ გვქონდა ოლიმპიადა და სადაო მხოლოდ ის იყო, რამდენ ოქროს ჩამოვიტანდით ატლანტიდან, წინ იყო კიდევ უამრავი სპორტული შეჯიბრება, სადაც ქართველ სპორტსმენებს თავი უნდა გამოეჩინათ. იმედების ნახევარიც კი არ გაგვიმართლდა. თუმცა, ყველაფერს თანდათან მივყვეთ.

მოგეხსენებათ, ჩვენში ყველაზე ძლიერ ფეხბურთი უყვართ და საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ქვეყანაში №1 სპორტული თემაა. წელს ჩვენებმა 4 ამხანაგური და 2 ოფიციალური შეხვედრა დათმეს. შეიძლება შემთხვევით წააგო ერთი, ორი ან სამი მატჩი ზედიზედ, მაგრამ როცა გუნდი ექვსიდან ექვს თამაშს აგებს, აქ არც უიღბლობაზე, არც ცუდ მსაჯობასა და არც სხვა მიზეზებზე ღირს ლაპარაკი. არადა, ყოველ წუთს გვესმის, რომ რომელიღაც ქვეყანაში ჩვენი ფეხბურთელი საუკეთესოდ აღიარეს, სადღაც ჩვენიანებზე სიმღერებს წერენ, ზოგს მეფეს უწოდებენ და ზოგს დედოფალს. აქ კი, გუნდი არ ჩანს. იტალიას და ინგლისს რომ თავი დავანებოთ, ხან ნორვეგია გვიგებს, ხან რუმინეთი, ხან საბერძნეთი და ხანაც ლიბანი! ასეთ საუბარს აზრიც არ ექნებოდა, ლუქსემბურგის, სომალის ან სანმარინოს ნაკრებებს რომ ეხებოდეს. იქ არც არავის აქვს პრეტენზია რაიმე წარმატებებზე, არც ფეხბურთელები ჰყავთ მაღალი კლასის და ვერც საფეხბურთო ტრადიციებით დაიკვეხნიან. საქართველოს კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რამდენიმე წლის წინ ფეხბურთელთა გვარებით იცნობდნენ. ახლა კი რა ხდება? ორი წელი საკმარისი დროა, რომ გუნდს საკუთარი ხელწერა გააჩნდეს. შეიძლება ზედმეტადაც ვაკრიტიკებთ ჩვენს გუნდს, მაგრამ ინგლისელებთან ბოლოს შინ წაგებულმა თამაშმა იმდენად გაგვიცრუა იმედები, რომ საფრანგეთში მოხვედრაზე საუბარი, გულშემატკივრებში ღიმილსაც კი იწვევს. ამას დავუმატოთ „ბოავიშტასთან“ „დინამოს“ სასტიკი მარცხი, დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები საერთოდ წყალწაღებულია და მათ შედეგებზე საუბარიც კი სირცხვილია, ადვილი წარმოსადგენია, რა ხასიათზე ხვდება ქართველი ფეხბურთის გულშემატკივარი ახალ წელს. დასკვნების გაკეთება თქვენთვის მოგვინდვია.

ფაქტობრივად, იგივე სიტუაციაა კალათბურთშიც. მართალია „ვითამაც“ და ჩვენმა ნაკრებმაც ცალკეული გამარჯვებებით გაგვახარეს, მაგრამ საერთო სურათი არც აქ შეცვლილა. ისევ საუბარია უსახსრობაზე, ფინანსურ პრობლემებზე, სავარჯიშო პირობების უქონლობასა და ა. შ. შედეგი კი, აქედან გამომდინარე, თუ სხვა მიზეზების გამო, არც აქ ჩანს. ეროვნული ჩემპიონატის დონე კი იმდენად დაბალია, რომ კალათბურთის ერთგულმა გულშემატკივარმა ხშირად არც იცის, თუ სად და როგორ ტარდება ჩვენი ჩემპიონატის შეხვედრები.

ოლიმპიადისგანაც ბევრად მეტს მოველოდით. ვგეგმავდით ხან ოთხ, ხან ხუთ ოქროს მედალს. ოქროს და ვერცხლს თავი დაანებეთ, ბრინჯაო ძლივს ჩამოვიტანეთ და ისიც ორად-ორი. გვაჯობა ოლიმპიადაზე მონაწილე ქვეყანათა უმრავლესობამ.

მართალია, იყო იშვიათი გამარჯვებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, „დინამომაც“ გაგვახსენა ძველი დრო „ტორპედოს“ დამარცხებით, იტალიასთანაც არ შეგვირცხვენია თავი, შესანიშნავად იასპარეზეს მკლავჭიდელებმა, ზოგიერთმა მოჭიდავემ, არც რაგბისტებს გავუწბილებივართ, არც მოჭადრაკე ქალებს, მაგრამ წლის საბოლოო შედეგებზე თუ ვსაუბრობთ, უნდა ვაღიაროთ, რომ მეტს მოველოდით და მეტიც შეგვეძლო. იმედია, წლევანდელი შეცდომები გაისად აღარ განმეორდება და 1997 წელიც უფრო უხვმოსავლიანი და შედეგიანი იქნება!

## კასპაროვი — „LV“ 4:2!“



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, გარი კასპაროვმა ბოლო, მეექვსე პარტიის 43-ე სვლაზე შეაწყვეტინა წინააღმდეგობა მრისხანე მეტოქეს — ექვს წელიწადს ნაწვალებ, ათასნაირად დაპროგრამებულ კომპიუტერს, საბოლოო ჯამში, გაიმარჯვა და შვებით ამოისუნთქა უამრავმა გულშემატკივარმა, რომლებიც ადამიანის ტვინს შეუდარებლად მიიჩნევენ. კომპიუტერს, რომელსაც რამდენიმე დღის წინ გაუთავებლად აქებდნენ და ადიდებდნენ, ბევრმა სწრაფგამომთვლელი იდიოტი უწოდა. 400 000 დოლარი კასპაროვმა მიისაკუთრა, ხოლო დამარცხებულისათვის განკუთვნილი 100 000 კი კომპიუტერის შემდგომ განვითარებას მოხმარდება.

## ფეხბურთელები სჯობნიან მაყურებელს

იტალიის ქალაქ მატერაში ფეხბურთის მოედანზე არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. აღგზნებული იტალიელი გულშემატკივრები ვერ დააკმაყოფილა მათი საყვარელი გუნდის თამაშმა. ატყდა მოედანზე ვაშლების, პომიდვრებისა და ლაყე კვერცხების სროლა. სპორტის ისტორიაში პირველად ფეხბურთელები არ შეუშინდნენ მაყურებლის თავდასხმას, მსაჯის მეთაურობით კონტრიერიში მიიტანეს თავდამსხმელებზე, აცვივდნენ ტრიბუნებზე, დააკავეს ყველა მყვირალი, აღგზნებული გულშემატკივარი და აბაზანებში შერეკეს, სადაც მათ ცივი შხაპით გაუმასპინძლდნენ.

## საჯარიმო კოცნა

მამაკაცი ფეხბურთელებისა და ქალი არბიტრების დამოკიდებულება ყოველთვის უაღრესად საქმიანი იყო, ყოველ შემთხვევაში, მინდორზე მაინც. თუმცა, იტალიაში მომხდარმა კურიოზულმა შემთხვევამ ეს ტრადიცია დაარღვია.

მოყვარულთა გუნდების „ბატალიისა“ და „დელა როკას“ თამაშის დროს არბიტრმა — ანა ტონომ მეორე გაფრთხილებისათვის მინდვრიდან გააძევა მასპინძლების თავდამსხმელი — ალესანდრო ვერონეზე. ვერონეზე უსიტყვოდ, მშვიდად მიუახლოვდა გოგონას და ორჯერ აკოცა ტუჩებში, შემდეგ კი დატოვა მინდორი.

თამაშის შემდეგ ფეხბურთელმა განაცხადა, რომ არანაირი ცუდი განზრახვა არ ჰქონია, მხოლოდ მადლობა გადაუხადა არბიტრს კარგი მსაჯობისათვის.

## საბატინი სუნამოებს „მარხავს“

სიხარბე ყველას ღუპავს, მათ შორის სპორტსმენებსაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა სხვა საქმით არიან დაკავებული. აი, არგენტინელ ჩოგბურთელ ქალს, გაბრიელა საბატინისაც უსიამოვნებანი შეემთხვა. ჯერ იყო და მის მიერ სერიულად გამოშვებული თოჯინა „გაბიმ“ ვერ გაამართლა იმედები, შემდეგ საბატინის ჩანაწერების ფირფიტასაც იგივე ბედი ეწია, ახლა კი ისეთმა საქმემაც გაუცრუა იმედები, რომელსაც მუდმივი წარმატება ახლდა თან — პარფიუმერია. ორი წლის წინ, სუნამოებმა — „გაბრიელა საბატინი“ და „ღვთაებრივი“, — მას ოცი მილიონი დოლარი მოგება მოუტანა, ჩოგბურთელმა ეს არ იკმარა, ახალი სუნამოც შექმნა და არგენტინის ულამაზესი პლაჟის პატივსაცემად „კასკაია“ დაარქვა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენები მას ურჩევდნენ ფართოდ გაეშალა სარეკლამო კამპანია, „გაბიმ“ არ დაუჯერა და ამაყად განაცხადა, — გაბრიელა საბატინიზე უკეთესი რეკლამა არ არსებობსო, — და, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ამერიკული ბაზარი ახლაც სავსეა „კასკაიათი“. გამოშვებული ნაწარმის მეათედიც კი არ გაყიდულა. საქონლის დამარხვას თავად საბატინიმ დაუსვა წერტილი. მან ერთ-ერთი ტურნირის დროს საჯაროდ განაცხადა, რომ „კასკაია“ არ მოსწონს და მას სხვა სუნამოებს ამჯობინებს.

## საქართველოს სასაქონლო კოდი

საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს შტრიხ-კოდი მიანიჭა. ამიერიდან ჩვენი ქვეყნის შტრიხ-კოდი გახლავთ 486, რომელსაც იმედია, მალე ქართულ ხარისხიან პროდუქციაზე ვიხილავთ.

პირველად პროდუქციის ნუმერაციის იდეა პრაქტიკაში აშშ-ში დაინერგა. 1977 წელს შეიქმნა ნაწარმის ნუმერაციის ევროპული ასოციაცია EAN-ი. ასოციაციამ შეიმუშავა ახალი ევროპული სტანდარტი. სწორედ EAN-ის კოდებს ვხვდებით უმეტესად სასაქონლო ბაზარზე, ყველა იმპორტულ საქონელზე.

შტრიხ-კოდის ნუმერაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვარიანტია ე. წ. EAN-13. ამ შემთხვევაში რიცხვი 13 მიუთითებს იმას, რომ შტრიხ-კოდში არის 13 ციფრი. თითოეულს შეესაბამება გარკვეული ხაზები, ვერტიკალური ზოლები, რომელთა საშუალებითაც შიფრავენ მოცემულ რიცხვს (შტრიხ-კოდის პირველი სამი ციფრი მიუთითებს ქვეყნის კოდს. მაგ. საქართველოს კოდია 486, თურქეთის 869 და ა.შ.) გამოიყენება შემცირებული ვარიანტი EAN-8.

დღეისათვის EAN-ი საერთაშორისო ასოციაციაა, რომელშიც გაერთიანებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 80-მდე ნაციონალური ასოციაცია. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა EAN INTERNATIONAL-ის წინაშე გამოვიდა ინიციატივით, რათა საქართველოში ნაციონალური ნუმერაციის ორგანიზაცია EAN GEORGIA ჩამოყალიბებულიყო. მიმდინარე წლის იანვრის დასაწყისში სავაჭრო-სამრეწველო პალატამ დააარსა ეროვნული ორგანიზაცია „EAN საქართველო", რომელიც 10 მაისს, გენერალურ ასამბლეაზე, ქ. ლისაბონში მიღებულ იქნა საერთაშორისო ასოციაციის წევრად. ამიერიდან საქართველოში იარსებებს საკუთარი შტრიხ-კოდების ნუმერაცია.

## უმსხვილესი ბანკები ევროპაში მდებარეობს

ჟურნალმა „ბანკერმა" გამოუშვა მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ტრადიციული ყოველწლიური რეიტინგი. პირველ ადგილზეა ლონდონის ჯგუფი HSBS HOLDINGS-ი, რომელშიც გაერთიანებულია HONKONG BANK-ი, ბრიტანული MIDLAND-ი და ამერიკული MARINE MIDLAND-ი. მისი საკუთარი თანხა შეადგენს 21,45 მლრდ. დოლარს. აქტივები 351,6 მლრდ-ს, ხოლო გასული წლის მოგებამ 5,69 მლრდ. დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გასული წლის რეიტინგში HSBS HOLDINGS-ი მეშვიდე ადგილზე იყო. რეიტინგში მეორე ადგილზეა ფრანგული ბანკი KREDIT AGRIKOLE-ი. მართალია, ბანკის საკუთარი სახსრები 20,4 მლრდ. დოლარია, მაგრამ მისი აქტივები 386,4 მლრდ. დოლარს შეადგენს. პირველ ხუთეულში გავიდნენ, აგრეთვე, შვეიცარული UNION BANK OF SWITERLAND-ი და ამერიკული CITI CORP-ი. გერმანული DEUTCHE BANK-ი რეიტინგში მეექვსე ადგილზეა, მაგრამ იგი აქტივების მხრივ პირველ ადგილს იჭერს. აქტივების მხრივ იაპონური ბანკები წინანდებურად უსწრებენ თავის ევროპელ და ამერიკელ კონკურენტებს. იაპონური ბანკების მსყიდველობითმა ღანაკარგმა 17,8 მლრდ. დოლარის ფარგლებში და იენას 19%-ით გაუფასურებამ დოლართან შედარებით გამოიწვია ის, რომ რეიტინგში დაიკავეს დაბალი ადგილები გასულ წელთან შედარებით. იაპონურ ბანკებს შორის საუკეთესო მაჩვენებლით ხასიათდება DAI-ICHI KANGYO. მომავალი წლის ჟურნალ „ბანკერის" რეიტინგში პირველ ადგილზე შეიძლება აღმოჩნდეს „ახალი" ბანკი, რომელიც წარმოიშვა MITSUBISHI BANK-ის და BANK OF TOKYO-ს შერწყმით. მისი საკუთარი სახსრებია 27,8 მლრდ. დოლარი, ხოლო აქტივები კი 703 მლრდ. დოლარს შეადგენს. აგრეთვე, იაპონიამ შეიძლება დაიტრაბახოს მსოფლიოში ყველაზე მომგებიანი ბანკითაც. FUKUSHIMA BANK-მა მიაღწია დაბანდებული სახსრების 121%-იან დაბრუნებას. ამ მაჩვენებლით იგი მესამე ადგილზეა თურქული AKBANK-ის და TURKIYE IS BANKASI-ის შემდეგ. ღია კაპიტალის დახურვის ნორმების ადექვატურობით პირველ ადგილზეა უზბეკური NATIONAL BANK FOR FEA, დახურვის 170 ნორმით. მისი აქტივები შედგენილია სახელმწიფოს ვალისაგან. მეორე ადგილზეა შვეიცარიული ბანკი BANQUE DE DEPOTS-ი, რომელიც ლაცისის ოჯახს ეკუთვნის. მისი დახურვის ნორმაა — 72. ჟურნალმა „ბანკერმა" აგრეთვე, გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე წამგებიან ბანკთა სია. პირველ ადგილზეა BANCO BI BRASIL-ი — 4,19 მლრდ. დოლარის ნაგებით. მეორეა BANCO DI NAPOLI-ი — 1,99 მლრდ. დოლარის ნაგებით. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს იაპონურ NORINCHUKIN BANK-ს, რომლის კაპიტალი შეადგენს აქტივების 0,75%-ს.

## მილიონერთა სიას ჟურნალისტი ქალი უდგას სათავეში



ამერიკულმა ჟურნალმა **FORBES**-მა გამოაქვეყნა „ჰუმანიტარული პროფილის" 40 ყველაზე მდიდარი ადამიანის ყოველწლიური სია. წინა წლების ნუსხასთან შედარება იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა, რომ წლეულს პირველობა ეკუთვნით არა მსახიობებს, არამედ ჟურნალისტებს. „ჰუმანიტარული პროფილის" ყველაზე მდიდარი ადამიანი გახდა პოპულარული თოქ-შოუს წამყვანი, ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ოფრა უინფრი, რომლის ქონება 171 მლნ დოლარია. 1995 წელს მას მხოლოდ 75 მლნ ჰქონდა, 96 მლნ კი თავის ქონებას წლეულს შემატა.

## გამომუშავებულია საგარეო ვალის გადახდის მექანიზმი

საქართველოს მთავრობის მიერ ან მისი გარანტიით აღებული ვალები დღეისათვის 1 მილიარდ 585 მილიონი დოლარია. ამაში შედის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან, ცალავლეთის ქვეყნებიდან და დსთ-ში შემავალი სახელმწიფოებისაგან აღებული კრედიტები. საერთო თანხიდან ათვისებულია 1.231 მილიარდი დოლარი. 1996 წლის პირველ ნახევარში საბიუჯეტო ხარჯების 7,3%-ი პროცენტების ანაზღაურებას მოხმარდა. საერთო სურათი ასეთია: რუსეთის კრედიტი — 147,1 მილიონი, სომხეთისა — 19,6, აზერბაიჯანის — 7,6, ყაზახეთისა — 27,8, თურქმენეთის — 393,6, უზბეკეთის — 1, ავსტრიის — 109,1, ჩინეთის — 3,5, გერმანიის — 59,2, თურქეთის — 41,5, ირანის — 12,6, საერთაშორისო სავალუტო ფონდის — 399, მსოფლიო ბანკის — 191,1, ევროკავშირის — 141,7 და ა. შ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უცხოური კრედიტისა და საგარეო ვალის მომსახურების სამმართველოს უფროსის ბ. შარაშიძის თქმით, ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ დსთ-ს ქვეყნებიდან მიღებული კრედიტების 30 პროცენტი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსის შედეგად წარმოიქმნა. მისივე თქმით, ბიუჯეტის დეფიციტისა და დაცემული ეკონომიკის პირობებში საქართველო ვალების გასტუმრებას ჯერ ვერ შეძლებს. ერთადერთი გამოსავალი ვალის რესტრუქტურიზაციაა. ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო სავალუტო ფონდი. მისი ეგიდით იქნა შეკრებილი საქართველოს ყველა კრედიტორი და მათ მიეცათ წინადადება ქვეყნის საგარეო ვალის სარესტრუქტურიზაციოდ. პრინციპული თანხმობა მიღებულია, შექმნილია რესტრუქტურიზაციის მექანიზმი.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საქართველო 10 წლის განმავლობაში რეალურად შესძლებს ვალების გადახდას შემდეგი სქემის მიხედვით; პირველი ხუთი წელი — საპროცენტო დანარიცხის (წლიური 4 პროცენტი) გადახდა, მომდევნო 5 წელიწადს ძირითადი ვალის გადახდა. სწორედ ამ პრინციპს ემყარება მოვალეთა გასტუმრების რესტრუქტურიზაციის მექანიზმი.

## ევროზე შექსპირი, მოცარტი და ლეონარდო და ვინჩი ვერ მოხვდნენ

ევროპული კავშირის ახალ ფულზე — ევროზე, რომელიც 2002 წელს ამ კავშირში შემავალი ქვეყნების ეროვნულ ვალუტას შეცვლის, ვერ ნახავთ მსოფლიო კულტურის დიდი მოღვაწეების — შექსპირის, მოცარტისა და ლეონარდო და ვინჩის პორტრეტებს. რა არის ამის მიზეზი?

ევროკავშირის კომისიის (რომელიც ახალი ფულის დიზაინის საკითხს წყვეტდა) წევრმა გ. კრაპანცანომ იტალიურ გაზეთ „კორიერა დე ლა სერაში" გამოაქვეყნა ინტერვიუ, სადაც განმარტება მისცა ამ ფაქტს. თურმე ბანკნოტებზე შექსპირი იმიტომ არ არის, რომ მის პიესაში „ვენეციელი ვაჭარი" ანტისემიტიზმი გამოსჭვივის, მოცარტი იმიტომ, რომ „თავისუფალი მასონი" იყო და ამდენად „მსოფლიო შეთქმულების" მონაწილე, ლეონარდო და ვინჩი კი იმიტომ, რომ ამბობენ, ჰომოსექსუალისტი იყოო.

## დაარსდა პირველი საერთაშორისო ბანკი

საბერძნეთის კომერციულმა ბანკმა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოში დააარსეს პირველი საერთაშორისო ბანკი — „საქართველო". მისი სასტარტო-კაპიტალი 3 მლრ. დოლარია. ბერძენი პარტნიორების წილი ერთობლივ საწარმოში 50%-ია, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ფონდისა — 20%, გაერთიანებული ქართული ბანკისა — 29%. ბანკი ადგილობრივ კომპანიებს საერთაშორისო მომსახურებას გაუწევს.

## DAVIDOFF — რესპექტაბელურობისა და ფუფუნების სიმბოლო



1906 წელს კიეველი მეთამბაქოეს, ჰენრიხ დავიდოვის ოჯახში დაიბადა ვაჟი, რომელსაც ზინობი უწოდეს. ეს ფაქტი შემდეგში არამარტო ამ ოჯახისათვის, არამედ მსოფლიო სიგარების ბიზნესისათვის დიდი მოვლენა გახდა.

დავიდოვების სიგარების წარმატება უპრეცედენტოა — 20 წლის განმავლობაში ყოფილმა კიეველმა, პრაქტიკულად, თითქმის უცნობი პროდუქტიდან რესპექტაბელურობისა და ფუფუნების სიმბოლო შექმნა.

5 წლის იყო ბიჭუნა, როცა დავიდოვების ოჯახი კიევიდან შვეიცარიაში გადასახლდა, სადაც თამბაქოს მაღაზია გახსნეს. თანამედროვეთა თქმით, ამ კოხტა მაღაზიას თავისებური რუსული კოლორიტი ჰქონდა. ალბათ, ამიტომაც იყრიდნენ იქ ხშირად თავს რუსი ემიგრანტები. სხვათა შორის, მაღაზიის ხშირი სტუმარი ლენინიც ყოფილა. მიუხედავად ამისა, დავიდოვ-უფროსის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რევოლუციურმა საქმიანობამ ვერ გადასძალა.

ამასობაში ზინობი, იმ დროისათვის უკვე ზინო, გულმოდგინედ სწავლობდა მამისაგან თამბაქოს „ხელოვნებას" და 1924 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, ამერიკას მიაშურა ცოდნის გასაღრმავებლად. ხუთი წლის შემდეგ დაუბრუნდა ევროპას და მამის მაღაზიის განახლებას მიჰყო ხელი. თავდაპირველად, იქ სიგარის განყოფილება გახსნა, შემდეგ მათი შესანახი სპეციალური საწყობიც მოაწყო. სიგარები ხომ ღვინოსავით განსაკუთრებულ პირობებში ინახება, მათ შესაბამისი ტენი, ტემპერატურა და მუდმივი შუქი სჭირდება.

ყველაზე მომთხოვნი და დახვეწილი კლიენტების სურვილების დასაკმაყოფილებლად, ზინომ ამერიკიდან საუკეთესო ხარისხის თამბაქოსაგან ხელით დამზადებული შესანიშნავი სიგარები ჩამოიტანა. მალე მან საკუთარი სიგარის წარმოება დაიწყო.

1946 წელს გამოჩნდა დავიდოვის სიგარების პირველი სერია, რომლებსაც განთქმული ფრანგული ღვინის სახელები ერქვა, — შატო ლატო, შატო მარგო, და ა.პ. ამ სერიის გამოსვლის შემდეგ, სახელი დავიდოვი შვეიცარიის ფარგლებს გასცდა. ფრანგული გაზეთები ერთხმად აღნიშნავდნენ სიგარების არაჩვეულებრივ გემოსა და სურნელებას. დღესდღეობით, დავიდოვის სიგარებს მსოფლიოს უამრავი გავლენიანი და ცნობილი ადამიანი ეწევა. მაგალითად, არნოლდ შვარცენეგერი და ვუპი გოლდბერგი, როკფელერი-უმცროსი, ჯეკ ნიკოლსონი და ლინდა ევანგელისტა.

დომინიკის რესპუბლიკის თამბაქოს ოსტატები და მომწოდებლები კომპანია „დავიდოვისაგან" კოლოსალურ თანხებს იღებენ, სამაგიეროდ, კონტროლიც მკაცრია. ფირმის მენეჯერები ზედმიწევნით ამოწმებენ ყველაფერს — დაწყებული თამბაქოს თესლიდან გასაყიდად დამზადებული სიგარებით დამთავრებული. თითოეული სიგარა შემოწმების 50 ეტაპს გაივლის. დავიდოვის სიგარის მოსაწევად ზინო დავიდოვი სამ რჩევას იძლევა:

1. სიგარას ქაღალდის სარტყელი არ უნდა შემოაცალოთ. ასეთი სარტყელი ხშირად ხელით ნაკეთებ, ძვირფასს სიგარებს აქვთ. სარტყელის მოცილებით სიგარა ფუჭდება.
2. სიგარის მოჭრილი ნაწილი თანაბარი და სიგარის სისქისა უნდა იყოს. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი ნაფაზის გასაკეთებლად. სიგარის საჭრელად საუკეთესოა თავად დავიდოვის მაკრატელი.
3. დაბოლოს, სიგარა დაბალ ცეცხლზე უნდა მოუკიდოთ, რისთვისაც უმჯობესია დიდი, ნელი წვის, უგოგირდო ასანთისა და უსუნო გაზის სანთებელების გამოყენება.

## ვატიკანის ეკონომიკური სასწაული



ვატიკანის ფინანსურ ექსპერტებს პირველი კლასის ბანკირების რეპუტაცია აქვთ. მათ მართლაც წარმატებით განახორციელეს რადიკალური სანაცია რომის კათოლიკური ეკლესიის ცენტრალური აპარატის ადრე ქრონიკულად წამგებიანი ბიუჯეტისა. ამ „ვირტუალური" სახელმწიფოს ახლანდელ სტრუქტურასა და ფუნქციებს მსოფლიოში ანალოგი არა აქვთ. ვატიკანის „რეალური" ფართობი 44 ჰექტარს შეადგენს. რომისაგან იგი გამოყოფილია სამკილომეტრიანი კედლით, რომელსაც იცავს იტალიური პოლიციის რამდენიმე ეშელონი, შვეიცარიელი გვარდიელები და ვატიკანის საკუთარი სამხედრო მოსამსახურეები. ვატიკანში სამსაკნიანი ციხეც არის. უკანასკნელი დანაშაული აქ რეგისტრირებულია 10 წლის წინათ, როდესაც რომელიღაც მშენებელმა პაპის საცხოვრებელი აპარტამენტიდან რაღაც საგნები მოიპარა. დამნაშავე სამუშაოდან გაათავისუფლეს. ვატიკანის ძირითადი მოსახლეობა დაახლოებით 470 კაცია. ხოლო ცენტრალურ საეკლესიო აპარატში 2500 მომუშავეა დასაქმებული. ვატიკანის „მუნიციპალური" ადმინისტრაციის სათავეში კარდინალი დგას. პრაქტიკულად, ადმინისტრაციულ საკითხებს კარდინალ-გუბერნატორი აგვარებს. ვატიკანის აპარატი მმართველობის დახურულ კომპლექსს წარმოადგენს, რაც აბსოლუტურ მონარქიას გვაგონებს. იგი წარმოადგენს გლობალური საეკლესიო სისტემის ცენტრს, რომლის სტრუქტურაც ყოველწლიურად დეტალურად ფიქსირდება 2400 გვერდიან ცნობარში. ვატიკანში მოქმედებს რკინის პრინციპი — ოფიციალურად ლაპარაკობს მხოლოდ პაპი და სხვა არავინ. პაპის საკადრო პოლიტიკამ ვატიკანი მიიყვანა წმინდა ტახტის ფინანსური მენეჯმენტის რეფორმებისკენ. 1990 წელს ვატიკანმა მიიღო გადაწყვეტილება, რათა თავისი ბიუჯეტის სანაცია ჩაებარებინა დეტროიტის ყოფილი არქიეპისკოპოსისთვის. კარდინალ ედმუნდუ კაზიმირ სჩოკესთვის (იგი წარმოშობით პოლონელია), რომელიც ფაქტიურად ვატიკანის ფინანსთა მინისტრი გახდა. მან შეიმუშავა ეფექტური ეკონომიკური პროგრამა. კარდინალი ხურავდა იმ ეკლესიებს, რომლებსაც მცირე მრევლი ჰყავდა. პაპმა მალე იგი დანიშნა „პრეფექტურის ეკონომიკური საკითხების" თავმჯდომარედ, სადაც 1995 წელს 27 კვალიფიციური ეკონომისტი მუშაობდა (აქედან მხოლოდ 9 იყო სასულიერო პირი). 68 წლის კარდინალი სჩოკე აცხადებს, რომ 1993-94 წლებში ვატიკანმა შეძლო გაეწონასწორებინა არამარტო დისბალანსი შემოსავლებსა და გასავლებს შორის, არამედ მიაღწია დადებით ბიუჯეტურ შედეგს.

## ეჰ, ბილ გეიტსს რა უჭირს!



ცნობილი მილიონერის ბილ გეიტსის ახალი სახლი რედმონტში (40 მლნ. დოლარი) მართლაც შთამბეჭდავია: თალოვანი გალერეა, 60 ფუნტიანი აუზი, 20 ადგილიანი თეატრი, შიდა და გარე მინერალური წყაროები, პავილიონი ტბით, კალათბურთის მოედანი, 20 ადგილიანი გარაჟი, სასტუმრო კოტეჯი და 1,4 მლნ. დოლარიანი რეზიდენცია დარაჯებისათვის.

# ქართული „სამხედრო მუსკულები“




ქართველთა ოცეული ამერიკაში საწვრთნელი ვარჯიშების დროს

გასული 1996 წელი ძალზე მდიდარი იყო სხვადასხვა სახის მოვლენებით, რომლებმაც საქართველოს თანამედროვე ისტორიაში თავისი კვალი დატოვეს.

საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გვერდით, გასულ წელს მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებიც მოხდა. ამ მხრივ 1996 წელი მკვეთრად განსხვავდებოდა წინა წლებისაგან.

გაზაფხულზე, აპრილის თვეში, საქართველოს პირველად ეწვია სხვა ქვეყნის გენერალიტეტის ისეთი მრავალრიცხოვანი „დესანტი“, როგორსაც გენერალ გრაჩოვის მეთაურობით თბილისში ჩამოსული რუსი გენერლების ოფიციალური დელეგაცია წარმოადგენდა.

ორმხრივ მოლაპარაკებებზე, რომელშიც მარტო რუსეთის მხრიდან ორმოცდაათამდე გენერალი მონაწილეობდა, მიღებულ იქნა სამთავრობო შეთანხმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ხელმოწერილ იქნა ოქმები სამხედრო მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის, კადრების მომზადების, სამხედრო-საჰაერო, საზღვაო და ჰაერსაწინააღმდეგო ძალებს შორის თანამშრომლობის, აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების ახალი მანდატის, საქართველოსთვის სამხედრო ქონების გადმოცემისა და ოპერატიულ-საბრძოლო მომზადების ღონისძიებათა ერთობლივი განხორციელების შესახებ.

ამ ოფიციალური შეთანხმებების გარდა, კულუარებში გავრცელდა ინფორმაციები, რომ რუსეთის მხარე, განსაკუთრებით მაშინდელი თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი აქტიურად ცდილობდა მათთვის ფოთის პორტის ნაწილის გადაცემას და იქ საქართველოში რიგით მეხუთე რუსული სამხედრო ბაზის, ამჯერად, სამხედრო-საზღვაო ბაზის შექმნას.

ამ ორმხრივმა სამხედრო შეთანხმებამ იმ დროისათვის დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მარტო საქართველოში. როგორც განვლილმა პერიოდმა აჩვენა ბევრი შეთანხმება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

შარშან, მაისი ყველაზე მილიტარიზებულ თვედ იქცა საქართველოს ცხოვრებაში.

თვის დასაწყისში, 4 მაისს თავდაცვის სამინისტრომ ალგეთის სამხედრო პოლიგონზე ჩაატარა მანევრები სახელწოდებით — „მოტომსროლელთა გაძლიერებული ასეული შეტევისას“. სამხედრო წვრთნას პრეზიდენტი — უმაღლესი მთავარსარდალი, პარლამენტარები და მრავალი უცხოელი სტუმარი დაესწრო, ფაქტობრივად, მეთვალყურეთა „ასეული“ აფასებდა მოტომსროლელთა ასეულის მოქმედებას. ერთი შეხედვით, არაორდინარული არაფერი მომხდარა, თავად პრეზიდენტ შევარდნაძეს საბჭოთა პერიოდში იმავე ალგეთის პოლიგონზე საარმიო მასშტაბით გამართული გრანდიოზული სამხედრო მანევრებიც (მაგალითად, „კავკასია-85“) კი უნახავს, მაგრამ მთავარი ასპექტი 4 მაისის მანევრებისა იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში პირველად გაიმართა მეტნაკლებად ორგანიზებული საჩვენებელი სამხედრო სწავლება ეროვნული შეიარაღებული ძალების მონაწილეობით.

მაისის დასაწყისშივე საქართველოს პრეზიდენტმა მოინახულა საგურამოში განლაგებული კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი. ერთი შეხედვით, ამ ფაქტს სამხედრო სფეროსთან არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სწორედ ეს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტი, წლების განმავლობაში ამუშავებდა მაღალი ტექნოლოგიების ბაზაზე შექმნილ კოსმოსური ნაკეთობების პროექტებს: სპეციალურ დასაკეც კონსტრუქციებს, რომლებიც კოსმოსში გატანის შემდეგ იშლებოდა და ეფექტურ, დიდი დიამეტრის მქონე სარკედ ან რადიოლოკატორის ანტენად იქცეოდა. სამხედრო სპეციალისტთა აზრით, სწორედ ეს კონსტრუქციები იქცევა მომავალ XXI საუკუნეში მთავარ კომპონენტად იმ კოსმოსური პროგრამისა, რაზეც დღეს გამალებულად მუშაობენ ამერიკელი მეცნიერები — რაკეტსაწინაალმდეგო „ფარის“ შესაქმნელად. თუმცა, ეს დღევანდელი საქართველოსთვის ისევე შორია, როგორც კოსმოსი.

4 მაისის ალგეთის მანევრების ორი კვირის თავზე, ქვეყნის პრეზიდენტი უკვე უშიშროების სამინისტრომ მიიწვია მუხროვანში საკუთარი შეიარაღებული რაზმების დასათვალიერებლად.

საპატიო სტუმრებს თავისი სახე აჩვენეს უშიშროების სამინისტროს სადესანტო-მოიერიშე ბრიგადამ და სპეცდანიშნულების რაზმებმა: ანტიტერორისტულმა „ალფამ“, სადივერსიო „ომეგამ“ და ახალშექმნილმა აფხაზეთის უშიშროების სპეცბატალიონმა „დელტამ“.

ამ მანევრებით უშიშროების სამინისტრომ უმაღლეს მთავარსარდალს და უცხოელ მეთვალყურეებსაც კი აჩვენა, რომ მას დღეისათვის საქართველოში გააჩნია ყველაზე ეფექტური სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები, რომლებსაც ძალუძთ გარკვეული კონკრეტული, შეზღუდული საბრძოლო დავალების შესრულება, თუმცა, რა თქმა უნდა, არა რომელიმე ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციის განხორციელება.

ქართული „სამხედრო მუსკულების“ სახალხოდ დემონსტრაციის თითქოსდა საპასუხოდ, 22 მაისისთვის ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის (ГРВЗ) სარდლობა ამიერკავკასიაში 1921 წლის „დაბრუნების“ 75 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნას აპირებდა. მაგრამ ოფიციალურმა თბილისმა საქართველოს ანექსიის საზეიმოდ აღნიშვნის საშუალება არ მისცა რუს გენერლებს. განაწყენებული ГРВЗ-ს სარდლობა, რომელსაც ამ ზეიმზე უკვე დაპატიჟებული ჰყავდა რუსეთის პრემიერ-მინისტრი და ამიერკავკასიის ქვეყნების პრეზიდენტები, იძულებული გახდა სომხეთში გადაფრენილიყო და იქ მოკრძალებულად აღენიშნა „ამიერკავკასიის განთავისუფლების“ იუბილე. განაწყენებული ГРВЗ-ს სარდლის, გენერალ-პოლკოვნიკ რეუტის ერთადერთ ნუგეშად სომხეთის თავდაცვის მინისტრის სარქისიანის ნათქვამი იქცა — „სომხეთი ამიერკავკასიაში რუსეთის ფორპოსტია“.

სამაგიეროდ, ოთხ დღეში, 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენის დღე დიდი სამხედრო აღლუმის გამართვით იზეიმა. მაგრამ წინა წლების აღლუმებისგან განსხვავებით, რესპუბლიკის მოედანზე პირველად იქნა ნაჩვენები 152მმ-იანი საარტილერიო სისტემები МСТА და ГИАЦИНТ, რომლებიც ГРВЗ-მ თავდაცვის სამინისტროს ერთი თვით ადრე გადასცა და რომლებმაც ქართველი პოლიტიკოსების გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია.

მაისის ბოლოს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ტყვეებისა და საბრძოლო მოქმედებების დროს დაკარგულ პირთა საკითხების შემსწავლელი კომისია, რომელსაც ელჩი მალკომ ტუნი ხელმძღვანელობდა. კომისიის მთავარი მიზანი იყო დაედგინა, მოხვედრილა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე კორეის, ვიეტნამისა თუ სხვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაკარგული რომელიმე ამერიკელი მოქალაქე. ხელისუფლებამ კომისიის წევრებს აცნობა, რომ ამგვარი სახის ინფორმაცია მათ არ გააჩნდათ. თუმცა, კომისიის წევრები ამით არ დაკმაყოფილდნენ და თბილისში აშშ-ის საელჩოში დაპატიჟეს მთელი ქართუ-



ლი გენერალიტეტი, იმ იმედით, რომ დღევანდელი ქართველი გენერლები ჯერ კიდევ წითელ არმიაში სამსახურის დროს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში თუ თავად ვიეტნამში შეიძლება შეხვედროდნენ ასეთ ფაქტებს.

31 მაისს საქართველოს საჰაერო თავდაცვის ძალებმა დაარსების ოთხი წელი აღნიშნეს. ამ ერთი შეხედვით მხოლოდ საქართველოს მასშტაბის ფაქტმა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური წრეების ფართო ყურადღება მიიქცია. მოსკოვი ძალიანაა დაინტერესებული საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის აღდგენით და მისი რუსეთის საჰაერო თავდაცვის ქსელში ჩართვით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კავკასიონის ქედი, ფაქტობრივად, „აბრმავებს“ რუსულ რადიოლოკატორებს, რის გამოც რეალური მოწინააღმდეგის თვითმფრინავებს კავკასიონის გადაფრენისთანავე შეუძლიათ გაუშვან ფრთოსანი რაკეტები, რომლებიც დაბალ სიმაღლეზე ფრენით, თვით მოსკოვსაც კი მიაღწევენ.

სწორედ ამ სტრატეგიული მიზნის გადასაწყვეტად, რუსეთმა დსთ-ის ქვეყნების ჰაერსაწინააღმდეგო ერთიანი სისტემის შექმნის ფარგლებში საქართველოს გამოუყო 10,5 მილიარდი რუბლი С-125 ტიპის ექვსი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსისა და სამი რადიოლოკაციური სადგურის აღსადგენად.



3 ივნისს ისტორიული ფაქტი მოხდა, საქართველოს სამხედრო დელეგაცია პირველად, მეთვალყურის სტატუსით, დაესწრო უკრაინაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით გამართულ მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების სამხედრო წვრთნებს „მშვიდობის ფარი-96“. NATO-სთან გატარებულმა ერთმა დღემ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ნადიბაიძეს (რომელიც, რბილად რომ ითქვას, ამ ორგანიზაციისადმი დიდი სიყვარულით არასოდეს გამოირჩეოდა) გადაადგმევინა ნაბიჯი, რომელსაც მისგან დიდხანს ელოდნენ, 12 აგვისტოს აშშ-ში, ფლორიდის შტატში გამართულ სამხედრო ვარჯიშში „CO-OPERATIVE OSPREY-96“-ზე ქართული ოცეული გააგზავნა. საფუძველი ჩაეყარა ქართული არმიის თანამშრომ-



ლობას NATO-სთან.

NATO-თან მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელებად იქცა ის მეგობრული ვიზიტებიც, რაც 1996 წელს განახორციელეს საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო ხომალდებმა.

ჯერ 25 ივნისს ბათუმის პორტს, ხმელთაშუა ზღვაში ბაზირებული აშშ-ის მე-6 ფლოტის სადესანტო ხომალდი „VSS TORTUGA“ ეწვია 409 ოფიცრითა და მეზღვაურით, ხოლო ცოტა მოგვიანებით, 16 აგვისტოს ფოთში ღუზა ჩაუშვა აშშ-ის სანაპირო დაცვის გემმა „GALLATIN“-მა.

ყველა ამ ვიზიტს, მოგვიანებით უკრაინის სადარაჯო გემების მიერ განხორციელებული სტუმრობების ჩათვლით, წესით დადებითი როლი უნდა ეთამაშა ქართული სამხედრო-საზღვაო ფლოტის ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ როგორც შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა.

ივლისის თვე კინაღამ მსოფლიო მასშტაბის სკანდალად იქცა საქართველოსთვის და კერძოდ, მისი თავდაცვის მინისტრის ნადიბაიძისთვის. ახალდანიშნულმა რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა, გენერალმა ლებედმა გრაჩოვის ნათლია ნადიბაიძე შეთქმულების აქტიურ წევრად მოიხსენია.

რარიგ საკვირველი არ უნდა ყოფილიყო ბევრი ქართველი პოლიტიკოსისთვის, გრაჩოვის „მზის ჩასვენებას“ ნადიბაიძის ავტომატური მოხსნა არ მოჰყოლია და არც მოჰყვებოდა, რადგან რუსეთის მთავარ უწყებაში გენერალმა როდიონოვმა — „თბილისის გმირმა“ გაიმარჯვა. იმ გენერალმა, რომლის ხელქვეითაც ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში (ЗАКВО) მსახურობდა საქართველოს დღევანდელი თავდაცვის მინისტრი. უფრო მეტიც, როდიონოვმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროში ერთ თვეში უკვე შექმნა გუნდი, რომლის წევრებიც ჯერ კიდევ ათი წლის წინ საქართველოში მსახურობდნენ — მათ შორის არმიის გენერალი სამსონოვი, რომელიც რუსეთის გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა.

7 აგვისტოს თავდაცვის სამინისტრომ სენაკსა და ყულევში ყველაზე ფართომასშტაბიანი სწავლება ჩაატარა მოტომსროლელი ბრიგადის მასშტაბებით, რომელშიც 3349 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ფაქტობრივად, პირველად შედგა მსხვილმასშტაბიანი სამხედრო მანევრები — სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ნაწილების ერთობლივი, ურთიერთშეწყობილი სწავლება.

გასული წლის ზაფხულში თავდაცვის სამინისტროში დიდი საკადრო ცვლილებები მოხდა. გენერალი ნოდარ თათარაშვილი, რომელიც მანამდე თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე იყო, მთავარ სამხედრო კომისრად დაინიშნა, ხოლო მისი ადგილი გენერალმა ჯონი ფირცხალაიშვილმა (დამოუკიდებლობააღდგენილი საქარ-თველოს პირველმა თავდაცვის მინისტრმა, 1991 წელი) დაიკავა. სამხედრო მიმომხილველებმა ეს ფაქტი აღიქვეს, როგორც პრეზიდენტის მიერ შექმნილი ბალანსი ნადიბაიძის მიმართ.

თუმცა, ნადიბაიძემ, გარკვეულწილად, საპასუხო ნაბიჯი გადადგა და თანამდებობიდან გაათავისუფლა პირველი მოადგილე, თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის უფროსი გენერალი გურამ ნიკოლაიშვილი და დანიშნა თავის მოადგილედ პარლამენტთან ურთიერთობის საკითხში. ფაქტობრივად, ნიკოლაიშვილი ნადიბაიძემ თავიდან მოიცილა, როგორც ერთ-ერთი შესაძლებელი კანდიდატი მინისტრის პოსტზე.

მაგრამ ყველაზე დიდი სკანდალი თავდაცვის სამინისტროს კულუარებში დეკემბრის თვეში მოხდა, როდესაც მინისტრმა ნადიბაიძემ სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი კონტრადმირალი ჯავახიშვილი ამქვეყნიურ, თითქმის ყველა ცოდვაში დაადანაშაულა, სამხედრო ფლოტის შესახებ მასალები მთავარ სამხედრო პროკურატურაში გადაგზავნა და სამხედრო-საზღვაო ძალების ახალი სარდლის კანდიდატურის აქტიური ძებნა დაიწყო.

1 სექტემბერს უკვე შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარებმა ჩაატარეს სამხედრო-საჩვენებელი წვრთნები, სადაც პირველად ნაჩვენები იქნა ტაქტიკური დესანტის მტრის ზურგში პარაშუტებით გადასხმა, აგრეთვე, მასობრივი არეულობის ლიკვიდირება, სასჯელის აღსრულების ზონების დაცვა და იქიდან პატიმრების გაქცევის მცდელობების აღკვეთა. სხვათა შორის, დღეისათვის საქართველოს შინაგანი ჯარები, თავდაცვის სამინისტროს შემდეგ, რიცხობრივად მეორე ადგილზე იმყოფებიან და ასრულებენ სპეციფიკურ ამოცანებს.

გასულ წელს დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია საქართველოს საზღვრების დაცვამ და იქ განლაგებულმა რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა. ქართველმა მესაზღვრეებმა განაცხადეს, რომ მათ უკვე ძალუძთ საქართველოს საზღვრის გარკვეული ნაწილისა და საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაკონტროლება, მაგრამ რუსეთის მხარე არ ჩქარობს საზღვრის ამ მონაკვეთების დატოვებას.

გასულ წელს კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენა მოხდა, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს მოხსნა. ფაქტობრივად, უკვე შეიძლება ქართული არმია მარტო რუსული იარაღის იმედზე აღარ იყოს და NATO-ს სტანდარტების მქონე იარაღითაც შეიარაღდეს, თუმცა, როგორ განხორციელდება ეს რეალურად, ცოტა ძნელი სათქმელია. თუმცა, ოქტომბერში გამოიცადა ქართული წარმოების რამდენიმე ტიპის იარაღი, რომლებმაც დამაკმაყოფილებელი შედეგები აჩვენეს.

დამოუკიდებელ სამხედრო მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ გასული წელი საკმაოდ მდიდარი იყო სამხედრო მოვლენებით, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ერთიანი შეიარაღებული ძალების შესაქმნელად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სრულად არ იქნა გამოყენებული ყველა ის შესაძლებლობანი, რასაც პროგრამა — „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ აძლევდა ქართულ მხარეს. სამხედრო მიმომხილველებს ესმით, რომ რეგიონალური სამხედრო-პოლიტიკური ბალანსის უეცარი დარღვევა კარგს არაფერს მოუტანს საქართველოს, მაგრამ წინსვლა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ინტეგრაციისკენ, მათ შორის, სამხედრო საკითხებში, აუცილებელ პირობად რჩება.

*ირაკლი ალადაშვილი*

# ბუტროს ღალის აჩრდილი საქართველოში, ანუ... „ვინა ხართ თქვენ, ფეოდორ სტარჩევიჩ?!“

**1 იანვრიდან მოვალეობის შესრულებას შეუდგა გაეროს ახალი გენერალური მდივანი და მსოფლიოც იმედოვნებს, რომ საერთაშორისო თანადგომით ძირეულად შეიცვლება ამ ყველაზე წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციონირების სისტემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაეროს არსებობას საერთოდ დაეკარგება აზრი, რადგან ბოლო წლებმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ იგი პრაქტიკულად უსუსურია უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემებისა და უწინარესად სისხლიანი კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.**

**არასოდეს არ დასტყდომია გაეროს იმდენი კრიტიკა, როგორც ბუტროს ღალის გენერალური მდივნობის დროს და ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენა გახლდათ, რადგან თითქმის ყველგან ჩაიშალა ამ ორგანიზაციის დიპლომატიური, სამშვიდობო თუ სამხედრო ძლევამოსილება, რამაც ახალ-ახალი უბედურება დაატეხა თავს ამა თუ იმ კონფლიქტში ჩაბმულ ქვეყნებსა და ხალხებს. ამასთან, გაეროს და მის გენერალურ მდივანს პირდაპირ ადანაშაულებდნენ უზარმაზარი სახსრების უაზრო ფლანგვაში და, ალბათ, ესეც იყო მიზეზი იმისა, რომ აშშ-ის თავგამოდებული მცდელობით (აშშ ყველაზე მსხვილი დამფინანსებელია გაეროსი) ბუტროს ღალი, უბრალოდ, მოისროლეს თანამდებობიდან...**

**გაეროს „ქმედითუნარიანობა“, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე გამოსცადა საქართველომაც აფხაზეთის ომის დროსაც და განსაკუთრებით ამ ომში დამარცხების შემდეგ. ზემოთ მოყვანილ მიზეზთაგან ერთ-ერთი უპირველესი გახლდათ ისიც, რომ საქართველოში გაეროს მისიის ხელმძღვანელი ფეოდორ სტარჩევიჩი არაკომპეტენტური, „შემთხვევითი“ და რაც ყველაზე საშინელია ჩვენთვის — საეჭვო პიროვნება აღმოჩნდა. და ეს მაშინ, როცა ქვეყნისა და ერის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა...**

**ამიტომ უნდა გავიგოთ და გავაანალიზოთ წარსულის ყველა შეცდომა, რათა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს და გარდამტეხ მომავალ ხუთწლეულში, თავიდან ავიცილოთ ფეოდორ სტარჩევიჩის მსგავსი ოდიოზური და საეჭვო პიროვნებების ქართულ მიწა-წყალზე ბოგინი... წინამდებარე ინტერვიუც საქართველოში გაეროს მისიის ყოფილ თანამშრომელს, პოლიტოლოგ რამაზ კლიმიაშვილს, სწორედ ამ მიზნით ჩამოვართვი.**



*— ბატონო რამაზ, ვიდრე დღევანდელი ინტერვიუს მთავარ „გმირზე“ ვისაუბრებდეთ, მოკლედ იმის შესახებ, თუ რატომ გავიდა კოფი ანანის კანდიდატურა გაეროს გენერალური მდივნის პოსტზე?*

— ყველამ იცის, რომ გაეროს გარდაქმნა, რეფორმა და ახალი აზროვნება სჭირდება. ამიტომ გენერალური მდივნის არჩევისას ნამდვილად სწორი პრიორიტეტი გაკეთდა — ახალი გენერალური მდივანი ხომ სამშვიდობო ოპერაციებს კურირებდა, თანაც მან მთელი თავისი პროფესიული მოღვაწეობა გაეროში გაატარა, კარგად იცის ამ ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები და, რაც მთავარია, ის, თუ რატომ დაკარგა სამუშაო ბუტროს ღალიმ.

*— და მაინც. რამ განაპირობა ბუტროს ღალის ამგვარი უცერემონიო მოცილება და რა ძირითადი უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა მისი გენერალურ მდივნად ყოფნის პერიოდში?*

— უკვე შეიძლება ღიად ლაპარაკი იმაზე, რომ ბუტროს ღალი აშკარად პრომოსკოვური ორიენტაციისა და განწყობის მოღვაწე გახლდათ. როგორც ცნობილია, იგი აფრიკის ქვოტით იყო არჩეული, მაგრამ მას ცოტა რამ აკავშირებდა აფრიკასთან: არჩევისას ყურადღება არ მიექცა მის ეროვნებას (უფრო ზუსტად კი — მის სარწმუნოებას) — იგი კოპტია, რომელთა ეკლესია რუსეთს მისჩერებია. გაერომ, დღევანდელი სახით, ხრუშჩოვის დროიდან დაიწყო ჩამოყალიბება, რომელიც მოითხოვდა, რომ გაეროს ერთდროულად სამი გენერალური მდივანი ჰყოლოდა. მართალია, გაეროს ეფექტურობის მოსაპოვებლად მიმართული ეს წინადადება არ განხორციელებულა, მაგრამ გაერო არაფორმალურად ნამდვილად გაიყო სამ ნაწილად, რომლებიც ერთმანეთში ხშირად ვერაფერს ნახულობდნენ საერთოს. მაგალითად, მსოფლიოს პატარა ქვეყნებს, საერთო ჯამში, იმდენივე ხმა ჰქონდათ, რამდენიც ზეინდუსტრიულ სახელმწიფოებს და აქედან გამომდინარე, თანაბარი პოლიტიკური წონით სარგებლობდნენ გენერალური ასამბლეის სესიებზე. აქ კი, საპარლამენტო დემოკრატიზმი აყვანილ იქნა აბსურდამდე, როცა სრულიად არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, თუ ვინ წარმოადგენდა და წარმოადგენს გაეროს უპირველეს დონორს. ამის გამო, აშშ-მა შეწყვიტა გაეროს დაფინანსება. გარდა ამისა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გაეროს მთელი ბიუჯეტი იხარჯებოდა ამ ორგანიზაციის ბიუროკრატიის შენახვაზე. მაგალითად, შარშან მარტო ნიუ-იორკის გაეროს შტაბ-ბინაში 21 ათასი(!) თანამშრომელი მუშაობდა. თუ ამას დავუმატებთ გაეროს ევროპის ფილიალს ჟენევაში, უზარმაზარ ოფისებს პარიზში, ვენასა თუ რომში და ა.შ. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ორგანიზაციის „ბობოლების“ ცხოვრების წესს, გასაგები გახდება, თუ რატომ რჩებოდა სამშვიდობო ოპერაციებისა და განვითარების პროგრამების განსახორციელებლად თანხის სულ უფრო არასერიოზული რაოდენობა.

*— ბუტროს ღალის ისტორიამ კვლავ გამახსენა თქვენი გახმაურებული კონფლიქტი ფეოდორ სტარჩევიჩთან. როგორ მოხდა ეს კაცი საქართველოში? რამდენადაც მახსოვს, ამის შესახებ არავის არ ჰქონდა ინფორმაცია — მასმედიას ვგულისხმობ.*

— სტარჩევიჩი 1990 წელს დაინიშნა იუგოსლავიის უკანასკნელ ელჩად დიდ ბრიტანეთში, მაგრამ იუგოსლავიის დაშლის გამო, ამ პოსტზე მცირე ხანი დაჰყო. მის მშობლიურ ბოსნიაში ომი დაიწყო და შინ აღარც დაბრუნებულა... იჯდა ლონდონში უმუშევარი, ვიდრე 1992 წლის შემოდგომაზე, „მოულოდნელად“, არ შესთავაზეს თბილისში ჩამოსვლა.

*— მაინც, ვინ და როგორ მოძებნა და შეარჩია იგი საქართველოში გამოსაგზავნად?*

— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სტარჩევიჩი ბოსნიელი სერბი გახლავთ და სწორედ იმ პერიოდში ბოსნიელი სერბები, აფხაზ სეპარატისტთა მსგავსად, რუსეთის მხარდაჭერით, რუსული ფულითა და იარაღით ამბოხდნენ და ეთნიკურ წმენდაშიც არიან დადანაშაულებულნი, თანაც ერთ პერიოდში ლამის გაეროსაც გამოუცხადეს ომი... დამეთანხმებით, რომ ცოტა უცნაურად გამოიყურება ბუტროს ღალის მიერ სტარჩევიჩის საქართველოში დანიშვნა, ესოდენ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე აფხაზეთში და საერთოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი იგი ობიექტური ნამდვილად არ იქნებოდა!

*— თქვენმა ნათქვამმა ბოსნიელ სერბებთან დაკავშირებით, არძინბას ამასწინანდელი განცხადება გამახსენა, რომლის თქმითაც, თურმე, „გაეროშიც ბევრი იდიოტი ყოფილა!“ ასე რომ, ბუტროს ღალიმ მიიღო ის, რაც დაიმსახურა. მაგრამ ისმის კითხვა — იყო თუ არა ფეოდორ სტარჩევიჩი რუსეთის აგენტი?*

— ამ ტერმინის ვიწრო გაგებით — არა! მაგრამ უმუშევარმა, უსახლკარო სტარჩევიჩმა „ვიღაცისგან“ მიიღო ეს ძალიან მაღალხელფასიანი, პრესტიჟული თანამდებობა და ამიტომ, ყოველგვარი კარნახის გარეშე, შესანიშნავად ხვდებოდა, თუ ვისი ინტერესები უნდა დაეცვა აფხაზეთის კონფლიქტში. სწორედ ეს იყო მიუღებელი და აღმაშფოთებელი, რადგან დაუშვებელია გაეროს ჩინოვნიკი საკუთარი სიმპათია-ანტიპათიით ხელმძღვანელობდეს. აქ ბევრი ფაქტის გახსენება და სენსაციური მოწმეების დასახელებაც შემიძლია, მაგრამ, ჯერჯერობით, ამის დრო არ მოსულა...

*— კი მაგრამ, როდის მოვა ეს დრო?*

— ჩემი უცხოელი მეგობრები მთავაზობდნენ ნიუ-იორკში სამოქალაქო სარჩელის აღძვრას სტარჩევიჩის წინააღმდეგ, მაგრამ თავს ვიკავებდი, რადგან ბუტროს ღალი იყო იქ. ახლა კი, სიტუაცია იცვლება და ნიუ-იორკში სენსაციური სასამართლო პროცესის გამართვა შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს საქართველოსთვისაც.

გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ედუარდ ბრუნერი მთელ ოპერატიულ ინფორმაციას საქართველოსა, და, უწინარესად, აფხაზეთის შესახებ თეოდორ სტარჩევიჩისგან იღებდა, — მგონი, ეს ფაქტიც კმარა ბრუნერის პოზიციის ბოლოდროინდელი მეტამორფოზის ასახსნელად. ხოლო თუ რა ინფორმაცია მიეწოდებოდა ბრუნერს ადრე, ნათელია! ვისაც სტარჩევიჩთან ჰქონდა საქმე, კარგად ეხსომება ის ქილიკი, რომელსაც მიმართავდა იგი საქართველოს ხელისუფლების თითოეულ წევრზე საუბრისას, თანაც მან „საიდანღაც“ დეტალურად იცოდა ხელისუფლების ცალკეულ წევრთა კორუფციის ფაქტები... რასაკვირველია, ხშირ შემთხვევაში, ჩვენდა საუბედუროდ, მისი ნათქვამი სიმართლე იყო. მაგრამ ამას დიდი სიამოვნებითა და ბედნიერი გამომეტყველებით აკეთებდა...

განსაკუთრებულ ხეტარებას გვრიდა ის ფაქტი, რომ ქართველი პოლიტიკოსები, რომლებსაც აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი ევალებოდათ, სრულიად არაკომპეტენტურები იყვნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობისთვის და არაფერი გაეგებოდათ გაეროს რეგლამენტისა და მუშაობის საკითხში. სწორედ ამის გამო იყო, რომ ჩვენი მიმართვები ცარიელ რეზოლუციებად დარჩა (ცნობილია, რომ აფხაზეთში ეთნიკური წმენდის საერთაშორისო დაფიქსირებისთვის, ჩემს მიერ წარმოდგენილი პროცედურა ხელისუფლებამ უკუაგდო თავის დროზე, მაგრამ შემდგომ პარლამენტმა დაადასტურა, რომ მე მართალი ვიყავი...).

*— თქვენ ზემოთ სტარჩევიჩის სუბიექტურ თვისებებსაც შეეხეთ. ნუთუ მართლა ასე სძულდა საქართველო?*

— მე პირველად ვნახე ცხოვრებაში უცხოელი კაცი, რომელსაც ასეთი წრეგადასული ზიზღით ეჯავრებოდა ყოველივე ქართული. გაეროს საქართველოს წარმომადგენლობაში თანამშრომლები ხშირად ვცდილობდით ამ ფაქტის რაიმე ხელმოსაკიდი ახსნისთვის მიგვეკვლია, იმდენად ავადმყოფურად, მანიაკურად გამოიყურებოდა მისი საქციელი. ამასთან, ობიექტურობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ ხელისუფალთა ის წრე, ვისთანაც სტარჩევიჩი სისტემატურად იყო კონტაქტში, ნამდვილად დაბალ წარმოდგენას შეუქმნიდა ქართველებზე. მაგრამ, მაინც სრულიად მიუღებელი იყო გადაგვარებული პიროვნების დიდხანს მოთმენა და მხოლოდ ზურგს უკან მისი კრიტიკა. არადა, სტარჩევიჩი, რადგანაც გასდიოდა ქართველების გამუდმებული ლანძღვა-დაცინვა, სულ უფრო თავხედდებოდა!

გაეროს საქართველოს წარმომადგენლობაში იმ პერიოდში მუშაობდნენ მაღალკვალიფიციური უცხოელი ექსპერტები და სწორედ ისინი იჩაგრებოდნენ ყველაზე მეტად საქართველოსადმი თავიანთი უანგარო და გულისხმიერი დამოკიდებულების გამო და მერე ვისგან? ნაკლებადცნობილი ბიუროკრატისგან! ამ ექსპერტებში აღშფოთებას იწვევდა კაცი, რომელმაც პრაქტიკულად ჩაშალა საქართველოში გაეროს მისიის, შემდეგ კი — განვითარების პროგრამის მუშაობა და სწორედ, მათ მომთხოვეს საჯაროდ ხმა ამომეღო და დამეცვა ჩვენი ერის ღირსება. და კიდევ, მიუხედავად იმისა, რომ სტარჩევიჩის დაუსრულებელი სკანდალური კონფლიქტები თავის საერთაშორისო კლასის თანამშრომლებთან დოკუმენტირებული და გაგზავნილი იყო ნიუ-იორკში, ბუტროს ღალი „რატომღაც“ თვალს ხუჭავდა...

— მართლაც, ვინ იყო „ეს“ ბუტროს ღალი? არ დამავიწყდება საქართველოში მისი ყოფნისას გამართული პრესკონფერენცია, როცა ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა პირდაპირ ჰკითხა: რატომ ხდებოდა სოხუმის დაცემის წინ ქალაქის საარტილერიო დაბომბვის კორექტირება იმ შენობიდან, რომელშიც გაეროს მეთვალყურეების შტაბბინა იყოო (გაეროს მეთვალყურეები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს სანატორიუმის შენობაში იმყოფებოდნენ). გაეროს გენერალურმა მდივანმა კი „თვალდაუხამხამებლად“ მიუგო, ჩემი ხალხი იმ დროს იქ არ ყოფილაო(?!). არადა, ფაქტია, რომ იყვნენ...

— მეტსაც გეტყვით, ანეგდოტამდე მისულ ისტორიას. მოგეხსენებათ, ბუტროს ღალის თბილისში ვიზიტისას, ქალაქი საშინელ ენერგოკრიზისს განიცდიდა. პრაქტიკულად, არსად იყო შუქი და მძლავრი გენერატორებით გაჩირაღდნებული და გამთბარი — საქართველოში მხოლოდ გაეროს მისიის შენობა იყო საბურთალოზე. მოხდა საოცრება. ბუტროს ღალის გაეროს წარმომადგენლობაში მიწვევის დროდ, სტარჩევიჩმა ღამე აირჩია. იმ საღამოს მისიის შენობის ირგვლივ მდებარე ყველა შენობაში შუქი იყო, ჩვენი შენობის გარდა, სტარჩევიჩმა კი გენერატორი არ ჩართო და, ალბათ, გახსოვთ, ყველამ ვიხილეთ არაერთხელ ტელეეკრანზე, თუ როგორ მიუძღვებოდა სანთლით ხელში ფეოდორ სტარჩევიჩი თავის ნიუ-იორკელ შეფს და ათვალიერებდა მისიის აპარტამენტებს. ეს იყო სპეციალურად მოწყობილი შოუ, რათა გენერალური მდივნისთვის ეჩვენებინა, თუ „რა საშინელია საქართველოში ცხოვრება და მუშაობა“. რა თქმა უნდა, ბუტროს ღალის შეეძლო ელემენტარულად ეკითხა — „ამდენ ფულს რომ გაძლევთ, რატომ არ ყიდულობთ გენერატორს“, მაგრამ ამ შეკითხვით თავი არ შეუწუხებია...

*— ნუთუ ხელისუფლებისთვის არ იყო ცნობილი სტარჩევიჩის „საქმენი-საგმირონი“, ან თუ იყო, რა რეაქცია ჰქონდა მასზე?*

— ჩემთვის ცნობილია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა 1994 წლის შემოდგომაზე მოამზადა წერილი ბუტროს ღალისადმი, დასაბუთებული მოთხოვნით, რომ სტარჩევიჩი გაეწვიათ. 1995 წლის იანვარში საქართველოში გაეროს მისია გაუქმდა და სტარჩევიჩი ჩამოაქვეითეს გაეროს ერთ-ერთი სააგენტოს — განვითარების პროგრამის დროებით ხელმძღვანელად, რასაც იგი ყველას უმალავდა...

*— და მათ შორის, საქართველოს ტელევიზიასაც? როცა მე სტარჩევიჩი, თანამდებობიდან წასვლის წინ, რამდენჯერმე მივიწვიე პროგრამა „მერიდიანში“, მახსოვს ხაზგასმით მთხოვა: ტიტრებში ზუსტად მიმეთითებინა მისი თანამდებობა — საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი...*

— არც არის გასაკვირი. ამერიკის საელჩოში გამართულ ერთ-ერთ მიღებაზე მე თვითონ გავხდი მოწმე იმისა, თუ როგორ უმტკიცებდა ყველას, რომ მის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან „კომუნისტურ შეთქმულებას“ ჰქონდა ადგილი. ვერ ხვდებოდა, დემაგოგიისას „ავიწყდებოდა“, რომ მისი მშობლიური კომუნისტური იუგოსლავია დიპლომატიურ სამსახურს არაკომუნისტებს სათოფეზე არ აკარებდა. არადა, ამერიკელებმა ხომ შესანიშნავად იცოდნენ ყველაფერი?

*— ბოლოს და ბოლოს, მოსახდენი მოხდა და თქვენ სტარჩევიჩის წინააღმდეგ გამოხვედით სენსაციური განცხადებით. რა რეაქცია მოჰყვა მას?*

— ტიპური საბჭოთა რეაქცია: მართალია, ყველამ იცოდა სახელმწიფოს მეთაურის მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება სტარჩევიჩისადმი, მაგრამ, ტრადიციულად, ჩვენს ჩინოვნიკებს არ უყვართ, როცა ვინმე ინიციატივას იჩენს. ამის საწინააღმდეგოდ, ბატონმა კენტ ბრაუნმა მითხრა, — ასეთი პატრიოტული საქციელისთვის ამერიკაში დაგაჯილდოვებენო, მაგრამ ჩვენთან ხომ ყველაფერი უკუღმაა და თან უკვე ყველამ იცის, რომ დღევანდელ საქართველოში პატრიოტიზმი მხოლოდ სუფრის ატრიბუტია. ამიტომ, არაფერი მოულოდნელი არ ყოფილა. თუმცა, შემეძლო ხმა არ ამომეღო, როგორც მირჩევდნენ კიდეც, დოლარებით ანაზღაურებად ოფისში დავრჩენილიყავი, მაგრამ საკუთარი პრინციპების წინაშე არ ვიქნებოდი მართალი...

სამაგიეროდ, მორალური კომპენსაცია მივიღე, როცა სახელმწიფოს მეთაურმა, მიუხედავად დიპლომატიური პროტოკოლის მკაცრი მოთხოვნისა, არ მიიღო და მადლობა არ გადაუხადა სტარჩევიჩს საქართველოში მისი (გაურკვეველი) მოღვაწეობის დასრულებისას, რაც სტარჩევიჩისთვის დიპლომატიური კარიერის ფინალის ტოლფასი იყო.

*— რა ბედი ეწია სტარჩევიჩს შემდეგ?*

— ორი-სამი თვე თბილისში იმყოფებოდა უსაქმოდ, უმუშევარი. შემდეგ ინდოეთში გადაგზავნეს გაეროს მისიის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელად, ესე იგი, კიდევ უფრო დააქვეითეს...

*— ბატონო რამაზ, ჩვენ მხოლოდ დღეს ვსწავლობთ საერთაშორისო ურთიერთობების „ანა-ბანას“... და მაინც, გვაქვს თუ არა უფლება პრესაში ვაკრიტიკოთ აქ მოღვაწე უცხოელ დიპლომატთა საქმიანობა?*

— როდესაც ისინი თავიანთ პირდაპირ მოვალეობას არ ასრულებენ და თუ ეს ჩვენი ქვეყნის ინტერესების საზიანოდ ხდება — რასაკვირველია. ოღონდ, ეთიკის ნორმების დაცვით, საქმის ცოდნით და მაღალპროფესიული დონით. მაგრამ იმ დროს ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა შეკვეთილი წერილი, რომელშიც ჟურნალისტი „გულისტკივილით“ ჩიოდა: „სად არის ჩვენი ქართული სტუმართმოყვარეობა?“ მას შევახსენებ, რომ ჯერ კიდევ პირველყოფილი თემური წყობილებიდან შემორჩენილი სტუმართმოყვარეობის ადათწესი, არ შეიძლება მე-20 საუკუნის ბოლოს გავრცელდეს დიპლომატებზე, რომლებიც საქართველოში სტუმრად კი არ ჩამოდიან, არამედ სამუშაოდ და რაშიც, ნებისმიერი სტანდარტებით, ხშირად ასტრონომიულ ხელფასებს ღებულობენ...

*— რეზიუმეს სახით, საერთოდ, როგორ შეაფასებდით ამ სკანდალურ ისტორიას?*

— ჩვენ მაშინ (გამოუცხადებელ) ომში ვიყავით რუსებთან და მათაც, სრულიად ბუნებრივად და გასაგებად, საკუთარი ინტერესები დაიცვეს ომის დროს არსებული და მიღებული წესებით. ასე რომ, გულუბრყვილობა იქნებოდა მათზე განაწყენება...

*— გასაგებია...*

— ყველასთვის გასაგები უნდა იყოს ისიც, რომ 1994 წლის 4 აპრილს, მოსკოვში, სანდრო კავსაძემ ბუტროს ღალის თანდასწრებით მოაწერა ხელი დოკუმენტს, რომლითაც მდინარე ენგური დე-ფაქტო საქართველო-აფხაზეთის საზღვარი გახდა და ლტოლვილებს შინ დაბრუნების გზა გადაეკეტათ. მაშინ რუსებმა ამ სამარცხვინო კაპიტულაციაზე ხელმოსაწერად, სწორედ ბუტროს ღალის სახელით დაგვაშანტაჟეს. დღეს კი, როდესაც ბუტროს ღალი ჩამოვარდა და რუსებმაც ჩეჩნეთის ომის მარცხი იგემეს, იქნებ მოხდეს სამარცხვინო დოკუმენტის დეზავუირება?

*— გმადლობთ, საინტერესო საუბრისათვის.*

*ზ. მჭედლიშვილი*

# ათადან და ბაბადან



ახალი წელი — ბრწყინვალე, ზღაპრული დღესასწაულია. თოვლის პაპასა და ფიფქიას (და არა მარტო მათ) თქვენი ყველაზე სანუკვარი ოცნების ასრულება შეუძლიათ. ამიტომ ახალწლის წინა ღამეს ოდითგანვე პოპულარული იყო მკითხაობა.

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას.

**ბედი ქუდში:** შობის დღეებში (25 დეკემბერი-7 იანვარი) შეგიძლიათ გაიგოთ, გათხოვდებით თუ არა მომავალ წელს. აიღეთ დიდი ქვაბი ან ყუთი და შიგ ჩააწყვეთ სამი რამ: მამაკაცის ქუდი, პურის ყუა და ხის ნაჭერი. აიხვიეთ თვალი, ან მაგრად დახუჭეთ და ისე ამოიღეთ ქუდიდან თქვენი არჩევანი. თუ ხელთ ქუდი მოგხვდათ, გიხაროდეთ! წლეულს აუცილებლად გათხოვდებით! პური თუ გერგოთ, გულს ნუ გაიტეხთ, ალბათ, დაცდა მოგიწევთ, მაგრამ თუ ხის ნაჭერი შეგხვდათ, ჯანმრთელობას უნდა მიხედოთ.

**წინასწარმეტყველი ძაღლი:** ეს ხერხი გაცილებით იოლია. უმჯობესია, თუ ამ „მისტიკურ" ღონისძიებაში დაქალებსაც ჩართავთ. თითოეულმა პურის გული ბურთულებად დაანაწილეთ. მერე ძაღლს უხმეთ. ვის ბურთულასაც პირველად გადაყლაპავს „წინასწარმეტყველი", სწორედ ის იპოვის წელს გულის რჩეულს.

**ფისო** თუ გყავთ, ადვილად გაიგებთ, შეგისრულდებათ თუ არა ესა თუ ის სურვილი. ჩაიფიქრეთ, რაც გსურთ და ფისოს უხმეთ. თუ თქვენმა ფუმფულა მეგობარმა ოთახში პირველად მარჯვენა თათი შემოდგა, სურვილი შეგისრულდებათ, თუ მარცხენა — არა!

გისურვებთ წარმატებებს!

## თუ სტრესი მოგეძალებათ, სცადეთ, განმუხტვის 9 საშუალება:



❄ უამბე, გაენდე ვინმეს;

❄ დაჯექი სარკის წინ და საკუთარ თავს დაუფარავად, შეულამაზებლად უამბე, რაც განუხებს;

❄ გაიხსენე ეპისტოლარული ჟანრი და მისწერე ბარათი, ქაღალდს მიანდე ყველაფერი, აქამდე გაუმჟღავნებელიც კი;

❄ დაისვი მუხლებზე კატა, ძაღლი ან სხვა ოთხფეხი, ნახავ, როგორ შეგიმსუბუქდებათ დარდი;

❄ მიეცი თავს ნება და ერთი გულიანად იტირე;

❄ მოიპოვე შვება; დაიდე გულზე ხელი და დაუგდე ყური, როგორ ცემს იგი და როგორ სწუხს თქვენთან ერთად;

❄ რაც ძალი და ღონე გაქვს, იყვირე „აუუუ" — წამსვე განიმუხტები, დაგტოვებს გაღიზიანება და კომპლექსი;

❄ მიართვი საკუთარ თავს საჩუქარი, ეს ძალზე ეფექტურია; საჩუქარი შეიძლება ერთი პაწია ყვავილიც კი იყოს;

❄ მოიწყვე დღესასწაული — გააწყვე, მორთე სუფრა, ჩაიცვი საუკეთესო სამოსი, მაკიაჟიც არ დაივიწყო... მშვენივრად გამოიყურები, დასტკბი ამ წამით.

## თქვენს წინაშეა ეგზოტიკური ქვეყნების დიდი არჩევანი



მეტისმეტად მდიდრულად და პომპეზურდაც კი. ოთხ-ხუთვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება დღე-ღამეში 100-ზე მეტი დოლარი ღირს. ძალიან იაფიაო, ვერ გეტყვით, მაგრამ სასტუმროთა უმრავლესობაში მოქმედებს სისტემა, ALL INELUSIVE, რაც ჩვენებურად იმას ნიშნავს, — ჭამე და სვი, რამდენიც შეგერგება, ერთადერთი პირობით, სასმელი ადგილობრივი უნდა იყოს. იყოს და იყოს, ვითომ დავიწუნებთ მექსიკურ მშვენიერ ლუდს, მით უმეტეს, მუქთად? გასართობზე კი მოგვიწევს ფულის გადახდა, გასართობი კი უხვადაა — ჩოგბურთისა და გოლფის კორტები, დისკოთეკები, რესტორნები, ღამის ბარები, მშვენიერი ქალბატონები და (რა თქმა უნდა, მეუღლეებით, ან თუნდაც მარტო — ვითომ რა მოხდა?).

სხვათა შორის, კანკუნის მახლობლადაა ორი უმშვენიერესი პარკი, სადაც დელფინებთან ერთად შეიძლება იცუროთ, დატკბეთ ეგზოტიკური პეპლების მშვენიერებით, მოინახულოთ მაიას ტომის (თითქმის ნამდვილი) სამყოფელი.

**კანკუნი** მარტო მექსიკური კურორტი კი არა, მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი დასასვენებელი ადგილია. ჯერ კიდევ 1970 წელს აქ მეთევზეთა პატარა დასახლება იყო. მერე კი ჭკვიანი ადამიანები THE BAAANK OF MEXIKO-დან მიხვდნენ, რომ კარიბის ზღვის სანაპიროზე გაჭიმული ეს თორმეტი მილის სიგრძის ზოლი, რომელიც ნახევარკუნძულ იუკატანს „დიდ მიწასთან" აერთებს, არაჩვეულებრივ კურორტად შეიძლებოდა ქცეულიყო. დღეს კანკუნი დამსვენებელს სთავაზობს საუცხოო სასტუმროებს, დამსვენებელთა უმეტესობა ამერიკელები არიან და კურორტიც მათი გემოვნებითაა მოწყობილი —

## კენიელი რომეო და ჯულიეტა

კენიის კურიის პროვინციის ხელისუფლებამ გააუქმა 9 წლის სიძისა და 12 წლის პატარძლის ქორწინება, მათი მშობლები კი დააპატიმრა, თუმცა, მათ დანაშაულს კოდექსი ვერ მიუყენეს. ნორჩი „მეუღლენი" გაოცებულნი დარჩნენ, როცა საოლქო კომისარმა განუცხადა, — თქვენი დაოჯახება ნაადრევიაო.

გოგონას მამა ძალიან გაცხარდა, რადგან აქაური ადათით, სასიძოს ოჯახი ურვადში 10 ძროხას დაჰპირდა, სადედამთილოც მეტად ნაწყენი დარჩა,— იმედი ჰქონდა, ოჯახში მუშახელი შემომივაო და ამ კანონის დამცველებმა ყველაფერი ჩაუშალეს.

## ვერსაჩე-50



ამერიკაში მას იუბილე შარშან, დეკემბერში გადაუხადეს. საზეიმო სხდომაზე ჯანი ვერსაჩემ სპეციალური პრიზიც მიიღო, — „მოდასა და მუსიკის სფეროში ღვაწლისათვის."

ვერსაჩეს ფირმის შემოსავალი უკვე 1515 მლრდ ლირს აღწევს წელიწადში. ეს თავბრუდამხვევი წარმატება ვერსაჩეების ოჯახის ერთობლივი შრომის შედეგია: ჯანის შემოქმედებითი ძიებანი და ფანტაზიები, მისი ძმის, სანტოს ადმინისტრაციული და კომერციული ნიჭი და ამას დამატებული დის, დონატელას გაბედული იდეები, რომელიც, ამავე დროს, ვერსაჩეს კატალოგების სტილისტი და პროდიუსერია. ვერსაჩეს მოდელების პოპულარობას დიდად შეუწყეს ხელი ნაომი ქემფბელმა, სინდი კროუფორდმა და კლაუდია შიფერმა. მისი მოდების ჩვენებისთვის მუსიკას წერენ პრინსი და ელტონ ჯონი. ვერსაჩეს მუდმივი კლიენტებია — სტინგი, ჰიუ გრანტი, ელიზაბეთ ჰარლისთან ერთად, მაიკ თაისონი, ვუდი ალენი, პრინცესა დაიანა და სხვა მრავალი.

ვერსაჩე თეატრშიც მოღვაწეობს, როგორც კოსტიუმების მხატვარი.

## როგორ მოვიპოვოთ საუკეთესო ცოლის ტიტული



***კარგმა ცოლმა უნდა იცოდეს:***

მისი ქმარი ყველაზე უკეთესია;

იგი (ქმარი) არა მარტო ყველაზე ჭკვიანი, არამედ ყველაზე ნიჭიერიცაა;

მისი (ქმრის) გენიალობა მხოლოდ იმიტომ არ აღიარეს, რომ გარს შურიანები ახვევია;

***კარგი ცოლი უნდა:***

მისდევდეს ქმრის მითითებებს და ნაკლებად უგდებდეს ყურს საკუთარ გულისთქმას;

ყოველთვის გამოიყურებოდეს სექსუალურად ქმრისთვის და შეუმჩნევლად — სხვებისთვის;

მუდამ მზად იყოს, გაუწყოს ქმარს საუზმე თუ ვახშამი;

ილვიძებდეს ქმარზე ნახევარი საათით ადრე...

***კარგმა ცოლმა:***

უნდა შეიყვაროს დედამთილი, როგორც ღვიძლი დედა;

ქმრის ფული ყაირათიანად უნდა ხარჯოს;

უნდა გასწიოს მშვენიერი საყვარლობა;

მუდამ უნდა იზრუნოს საკუთარი ინტელექტის ამაღლებაზე;

ქმრის მეგობრებს ყოველთვის გულღიად შეხვდეს.

***კარგი ცოლი:***

არასოდეს აწყობს ეჭვიანობის სცენებს;

კარგად შეისწავლის ქმრის ჩვევებს და საკუთარს მიუსადაგებს.

*ასეთი ცოლის პატრონ მამაკაცს მტკიცედ სჯერა, რომ მისი ცოლი ყველაზე ჭკვიანი, ნიჭიერი, ლამაზი და ერუდირებულია.*

## კოსმეტიკა პროფესიონალებისთვის



***მან იცის ყველაფერი პომადის შესახებ***

ალენ ვაისინჯერის გარეშე კინოინდუსტრია წარმოუდგენელია; იგი აძლევს ფორმას კინოვარსკვლავის ტუჩებს... მერილ სტრიპი, მელანი გრიფიტი, ჯულია რობერთსი მის ლოყაზე სტოვებენ საკუთარი ბაგის ანაბეჭდებს, ამ ბაგეებს კი ალენი აძლევს მეორე სიცოცხლეს.

***იგი გვირჩევს:*** პომადა ეფექტურად უნდა გამოიყურებოდეს ძლიერი განათების დროსაც;



პომადა თქვენს ხელში იგივეა, რაც მხატვრის ფუნჯი;

ამ სეზონის ნამდვილი ჰიტია ღია-ყავისფერი პომადა ROUGE ALEVRES BRUN GLASE;

ჯერ ბაგე შემოიხაზეთ, შემოივლეთ კონტური, მხოლოდ შემდეგ წაისვით პომადა თანაბრად. იხმარეთ სპეციალური კოსმეტიკური ფუნჯი;

ტუჩები ხშირად შრება, იხმარეთ დამარბილებელი პომადა MAISTURE RICII;

თვალების შემდეგ ტუჩები თქვენი სახის ყველაზე გამომსახველი ნაკვთია.

## ათასწლეულების ლირიკული სამიჯნურო ლექსი ეჰნათონისა ნეფერტიტისადმი



დავეძებ ბაგით ტკბილსა ფშვინვას შენთა ბაგეთა,
მყოვარჟამიერ მე მაოცებს მშვენება შენი,
ო, როგორ მინდა, სულ ვუსმინო ამ ამო ხმასა,
ვითა ნიავი, რომ წკრიალებს უდაბნოებში.
შენსა მიჯნურსა მიახლდება ყმაწვილკაცობა,
მომეცი ხელი, ხელი წრფელი, ხელი — ლამპარი...
მარქვი მე შენი მარადისობა,
უშენოდ რა ვარ... უშენობა, ზეცის სადარო...

## უსირცხვილო აფროდიტე

ბერძენი ქალების ჩამოქნილ მკლავებს ძველ დროში მხოლოდ ტუნიკისა და ქიტონის ჭრილში თუ მოჰკრავდით თვალს. როდესაც მოქანდაკე ანაქსიმანდრემ ცნობილი აფროდიტე გამოაქანდაკა და ნახევარი მკლავი სულ მოუშიშვლა, საშინელი სკანდალი ატყდა. ტაძარმა, რომელმაც დაუკვეთა სკულპტურა, „უხამსი ჩაცმულობის" გამო აღარ გამოისყიდა იგი.

## პიცა „პალიტრა"

კარგად შეაზილეთ ერთმანეთს 200 გ. მაწონი, 2-3 ც. კვერცხი, 100 გ. მარგარინი ან კარაქი, დანის წვერით — მარილი, 1 ჩაის კოვზი ძმრიანი სოდა და იმდენი ფქვილი, რომ ნაზი ცომი მივიღოთ. 1 სთ-ით შედგით მაცივარში, გააბრტყელეთ, დადეთ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ტაფაზე, ნაპირები ამოუწიეთ, წაუსვით შეზავებული 1 სუფრის კოვზი ტომატის პასტა, ლამაზად მოაწყვეთ წინასწარ ზეთში დაბრაწული 3-4 თავი ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, კუბიკებად დაჭრილი 150 გ. მოხარშული ხორცი ან ძეხვი, 50 გ. შემწვარი სოკო, ზემოდან მოაწყვეთ მრგვალად დაჭრილი 2-3 ცალი პომიდორი, მოაყარეთ 4-4 ძირი დაკეპილი კამა, ქინძი და მწვანე ხახვი, მოასხით 2 სუფრის კოვზ რძეში ათქვეფილი 2-3 ც. კვერცხი და მხურვალე ღუმელში 15-20 წუთით შედგით.

## ხორცის ღვეზელი

თითო კგ ღორის და ძროხის ხორცი ორჯერ გაატარეთ ხორცსაკეპში, შეაზილეთ 50 გ. დანაყილი ხმელი ქონდარი, 200 გ დამბალი და გაწურული კონახური, 2 ც. კვერცხი, მარილი გემოვნებით. გრძლად გაშალეთ ფარში ცივი წყლით დანამულ ტაფაზე, ჩააწყეთ შიგ 5-6 ც. მაგრად მოხარშული კვერცხი, დაფარეთ, გაასწორეთ, შეწვის დროს რომ არ დასკდეს, რამდენიმე ადგილას ჩანგლით ჩაჩხვლიტეთ და ცხელ ღუმელში შედგით. დროდადრო მოასხით გამონაყოფი ცხიმი. მზა კერძი გააციეთ და თხლად დაჭერით, ლამაზად დაალაგეთ სალათის ფოთლებიან ლანგარზე.

## საშობაო ღვეზელი

მოზილეთ საფუვრიანი ცომი, ააფუეთ, ამოაგუნდავეთ, თითოეულს მიეცით მოგრძო ფორმა, გააბრტყელეთ, გულში ჩაუდეთ ჭყინტი ყველი, მოაწყეთ თხლად დაჭრილი მაგრად მოხარშული კვერცხი. შუაში, მთელ სიგრძეზე, ლამაზი ნაწიბურით შეკარით, ზემოდან წაუსვით 1 სუფრის კოვზ რძეში ათქვეფილი კვერცხი და ცხელ ღუმელში გამოაცხვეთ.



## ცომეული სულაც არ მასუქებს

ასე ამტკიცებენ იტალიური სამზარეულოს თაყვანისმცემლები. ლაპარაკია ჩვენში სპაგეტის სახელით ცნობილ საკვებზე. სოფი ლორენი მთელი ცხოვრება მიირთმევს მას და თურმე, არც კრემიანი ტორტით პირის ჩატკბარუნებაზეა უარს. თუ ზომიერად მიირთმევთ, არ გასუქდებითო, — ირწმუნება იგი. შეხედეთ, ქალბატონებო და...

# აბა, ერთი წიქვენ გამოგეკიდოთ ქაფიანიძე და, ისიც კომბლით ხელში...

ქალაქში ცნობილი კოლორიტული პიროვნება. ინჟინერი, მეტეოროლოგი, კინომსახიობი, სასტუმრო „ივერიის“ დირექტორი, ნაღდი თბილისელი და შესანიშნავი მეგობარი, მეოჯახე... მის ხსენებაზე ბევრს კეთილი ღიმილით ენთება თვალები და რა გინდ უგუნებოდ იყოს, თუკი იცნობს მას, აუცილებლად გადაიყრის დარდს. ალბათ, ამ კომპონენტებმაც განაპირობა, რომ „კვირის პალიტრის“ სპეციალური საახალწლო ნომრისთვის, სწორედ ამ კაცთან მისვლიყავი ინტერვიუსთვის, რომელმაც, არ დავმალავ და, სასიამოვნო ატმოსფეროსა და ხუმრობა-სიცილში ჩაიარა... როცა დამშვიდობებისას ფეხზე წამოდგა, მხოლოდ მაშინღა მივხვდი და დავინახე, თუ რა მაღალი ყოფილა ბატონი ვახტანგი, ისე კი, მაგიდასთან მჯდომი, კალათბურთელი და საქართველოს ნაკრების წევრი ყოფილა...

*— ბატონო ვახტანგ, შობა-ახალწლის დღეებია საქართველოში, თბილისში, და რა არის ის, რაც ყველაზე ძალიან გენატრებათ — თქვენს საყვარელ ქალაქთან დაკავშირებით?*

— ... საოცარი იყო ჩემი ახალგაზრდობისდროინდელი თბილისი. ე.წ. იტალიური ეზოების მქონე ქალაქი, სადაც ადამიანები თითქმის ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. ყველა ყველას იცნობდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა ვინ ვინ იყო — ქართველი, ქურთი, სომეხი, რუსი, თუ აზერბაიჯანელი. ალბათ, ესეც განაპირობებდა იმას, რომ ჩვენი თბილისი სიყვარულის, მეგობრობისა და სიკეთის ქალაქი იყო, რაც წლებმა ნელ-ნელა გააფერმკრთალა. რას ვიზამთ, ცხოვრებამ მოიტანა ეს. აშენდა მრავალსართულიანი კორპუსები, კვარტალები, რაიონები და, ბუნებრივია, აღარ არის იმ „იტალიური ეზოების“ სითბო და კოლორიტი...

მე ლარსის ქუჩაზე ვცხოვრობდი... რაღაც დაუწერელი კანონებით მიდიოდა ქალაქის ყოფა-ცხოვრება: უფროს-უმცროსობა, რაინდობა, ქალის პატივისცემა. ერთი სიამოვნება იყო თბილისელი ყოჩების ჩხუბის, შერკინების ცქერა. ისე ლამაზად და რაინდულად ჩხუბობდნენ, რომ იმასთან ახლოსაც ვერ მივა დღევანდელ ვიდეობოევიკებში ასახული „სუპერმენების“ ჩხუბი...

თბილისი პატარა ქალაქი იყო და ყველა ერთმანეთს ვიცნობდით. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ომისშემდგომი ქართული სოფელიც შესანიშნავი ახალგაზრდებით იყო წარმოდგენილი. დღეს კი, იქ ჩასვლისას, სამწუხაროდ, სანთლით საძებნელია ახალგაზრდა ადამიანები... აღარც ის ძველი ურთიერთობებია შემორჩენილი. ერთი სიტყვით, ნოსტალგიისთვის გვაქვს საფუძველი!

*— ბატონო ვახტანგ, ფილმში „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“ თქვენ, ქალაქელმა კაცმა, გლეხი ითამაშეთ. რას გაიხსენებდით ამ ფილმთან დაკავშირებით?*

— სწორედ იმის გამომხატველია ეს ფაქტიც, რომ ადრე ქალაქსა და სოფელს შორის არ იყო დიდი განსხვავება. ადამიანებს ერთი მენტალიტეტი და ცხოვრების წესი ჰქონდათ... მე და ნოდარ მანაგაძე ერთად ვთამაშობდით კალათბურთს. შემდეგ ის რეჟისორი გახდა და „ივანე კოტორაშვილის“ გადაღებისას შემომთავაზა რომელიმე ეპიზოდური როლი შემესრულებინა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ქიტესას როლზე დანიშნული გივი ბერიკაშვილი არ გამოუშვეს თეატრიდან და ნოდარმაც მე დამამტკიცა ამ როლზე. თავიდან ძალიან გამიჭირდა,



მაგრამ შემდეგ შევეჩვიე და მგონი კარგი სახეც შევქმენი...

ფილმის ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, ყველა მეუბნებოდა: კაცო, როგორ დარბიხარ, როგორ მოახერხე ასე თამაშიო? მე კი ვპასუხობდი: დალოცვილებო, ზურაბ ქაფიანიძე, რომ კომბლით ხელში გამოგეკიდება, თუნდაც ფილმის გადაღებისას, თავქუდმოგლეჯილიც გაიქცევი და მეტსაც იზამ-მეთქი. თანაც, ზურა და გივი ბერიკაშვილი დიდი მეგობრები არიან და მე ცოტა ალმაცერადაც კი მიყურებდა ერთი პერიოდი, ვინ არის ეს კაცი, რა უნდა აქ ამ არაპროფესიონალსო? ამიტომ, გავრბოდი და მომდევდა... მაგრამ მალე დავმეგობრდით და ერთხელ გადაღებისას, როცა ფეხი ავიტკიე (ეს წინასწარ მქონდა შეთანხმებული ნოდარ მანაგაძესთან), ზურა მართლა ძალიან შეწუხდა და შეშინდა კიდეც... მოკლედ, ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩა ამ ფილმზე მუშაობიდან.

*— და მაინც, როგორ გაგრძელდა თქვენი და ბატონ ზურას ურთიერთობა?*

— შესანიშნავად. მთელი გადამღები ჯგუფი დღე და ღამე ერთად ვიყავით. ხალხს ჭამა-სმა უნდოდა და მე და ზურაც, (მისივე „ჯიპით“) მთებში მეცხვარეებს მივადგებოდით ხოლმე. ზურა ფანდურზე უკრავდა და მღეროდა, მეც რაღაც სახუმარო ამბებს ვყვებოდი და... „კონცერტის“ შემდეგ მეცხვარეები ორ ცხვარს გვჩუქნიდნენ, იმ პირობით, რომ ტყავს უკან ავუტანდით. ეს იყო ზეიმი გადამღები ჯგუფისთვის. ცხვარი იკვლებოდა და იყო ქეიფი და დროსტარება...

*— ქალაქში ლეგენდები დადიოდა თქვენსა და ჯუმბერ პატიაშვილს შორის მომხდარი „ინციდენტის“ შესახებ...*

— ახალი ჩამოსული ვიყავი ერაყიდან, სადაც ინჟინერ-ჰიდროლოგად ვმუშაობდი და აქ მუშაობა დავიწყე მეტეოროლოგიური სამსახურის უფროსის მოადგილედ. ბატონი ჯუმბერი მაშინ ცკ-ას მდივანი გახლდათ და სოფლის მეურნეობას კურირებდა. მოხდა ისე, რომ საშინელი სეტყვის პერიოდი იყო ქვეყანაში, ნადგურდებოდა მოსავალი და ჩვენგან მოითხოვდნენ ამინდის ზუსტ პროგნოზირებას. დღე და ღამე ვმუშაობდით და რომ იტყვიან, „ვფლობდით სიტუაციას“...

... ამ ყოფაში ვართ და უცებ რეკავს ტელეფონი, ხაზზეა ჯუმბერ პატიაშვილი და მეკითხება: როგორი ამინდია გორში? თვალი გავაპარე უკანასკნელი მონაცემებისკენ და პირდაპირ ვუთხარი: სამი დღე შესანიშნავი ამინდი იქნება და შეგიძლიათ მშრომელები შეუსიოთ ზვრებსა და ველ-მინდვრებს-მეთქი! არადა, სატელეფონო საუბრისას რაღაც კაკა-კუკი მესმოდა... ამ დროს პატიაშვილი მეუბნება: — ერთ საათში თბილისში ვიქნები და ღერა-ღერა დაგაგლეჯ მაგ ულვაშებსო (ულვაშები ერაყელთა „მოდაზე“ მქონდა დაყენებული).

— რაშია საქმე? — ვეკითხები პატიაშვილს.

— ისეთი სეტყვაა გორში, მანქანაში ვზივარ და ქალაქკომში ვერ შევსულვარო...

*— შემდეგ რა მოხდა?*

— გადავრჩი, რა!

*— ბატონო ვახტანგ, ახლახან მსოფლიომ გულისტკივილით გააცილა უკანასკნელ გზაზე მარჩელო მასტროიანი, რომელიც სასტუმრო „ივერიის“ მემილიონე სტუმარი გახდა რამდენიმე წლის წინათ...*

— მემილიონე გავხადეთ ჩვენ! მაშინდელ ხელმძღვანელობას რომ გაეგო მემილიონე სტუმრის შემოსვლა უნდა აღგვენიშნა, ვინმე მოწინავე მუშაკს ან მწველავს „შემოგვთავაზებდნენ“ (იმათ ენაცვალოს ჩემი თავი)... მაგრამ ჩვენ უფრო მასშტაბურად ვფიქრობდით ამ აქციის მოწყობას და აი, ცნობილი გახდა, რომ თბილისში ჩამოდის მარჩელო მასტროიანი. კარგად მოვემზადეთ და როცა ღამის პირველ საათზე შემოაღო სასტუმროს კარი — უცებ გავაჩირაღდნეთ ვესტიბიული, ჩაირთო სატელევიზიო კამერები და გაოცებულ მარჩელოს სიმბოლური გასაღები გადავეცით. იგი ძალიან მოწყენილი, წვერგაუპარსავი და დაღლილი ჩანდა. აღმოჩნდა, რომ მოსკოვში ცოტა ცივად მიიღეს და მისი ხუთკაციანი დელეგაცია თბილისში ორი(!) რეისით გამოისტუმრეს. თვითმფრინავის ბილეთები ვერ იშოვეს თურმე(!).

ძალიან გაიხარა მარჩელომ. ზემოთ სუფრა გვქონდა მის საპატივსაცემოდ გაშლილი. ღვინოც მოეწონა და ლობიოს დანახვაზე ბრძანა — ვიტორიო დე სიკას უყვარდაო ეს კერძი. როცა კორესპონდენტები შეეკითხნენ, რას ისურვებდა ბატონი მარჩელო — სასტუმრო „ივერიის“ მემილიონე სტუმარიო, მან ჩვეული მომხიბვლელი ღიმილით განაცხადა: ვისურვებდი, რომ მილიონპირველი სტუმარი ლამაზი ქალი იყოს და გავიცნოო...

მოგეხსენებათ, ეს დიდი მსახიობი ისე გარდაიცვალა, „ოსკარი“ არ აღირსეს. სწორედ იმ სუფრაზე ყოფნისას მითხრა, შეიძლება „ოსკარით“ დამაჯილდოვონ და ჩემს ქალიშვილს მინდა დაველაპარაკოო. მოსკოვიდან ვერ დავუკავშირდიო (!), იქვე ტელეფონი იდგა. დავურეკე საერთაშორისო საქალაქთაშორისო სატელეფონო კავშირის გოგონებს და ვთხოვე — მარჩელო მასტროიანი გვყავს სტუმრად და ქალიშვილთან სურს საუბარი-მეთქი...

— ხომ არ ხუმრობთო, გაოცდნენ და როცა ვუთხარი, რომ ეს მართლა ასე იყო, ორ წამში (!) შეგვაერთეს რომთან და მარჩელოც ელაპარაკა თავის ქალიშვილს...

*— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ მასზე?*

— ეტყობა, რაც უფრო დიდია პიროვნება, ნიჭით, პოპულარობით, მით უფრო თავმდაბალია. ეს იყო უაღრესად თავაზიანი და უბრალო პიროვნება.

*— ქართულ სიმღერებზე, სტუმართმოყვარეობაზე რა შთაბეჭდილება დარჩა?*

— მეორე დღეს ცხონებულ რეზო თაბუკაშვილს ეწვია და იქ დილის ექვს საათამდე უქეიფიათ, უმღერიათ და არც

საათამდე უქეიფიათ, უმღერიათ და არც თქვენ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით რომ ეს უდიდესი მსახიობი და პიროვნება... შესანიშნავი განწყობით წავიდა თბილისიდან.

*— დიახ, იყო დრო სასტუმრო „ივერია“ ასეთ პიროვნებებსაც მასპინძლობდა. დღეს კი მისი ბინადარნი ლტოლვილები არიან...*

— ეს საყოველთაო უბედურებაა და ჩვენც გაგებით ვეკიდებით მას. ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ლტოლვილებთან. ხდება ხოლმე, რომ ახალგაზრდები ხან ფანჯარას გატეხავენ, ხან ლიფტს გააფუჭებენ, მაგრამ რა უნდა ქნა კაცმა? ზღვაზე ლაღად გაზრდილ ბიჭებს უჭირთ ერთციცქნა ოთახებში ცხოვრება და არსებობა. ღმერთმა ქნას, რომ ყველა მათგანი დაუბრუნდეს მშობლიურ კუთხეს...

*— ბატონო ვახტანგ, თქვენ მთელი ქალაქი გიცნობთ, უამრავი მეგობარი გყავთ. და მაინც, ვინ არის თქვენი უახლოესი მეგობრები და რას გაიხსენებდით მათზე?*

— ბევრი რამის გახსენება შეიძლება. ცხონებული ვახტანგ ჭყოიძე ახსოვთ, ალბათ, ჩემი თაობის თბილისელებს. შესანიშნავი კაცი და მთქმელი იყო. ერთი ინტრიგანი მეზობელი ჰყავდა გადაკიდებული, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. იქამდეც კი მივიდა, რომ ერთხელ, დილის ექვს საათზე ხაშზე მიმავალ ვახტანგს ჰკითხა: სად მიბრძანდებით ასე უთენია, ბატონო ვახტანგ? მანაც, ჩვეული იუმორით მიუგო — ლენინის მოედანზე მივდივარ ჰიმნის მოსასმენადო!

ჩემი უახლოესი მეგობრები არიან გია ნადირაძე, დავით ჩიჩუა და მხატვარი თამაზ ხუციშვილი, რომელიც დედისერთა გახლდათ და როცა ჯარის პერიოდმა მოუწია, მისი მშობლები საგონებელში ჩავარდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ, რათა მათი კაჟივით ჯანმრთელი თამაზი არ წაეყვანათ არმიაში. დედამისის ახლობელი იყო ბატონი ავლიპი ზურაბაშვილი, რომელმაც იცოდა, რა ჩაეწერა სამედიცინო დასკვნაში და თამაზ ხუციშვილს ჩაუწერა — ტრუს! თურმე, ყოფილა მშიშარა ადამიანების კატეგორია, რომლებსაც ეშინიათ, ვთქვათ, ქვაბის თუხთუხისა(!), აღარაფერს ვამბობ იარაღის დანახვაზე. ჰოდა, „მშიშარა“ თამაზი დატოვეს... მაგრამ აქ მოხდა ერთი გაუთვალისწინებელი რამ: სამხედრო კომისარი წვევამდელებს ცურვაში ამოწმებდა. ამ დროს გვერდით მდგარი ათმეტრიანი კოშკურიდან აუზში რაღაც, თუ ვიღაც ჩავარდა, თამაზი მასიური აგებულებისაა და როცა წყალში ჩახტა, აუზის ნახევარი წყალი მაღლა ამოისროლა... კომისარს უკითხავს, ვინ ჩახტა წყალშიო, ეგ მხატვარი ხუციშვილიაო, უთქვამთ. როგორ? ეს არის „ტრუს“-ო, დაუძახია კომისარს და ჩვენი თამაზიც... ცოტაც და კინაღამ წააბრძანეს ჯარში! მაგრამ, მაინც გადარჩა. შემდეგ იყო, რომ თამაზმა მისი უახლოესი მეგობრები ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი დაგვხატა, რომელიც ჩემი უსაყვარლესი სურათია.

*— დიდი მადლობა ბატონო ვახტანგ. დასასრულ, რას უსურვებდით „კვირის პალიტრას“?*

— ძალიან სასიამოვნო გაზეთია, განმუხტვის შესანიშნავი საშუალება, რომელიც მკითხველს არ ახვევს თავს თავის აზრებს და პოზიციას. გისურვებთ დიდ ტირაჟს და წარმატებას შემოქმედებით საქმიანობაში.

*ზ. მჭედლიშვილი*

# სიმღერით გამოვლილი გზები

## ინტერვიუ კომპოზიტორ ალექსანდრე ბასილაიასთნ



1998 წელს ანსამბლ „ივერიას“ არსებობის 30 წელი უსრულდება. ამ ხნის მანძილზე მან მაყურებელთა სიყვარული და დიდი აღიარებაც მოიპოვა. გვესაუბრება ანსამბლის ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ბატონი ალექსანდრე ბასილაია:

— ყველაფერი უბრალოდ დაიწყო. მაშინ სრულიად არ მიფიქრია, რომ მუსიკოსი გავხდებოდი. ეს კია, ვერასდროს ვერ ვუსმენდი მამას გულგრილად, რომელიც შესანიშნავად მღეროდა და უკრავდა გიტარაზე, მალე მეც მიმიზიდა მუსიკამ. როიალს მივუჯდებოდი და ორივე ხელით სმენით ვუკრავდი. ერთხელ, როდესაც ცნობილმა მუსიკისმცოდნემ ბატონმა პავლე ხუჭუამ (ბატონი პავლე მამას ბავშვობის მეგობარი იყო) მომისმინა, მამას ურჩია, შევეყვანე მუსიკალურ სასწავლებელში. ამას მოჰყვა კონსერვატორიის წლები. თავისუფალ დროს აკომპანემენტს ვუწევდი ქართული ესტრადის ცნობილ მომღერალს ქალბატონ ლილი გეგელიას, ვუკეთებდი ორანჟირებას შოთა მილორავას, გიორგი ცაბაძის, ვაჟა აზარაშვილის, ოთარ თევდორაძის მუსიკას, ვეხმარებოდი ანსამბლებს „ორერას“, „დიელოს“... ასე შევიჭერი თანდათან მუსიკალური ცხოვრების სიღრმეში. მე ადრე დავვოჯახდი, 18 წლისა, დავქორწინდი, ამჟამად, ჩვენი ანსამბლის წევრ-მომღერალ ლუიზა კობალაძეზე. 18 წლისა მამაც გავხდი. შვილმაც მე მომბაძა, კი არ მომბაძა, მაჯობა კიდეც, 3 შვილი ჰყავს. ამას ყველაფერს იმიტომ მოგახსენებთ, რომ ადრიდანვე შევეჭიდე ცხოვრების ჭაპანს.

*— რას იტყვით ანსამბლის წევრებზე?*

— განსაკუთრებული ღვაწლი ანსამბლ „ივერიას“ სტილის დამკვიდრებაში ჩვენს სოლისტს ჯემალ ბაღაშვილს მიუძღვის. ყველა მიუზიკლის ლიბრეტო მას ეკუთვნის. ჩვენს მუსიკალურ კოლექტივში თავიდანვე 13 წევრი იყო. ანსამბლის წესად იქცა, რომ შერჩეული სიმღერა ყველას უნდა მოეწონოს, ამასთან, ნებისმიერ მონაწილეს თავისი შესასრულებელი ნომერი უნდა ჰქონდეს. ამან განაპირობა საქმისადმი გულითადი დამოკიდებულება. რაც შეეხება ანსამბლის წევრებს, „ივერიის“ წარმატებებსა და მის ფართო აღიარებაში დიდი როლი შეასრულა თეიმურაზ ნიკლაურის, მანანა თოდაძის, ვახტანგ ტატიშვილის დახვეწილმა ხელოვნებამ. ამ მხრივ განსაკუთრებით მინდა გესაუბროთ თეიმურაზ ნიკლაურზე. მას დიდი წვლილი მიუძღვის მისთვის დამახასიათებელი მდიდარი კოლორიტული ფერებით შესრულებული ჩემი სიმღერების წარმოჩენაში. თუ შენს სიმღერას შესაფერი შესრულება არ ექნება, წერე რამდენიც გინდა. დიდი პროფესიონალები ბრძანდებიან ნუგზარ კვაშალი, ძმები ლალიაშვილები, ავთანდილ შარაშენიძე, ჩემი შვილი ანდრო ბასილაია, პატარა ალეკო კვაშალი, ქალბატონი ლია ურუშაძე, ლუიზა კობალაძე, ლილი ზღვაური, თამრიკო ამონაშვილი.

*— თქვენი სიმღერები ხავერდოვანია, მელოდიურობით და ლირიკულობით ალსავსე, დახვეწილი იუმორით შეზავებული, სანახაობრივად მიმზიდველი და საინტერესო, რა არის ყოველივე ამის საფუძველი?*

ნაწილობრივ ამის შესახებ უკვე გიპასუხეთ, როდესაც ანსამბლის წევრთა შრომისმოყვარეობას, მეგობრულ განწყობილებას შევეხე. ჩვენთან არასოდეს არ ყოფილა ასეთი განწყობა, რომ მე ხელმძღვანელი ვარ, ჩვენთვის ყოველთვის ურთიერთის გვერდით დგომა იყო მთავარი და, რაც უმთავრესია, — ერთმანეთის მოსმენა. და, რა თქმა უნდა, ყოველივე ამის წამმართავი ტალანტია, რაც უხვად აქვთ მომადლებული ჩვენი ანსამბლის წევრებს.

*— ბატონო ალექსანდრე, რატომ დაარქვით თქვენს ბოლო მიუზიკლს ფიროსმანი, რა აზრი ჩადეთ ამ სათაურში?*

— ფიროსმანზე დიდი ხანია, ვფიქრობდი, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ ჩვენი პრემიერა მხატვრის იუბილეს დაემთხვა. ფიროსმანი არამარტო დიდი შემოქმედი, დიდი პიროვნებაცაა, რისი დასტურია მისი ქმნილებები და ცხოვრების წესი. განა იქნება ოდესმე თაობა, ფიროსმანის თემა რომ არ დააფიქრებს, სხვათა შორის ჩვენ მჭიდრო თანამშრომლობა გვქონდა ბატონ მორის, ფოცხიშვილთან. ვწუხვარ, რომ იგი ვერ მოესწრო „ფიროსმანის“ პრემიერას.

*— თქვენი ანსამბლის არსებობის მანძილზე ბევრი გასტროლი გქონდათ. რომელი იყო ყველაზე დასამახსოვრებელი.*

— ჩვენ ვიყავით 55 ქვეყანაში. ყველაზე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა ლათინური ამერიკა, თანაც ორჯერ ვიყავით აქვე საგანგებოდ უნდა ვთქვა, გარდა იმისა, რომ ქართულ ხელოვნებას ვაჩვენებდით, იმასაც ვგრძნობდით ყველგან, რომ ქართველი კაცი ნიჭით არავისზე ნაკლები არ არის.

...ერთ მტკივნეულ პრობლემას მინდა შევეხო. როგორც ანსამბლის ხელმძღვანელი, როგორც საკონცერტო დარბაზის დირექტორი, უამრავ წინააღმდეგობას ვაწყდები. როგორ ვხვდებით მაყურებელს? — გაყინული დარბაზით, მოძველებული ტექნიკით. ამ 25 წლის მანძილზე თითქმის არაფერი შეცვლილა, როდემდე შეიძლება ასე გასტანოს? ტვირთად გვადევს ამდენი გადასახადი, მარტოოდენ იჯარით თავს ვერ ირჩენ. ანსამბლის წევრებს არსებობა ხომ უნდათ, ბილეთის ფასსაც ვერ გაუძვირებ ისედაც ეკონომიურად გაძვალტყავებულ მოსახლეობას. ისიც უნდა ვთქვა, რომ საბაზრო ეკონომიკა ჩვენ სრულებით არ შეგვხებია. ჩვენთვის არავის სცალია. თავის რჩენის მიზნით იძულებულნი ვიყავით ციმბირშიც ჩავსულიყავით, ორჯერ შემოვუარეთ წრე „საბჭოთა კავშირს“. ამ ბოლო წლების გაჭირვებამ ჩაკეტა საგასტროლო გზებიც. მინდა ჩემი საუბარი ერთი სასიამოვნო ფაქტით დავასრულო, საახალწლოდ ჩვენი პატარები კარგ საჩუქარს მიიღებენ — ჩემი საბავშვო სიმღერების („ცისარტყელები, ათასფერები“) კასეტას ფონოგრამით. მოგვიანებით, ალბათ, დიდებზეც ვიფიქრებ.

და ბოლოს, მინდა ჩემს ხალხს ბედნიერი ახალი წელი ვუსურვო. ძალიან მტკივა გული ასე დაბეჩავებულ ჩემს ქვეყანას რომ ვუცქერი, როცა ერთი მუშაობს და ასი მათხოვრობს...

მომავალი 1997 წელი ჩვენი საიუბილეო წელია. იგი ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის შემაჯამებელი წელი იქნება, — ოთხი მიუზიკლით წარვდგებით მაყურებლის წინაშე, ანსამბლს, ალბათ, ახალი სიმღერებიც შეემატება — დიდი მადლობა საუბრისათვის.

მაყურებელთა სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ და თქვენი ანსამბლის ყველა წევრს ახალ წელს...

*ციური ხეთერელი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## №13 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

გამოკითხვა-რეიტინგი საახალწლო დღესასწაულებს დაემთხვა, ამიტომ მკითხველთა გამოხმაურება წინა რეიტინგებთან შედარებით, გაცილებით ნაკლები იყო — 214 ბარათი.

გამოკითხვის თემა იყო: **„თქვენი საყვარელი დღესასწაული"**. პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, ახალი წელია. რესპოდენტთა 54% მას აკუთვნებს მაქსიმალურ შეფასებას. (საშუალო ქულა 7,22). არც ერთი მაქსიმალური შეფასება არ ერგოთ ქალთა დღეს და ბედობას, ხოლო არც ერთი მინიმალური — აღდგომისა და შობის დღესასწაულებს (ახალ წელს ერთმა მკითხველმა დაუწერა მინიმალური ქულა).




**საპრიზოს** ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა, მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტი ეკუთვნის ბ-ნ **ემზარ მოდებაძეს**, საპრიზოსგან განსხვავებით, მან რეიტინგში 7 ქულა და მეორე ადგილი მიაკუთვნა დაბადების დღეს, ხოლო 6 ქულა და მესამე ადგილი — აღდგომას.

საპრიზო რეიტინგში ამ ორ ადგილს შორის განსხვავება სულ 0,12 ქულაა.

ბატონ ემზართან ტელეფონით დაკავშირება ვერ მოხერხდა, პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 8 იანვარს, 17 საათზე.

## №14 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა" თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, პიროვნებაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით

**— 60 ლარი**

ამა თუ იმ თემაზე თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის" მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონა-წილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს. რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

№13 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი ძალაშია 6 იანვრიდან 9 იანვრის ჩათვლით. „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ 9 იანვრის (ხუთშაბათი) 17 საათამდე. (მათი ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 21-ე გვერდზე).

თემა №14 — **„წლის საუკეთესო გაზეთი"** (ჩამოთვლილთაგან)*

გაზეთს, რომელიც ყველაზე მეტად მოგწონთ, დაუწერეთ 10 ქულა, მომდევნოს — 9 და ა.შ. — 1-მდე.

**№14 საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | გაზეთი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ალია | |
| 2 | ასავალ-დასავალი | |
| 3 | ახალი თაობა | |
| 4 | დილის გაზეთი | |
| 5 | კავკასიონი | |
| 6 | რეზონანსი | |
| 7 | სარბიელი | |
| 8 | საქართველოს რესპუბლიკა | |
| 9 | შანსი | |
| 10 | 7 დღე | |

თქვენი სახელი, გვარი,

საკონტაქტო ტელეფონი

* არ გვინდა ვინმემ ჩვენი გამოკითხვის შედეგების ობიექტურობაში ეჭვი შეიტანოს, ამიტომ „კვირის პალიტრა" რეიტინგში არ მონაწილეობს.




**თარაზულად:** 3. განცდა, სულიერი მღელვარება; 5. გოვენ ჭეიშვილის პერსონაჟი ტელეფილმში „კუჩხი ბედნიერი" 9. განთქმული იტალიელი კომისკოსი; 10. რუსი ბალეტის მსახიობი და ბალეტმაისტერი, წარმოშობით ფრანგი; 11. შორისდებული; 12. კაცი, რომელსაც სასმელი გაამძვინვარებდა ხოლმე და რომლის მხეცურ მარწუხებს ძლკივს დააღწია თავი ცნობილმა როკ-შემსრულებელმა ტინა ტერნერმა (სახელი); 15. იბსენის ცნობილი ნაწარმოების პერსონაჟი, ხუროთმოძღვარი; 17. სინონიმი სიტყვისა „ბიჭო!" აჭარელთა მეტყველებაში; 18. მობოდიშება ფრანგულად; 22. ვაჟი, ჭაბუკი; 24. არქონა სხეულის რომელიმე ნაწილისა ან ორგანოსი; 26. წრეხაზის სიგრძის შეფარდება დიამეტრის სიგრძესთან; 28. კვამლში გამოყვანილი თართის გვერდების ანაჭერი; 29. დროის მონაკვეთი; 30. ინგლისური ხურდა ფული; 32. მსუბუქი ძილი; 33. ფრანგი მარშალი — ნაპოლეონის ყველა ომის მონაწილე; 34. ზევსის თავიდან დაბადებული ქალღმერთი; 35. ქართველი მეცნიერ-ბიოლოგის, ალექსანდრე გაჩეჩილაძის მიერ შექმნილი კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატი; 37. საცირკო ხელოვნების ცნობილი მოღვაწე; 38. ნაცვალსახელი; 39. ნამცხვარი;

**შვეულად:** 1. აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნება, ინდოეთში შობილი, ხოლო მწყობრ სისტემად ჩინეთში ჩამოყალიბებული; 2. მანქანათა ამწყობი და დამდგმელი; 4. ქვეყანა, სადაც ახალი წლისთვის ყველა ცდილობს ვალების გასტუმრებას, ხოლო საახალწლო სუფრას ოთხი კაცი ვერ მიუჯდება, სიტყვა ოთხი და სიკვდილი ხომ ერთნაირად გამოითქმება! 5. ისეთი კაკალი, თხილი, წაბლი... რომელსაც წენგო, ჩენჩო, ბუძგი გაცლილი აქვს, ან ადვილად ეცლება; 6. ესტრადის ვარსკვლავი ქალი ბულგარეთიდან; 7. საფრანგეთის მთავრობის მიერ XVIII საუკუნის დასაწყისში შემოგზავნილი და ქართულ არისტოკრატიასთან დაახლოებული ლამაზი, ჯაშუში ქალი, სახელად მარი... 8. ფრინველი, რომლის როლი განასახიერა ლებედმა, ჩეჩნეთში მშვიდობა რომ დაამყარა; 13. თავის რაიმეზე მირტყმის პირდაპირი შედეგი; 14. ტანსაცმელი, რომელიც მოხარშული უფრო „გემრიელია", ვიდრე უმი; 16. ქართული ღვინო; 19. ჭიდან წყლის ამოსაღები მოწყობილობა; 20. ლენინის პირადი მძღოლი; 21. მამასახლისის ხელქვეითი ძველ ქართულ სოფელში; 23. ქართული სუფრული სიმღერა; 25. ადამისა და ევას უფროსი ძე, მიწათმოქმედი; 26. ტურინელი (იტალია) ფოტოგრაფი, რომელმაც (გასულ საუკუნეში) პირველმა მოახდინა იესო ქრისტეს სუდარის ფოტოგრაფირება, ნეგატივის მაგიერ მაშინვე მიიღო პოზიტივი და ამგვარად პირველმა იხილა ქრისტე მისი მკვდრეთით აღდგომიდან 1800 წლის შემდეგ; 27. ხოლმეობითობის მაჩვენებელი მოხევეთა, მთიელთა, გუდამაყრელთა მეტყველებაში; 28. ჩამონათვალი, ნუსხა; 30. საერთო საქმეში თითოეულის მიერ შეტანილი წილი; 31. პერსონაჟი აგატა ქრისტის ნაწარმოებისა „ენდჰაუზის საიდუმლოება"; 36. ძლიერი ქარი წვიმითურთ.

„+ჩაინვორდი" 14-41. რაც არის, არის! რაც უნდა, ის მოხდეს! 40-42. საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა; 42-44. განთქმული სტომატოლოგის, მელიტონ ბელთაძის მეუღლე, რეზიკოს დედა (კინოფილმიდან); 43-46. ქართული სამზარეულოს ერთ-ერთი შედევრი; 45-47. ქართველ კალათბურთელთა გუნდი.

*შენიშვნა:* ჩაინვორდი კროსვორდის ნაირსახეობაა, სადაც გამოსაცნობი სიტყვები მიმდევრობითაა განლაგებული, ისე რომ, თითოეული სიტყვის საწყისი ასო წინა სიტყვის ბოლო ასოს წარმოადგენს. ჩაინვორდის თავი და ბოლო შეიძლება ერთმანეთს უერთდებოდეს, შესაძლოა ჩაინვორდი ღიაც იყოს.

მოცემულ შემთხვევაში ჩაინვორდი ებმის კროსვორდს, ხოლო იმისათვის, რომ მისი ამოხსნა გაადვილდეს და საინტერესოც გახდეს, ოდნავ დარღვეულია ჩაინვორდის პრინციპი — სიტყვებს საერთო აქვთ არა მხოლოდ ერთი, არამედ ორი ან სამი ასო.

**№52-ში გამოქვეყნებული კროსვორდი პასუხები**

**თარაზულად:** 3. პოპური; 5. პაგოდა; 7. ნერბი;; 8. რკინა; 9. ბორისი; 10 იანთაი; 13. ჯინორია; 18. რენო; 19. არსი; 20 პრიმატორი; 21. გრეი; 22. ჟინი; 24. ოკარინა; 28. „იზაურა"; 30. გაზონი; 31. ჰევეა; 32. დენდი; 33. ისლამი; 34. იდრისი; 35. კვაჭი; 37. ეჯიბი.

**შვეულად:** 1. ტრუმენი; 2. იაგუნდი; 3. პამირი; 4. ილბალი; 5 პაკეტი; 6. ასმათი; 9. ბანკეტი; 11. იარლიყი; 12. გროგი; 13. ჯორკო; 14. ნამჯა; 15. რიტმი; 16. ატრია; 17. ძიძია; 23. ტაუერი; 25. კამეჩი; 26 ნუქერი; 27 ბორანი; 29. „აბეზარა"; 30. გოდერძი; 36. ჭა; 38. ჯო.

6-დან 12 იანვრამდე
კინოთეატრი „ივერია"
(რესპუბლიკის მოედანი, მიწისქვეშა კომპლექსი, მეტრო „რუსთაველი")
გეპატიჟებათ პრემიერაზე
ახალი კრიმინალური მელოდრამა
მომხიბვლავი შენონ დოერტის მონაწილეობით
«გაქცევა ციხიდან»
(აშშ)

სეანსების დასაწყისი: 12, 14, 16, 18 სთ.
ბილეთის ფასი 1 ლარი

# რას მეტყვით, ვარსკვლავებო...



## ვერძი

(21.3 — 20.4)

ვერძებისთვის ხარის წელიწადი მშვიდი, დადებითი ენერგიით დამუხტული იქნება. ამ ნიშნით დაბადებულებს ჯანმრთელობა გაუუმჯობესდებათ და მატერიალური კეთილდღეობა ელით. წელს შეგიძლიათ ინატროთ ნებისმიერი რამ, ყველაზე უჩვეულოც კი, — უმეტესობა აგისრულდებათ. აქ გარკვეულ როლს ითამაშებს მარსი — ვერძთა მფარველი პლანეტა. გირჩევთ, მოიმარაგოთ რეჰანი, კუნელი, ასკილი. არ გამოილიოთ შინ ხახვი, ნიორი და პირშუშხა. ხარის წელიწადში აუცილებლად უნდა გაიხსენოთ თქვენი ზოდიაქოს თილისმა — ლალი, ახალწლის ღამეს ლალის სამკაული გაიკეთოთ, ან ჩაიცვათ მუქი წითელი ფერის სამოსი.



## კურო

(21.4 — 21.5)

ზოდიაქოს მფარველი — ვენერას პლანეტა მათგან წელს მსხვერპლს ითხოვს. თქვენს ცხოვრებაში სხვა ყველაფერი მოგვარდება, მაგრამ სიყვარული ბევრ საზრუნავს გაგიჩენთ (თუმცა, ხანდახან სასიამოვნოსაც). წელს პიტნის, ალოეს, ბროწეულის, ნიგვზის მოთხოვნილება გექნებათ. ზაფხულში კი, რაც შეიძლება უხვად, ბალი, ალუბალი მიირთვით და სამყურის მინდორში იგორავეთ. — ყველა ეს მცენარე ავადმყოფობისა და ავი თვალისგან დაგიცავთ. გირჩევთ, ახალ წელს ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი გაიკეთოთ, — იგი დაგიფარავთ განსაცდელისგან.



## მარჩბივი

(22.5 — 21.6)

ახალწლის ღამეს მარჩბივებს ეშინიათ წლის მოახლოებისა. ხარი გონიერ და საქმიან მარჩბივს წყალობს, — იმედიანად გაუსწორეთ თვალი მომავალს. მიირთვით კვლიავი, ოხრახუში, მწვანე ლობიო; ეცადეთ, სუფრაზე ყოველთვის გქონდეთ გარგარი, ატამი, მსხალი. ხოლო ძნელბედობისას გაიხსენეთ, რომ არსებობს ქვა ალექსანდრიტი.



## კირჩხიბი

(22.6 — 22.7)

მთვარე იფარავს ცნობისმოყვარე მთვარეულ კირჩხიბს, რომელიც არ ერიდება უკიდურესობებს. მთვარეული ყვავილები — წყლის შროშანი, დიდგულა, ზამბახი — დაამშვენებს მის ცხოვრებას. ყოველდღიურად მიირთვით კიტრი, გოგრა, სოკო, ბოლოკი, სტაფილო და ზღვის პროდუქტები. კირჩხიბებმა შინ ფირუზის რაიმე ნივთი აუცილებლად უნდა იქონიონ, — უნიკალურია მისი ზემოქმედება კირჩხიბებზე, სადღესასწაულო სუფრაზე ვაშლს განსაკუთრებული ადგილი მიუჩინეთ.



## ლომი

(23.7 — 23.8)

ხარის წელი განსაცდელს უმზადებს ლომებს, თუმცა, ხანდახან არც სასიამოვნო სიურპრიზს აკლებს. ბევრ ლომს ცვლილებები ელის პირად ცხოვრებაში. ლომები მზის ტიპებს ეკუთვნიან და ამიტომ ძალიან უყვართ მზესუმზირა, ყურძენი, ნუში, იორდასალამი, სალბი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრინჯს. ლომებისთვის ბრინჯი პურივით აუცილებელია. რაც შეიძლება ხშირად მიირთვით ოსპის, სიმინდის და ბარდის კერძები, ყველა ლომს უნდა ჰქონდეს ოპალი, ან ოპალისთვლიანი სამკაული.



## ქალწული

(24.8 — 23.9)

ქალწულებს შეუძლიათ ახალ წელს თამამად და მხიარულად შეხვდნენ — მათი ყოველდღიური და რუდუნებით შრომა სათანადოდ დაფასდება. მიირთვით: ყურძენი, ნიახური, პიტნა, ქონდარი. ხოლო მირტი, მაიორანი, სამყურა, სტაფილო, კატაბალახა ავი თვალისგან დაგიფარავთ, წყევლას მოგიხსნით, თუ საახალწლო სუფრას ხორბლისა და ქერის თავთავებით მორთავთ, მაშინ ეს წელიწადი ბევრად მშვიდად ჩაივლის. ატარეთ ალმასის სამკაული.



## სასწორი

(24.9 — 23.10)

სასწორებს მხიარული ხასიათი, მოთმინებისა და შეგუების უნარი მომავალში წარმატებას უქადით. ხასიათის ცვალებადობის დაძლევაში დაეხმარებათ: ალუბალი, მიხაკი, ბროწეული, ია, სამყურა. ახალ წელს სუფრაზე დადგით — ჭარხლის სალათა ან ალუბლის ჟელე. წლის განმავლობაში მიირთვით მარწყვი, ისპანახი, ბოლოკი, ლობიო, ჭინჭარი. თქვენ გიცავთ — ნეფრიტი, — იგი ჯანმრთელობის საწინდარია.



## ღრიანკალი

(24.10 — 22.11)

ღრიანკალი, ყოველთვის მღელვარებით ელოდება ხარის წლის მოახლოებას. კონახური, კუნელი, ასკილი, გრეიპფრუტი. სოკო, ლიმონი, ნიახური, ცირცელი დაგეხმარებათ, რომ მთელი წლის განმავლობაში ნორმალური წნევა შეინარჩუნოთ. მალაქიტი — თქვენი ქვაა.



## მშვილდოსანი

(23.11 — 21.12)

მატერიალისტ მშვილდოსნებს იმედი აქვთ, რომ ეს წელიწადი დამსახურებისამებრ მიუზღავს. ბუნებით ერთგულნი და გულწრფელები, ამავე დროს, მყარად დგანან დედამიწაზე, ჰყავთ უამრავი მეგობარი. ხარის წელი მშვილდოსნებისთვის ყოველმხრივ სასიამოვნო იქნება. გამოულევად გქონდეთ ნუში, ნიგოზი, სვით ცაცხვის, წიწვის, გულყვითელას, მარწყვის, წაბლისა და მუხის ფოთლების ჩაი, ლიმონის ნაყენი. სუფრა გააწყვეთ ნაირნაირი კერძებით. ნუ დაიზარებთ კიტრის, შავქლიავის, სიმინდის სალათების გაკეთებას. შეიძინეთ საფირონის სამკაული: იგი თქვენ შურისა და ღალატისაგან დაგიცავთ.



## თხის რქა

(22.12 — 20.1)

ახალი წლის მოლოდინში თხის რქებმა სასიცოცხლო რიტმი უნდა ააჩქარონ — ისინი ძალიან ზოზინები არიან. მაგრამ ამ თვისების მიღმა იმალება ნერვიული და შემოქმედი ბუნება. სატურნი თქვენი პლანეტაა. კარგია, თუ შინ მუდმივად გექნებათ: ისპანახი, ფეიხოა. ახალწლის ღამეს მოამზადეთ ჭარხლის კერძი. ყველა წიწვოვანი მცენარე მათი მეგზური და მცველია. ახალწლის ღამეს გაიკეთეთ მთის ბროლის სამკაული.



## მერწყული

(21.1 — 19.2)

მერწყული ხარის წელიწადის მოახლოებას დიდი იმედით ელოდება. ეს ბუნებრივია, რამეთუ მერწყულებს ძალიან, ძალიან უყვართ ჯოგური ყოფა. ხოლო წელს მათი მიზანი იქნება ამ ჯოგს როგორმე დანაკარგების გარეშე დაალწიონ თავი. თქვენი ბევრი ადამიანური და კეთილი თვისება იზიდავს გარშემომყოფთ. მთელი წლის განმავლობაში მუდმივად გქონდეთ ვაშლი, ნიგოზი, ბროწეული, ფორთოხალი. ნუ მიირთმევთ ცხიმიან და მაღალკალორიულ საკვებს. ახალ წელიწადს უნდა გქონდეთ აკვამარინი: ეს ქვა დაგეხმარებათ სიყვარულშიც, ქონების შეძენაშიც და მშვიდ ცხოვრებასაც გპირდებათ.



## თევზები

(20.2 — 20.3)

სამწუხაროდ, თევზების უმეტესობას არა აქვთ დიდი იმედი, რომ ახალი წელი მათ ცხოვრებას კეთილად შეცვლის, მაგრამ საქმიანი ხარები ძალიან კარგად ეგუებიან მზრუნველ თევზებს და ეხმარებიან, მათ დაიცავს თავად ნეპტუნი. აუცილებელია თქვენთვის: ზაფრანი, აწწლი, ჟასმინი, ნარგიზი. გაიკეთეთ მარგალიტის ან ამეთვისტოს სამკაული.





## ბატონო მკითხველო!

ახლა, როდესაც თქვენ გაასრულეთ ჩვენი საახალწლო გაზეთის კითხვა, გთხოვთ, მოემზადოთ განმუხტვისათვის. მოეწყვეთ მოხერხებულად, მოდუნდით, დაიჭირეთ გვერდი, (რომელზეც გამოსახულია ე. წ. „ფანტომაშკა". სიმბოლური სურათით.) თვალწინ, დაახლოებით 10-20 სმ-ზე, მიაჩერდით ერთ წერტილს, უმჯობესია, ნახატის შუაგულში; შემდეგ ნელ-ნელა აატივტივეთ მხედველობა, დაახლოებით ისე, ფოკუსგარეშე კადრს რომ უყურებთ ხოლმე... შედეგს მიაღწევთ, როდესაც ნახატი ნელ-ნელა „ამოძრავდება", გაუჩნდება შრეები, წინ წამოვა და გარკვეული ფიგურები შორს გადაინაცვლებენ ... და საბოლოო ჯამში, თქვენ გაიმარჯვებთ — თვალწინ გადაგეშლებათ ჯადოსნური სამყარო საჰაერო ტანმოვარჯიშეებით.




ყოველი საწერი
მაგიდისათვის
აუცილებელი
ნივთი

მიაკითხეთ წიგნისა და საკანცელარიო საქონლის მაღაზიებს.
ბითუმად ტ.:
987444, 367807.

დაიჯესტის რედაქცია პასუხს არ აგებს სხვა გაზეთიდან გადმობეჭდილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების სიზუსტეზე, პუბლიკაციათა სტილი დაცულია. რიგ შემთხვევაში, მასალა შემოკლებით იბეჭდება.
შესაძლოა, რედაქციის აზრი არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
სარედაქციო კოლეგია
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ. 36-39-54
სარეგისტრაციო № 1518
„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში"

უფასო განცხადებების ქვითარი იხ. 21 გვერდზე